

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

იზა ბუკია

საგადასახადო პოლიტიკის გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი

თბილისი

2019

შინაარსი

| | |
|--|-----|
| შესავალი | 1 |
| თავი I. საგადასახადო პოლიტიკისა და სამეწარმეო პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულების ევოლუცია გლობალიზაციის პირობებში | 11 |
| 1.1 საგადასახადო პოლიტიკის ევოლუცია | 11 |
| 1.2 საგადასახადო პოლიტიკის როლი მეწარმეობის განვითარებაში..... | 26 |
| თავი II. მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის საზღვარგარეთული გამოცდილება | 37 |
| 2.1 აშშ-ს საგადასახადო პოლიტიკა და მისი გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე | 37 |
| 2.2 ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკის თავისებურებები | 48 |
| 2.3 საგადასახადო პოლიტიკისა და მეწარმეობის ურთიერთშემოქმედების შედეგები ვიშეგრადის ქვეყნებში ევროკავშირში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგ..... | 71 |
| თავი III. მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება და განვითარება საქართველოში | 105 |
| 3.1 საგადასახადო პოლიტიკის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი | 105 |
| 3.2 მეწარმეობის განვითარების მიღწეული შედეგები და წინააღმდეგობები | 116 |
| 3.3 მეწარმეობის განვითარების მასტიმულირებელი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება საქართველოში | 148 |
| დასკვნები და რეკომენდაციები | 164 |
| გამოყენებული ლიტერატურა | 181 |
| დანართები | 193 |

აბსტრაქტი

საკვანძო სიტყვები: მეწარმეობა, ეკონომიკური პოლიტიკა, საგადასახადო პოლიტიკა, მცირე და საშუალო ბიზნესი, გადასახადები.

ეკონომიკის თანამედროვე ტენდენციებმა წინ წამოსწიეს მეწარმეობის როლი. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეწარმეობის განვითარებას. მოცემული ამოცანის მისაღწევად აუცილებელია მეწარმეობის წასახალისებლად გატარდეს სათანადო საგადასახადო პოლიტიკა. აღნიშნული საკითხი ძალიან კომპლექსურია და ის არ ითვალისწინებს მხოლოდ გადასახადების ჭრილში სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას. მასში იგულისხმება ქვეყნის სტრატეგიები მეწარმეთა განვითარების კუთხით (განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის როლის წინ წამოწევით), ასევე მათი ხელშეწყობა როგორც ფინანსური, ასევე ტექნიკური მხარდაჭერით. აუცილებელია ასევე ინოვაციების დანერგვა, რაც პირდაპირ კავშირშია მეწარმეობის სწრაფ განვითარებასთან, მოცემული კი აისახება ეკონომიკაში მათი წილის ზრდით.

ნაშრომში შესწავლილია საგადასახადო პოლიტიკისა და სამეწარმეო პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულების ევოლუცია გლობალიზაციის პირობებში, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობი საგადასახადო პოლიტიკის საზღვარგარეთული გამოცდილება, კერძოდ, გადმოცემულია ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახადო პოლიტიკა და მისი გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე, ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკის თავისებურებები, საგადასახადო პოლიტიკისა და მეწარმეობის ურთიერთზემოქმედების შედეგები ვიშეგრადის ქვეყნებში ევროკავშირში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგ.

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია საგადასახადო პოლიტიკის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში, მეწარმეობის განვითარების მიღწეული შედეგები და წინააღმდეგობები, მეწარმეობის განვითარების მასტიმულირებელი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება. მეწარმეთა გამოკითხვის საფუძველზე გაანალიზებულია, თუ

რამდენად გამართლდა ამა თუ იმ რეფორმის მიზანი, დადგენილია მეწარმეობის ხელისშემშლელი ფაქტორები; გამოკვეთილია კონკრეტული გადასახადის სახე, რომელიც წნეხად აწვება გადასახადის გადამხდელებს; დაიდენტიფიცირებულია ის სფეროები, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა; გადმოცემულია ის საგადასახადო რეფორმები, რომლებმაც მოახდინეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე; გაანალიზებული და შეჯერებულია სასურველი საკანონმდებლო ინიციატივები (მოცემული მოიცავს საგადასახადო მიმართულებას, ფინანსურ სექტორს, კონკურენციის მიმართულებას და უხარისხო პროდუქციის კონტროლს); დასაბუთებულია კონსტიტუციის 94-ე მუხლის ჩანაწერის გავლენა საგადასახადო პოლიტიკაზე და მისი მოქმედების არეალის შეზღუდვაზე.

ჩატარებული კვლევის, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკური მასალების, განხორციელებული საგადასახადო რეფორმების, სხვადასხვა ქვეყნის სტრატეგიების ანალიზის შედეგად, შეფასებულია გატარებული რეფორმების მოლოდინები და შედეგები. საქართველოში სამეწარმეო სფეროში ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინება სასურველი იქნება იმ უწყებების მიერ, რომელთა მოვალეობებში შედის საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება და დამტკიცება. ასევე მას წვლილის შეტანა შეუძლია იმ პირებისა თუ ორგანიზაციების საქმიანობაში, რომლებიც ატარებენ კვლევებს და გასცემენ რეკომენდაციებს საგადასახადო პოლიტიკის განხრით.

Abstract

Key words: Entrepreneurship, Economic Policy, Tax policy, Small and medium-sized enterprises (SMEs), Taxes.

The modern tendencies of the economy have put forward the role of entrepreneurs. Consequently, they are of great importance for their development. To achieve this task it is necessary to make proper tax policy in order to encourage entrepreneurs. The issue is very complex and it does not take into account only the various measures taken by taxes. It involves the country's platforms in terms of the development of entrepreneurs (especially in the role of small and medium-sized business), they also support both financial and technical support. It is also necessary to introduce innovations that are directly related to the rapid development of entrepreneurship, which are reflected in the growth of their share in the economy.

The paper examines the evolution of the interdependence of the tax policy on entrepreneurial policy in the context of globalization, overseas experience in tax policy supporting entrepreneurship development, in particular, describes the United States tax policy and its impact on entrepreneurship development, features of EU tax policy, implications of tax policy and entrepreneurship interaction before and after accession to the Visegrad countries.

The present paper discusses and analyzes the current state of tax policy in Georgia, achievements and contradictions of entrepreneurship development, formulating a stimulating tax policy for entrepreneurship development. Based on the survey of entrepreneurs it is analyzed whether the purpose of some of these reforms have been justified and the factors hindering entrepreneurship have been identified; There is a specific tax type that, puts pressure on taxpayers; Identifies the areas that need state support the most; It outlines the tax reforms that have had both positive and negative effects on entrepreneurship development; Desired legislative initiatives are analyzed and reconciled (this includes tax direction, financial sector,

competition direction and control of poor quality products); The effect of the record of Article 94 of the Constitution on tax policy is substantiated and limiting its scope of action.

As a result of the research, the statistical materials of various international organizations, the tax reforms implemented, the strategies of different countries, the expectations and results of the reforms implemented are evaluated. Recommendations have been elaborated based on the results of research conducted in Georgia, which will be considered by those agencies whose duties include elaboration and approval of legislative initiatives. It can also contribute the activities of individuals or organizations conducting research and issue recommendations on tax policy.

დიაგრამების ჩამონათვალი

| | |
|--|-----|
| დიაგრამა N1. აშშ-ს საგადასახადო შემოსავლები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში (%) (2010-2017) | 46 |
| დიაგრამა N2. 2018 წლის საქართველოს ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადები სახეების მიხედვით..... | 113 |
| დიაგრამა N3. საქართველოს ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადები სახეების მიხედვით 2017-2018 წლებში..... | 115 |
| დიაგრამა N4. საქართველოში ეკონომიკის მთლიანი გამოშვების სტრუქტურა 2018 წელს (%)..... | 119 |
| დიაგრამა N5. საქართველოში მშპ-ის ზრდა 2010-2018 წწ (%) | 121 |
| დიაგრამა N6. საქართველოში თამბაქოზე გადახდილი აქციზის გადასახადი 2013-2018 წწ (ლარი) | 124 |
| დიაგრამა N7. საქართველოში თამბაქოს იმპორტი 2013-2018 წწ (დოლარი),.... | 125 |
| დიაგრამა N8. სამართლებრივი ფორმების მიხედვით გამოკითხულ მეწარმეთა რაოდენობა (%) | 129 |
| დიაგრამა N9. საქმიანობის სახეების მიხედვით გამოკითხულ მეწარმეთა რაოდენობა (%) | 130 |
| დიაგრამა N10. ფაქტობრივი საქმიანობის ადგილის მიხედვით გამოკითხულ მეწარმეთა რაოდენობა (%) | 131 |
| დიაგრამა N11. დადებითი გავლენის მქონე საგადასახადო რეფორმები მეწარმეების თვალსაზრისით | 132 |
| დიაგრამა N12. უარყოფითი გავლენის მქონე საგადასახადო რეფორმები მეწარმეების თვალსაზრისით | 133 |

| | |
|--|-----|
| დიაგრამა N13. მეწარმეების აზრით, რომელი გადასახადის განაკვეთი უნდა შემცირდეს საქართველოში, რომელსაც დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია მათ საქმიანობაზე | 134 |
| დიაგრამა N14. ეკონომიკის სექტორები, რომელთაც მეწარმეთა აზრით განვითარება/წახალისება ესაჭიროებათ | 136 |
| დიაგრამა N15. მცირე მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები | 137 |
| დიაგრამა N16. საგადასახადო სისტემის/კანონმდებლობის ნაკლოვანებები მეწარმეების შეფასებით | 140 |
| დიაგრამა N17. აქვს თუ არა დადებითი გავლენა მიკრო/მცირე და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელების სტატუსის შემოღებას | 141 |
| დიაგრამა N18. როგორი გავლენა აქვს მოგების გადასახადის ესტონური მოდელის დანერგვას მეწარმეებისთვის | 142 |
| დიაგრამა N19. როგორი გავლენა აქვს ავანსად მიღებული თანხების დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ) დაბეგვრას მეწარმეებისთვის | 143 |
| დიაგრამა N20. ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების სერვისის გავლენა მეწარმეების საქმიანობაზე | 144 |
| დიაგრამა N21. აქციზის განაკვეთების ზრდის გავლენა სამეწარმეო საქმიანობაზე | 145 |
| დიაგრამა N22. მოგების გადასახადიდან შემოსული თანხები ესტონეთში (ათ.ევრო) 2000-2018 წლებში | 156 |
| დიაგრამა N23. საქართველოში მოგებისა და აქციზის გადასახადები 2011-2018 წწ. | 158 |

ცხრილების ჩამონათვალი

| | |
|--|----|
| ცხრილი N1. ვიშეგრადის ქვეყნების ბიუჯეტის დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში (%) | 73 |
|--|----|

| | |
|---|-----|
| ცხრილი N2. ჩრდილოვან ეკონომიკაში ჩართულობა ჩეხეთში (%) | 75 |
| ცხრილი N3. ჩრდილოვან ეკონომიკაში ჩართულობა სლოვაკეთში (%) | 97 |
| ცხრილი N4. თამბაქოზე აქციზის განაკვეთების ცვლილება და აქციზურ საქონელზე დამატებული ახალი ტიპისა და განაკვეთების შემოღება ამოქმედების თარიღის მიხედვით | 123 |
| ცხრილი N5. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეების, დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთისა და ერთობლივი შემოსავლის მაქსიმალური ზღვრის შედარება 2011-2018 წლებში | 151 |

აბრევიატურების ჩამონათვალი

- CF - გაერთიანების ფონდი;
- CIP - კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციების პროგრამა;
- DCFTA - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება;
- EBRD - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი;
- ERDF - ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდი;
- ESF - ევროპის სოციალური ფონდი;
- ESIF - სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდი;
- IMF - საერთაშორისო სავალუტო ფონდი;
- OECD - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია;
- PHARE - პროგრამა, რომელიც დაფინანსებული იყო ევროკავშირის მიერ და შემუშავებული იყო ევროკავშირში გასაწევრიანებელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის;
- RIA - რეგულირების გავლენის ანალიზი;
- WBG - მსოფლიო ბანკის ჯგუფი.

შესავალი

თემის აქტუალურობა. მეწარმეობის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური წარმატებისთვის. საგადასახადო პოლიტიკის შედეგად შემუშავებულ და განხორციელებულ გადაწყვეტილებებს კი არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე. მეწარმეობის განვითარების სტრატეგია დიდადაა დამოკიდებული ქვეყანაში არსებულ საგადასახადო სისტემაზე და მისი ფუნქციონირების მექანიზმზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია თითოეული საგადასახადო საკანონმდებლო ცვლილებების გაანალიზება არა მარტო თეორიულ დონეზე, არამედ მისი შედეგების იდენტიფიცირება მეწარმეების პოზიციიდან და მათი ურთიერთშედარება. მოცემული კვლევები საშუალებას მოგვცემს, რომ ნათლად დავინახოთ თეორიული ანალიზის შედეგები, რამდენად მართლდება ის მეწარმეებისთვის პრაქტიკაში. იქიდან გამომდინარე, რომ აუცილებელია მეწარმეების ხელშეწყობა მათი ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად, პირველ რიგში აუცილებელია გამოვლინდეს სამეწარმეო საქმიანობის ხელისშემშლელი ფაქტორები და ხარვეზები, რათა შემუშავებული იქნეს რეალური რეკომენდაციები, რომელიც საშუალებას მისცემს მეწარმეებს განავითარონ თავიანთი საქმიანობა.

საგადასახადო სისტემის, საგადასახადო პოლიტიკის და ზოგადად გადასახადების თემას მიეძღვნა ქართველი მეცნიერების მრავალრიცხოვანი შრომა, როგორებიცაა: ვ.პაპავა, რ.გველესიანი, რ.აბესაძე, ი.ანანიაშვილი, ე.მექვაბიშვილი, მ.ჩიკვილაძე, გ.ერქომიაშვილი, მ.თოქმაზიშვილი, ვ.ბასარია, რ.ბასარია, ლ.ბახტაძე, რ.კაკულია, კ.ადამია, გ.მალაშხია, თ.კოპალეიშვილი და სხვა, რომლებიც მოცემული სფეროს სხვადასხვა მიმართულებას იკვლევენ. აღნიშნული ნაშრომი კი ერთგვარი გაგრძელებაა მოცემული სფეროს კვლევის მიმართულებით.

იმისათვის, რომ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური პირობები გაუმჯობესდეს, მნიშვნელოვანია მეწარმეობის განვითარება, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის, რაც იქნება ახალი სამუშაო ადგილების შექმნის გარანტი. ქვეყნის

ეფექტური და გამართული ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება დამოკიდებულია, სახელმწიფოს მიერ გატარებულ რაციონალურ საგადასახადო პოლიტიკასა და საგადასახადო სისტემის ეფექტურ მუშაობაზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია რომ საკანონმდებლო ცვლილებების დროს გათვალისწინებული იყოს საგადასახადო ტვირთის განაწილების სამართლიანობა და სისწორე.

მოცემული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, მაშინ როდესაც ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკის სწორი მიმართულებით განსახორციელებლად მოქმედების არეალი შეზღუდულია. ამ შემთხვევაში იგულისხმება კონსტიტუციის ჩანაწერი (94 მუხლი), რომელიც დიდწილად ზღუდავს გატარებული რეფორმების მოქმედების არეალს. შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივები ორმაგად დიდ მნიშვნელობას იძენს, რადგან განხორციელებულ რეფორმებს არ ჰქონდეს უარყოფითი გავლენა მეწარმეებზე.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ახალი საგადასახადო კოდექსი მიღებულია 2010 წელს და იგი 2011 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა, საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგების საკვლევ პერიოდად აღებულია 2011-2019 წლების მონაკვეთი.

კვლევის მიზნები და ამოცანები. კვლევის მიზანია საგადასახადო პოლიტიკისა და სამეწარმეო პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულების შესწავლის საფუძველზე, მეწარმეობის განვითარებაზე სხვადასხვა საგადასახადო გადაწყვეტილებების გავლენის შეფასება და საქართველოში მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირების შესაძლებლობების გამოვლენა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დასახულია შემდეგი ამოცანები:

- საგადასახადო პოლიტიკისა და მეწარმეობის ურთიერთხემოქმედების შედეგების შეფასება;
- მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლა;
- საქართველოში განხორციელებული საგადასახადო რეფორმების შედეგების გაანალიზება;

- ქართველი მეწარმეების პრობლემების გამოვლენა და განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე მათი შეფასებების შესწავლა;
- მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირების გზების განსაზღვრა.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანია საქართველოს საგადასახადო პოლიტიკა და მისი ფუნქციონირების მექანიზმი, ხოლო კვლევის ობიექტია საქართველოს საგადასახადო პოლიტიკისა და მისი სრულყოფის მიმართულებით განხორციელებული რეფორმების გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები: სადისერტაციო ნაშრომი ეფუძნება ეკონომიკური თეორიის კლასიკოსების, ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომებს, ექსპერტების მოსაზრებებს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მასში გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის, რაოდენობრივისა და თვისებრივის, ისტორიულისა და ლოგიკურის, ინდუქციის, დედუქციის და სტატისტიკის მეთოდები. ნაშრომში აგრეთვე გამოყენებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსი, კანონქვემდებარე აქტები, მეთოდური მითითებები. იგი ასევე ეფუძნება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკურ მასალებსა და პუბლიკაციებს, როგორცაა მაგ: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), მსოფლიო ბანკის ჯგუფი (WBG), ევროსტატი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახური და ა.შ.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მეცნიერული სიახლეები:

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები მეცნიერული სიახლეების სახით მდგომარეობს შემდეგში:

- შესწავლილი და გაანალიზებულია მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების (აშშ, ევროკავშირის წევრი ქვეყნები) საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, საგადასახადო სისტემები, განხორციელებული რეფორმები და მათი გავლენა მეწარმეობაზე, საქართველოსთვის ამ სფეროში გრძელვადიანი

პერსპექტივის თვალსაზრისით;

- შესწავლილი და გამოვლენილია ვიშეგრადის ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკის თავისებურებები, აქ განხორციელებული რეფორმების დადებითი და უარყოფითი მხარეები და მათი გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე, ევროკავშირში ინტეგრაციამდე და მას შემდეგ, საქართველოსთვის მოკლევადიანი პერსპექტივის თვალსაზრისით;
- შეფასებულია საქართველოში განხორციელებული საგადასახადო რეფორმები და მისი შედეგების გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე;
- საქართველოში გამოკითხულ მეწარმეთა კვლევის შედეგების საფუძველზე დადგენილია მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელი გარემოებები და მიზეზები, კერძოდ: ა) საკრედიტო რესურსების რთული ხელმისაწვდომობა; ბ) ფალსიფიცირებული ან/და უხარისხო პროდუქციისაგან ბაზრის დაუცველობა; გ) ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის ინტერესების დაუცველობა; დ) მაღალი საგადასახადო განაკვეთები, მათ შორის საშემოსავლო გადასახადი;
- შეფასებულია საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის გავლენა საგადასახადო პოლიტიკაზე, რომელიც ხშირ შემთხვევაში არათანაბარ პირობებში აყენებს მეწარმეებს და საგადასახადო პოლიტიკის გამტარებლებისათვის ხელის შემშლელ ფაქტორად გვევლინება, რათა მათ შეიმუშაონ და განახორციელონ ოპტიმალური ღონისძიებები და რეფორმები საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებით;
- საქართველოში განხორციელებული საგადასახადო რეფორმებისა და გამოკითხულ მეწარმეთა კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავებულია დასკვნები და რეკომენდაციები, მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისათვის. კერძოდ:
 - ✚ ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკის განსახორციელებლად, სასურველია კონსტიტუციის 94-მე მუხლის დაკორექტირება იმ მხრივ, რომ გადასახადების შემოღება ან/და უკვე არსებული განაკვეთების გაზრდა არ მოითხოვდეს რეფერენდუმს;

✚ იმ შემთხვევაში, თუ მცირდება გარკვეული გადასახადის განაკვეთის ზღვრული ოდენობა ან/და შემოდის არსებული გადასახადის გარკვეული საშელავათო მოდელი (მაგალითად, მოგების გადასახადის ესტონური მოდელი), სასურველია მოსალოდნელი ბიუჯეტის დეფიციტი დაბალანსდეს, არსებული გადასახადის დასაბეგრი ბაზის გაფართოებით და არა აქციზის გადასახადის განაკვეთის ზრდით გარკვეულ პროდუქციაზე. დასაბეგრი ბაზის გაფართოება შეიძლება განიხილოს ოპტიმალური გადაწყვეტილებად, რადგან არსებული საკონსტიტუციო ჩანაწერის საფუძველზე, შეუძლებელია დაბალანსება სხვა გადასახადის განაკვეთის უმნიშვნელო ზრდით (რაც ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო ოპტიმალურ გადაწყვეტილებას წარმოადგენს, ვიდრე დასაბეგრი ბაზის გაფართოება);

✚ თუ იცვლება დასაბეგრი ოპერაციის დრო, სასურველია ეს გაანალიზებული იყოს საქმიანობის ჭრილში. რადგან ხშირ შემთხვევაში, მიღებული რეფორმა სწორია რამდენიმე საქმიანობის ჭრილში, მაგრამ მისი გავრცელება ყველა მეწარმეზე (ავანსების დღგ-ით დაბეგვრა) თანაბრად, წარმოადგენს დაბრკოლებას მეწარმეებისთვის;

✚ სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე, მეწარმეების უმეტესობას (58%) წნებად აწვება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი, რაც შეიძლება ასევე გამოწვეული იყოს საპენსიო ფონდის დაარსების გამო. იმ შემთხვევაში, თუ მოცემული გადასახადის განაკვეთი შემცირდება, აუცილებელია, რომ ის დაბალანსდეს იგივე გადასახადში დასაბეგრი ბაზის გაზრდით;

✚ სასურველია საგადასახადო კოდექსში დაზუსტდეს ორაზროვანი ჩანაწერები, რომელიც არ იძლევა ზუსტ განმარტებას. მოცემული მეწარმეებს საშუალებას მისცემს, რომ იმოქმედონ კანონმდებლობის შესაბამისად და არ მოხდეს მათ მიერ მისი უნებური დარღვევა;

✚ მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ღონისძიებები ხორციელდება მეწარმეთა ხელშესაწყობად, სასურველია მეტი ყურადღება გამახვილდეს წარმოების და სოფლის მეურნეობის სფეროზე;

✚ საკრედიტო რესურსების მოპოვების სირთულე მეწარმეებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს მათ საქმიანობაში, ამისათვის სასურველია

ბიზნესის დაკრედიტების სერვისის გარკვეული რეფორმირება, რათა უფრო მეტად გამარტივდეს მათთვის დაფინანსების მოპოვების საკითხები;

✚ ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან ბაზრის დაუცველობა, ასევე მნიშვნელოვანი ბარიერია მეწარმეთათვის, ამისათვის კი მიზანშეწონილია გამკაცრდეს ბაზარზე უხარისხო პროდუქციის კონტროლი; ასევე მეტი ყურადღება დაეთმოს კონკურენციის შესახებ კანონს, რადგან მეწარმეები იყვნენ თანაბარ პირობებში;

✚ სტარტაპებისთვის მეტად რთულია ბაზარზე დამკვიდრება, შესაბამისად სასურველია მათი გადასახადებისაგან გათავისუფლება მინიმუმ 2-3 წლით ან/და საწყის ეტაპზე მათი საქმიანობის შესაძლოდ დაბალი საგადასახადო განაკვეთებით დაბეგვრა;

✚ იქიდან გამომდინარე, რომ სოფლის მეურნეობის სექტორი საქართველოში არ არის საკმარისად განვითარებული და მეტწილად ხორციელდება მისი იმპორტი, სასურველია დაწესდეს გარკვეული რეგულაციები იმპორტულ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, რათა საქართველოში მოყვანილმა პროდუქციამ შეძლოს კონკურენციის გაწევა (რადგან მოცემულის მოყვანა/წარმოება გაცილებით ძვირი ჯდება საქართველოში), რაც თავის მხრივ წაახალისებს საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომში მოცემული კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას ფინანსთა სამინისტროს მიერ, საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებით საკანონმდებლო ინიციატივების ინიცირებისას. გარდა ამისა ნაშრომში მოცემული დასკვნები და რეკომენდაციები მნიშვნელოვანი იქნება სხვადასხვა საკანონმდებლო ორგანოსათვის, სამთავრობო სტრუქტურებისა და აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის. აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის ლექცია-სემინარებზე ისეთ სასწავლო კურსებში, როგორცაა: 1. ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციები; 2. ეკონომიკური პოლიტიკა კომპლექსურ სამყაროში; 3. საგადასახადო პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია: სადოქტორო დისერტაციის კვლევის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შვიდ სტატიამი, საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებსა და სამეცნიერო შრომების კრებულებში, როგორც საქართველოში, ასევე

რუმინეთში და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. მათ შორის ორი სტატია წარდგენილია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე.

კერძოდ:

1. ბუკია ი., განხორციელებული საგადასახადო რეფორმების მოლოდინები და შედეგები საქართველოში (ინგლისურ ენაზე) (Expectations and Results of Tax Reforms Implemented in Georgia). საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი „Saudi Journal of Economics and Finance (SJEF)“, N9, 2019 წელი, გვ. 395-398, დუბაი, არაბთა გაერთიანებული საამიროები.

2. ბუკია ი., სამეწარმეო საქმიანობის შემაფერხებელი ბარიერების დაძლევისათვის საქართველოში. საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N3, 2019 წელი, გვ. 93-100, თბილისი.

3. ბუკია ი., საქართველოში განხორციელებული საგადასახადო რეფორმების გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე (ინგლისურ ენაზე) (The influence of tax reforms implemented in Georgia for entrepreneurship development). საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალი „Ecoforum“, N2, 2019 წელი, გვ. 584-587, რუმინეთი.

4. ბუკია ი., მცირე ბიზნესის ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკა საქართველოში. საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N1, 2019 წელი, გვ. 122-126, თბილისი

5. ბუკია ი., მოგების გადასახადის ესტონური მოდელი - ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა. საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, N3, 2018 წელი, გვ. 84-90, თბილისი.

6. ბუკია ი., ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) სტრატეგიები, პროექტები და შედეგები საქართველოში. მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული. 2018 წელი, გვ. 73-76, თბილისი.

7. ბუკია ი., ჩიკვილაძე მ., თამბაქოზე აქციზის განაკვეთის ზრდის გავლენა იმპორტსა და საბიუჯეტო შემოსულობებზე საქართველოში. მეორე საერთაშორისო სამეცნიერო

კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული. 2017 წელი, გვ. 557-561, თბილისი.

მოცემული დისერტაცია განხილულ და აპრობირებულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე, სადაც მიეცა თანხმობა საჯარო დაცვაზე.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: ნაშრომი მოიცავს შესავალს, სამ თავს, რვა ქვეთავს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს. მას თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები. ნაშრომი წარმოდგენილია კომპიუტერზე ნაბეჭდი 226 გვერდის მოცულობით. მასში მოცემულია 5 ცხრილი და 23 დიაგრამა. ნაშრომს თან ახლავს ლიტერატურის სია 139 დასახელებით და გამოყენებული ინტერნეტ რესურსი 54 დასახელებით.

ნაშრომის პირველ თავში გადმოცემულია საგადასახადო პოლიტიკისა და სამეწარმეო პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულების ევოლუცია გლობალიზაციის პირობებში. პირველი ქვეთავი ეთმობა ეკონომისტების მიერ შემუშავებულ თეორიებსა და მიდგომებს გადასახადების, დაბეგვრისა და საგადასახადო სისტემის შესახებ. ასევე საგადასახადო პოლიტიკის ევოლუციას.

პირველი თავის მეორე ქვეთავში გადმოცემულია ეკონომისტების მიერ შემუშავებული თეორიები მეწარმეობის კუთხით, საგადასახადო პოლიტიკის როლი მეწარმეობის განვითარებაში, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია მას მეწარმეობაზე. დასაბუთებულია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კონკრეტული საკანონმდებლო (საგადასახადო მიმართულებით) ცვლილების განხორციელების დროს სწორი საგადასახადო პოლიტიკის გატარება.

მეორე თავში განხილულია მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის საზღვარგარეთული გამოცდილება. კერძოდ, მეორე თავის პირველი ქვეთავი ეთმობა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყანას, ამერიკის შეერთებულ შტატებს. მის საგადასახადო პოლიტიკას, საგადასახადო სისტემის

თავისებურებებსა და ფუნქციონირების პრინციპებს. შეფასებულია გატარებული რეფორმები და მათი გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე.

მეორე თავის მეორე ქვეთავში გაანალიზებულია ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკის თავისებურებები. განხილულია მოცემული ქვეყნების საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები. ასევე შეფასებულია ის სტრატეგიები/დონისძიებები, რომლებიც განხორციელდა (ან/და ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესშია) მეწარმეობის განვითარებისთვის.

მეორე თავის მესამე ქვეთავში განხილულია საგადასახადო პოლიტიკისა და მეწარმეობის ურთიერთხემოქმედების შედეგები ვიშეგრადის ქვეყნებში ევროკავშირში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგ. გაანალიზებულია მოცემული ქვეყნების საგადასახადო სისტემის ტრანსფორმაცია; ვიშეგრადის ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკისა და მეწარმეობის ურთიერთხემოქმედების შედეგები; შეფასებულია გადასახადის (მოგება, საშემოსავლო, დღგ) განაკვეთების ცვლილების დინამიკა; განხილულია მეწარმეობის და მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა და მისი გავლენა მეწარმეობაზე; შედარებულია მცირე და საშუალო ბიზნესის წილი მთლიანად მეწარმეობაში.

მესამე თავში გადმოცემულია მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება და მისი განვითარება საქართველოში. შეფასებულია საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემა და გადასახადები. დეტალურად არის განხილული საკანონმდებლო ცვლილებები. პირველ ქვეთავში გაანალიზებულია საგადასახადო პოლიტიკის თანამედროვე მდგომარეობა. რა სტრატეგიები არის სახელმწიფოს მიერ მეწარმეობის განსავითარებლად შემუშავებული. რა სტრუქტურები შეიქმნა მეწარმეობისთვის, რომ მათი ფუნქციონირება უფრო წარმატებული გახდეს ბაზარზე.

მესამე თავის მეორე ქვეთავში განხილულია მეწარმეობის განვითარების მიღწეული შედეგები და წინააღმდეგობები. გაანალიზებულია ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებმაც უარყოფითი გავლენა იქონია მეწარმეობაზე. დეტალურად არის განხილული კვლევის შედეგები, რომელიც გადასახადის გადამხდელებში ჩატარდა. მოცემული

კვლევის საფუძველზე დაიდენტიფიცირდა მათი პრობლემები და დიდი წნეხის მქონე გადასახადის სახე. შეფასდა განხორციელებული საგადასახადო საკანონმდებლო ცვლილებების უარყოფითი და დადებითი ეფექტები. გამოვლინდა ეკონომიკის სექტორები, რომელთაც მეტი ხელშეწყობა სჭირდებათ სახელმწიფოს მხრიდან. მეწარმეთა გამოკითხვის საფუძველზე გამოკვლეულია საგადასახადო სისტემის/კანონმდებლობის ნაკლოვანებები და სასურველი საკანონმდებლო ინიციატივები. შემუშავებულია მეწარმეობის განვითარების მასტიმულირებელი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირების რეკომენდაციები.

მესამე თავის მესამე ქვეთავში გაანალიზებულია მეწარმეობის განვითარების მასტიმულირებელი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება საქართველოში. შესწავლილია ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებმაც დადებითი გავლენა იქონიეს მეწარმეებზე და დიდი სტიმული მისცა მათ, საქმიანობის წამატებით ფუქციონირებაში. შედარებულია არსებული და ცვლილების შემდგომი საკანონმდებლო ჩანაწერები, რათა მეტად თვალსაჩინო იყოს მათი დადებითი სხვაობა, რომელმაც ბიძგი მისცა მეწარმეობის განვითარებას.

დასკვნით ნაწილში შედარებულია ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ვიშეგრადის ქვეყნების და საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებები. განხილულია ის სტრატეგიები თუ პროგრამები, რომლებიც ხორციელდება მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით, ასევე შეფასებულია მათი საგადასახადო სისტემები. გაანალიზებულია კვლევის შედეგები, რომელიც ჩატარდა საქართველოში მოქმედი გადასახადის გადამხდელების გამოკითხვის საფუძველზე, რაზე დაყრდნობითაც შემუშავებულია რეკომენდაციები.

**თავი I. საგადასახადო პოლიტიკისა და სამეწარმეო პოლიტიკის
ურთიერთდამოკიდებულების ევოლუცია გლობალიზაციის პირობებში**

1.1 საგადასახადო პოლიტიკის ევოლუცია

საგადასახადო პოლიტიკას დიდი ხნის ისტორია აქვს როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც, რადგან სწორედ გადასახადების მეშვეობით ხდება სახელმწიფოს უზრუნველყოფა ფინანსური რესურსებით. კაცობრიობის ცივილიზაციის საწყის ეტაპზე ფილოსოფოსები გადასახადებს განმარტავდნენ, როგორც საზოგადოებისათვის აუცილებელ და სასარგებლო მოვლენას. თავდაპირველად გადასახადები მოსახლეობიდან იკრიბებოდა მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში, ხოლო შემდგომ - სახელმწიფოების ჯარისა და მუდმივად მზარდი ჩინოვნიკური აპარატის შენახვის აუცილებლობამ მოითხოვა ფულადი საშუალებების უწყვეტი ნაკადი, რის შედეგადაც გადასახადები დროებითიდან სახელმწიფო შემოსავლების მიღების მუდმივ წყაროდ გადაიქცა. რაც შეეხება საგადასახადო სისტემას, იგი შედარებით მოგვიანებით ჩამოყალიბდა, მაშინ როდესაც წარმოიშვა სახელმწიფო და ფორმირდებოდა სახელმწიფოს განვითარების პარალელურად.

მეცნიერთა მიერ წლების განმავლობაში უამრავი თეორია თუ მიდგომა ჩამოყალიბდა გადასახადების, მისი განაკვეთებისა თუ საგადასახადო პოლიტიკის გავლენის შესახებ. სადაც აღნიშნული საკითხის ირგვლივ კვლევები წარმოდგენილია სხვადასხვა მიმართულებით. საინტერესოა მათ მიერ შემოთავაზებული მიდგომები თუ თეორიები, რომლებიც ქრონოლოგიურად მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

აუცილებლად აღნიშვნის ღირსია ტუნისელი მკვლევარი **იბნ ხალდამი** (Ibn Khaldun 1332-1406), რომლის სამეცნიერო მოღვაწეობის სფეროები მოიცავდა ფილოსოფიას, ეკონომიკას, დემოგრაფიას, სოციოლოგიას, პოლიტოლოგიას, ისტორიას და ა.შ. იბნ ხალდამი შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ პირველ მკვლევარად, რომელსაც ეკონომიკის დარგში მოცემული აქვს ის ძირითადი პოსტულატები, რომელმაც საბოლოოდ დიდი

გავლენა იქონია და შესაბამისად ასახვა ჰპოვა უკვე თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში. მის ცნობილ ნაშრომში „Muqaddimah“ (1377წ), მოცემულია მნიშვნელოვანი იდეები ეკონომიკის დარგში სხვადასხვა მიმართულებით, როგორცაა, მაგ: ეკონომიკური ზრდა, გადასახადები და ა.შ (გეგეშიძე ე. 2010. 50-52). ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს მისი იდეები გადასახადების კუთხით, სადაც მან შემოგვთავაზა მისი დაკვირვება გადასახადებსა და საგადასახადო შემოსავლებზე, რაც უკვე მოგვიანებით საფუძვლად დაედო ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის არტურ ლაფერის მრუდს. იბნ ხალდამის აზრით, „ცნობილია, რომ დინასტიის დასაწყისში, დაბეგვრა დიდ შემოსავალს იძლევა მცირე დარიცხვებისგან. დინასტიის ბოლოს, დაბეგვრა მცირე შემოსავალს იღებს დიდი დარიცხვებისგან“.

მერკანტილისტები (ლოკი, გობსი) ხაზს უსვამდნენ გადასახადების მნიშვნელობას სახელმწიფოს ფუნქციონირებაში და თვლიდნენ, რომ ის უნდა ყოფილიყო შემოსავლის მუდმივი წყარო. ასევე ცდილობდნენ გაემიჯნათ პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები და მათი უპირატესობები ერთმანეთისგან, როგორც მეწარმეობის კუთხით, ასევე სახელმწიფოსთვის რომელი დაბეგვრის ობიექტი იქნებოდა მისაღები - მიწა თუ ქონება (ფუტკარაძე ს. 2012. 27).

უილიამ პეტის (1623-1687), რომელიც იყო კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელი და ერთ-ერთი ფუძემდებელი, მიერ შექმნილია მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომი, თუმცა გადასახადების კუთხით გამოსაყოფია „ტრაქტატი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ“ (1662), სადაც მის მიერ ხასგასმული იყო საგადასახადო სისტემის სამართლიანობის მნიშვნელობა. ასევე იგი აღნიშნავდა, რომ ვაჭრობა არ იყო სიმდიდრის წყარო, ამიტომ ის სახელმწიფოს ურჩევდა რომ ვაჭრობიდან გადასულიყვნენ წარმოების სფეროზე.

ფრანსუა კენე (1694-1774), რომელიც ფიზიოკრატიზმის წარმომადგენელი იყო, თვლიდა, რომ მიწათმოქმედება იყო ის ერთადერთი წყარო, რომელიც ქმნიდა დამატებულ ღირებულებას და სწორედ ამიტომ დაბეგვრის ობიექტი უნდა ყოფილიყო მხოლოდ ის შემოსავლები, რომლებიც მიიღებოდა მიწიდან. იგი მერკანტილისტური

იდების მოწინააღმდეგე იყო და თვლიდა რომ სიმდიდრის წყარო არა საქონლის მიმოქცევა, არამედ წარმოება იყო. თუმცა აქვე საგულისხმოა, რომ ფიზიოკრატები წარმოებას განიხილავდნენ არა ზოგადად, არამედ მხოლოდ სოფლის მეურნეობის კუთხით (ასათიანი რ. 2004. 16).

უმნიშვნელოვანესია კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლის **ა. სმითის** (1723-1790) თეორიები და მიდგომები ეკონომიკაში. იგი თავისი თეორიებით უპირირისპირდებოდა როგორც მერკანტილისტებს, ასევე ფიზიოკრატებს. ჩვენი კვლევისთვის კი საგულისხმოა მისი შეხედულებები საგადასახადო პოლიტიკისა და დაბეგვრის კუთხით. ის თვლიდა, რომ სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა მოწესრიგებული საგადასახადო სისტემა, სადაც დეტალურად იქნებოდა განსაზღვრული გადასახადის ოდენობა, ვადები და წესები. აქვე აუცილებლად მიაჩნდა, რომ გადასახადების ამოღების ადმინისტრირება უნდა ყოფილიყო რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით სახელმწიფოს მხრიდან. მისი აზრით, შედარებით დაბალი საგადასახადო განაკვეთები უზრუნველყოფდა მეტ შემოსავლს, რადგან მეწარმეებს გაუადვილდებოდათ მისი გადახდა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მოცემულია მის უმნიშვნელოვანეს ნაშრომში: „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1776), რომელზეც ის ცხრა წლის მანძილზე მუშაობდა. მოცემული ნაშრომი ფასეულია ასევე რიგი ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების ურთიერთკავშირის მნიშვნელობით. მისი აზრით, სახელმწიფო რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ჩაერიოს ეკონომიკაში, რაც ცნობილია მისი „უხილავი ხელის“ სტატუსით.

დავიდ რიკარდო (1772-1823) ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა ეკონომიკის ისტორიაში. იგი ა. სმითის მსგავსად კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელია და მის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის. მისი კვლევის მიმართულებები მოიცავდა ეკონომიკის თითქმის ყველა განხრას, სადაც მან წარმოადგინა უაღრესად მნიშვნელოვანი თეორიები. ხოლო, გადასახადების კუთხით გამოსაყოფია მისი უმნიშვნელოვანესი ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“ (1817). რიკარდოს აზრით, გადასახადის გაზრდა საბოლოოდ იწვევს მომსახურებისა და პროდუქციის ფასის ზრდას.

ჯონ მეინარდ კეინზი (1883-1946) უდიდესი ბრიტანელი ეკონომისტი ავტორია სხვადასხვა მნიშვნელოვანი თეორიებისა თუ კანონისა, როგორცაა, მაგ: მაკროეკონომიკური რეგულირების თეორია, ზოგადი თეორია, ეფექტიანი მოთხოვნის თეორია, ფულის რაოდენობრივი თეორია, გადასახადების ფსიქოლოგიური კანონი და სხვა. მისი ცნობილი ნაშრომი „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ დაემთხვა სწორედ დიდი ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდს. ის თვლიდა, რომ სახელმწიფო აუცილებლად უნდა ჩარეულიყო ქვეყნის ეკონომიკაში რეგულირების მიზნით (მექვაბიშვილი ე. 2016. 8-10). მოცემულ წიგნში იყო ერთგვარი რჩევები იმისათვის, რომ ქვეყანას დაეღწია თავი ეკონომიკური კრიზისითვის. დასაქმების, წარმოებისა და ზოგადად ეკონომიკის ზრდისთვის, თვლიდა რომ უნდა გაზრდილიყო გადახდისუნარიანი მოთხოვნა, რაც თავის მხრივ, მიიღწეოდა გადასახადების შემცირებით ან/და სახელმწიფო ხარჯების გაზრდით, ან ორივე მოქმედების ერთდროული გატარებით (ასათიანი რ. 2004. 34). გადასახადების კუთხით აუცილებელია გამოვყოთ კეინზის ეფექტიანი მოთხოვნის თეორიის მიკრო დონეზე განმარტება, რომელიც გულისხმობს საწარმოებისა თუ ბიზნეს სუბიექტების მხრიდან გადახდისუნარიან მოთხოვნაზე, მოცემული ცნების მაკრო დონეზე განმარტებაში კი მოიაზრება სამომხმარებლო ხარჯები და ინვესტიციები (მექვაბიშვილი ე. 2016. 11). მოცემული თეორიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადასახადები არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, როგორც სოციალური ურთიერთობების, ასევე მაკროეკონომიკური წონასწორობის რეგულირების დროს. მან შეიმუშავა ასევე ე.წ. „ჩასმული სტაბილიზატორის“ თეორია (ჩასმული სტაბილიზატორი გულისხმობდა პროგრესულ საგადასახადო სისტემას, საპროცენტო განაკვეთების, ფასების დონისა და წარმოების რეალური მოცულობის ცვლილებების ავტომატური მექანიზმებს). მისი აზრით, მაღალი განაკვეთების შემთხვევაში საგადასახადო ბაზა არასტაბილურია. ის მომხრე იყო პროგრესული საგადასახადო განაკვეთების არსებობის, რადგან მისი აზრით, სწორედ ეს უზრუნველყოფდა ბიუჯეტში მეტი შემოსავლის მობილიზებას და მოცემული საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით გაუმჯობესდებოდა ეკონომიკური განვითარება. ის რომ მეტი შემოსავლის მქონე პირი დაბეგრულიყო უფრო დიდი საგადასახადო

განაკვეთით ვიდრე დაბალი შემოსავლის მქონე სუბიექტი, ნიშნავდა სამართლიან საგადასახდო პოლიტიკას. ასევე აღსანიშნავია, რომ მისი „ფსიქოლოგიური კანონი“, რომელზე დაფუძნებითაც სუბიექტებს შემოსავლის ზრდასთან ერთად აქვს მომხარების ზრდის სურვილიც, თუმცა არა მასზე მეტი მოცულობით (მექვაბიშვილი ე. 2016. 13). ზოგადად, კეინზიანიზმი ყურადღებას ამახვილებს გადასახადების ისეთ როლზე, სადაც ის ეკონომიკაზე ზემოქმედებს ერთობლივი მოთხოვნის მეშვეობით.

არტურ სესილ პიგუს (1877-1959) საგადასახდო სისტემა და მისი ადმინისტრირება, რომელიც შემუშავებული იქნებოდა სახელმწიფოს მიერ უნდა ყოფილიყო საზოგადოების კეთილდღეობისკენ მიმართული და თვლიდა, რომ გადასახადებს არ უნდა დაეზარალებინა მოსახლეობა. აღნიშნული მოცემულია მის ნაშრომში „კეთილდღეობის ეკონომიკა“. ის ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების ოპტიმალური თანაფარდობის დადგენას. პიგუს გადასახადის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ვინც აბინძურებენ გარემოს, გაითავისონ მისი დანახარჯები (აღნიშნული გადასახადი გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში). „პიგუს გადასახადების ეფექტიანობა დამოკიდებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფის შემცირების ზღვრული ხარჯების თანაბრად დაკისრებაზე დამბინძურებელზე. პიგუს გადასახადის არსებობის შემთხვევაში, წარმოების უშუალო დანახარჯი უტოლდება მის სოციალურ დანახარჯს“ (კუერი ა.ბ., კიური ბ. და სხვები. 2016. 770-772).

ცნობილმა ეკონომისტმა **პოლ სამუელსონმა (1915-2009)** წამოაყენა ორი სხვადასხვა - ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და საბიუჯეტო-საგადასახდო პოლიტიკის კონცეფციების ინტეგრირების აუცილებლობის შესახებ.

გამოსაყოფია „მიწოდების თეორია“, რომელიც ერთგვარი საწინააღმდეგო მტკიცებულება იყო კეინზის „ეფექტიანი მოთხოვნის“ თეორიის. სადაც ერთმანეთს მოთხოვნა და მიწოდება დაუპირისპირდა. ზოგადად მიწოდების თეორია გულისხმობს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას გადასახადებისა და რეგულაციების შემცირებით, ანუ წარმოების ზრდა უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას. აქვე მოცემულია კავშირი საგადასახდო ტვირთსა და სამეწარმეო აქტიურობას შორის

ურთიერთდამოკიდებულებაზე. მოცემული თეორიის ძირითადი მიმართულებებია: საგადასახადო, მარეგულირებელი და ფისკალური პოლიტიკა. მილტონ ფრიდმენის (1912-2006) აზრით საჭირო იყო გადასახადების შემცირება, რათა ეკონომიკა უფრო განვითარებულიყო. მოცემული თეორიის მიხედვით მომხმარებლებს საშუალება ექნებოდათ ესარგებლათ დაბალი ფასის მქონე საქონლისა და მომსახურების დიდი მიწოდებით, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა დასაქმებას. მის კონცეფციაში, რომელიც მონეტარიზმის სახელითაა ცნობილი, განხილულია სახელმწიფოს როლი ეკონომიკის მართვის რეგულირებაში. სადაც დასაბუთებულია სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის ეფექტიანობა. მიწოდების თეორიის წარმომადგენლების აზრით ეკონომიკის სტიმულირებისთვის საჭირო სხვა უამრავ ქმედებებთან ერთად განხილული იყო ასევე გადასახადების შემცირება. აქვე აღსანიშნავია, რომ მიწოდების თეორიის წარმომადგენლების მოსაზრებები ეყრდნობოდა ლაფერის ეფექტს. ფრიდმენის შეხედულებით, მიუღებელი იყო მაღალი საგადასახადო განაკვეთების დამკვიდრება და ის მისაღებად თვლიდა პროპორციული საგადასახადო განაკვეთების მქონე სისტემის არსებობას. რაც იქნებოდა რეალურად უფრო მეტი შემოსავლების მოზიდვის მიზეზი სახელმწიფო ბიუჯეტში. აქვე აღსანიშნავია, რომ მას ჰქონდა მეტად საინტერესო ინიციატივა, რომ იმისათვის რომ აღმოფხვრილიყო სიღარიბე, მან განავითარა ე.წ. „უარყოფითი საშემოსავლო გადასახადის“ იდეა, რომლის მიხედვითაც დაბალი შემოსავლის მქონე სუბიექტები არ უნდა დაბეგვრილიყვნენ საშემოსავლო გადასახადით და მათზე უნდა გაცემულიყო სუბსიდია, თუმცა ამ მოსაზრებას კრიტიკოსებიც ჰყავდა, რადგან მათი შეხედულებით ეს არასამართლიანი იყო იმ კუთხით, რომ გარკვეული სუბიექტების მიერ გადახდილი გადასახადები უნდა მიმართულიყო სხვა სუბიექტებისკენ სუბსიდიების სახით (მექვაბიშვილი ე. 2016. 75). ფრიდმენის შეხედულება სოციალური შენატანების სისტემასთან და მის ოდენობასთან შემდეგია, რომ მისი აზრით „სახელმწიფოს საქმე არაა უკარნახოს ადამიანებს, თუ მათი შემოსავლის რა ნაწილი უნდა მიუძღვნან საკუთარ, ან ვინმე სხვის მოხუცებულობის ასაკს“ (კუერი ა.ბ., კიური ბ. და სხვები. 2016. 812).

გადასახადების შესახებ შემუშავებული მიდგომით მნიშვნელოვანია გამოვყოთ **არტურ ლაფერი** (1940), რომლის მიერ შემოთავაზებული იქნა ე.წ. ლაფერის მრუდი (1974), სადაც თეორიული ურთიერთკავშირია საგადასახადო განაკვეთებსა და საგადასახადო შემოსავლებს შორის. აღსანიშნავია, რომ სწორედ მოცემული მრუდის პოსტულატებთან თუ იდეებთან დაკავშირებით არტურ ლაფერი მიუთითებს ორ ცნობილ მეცნიერს იბნ ხალდამს და ჯონ მეინარდ კეინზს. ლაფერის მრუდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ საწყის ეტაპზე როდესაც იზრდება საგადასახადო განაკვეთები (გასაშუალოებული), იზრდება საგადასახადო შემოსავლებიც, თუმცა მოცემული ზრდადობა მიმდინარეობს მრუდის გარკვეულ წონასწორულ წერტილამდე, ხოლო მოცემული წერტილის გადალახვის შემდგომ გაზრდილი საგადასახადო განაკვეთების კვალობაზე მცირდება საგადასახადო შემოსავლები. მოკლედ რომ ვთქვათ, გაზრდილი საგადასახადო განაკვეთების მიმართ მეწარმეები უარყოფით რეაქციას ავლენენ და შესაბამისად მათ არა აქვთ სურვილი აწარმოონ პროდუქცია. აქვე აღსანიშნავია, რომ მოცემულ მოდელს ჰყავს ასევე მოწინააღმდეგეები, რომლებიც არ იზიარებენ ლაფერის ამ მიდგომას, რადგან ხშირ შემთხვევაში ვერ მართლდება მისი მრუდის გარკვეულწილად საკამათო მათემატიკური მოცემულობები, რომელიც გრაფიკულად არის გამოსახული, ასევე დროის ფაქტორი და ა.შ. იქიდან გამომდინარე, რომ ეკონომიკური მდგომარეობა ყველა ქვეყნისთვის განსხვავებულია, შესაბამისად მოცემული მრუდის დებულებების დამტკიცება ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება ან არ მართლდება. თუმცა პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის მქონე ქვეყნების შემთხვევაში ლაფერის ეფექტის არსებობა ცხადი გახდა (ანანიაშვილი ი., პაპავა ვ. და სხვები. 2003. 501-503). საგულისხმოა ასევე ე. ბალაცკის მოსაზრება ლაფერის მრუდთან დაკავშირებით, სადაც ის კვლევაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ მოცემულ მრუდზე არსებობს ორი წონასწორული საგადასახადო განაკვეთის წერტილი, რომელიც ერთ შემთხვევაში გვიჩვენებს მთლიანი შიგა პროდუქტის მაქსიმუმს, ხოლო მეორე შემთხვევაში კი საბიუჯეტო შემოსულობების მაქსიმუმს. აქედან გამომდინარე, სასურველია საგადასახადო წნეხი გადანაწილდეს თანაბრად და საჭიროა იმ ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის შერჩევა

სახელმწიფოს მიერ, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც წარმოების სტიმულირებას, ასევე საბიუჯეტო შემოსავლების უზრუნველყოფას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, ქართველი მეცნიერების **ვლადიმერ პაპავას და იური ანანიაშვილის** ნაშრომი „გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ-კეინზიანური სინთეზი“ (2009). მოცემული სინთეზის საფუძველზე გადასახადების ფუნქცია შესწავლილია მაკრო დონეზე. აღნიშნული მოდელების სინთეზის აუცილებლობა წარმოშვა მოცემული თეორიების ცალმხრივმა მიდგომამ გადასახადებთან მიმართებაში, სადაც პირველ შემთხვევაში (კეინზიანური) არ გაითვალისწინება მიწოდება, ხოლო მეორე შემთხვევაში მოთხოვნა. ვლადიმერ პაპავას და იური ანანიაშვილის მიერ კლასიკური მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელში, ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორის - ფასის დონის ნაცვლად, აღებულია საშუალო საგადასახადო განაკვეთი. მოცემულ ნაშრომში განხილულია გადასახადების, მისი განაკვეთებისა თუ სხვადასხვა საგადასახადო სისტემის გავლენა დასაქმების დონეზე და მაკროეკონომიკურ წონასწორობაზე. ამ სინთეზის საფუძველზე და სხვადასხვა ვარიანტების განხილვის შედეგად მეცნიერების მიერ წარმოდგენილია დასკვნა, რომ ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის დადგენა არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ბიუჯეტში მობილიზებული იქნება მაქსიმალური ოდენობის საგადასახადო შემოსავლები და ან იმის შესაძლებლობას, რომ დაფიქსირდეს დასაქმების მაღალი მაჩვენებელი. მოცემულ წიგნში განხილული წონასწორობის ვარიანტებიდან „მხოლოდ ოპტიმალური საშუალო საგადასახადო განაკვეთის შემოღებას, თავისთავად არ შეუძლია დასაქმების დონის ზრდა და პოტენციური გამოშვების შესაბამის წონასწორობაში გადასვლის ინიცირება. ლაფერ-კეინზიანური სინთეზის პირობებში ეკონომიკური აქტიურობის ამაღლებასა და სრული დასაქმების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს, დაბეგვრის რეჟიმთან ერთად, ერთობლივი მოთხოვნა ასრულებს“ (პაპავა ვ., ანანიაშვილი ი. 2009. 136-137).

ამერიკელი ეკონომისტის **რობერტ კინგის** (1951) აზრით, რომელიც არის რაციონალური მოლოდინის თეორიის წარმომადგენელი, იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო გადაწყვეტს გადასახადების შემცირებას, მაშინ ის იძულებული გახდება

აღნიშნული დააბალანსოს ნასესხები თანხებით, რომელიც საბოლოო ჯამში გამოიწვევს მომავალში ისევ გადასახადების გაზრდას. აღნიშნული კი საფუძველი იქნება იმისა, რომ შემცირდეს ერთობლივი მოთხოვნა. მოცემული დებულება ცნობილია ეკონომიკაში, როგორც ბარო-რიკარდოს თეორემა (მექვაბიშვილი ე. 2016. 87).

მნიშვნელოვანია გადასახადებისა და საგადასახადო პოლიტიკის კუთხით გამოიყოს ნეოკეინზიანური მიმართულების წარმომადგენლების (ფიშერი, კალდორი, დომარი, პარეტო, რობინსონი) მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც საგადასახადო პოლიტიკა იყო ისეთი მნიშვნელოვანი რეგულირების ინსტრუმენტი, რომელიც შესაძლებელი იყო გამოყენებულიყო როგორც ანტიკრიზისული, ასევე ანტინფლაციური რეგულირების საშუალებად. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობდა იქიდან, რომ უნდა დაბეგრულიყო საბოლოოდ მოხმარებული პროდუქტის ღირებულება.

საგადასახადო პოლიტიკა, როგორც ინსტრუმენტი ქვეყნისთვის არის მნიშვნელოვანი როგორც ეფექტიანი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებაში, ასევე რეგულირების თვალსაზრისით. ძირითადად, მისი შედეგები გრძელვადიან პერიოდში არის შესამჩნევი. იქიდან გამომდინარე, რომ საგადასახადო პოლიტიკის გამტარებლები არიან პოლიტიკოსები, მათ უნდა ქონდეთ კოორდინაცია ეკონომისტებთან, რადგან მისაღები საკანონმდებლო ცვლილებები საგადასახადო კუთხით დაფუძნებული იყოს ეკონომიკურ ანალიზზე. როგორც ცნობილია საგადასახადო პოლიტიკა მოიცავს გადასახადის განაკვეთისა და დასაბეგრი ბაზის ურთიერთკავშირს. **რიჩარდ მასგრეივის** (1910-2007) მიერ ჩამოყალიბებული იქნა დაბეგრის სამი ფუნქცია, რომლებიც ურთიერთკავშირშია ეკონომიკურ პოლიტიკასთან, ესენია: განაწილება, გადანაწილება და სტაბილიზაცია. განაწილების შემთხვევაში „დაბეგვრა გავლენას ახდენს შეფარდებით ფასებზე საქონელსა და მომსახურებას, შრომასა და კაპიტალს და ა.შ. მათ შორის, ამით კი იწვევს ფასების დისპროპორციას“. გადანაწილების შემთხვევაში კი „შემოსავლის დაბეგვრა ცვლის შემოსავლის გადანაწილებას მდიდრებსა და ღარიბებს, ოჯახებსა და მარტოხელებს ან თაობებს შორის. კაპიტალის დაბეგვრა და სოციალური დაზღვევის შენატანები გავლენას ახდენენ კაპიტალისა და შრომის შეფარდებითი შემოსავლის წილებზე“. სტაბილიზაციის შემთხვევაში კი „დაბალი

საგადასახადო ტვირთი ციკლური კრიზისის დროს ხელს უწყობს მოთხოვნის შენარჩუნებას საქონელსა და მომსახურებაზე. ხოლო, მაღალი გადასახადები ეკონომიკური ბუმის დროს ამცირებს მოთხოვნას, ამსუბუქებს აღმავალ ზეწოლას ფასებზე“ (კუერი ა.ბ., კიური ბ. და სხვები. 2016. 26-48). რაც შეეხება ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკის ფუნქციებს, პეგი და რიჩარდ მასგრეივების მიერ დაყოფილია სამ კატეგორიად, ესენია: რესურსების განაწილება, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და შემოსავლების გადანაწილება.

თუ გადავხედავთ დაბეგვრის პრაქტიკას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე, ცხადი ხდება, რომ დაბეგვრის დონე შედარებით მაღალია განვითარებულ ქვეყნებში და პირიქით. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ განვითარებულ ქვეყნებში შემოსავლის ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნა ისეთ საზოგადოებრივ მომსახურებაზე, როგორცაა: ჯანდაცვა, განათლება, ინფრასტრუქტურა და ა.შ. აღნიშნული კი სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს ხარჯებისა და გადასახადების ზრდას. როდესაც საუბარია ოპტიმალურ დაბეგვრაზე, ამ შემთხვევაში იგულისხმება ისეთი საგადასახადო სტრუქტურა, სადაც ალტერნატივა მოცემულია ეფექტიანობასა და სამართლიანობას შორის.

გადასახადის, როგორც ერთ-ერთი კვლავწარმოებრივი ფაქტორის დასაბუთება მოცემულია მე-18 საუკუნის დასაწყისში საზღვარგარეთის ეკონომისტების - ე. საქსის, ჟ-ბ სეის, ვ. პოსომკოვის ნაშრომებში. მიუხედავად იმისა, რომ მათი საგადასახადო თეორია უაღრესად გამოყენებით ხასიათს ატარებდა, ანუ, შემოფარგლული იყო სახელმწიფოს შენახვისათვის ფინანსური რესურსების მობილიზაციის ხერხებით, მათში გათვალისწინებული იყო სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა კანონზომიერებანი და საბაზრო მეურნეობის საფუძვლების ფორმირების საერთაშორისო ტენდენციები.

მიუხედავად იმისა, რომ გადასახადები დაწესებული იყო უძველესი დროიდან, მისი ოდენობა და მთლიანად საგადასახადო სისტემა, ხშირ შემთხვევაში, იმ დროს არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებს არ შეესაბამებოდა. სახელმწიფოებს არ გააჩნდათ გადასახადების აკრეფის ადმინისტრირების ჩამოყალიბებული მექანიზმები. გადასახადების აკრეფას აწარმოებდნენ, როგორც სპეციალურად მოწვეული სახელმწიფო

მოსამსახურეები, ასევე რიგითი მოქალაქეები, რომელთაც არ გაააჩნდათ შესაბამისი კვალიფიკაცია.

საქართველოში გადასახადებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნიათ და ისინი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, რაც დამოკიდებული იყო როგორც სახელმწიფოებრივ წყობილებაზე, ასევე დროის მონაკვეთზე. საქართველოში გადასახადებს საფუძველი ჩაეყარა შუა საუკუნეებიდან. მაგალითად, XI საუკუნეში არსებობდა ლაშქრობის გადასახადი, ღალა (მიწაზე მომუშავე გლეხებისაგან ფეოდალისთვის გადახდილი გადასახადი), კულუხი (ღვინით გადასახადი). XIII საუკუნეში კი არსებობდა სურსათის გადასახადი (ერქომიშვილი გ., ხარაიშვილი ე. 2011. 387). ასევე მოცემულ პერიოდში არსებობდა მალის გადასახადი, რომელიც დააწესეს მონღოლებმა და ის გულისხმობდა მთლიანად სასოფლო-სამეურნეო გადასახადს და მისი მოცულობა შეადგენდა მოსავლის 60%-ს. კაბალა - რომელიც იყო მოცემულ პერიოდში მიწის გადასახადი. საქართველოს ისტორიულ წყაროებში აღწერილია ასევე რიგი გადასახადები, რომლებიც წესდებოდა ფეოდალების მიერ. თუმცა აღსანიშნავია, „წიგნი სამართლისა“, რომელიც არის ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი დოკუმენტი სადაც მოცემული იყო სხვადასხვა რეგულაციები სამართლის კუთხით, ხოლო ასევე დიდი ნაწილი ეთმობოდა დაბეგვრის საკითხებს, სადაც მოცემული იყო როგორც გადასახადების სახეები, ასევე მათი გადახდის ვალდებულებები. მაგალითად: მიწის რენტა, რომლის გადახდის ვალდებულება მეზატონისთვის გააჩნდათ მიწით მოსარგებლებს. აქვე აღსანიშნავია, რომ XVII-XVIII საუკუნეებში გადასახადები ძირითადად ნატურალური ფორმის იყო. ისინი იყოფოდნენ სხვადასხვა ტიპებად, მაგალითად: სახელმწიფო, სამოხელეო, ფეოდალური, საეკლესიო და ა.შ. იმის მიხედვით თუ ვის დაქვემდებარებაში იყო გლეხი, რომელსაც ქონდა ზეგარის გადახდის ვალდებულება.

XIX საუკუნეში არსებობდა შემდეგი გადასახადები (რომელთა უმეტესობას ქონდა ნატურალური ფორმა) (www.aaf.ge/index.php?menu=1 ბოლო შესვლის თარიღი 2019 წლის 2 ივლისი): კულუხი - ვენახზე დაწესებული გადასახადი, რომლის გადახდის ფორმა იყო ღვინო. მოცემულს იხდიდა გლეხი მისი მოსავლის დაახლოებით 1/2-1/10 ოდენობით;

ღალა - მიწით სარგებლობისთვის გადახდილი გადასახადი მარცვლეულით (იშვიათად ფულადი ფორმით); საკომლო - მიწის გადასახადი, რომელსაც უხდიდა მიწის დამამუშავებელი მიწის მეპატრონეს; სურსათის გადასახადი - მას იხდიდნენ გლეხები ხორბლის და ქერის სახით. იგი გამოიყენებოდა ჯარის გამოსაკვებად; ყალანი - მოცემული გადასახადი დაკავშირებული იყო ასევე მიწით სარგებლობასთან. მისი გადახდის ვალდებულება ქონდათ გლეხებს და ის მოიცავდა ნატურალური ფორმის გარდა ფულად ფორმებსაც; საქვრივო (საჩქეძე) - მოცემული გადასახადის ვალდებულება ქონდა სიძეს, რომელიც ირთავდა ცოლად ქვრივ გლეხის ქალს. თავდაპირველად მას გააჩნდა ნაწილობრივ ნატურალური ხასიათი, თუმცა მე-19 საუკუნიდან მიიღო ფულადი ფორმა და იგი შეადგენდა 5-დან 50 მანეთამდე; საბალახე გადასახადი და საბანჯარი - მოცემული დაწესებული იყო სამოვრებით სარგებლობისთვის და მისი გადახდის ფორმა იყო ნატურალური; მახტა (ფულადი, პურეულით) - მოცემული გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარებოდა მიწათმოქმედება, ვაჭრობა და ხელოსნობა. მოცემული გადასახადი ორი ფორმით გადაიხდებინებოდა - ქალაქში ფულადი ფორმით, ხოლო სოფლებში ნატურალური ფორმით, ძირითადად ქერით და ხორბლით; კოდის პურის გადასახადი - მოცემულს იხდიდნენ გლეხები კომლზე და მას ჰქონდა ნატურალური ხასიათი, ის გადაიხდებოდა ხორბლის სახით; შევარდენის გადასახადი - აღნიშნული ითვალისწინებდა მეფისთვის შევარდენების მირთმევასა და მის მოვლა-პატრონობას; მოცემულის გარდა არსებობდა ასევე უამრავი გადასახადი. ისტორიის მანძილზე სახელმწიფოს წყობილება ბევრჯერ შეიცვალა და შესაბამისად იცვლებოდა გადასახადის სახეები და მისი გადახდის ფორმები. როგორც ი. ჩერნიშევსკი ამბობდა „არ არსებობს ისეთი საგანი ან მოქმედება, რომელიც სადღაც და როდესღაც არ იბეგრებოდა გადასახადით“. ზემოთ ჩამოთვლილი გადასახადის სახეები კი ამის ნათელი დასტურია.

გადასახადები როგორც საქართველოში ასევე მსოფლიოს უძველეს ქვეყნებშიც გამოიყენებოდა ძირითადად სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ფუნქციების (მაგ: ჯარის შენახვა) შესასრულებლად. ბუნებრივია, გადასახადებს არ გააჩნდათ ისეთი ორგანიზებული სახე ძველ პერიოდში როგორც ამჟამად, თუმცა გარკვეულწილად ისინი

იკრიბებოდა სხვადასხვა დანიშნულებისთვის, როგორცაა მაგალითად: ომი, სასახლის, ტაძრების, თავდაცვითი ნაგებობებისა და გზების მშენებლობა (ძველი საბერძნეთი, ძველი ეგვიპტე, ძველი რომი). მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში გადასახადები ძირითადად ნატურალური ფორმის იყო (როგორც საქართველოში), გარკვეული დროის შემდეგ კი გადასახადებმა მიიღეს ფულადი სახე. მეტნაკლებად ორგანიზებული და მოწესრიგებული საგადასახადო სისტემა ჰქონდათ ძველ საბერძნეთში და ძველ რომში, რაც მათი განვითარების დონეზე მიუთითებდა. თუმცა ამ ორს შორის ძველი რომის საგადასახადო სისტემა უფრო ორგანიზებული იყო. ძველი რომის საგადასახადო სისტემის ისტორიიდან შეგვიძლია გამოვყოთ ისეთი ტერმინები, რომლებიც დღესაც აქტუალურია, ესენია: აქციზი, ფისკალი. ასევე მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გამოყოფა, რომ ძველ რომში არსებობდა ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც თანამედროვე გაგებით შემოსავლის/ქონების დადევლარირებას უტოლდება. რომის მოქალაქეები საჯარო მოხელე ცენზორებს წარუდგენდნენ განცხადებას თავიანთი ქონებისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ (ხუთ წელიწადში ერთხელ), რის საფუძველზეც მათზე წესდებოდა შესაბამისი გადასახადის ოდენობა. შესაძლებელია ითქვას, რომ ერთ-ერთი პირველი ვინც შემოიღო ე.წ. ადგილობრივი გადასახადი იყო რომის იმპერია. როდესაც ის იერთებდა/იპყრობდა სხვადასხვა ტერიტორიას, ის მოცემულ ტერიტორიაზე აწესებდა ადგილობრივად გადასახადის დამატებით სახეებს. რომის იმპერიის დროს არსებული გადასახადებიდან მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ: მონებზე გადასახადი; გადასახადი მარცვლეულზე, ღვინოზე (აღნიშნული იყო ასევე საქართველოშიც) და კიტრზე; კარიბჭეში შესვლის გადასახადი (ეს შეგვიძლია თანამედროვე შეხედულებით საბაჟოს მოსაკრებელს შევადაროთ); ასევე არსებობდა გადასახადი საპონზე, მექისეებზე, სანახაობის მოწყობაზე და ა.შ. მოგვიანებით კი აღნიშნულ გადასახადებზე დაემატა ბრუნვის გადასახადი (1%), მონების განთავისუფლების გადასახადი (საბაზრო ღირებულების 5%) და ქონების/მემკვიდრეობის გადასახადი (5%). დროთა განმავლობაში საგადასახადო სისტემები და გადასახადები იცვლებოდა და იხვეწებოდა. XVI-XVII პერიოდში ევროპის უმრავლეს ქვეყანაში გავრცელებული იყო მიწის გადასახადი, რომელის დაბეგვრის

ობიექტი დროთა განმავლობაში იცვლებოდა, თავდაპირველად განისაზღვრებოდა მისი ფართობის მიხედვით, ხოლო მოგვიანებით შემოსავლის მიხედვით. XIX ს-ში გადასახადები უფრო ცივილური გახდა და დაიხვეწა. სამრეწველო რევოლუციამ განაპირობა (ინგლისი, საფრანგეთი), რომ გადასახადების გადამხდელები უნდა ყოფილიყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, მათი შემოსავლების მიხედვით (კილაძე ა. 2017. 2-5).

XX საუკუნიდან უმეტესი გადასახადის ნატურალური ფორმა შეიცვალა ფულადი ფორმით. როდესაც საქართველო იყო საბჭოთა კავშირის ნაწილი, მოცემულ პერიოდში ბუნებრივია ქვეყანას არ გააჩნდა დამოუკიდებელი საგადასახადო კოდექსი და ის ექვემდებარებოდა მოცემული გაერთიანების საერთო წესებს. ამ პერიოდში არსებობდა მაგალითად, ბრუნვის და მოგების გადასახადი.

საქართველოში 1991-1992 წლებში, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდიდან, საფუძველი ჩაეყარა საგადასახადო სისტემის შექმნას. მოცემული სისტემის მეშვეობით გარკვეულწილად ორგანიზებული სახე მიეცა გადასახადებს და მათ ადმინისტრირებას. მოქმედებდა სხვადასხვა ტიპის გადასახადები როგორცაა: ბრუნვის გადასახადი, გაყიდვების გადასახადი, რომელსაც მოგვიანებით დაემატა დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) და აქციზი. თუმცა მიუხედავად, ამისა მოცემული საგადასახადო სისტემა და გადასახადები არ იყო სათანადო დონეზე მოწესრიგებული და მისი ადმინისტრირებაც ხშირ შემთხვევაში გართულებული იყო, რაც გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზით. ყოველივე ამან განაპირობა, რომ საჭირო იყო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა, გადასახადების და მისი გამომწვევების წესების დახვეწა. მოცემულიდან გამომდინარე, რეფორმები ამ მხრივ 1997-1998 წლებში განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ მოცემულ პერიოდში ჯერ კიდევ სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტებით რეგულირდებოდა გადასახადები და მათ არ გააჩნათ ერთიანი კანონის სახე. პირველი საგადასახადო კოდექსის მოქმედების პერიოდია 1998-2004 წლები. მოცემულ კანონში გაიწერა ზოგადად საგადასახადო სისტემის სტრუქტურა; ჩამოყალიბდა გადასახადების სახეები, რომლებიც მოცემულ პერიოდში შეადგენდა 21-ს; დეტალიზებული იქნა გადასახადების გამომწვევების

წესები; გაიწერა გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები და ა.შ. მოცემულმა საგადასახადო კოდექსმა მისცა ერთიანი სახე, როგორც საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების წესებს, ასევე გადასახადების მოქმედების არეალს. თუმცა მიუხედავად ამისა, რიგი ცვლილებები განხორციელდა და 2005 წლიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, სადაც გადასახადების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა და საბოლოოდ დარჩა 6 გადასახადი. შეიცვალა დაბეგვრის ობიექტები და ზოგ შემთხვევაში შემცირდა გადასახადის განაკვეთებიც. ბუნებრივია, წლების განმავლობაში საქართველოს საგადასახადო სისტემა და გადასახადები განიცდიდა ცვლილებებს და იხვეწებოდა (ერქომაიშვილი გ., ხარაიშვილი ე. 2011. 388).

2011 წლიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც დღესაც მოქმედია. თუმცა, პერიოდულად ხორციელდება საკანონმდებლო ცვლილებები ქვეყნის ეკონომიკური და საგადასახადო პოლიტიკური საჭიროებებიდან გამომდინარე, რომელმაც უნდა უპასუხოს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. როგორც უ. ჩერჩილმა თქვა „კარგი გადასახადები არ არსებობს“, მაგრამ გადასახადები უნდა უზრუნველყოფდეს როგორც სახელმწიფო ინტერესების დაცვას და ბიუჯეტში თანხების მობილიზებას, რომელიც შემდგომში გამოიყენება სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებებისთვის, ამავე დროს იგი მეწარმე სუბიექტებისთვის უნდა იყოს ოპტიმალური და არ უნდა იქცეს მათთვის მძიმე ტვირთად. ი. ლიპსიცის აზრით „სახელმწიფოს არსებობა და თავისი ამოცანების შესრულება მოითხოვს შემოსავლების, საგადასახადო დაბეგვრის სისტემის შექმნას, რომელიც ადამიანებს არ წაართმევს სამეურნეო საქმიანობის რეალური გაძლოლის და სახელმწიფო ფინანსების უნარიანი მართვის ინტერესს“ (www.aaf.ge/index.php?menu=1 ბოლო შესვლის თარიღი 2019 წლის 2 ივლისი).

რაციონალური საგადასახადო პოლიტიკა და სწორად შერჩეული გადასახადები არის საფუძველი იმისა, რომ ქვეყანაში არსებობდეს ეფექტური სამეწარმეო გარემო, რომელიც წახალისებს მეწარმე სუბიექტებს დაიწყონ და განავითარონ ბიზნესი, ეს კი თავის მხრივ საფუძველია იმისა, რომ ქვეყნის ბიუჯეტში მობილიზდეს ოპტიმალური დონის გადასახადები.

1.2 საგადასახადო პოლიტიკის როლი მეწარმეობის განვითარებაში

მეწარმეობა მრავალი მეცნიერის შესწავლის საგანია და თეორიები, რომელიც დროთა განმავლობაში აღნიშნული მიმართულებით ჩამოყალიბდა მრავალფეროვანია. მეწარმეობის შესახებ თეორიები შეიძლება დავეყოს სამ ძირითად კატეგორიად, ესენია: კლასიკური თეორიები, ნეოკლასიკური თეორიები და ე.წ. ავსტრიული სკოლა. მოცემული თეორიების წარმომადგენლების მიერ სხვადასხვა დროს წარმოდგენილი იყო ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი პრინციპები. რაც შეეხება წარმოების ფაქტორებს, სხვადასხვა თეორიების წარმომადგენლების მიერ მოცემული იყო განსხვავებული შეხედულებები, თუმცა დღეს რომ შევაჯეროთ მოცემული თეორიების წარმომადგენლების ნაშრომები, ეკონომიკაში აღიარებულია წარმოების შემდეგი ფაქტორები, ესენია: მიწა, შრომა, კაპიტალი და სამეწარმეო უნარი. მეწარმეობამ დროთა განმავლობაში დიდი დატვირთვა შეიძინა და ის დღეს წარმოადგენს ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ ძალას. მეწარმეობის შესახებ თეორიებისა და მიდგომების კუთხით აღსანიშნავია ისეთი მეცნიერების კვლევები, როგორცაა: რ.კანტილიონი (გამოცდილება ზოგადი ვაჭრობისა და ბუნების შესახებ); ჟ. ბ. სეი (პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი); ი. შუმპეტერი; ა. ხოსკინგი; ლ. მიზესი; ფ. ჰაიეკი; ი. კიზნერი; გ. ფალტინი და ა.შ.

ტერმინი „მეწარმეობა“ პირველად გამოყენებულ იქნა ფრანგი ეკონომისტის რ. კანტილიონის (1680-1734) მიერ, მის ცნობილ ნაშრომში - „გამოცდილება ზოგადი ვაჭრობისა და ბუნების შესახებ“ (სილაგაძე ა. 2001. 76). კანტილიონმა პირველმა გაამახვილა ყურადღება რისკზე, რომელსაც მეწარმე სწევს მოსალოდნელი შემოსავლის მიღების მიზნით და ამისათვის მზად არის გარკვეული დანაკარებისათვის (Сирополис Н. К. 1997. 20). საგულისხმოა, რომ იგი სამეწარმეო საქმიანობას უფრო ახლოს აყენებდა ვაჭრობასთან, ვიდრე ფინანსურ საქმიანობასთან (ერქომაიშვილი გ. 2004. 7). კანტილიონის მიერ წარმოდგენილი მეწარმის განმარტებაში საგულისხმოა, რომ იგი მეწარმეს წარმოადგენს პირს, რომელსაც სურს მოგების მიღება, ხოლო უკანა პლანზე იწევს ინოვაცტორობა. ანუ მისი განმარტებით მეწარმე წარმოადგენს შუამავალს, რომელიც

პროდუქციას ყიდულობს გარკვეულ ფასში, შემდგომ ყიდის მას და აქედან ის იღებს გარკვეულ შემოსავლებს, რომელთა წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია (ჰასიდი ჯ., კომსელისი ა. ს. და სხვები. 2009. 11).

მეწარმეობის კუთხით მნიშვნელოვანია ასევე **ჟან ბატისტ სეის** (1767-1832) ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი“. იგი იზიარებდა კანტილიონის მოსაზრებებს. აღსანიშნავია, რომ იგი მეწარმის მთავარ ფუნქციად წარმოადგენდა მიწის, შრომისა და კაპიტალის ურთიერთკოორდინაციას (სილაგაძე ა. 2001. 124). ასევე აღსანიშნავია, რომ სეის აზრით, იმისათვის რომ მეწარმეს წარმატებისთვის მიეღწია, გარდა საწარმოო ფაქტორებისა, მნიშვნელოვანი იყო ასევე მეწარმის პიროვნული თვისებები, ისეთი როგორიცაა: გამოცდილება, სიმტკიცე და სამართლიანობა (ჰასიდი ჯ., კომსელისი ა. ს. და სხვები. 2009. 13).

მნიშვნელოვანი წვლილი მოცემულ სფეროში და ზოგადად ეკონომიკაში აქვს ავსტრიელ ეკონომისტს **ი. შუმპეტერს** (1883-1950), რომელიც არის ევოლუციონისტური თეორიის ავტორი. მოცემული თეორიის მთავარი სუბიექტი არის მეწარმე, რომელიც ორიენტირებულია სიახლის დანერგვაზე, რაც საბოლოო ჯამში იწვევს ინოვაციებს, აღნიშნული კი ეკონომიკური პროგრესის ძირითად დამაჩქარებელ ფაქტორად გვევლინება მოცემული თეორიის მიხედვით. შუმპეტერის აზრით „მეწარმის როლი მდგომარეობს გამოგონებათა გამოყენების გზით მოძველებული წარმოების რეფორმირებასა და განვითარებაში“ (მეკვაბიშვილი ე. 2016. 140-149). შუმპეტერმა სხვა დონეზე აიყვანა მეწარმეობა და მისი განსაზღვრება. სწორედ შუმპეტერმა ჩამოაყალიბა და დაასაბუთა წარმოების სამი ფაქტორის (მიწა, შრომა, კაპიტალი) გარდა მეოთხე ფაქტორის არსებობა, რომელიც ეკონომიკურ თეორიაში სამეწარმეო უნარის სახელით არის ცნობილი. იგი მეწარმეს აიგივებდა ინოვატორთან და „ეკონომიკის რევოლუციონერებს“ უწოდებდა (ერქომაიშვილი გ. 2004. 8). მისი აზრით, მეწარმის მთავარი ფუნქცია იყო წარმოების ფაქტორების ახალი კომბინაციით გამოყენება, რაც საბოლოო სახედ ინოვაციის სახით წარმოგვიდგებოდა. ეს კომბინაციები მან დაყო ხუთ კატეგორიად, ესენია: ახალი პროდუქტის შექმნა; წარმოების ახალი მეთოდები; ახალი

ბაზრების აღმოჩენა; მიწოდების ახალი არხების დაკავება და წარმოების ახლებურად ორგანიზება (ჰასიდი ჯ., კომსელისი ა. ს. და სხვები. 2009. 13).

შუმპეტერი მეწარმეობას განიხილავდა, „როგორც ეკონომიკური განვითარების მექანიზმის ცენტრალურ ელემენტს“ (ერქომაიშვილი გ. 2019. 38). თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ეკონომისტი თვლიდა, რომ (ფ. პერო) შუმპეტერი გადაჭარბებულად აფასებდა მეწარმის როლს ეკონომიკურ პროგრესში. საგულისხმოა ასევე, რომ შუმპეტერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კონკურენციას, სადაც იგი გამოყოფდა მის ორს სახეს იდეალურს და არასრულყოფილს, მისი აზრით „ნებისმიერ მცირე მეწარმეს საკუთარი ბაზარი უნდა გააჩნდეს, რომლის შენარჩუნებასაც იგი მუდმივად უნდა ცდილობდეს ფასებისა და ხარისხის სტრატეგიის და აგრეთვე რეკლამის გამოყენების გზით“ (მექვაბიშვილი ე. 2016. 149).

გამოსაყოფია აგრეთვე **ლ. მიზესი** (1881-1973) და **ფ. ჰაიეკი** (1899-1992), რომლებაც ყურადღება გაამახვილეს მეწარმის იმ თვისებაზე, რომელიც გულისხმობს ახალი ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებას და მათ შორის ისეთის არჩევას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანების კონკრეტული მომენტის საჭიროებების ყველაზე მეტად დაკმაყოფილებას (Сирополис Н. К. 1997. 34). მიზესის აზრით რაციონალური ეკონომიკური საქმიანობა შეუძლებელია ბაზრისა და კერძო საკუთრების გარეშე. „საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს წარმოების საშუალებების კერძო საკუთრებაზე დამყარებულ სოციალურ სისტემას“ (მექვაბიშვილი ე. 2016. 199).

ი. კიზნერი (1930) აგრძელებს მიზესის და ჰაიეკის ნააზრევებს და ყურადღებას ამახვილებს მეწარმის ისეთ თვისებებზე, როგორცაა: ეკონომიკურ ცვლილებებზე სწრაფი რეაგირების უნარი, გადაწყვეტილებების მიღების დროს დამოუკიდებლობის უნარი, მმართველობითი უნარი. ასევე, მისი აზრით მეწარმეს აქვს გარკვეულწილად ეკონომიკის მარეგულირებლის ფუნქცია, რომ მოხდეს გარკვეულ დონეზე ბაზრების გაწონასწორება (Сирополис Н. К. 1997. 35). მისი აზრით მეწარმეს გააჩნია განსაკუთრებული ალღო, რის გამოც იგი იყენებს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ყველასთვის ცნობილია (ჰასიდი ჯ., კომსელისი ა. ს. და სხვები. 2009. 12).

ზოგადად, მეწარმეობის განმარტება ერთიანი სახით ჩამოყალიბებული არ არის, რადგან მეცნიერების მიერ შემოთავაზებულია განმარტების სხვადასხვა ვარიანტი. მაგალითად, ცნობილი ინგლისელი მეცნიერი **ჯეფრიალან ხოსკინგი (1942)** შემდეგნაირად განმარტავს, რომ “ინდივიდუალური მეწარმე არის პიროვნება, რომელიც წარმართავს საქმეს თავის ხარჯზე, პირადად მართავს ბიზნესს და პირადადაა პასუხისმგებელი აუცილებელი საშუალებებით უზუნველყოფაზე, დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას. მის ჯილდოს წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება და კმაყოფილების გრძნობა, რომელსაც ის განიცდის თავისუფალი მეწარმეობისგან. იგი თავის თავზე იღებს მისი საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში დანაკარგების მთელ რისკს“ (Хоскинг А. 1994. 28).

ქართველი მეცნიერის გ. ერქომაიშვილის აზრით „მეწარმეს უნდა ჰქონდეს ინიციატივის, შემოქმედებითი ძიების, კომერციული გამჭრიახობის და ბაზრის კონიუქტურებში ორიენტაციის უნარი. მეწარმის მამოძრავებელი მოტივი მაღალი მოგების მიღებაა. მწვავე კონკურენციულ ბრძოლაში შეუძლებელია მოგება მიიღოს ისე, რომ წარმოებაში არაფერი შეცვალოს. ბაზარზე მყარად იმკვიდრებს ადგილს და დიდ წარმატებას აღწევს ის მეწარმე, რომლის პროდუქციაც მაღალხარისხოვანია, მოდურია, წარმოებულია შედარებით დაბალი დანახარჯებით“ (ერქომაიშვილი გ. 2004. 17).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი მეწარმეობა პირველად გამოიყენა **ფ. გოგიჩაიშვილმა (1872-1950)** თავის ნაშრომში „ხელოსნობა საქართველოში“. აღსანიშნავია, რომ მეწარმის წარმატების ერთ-ერთი საფუძველია მისი კომერციული საიდუმლოების შენახვა, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიურ, სამეცნიერო, სამრეწველო და ა.შ. ერთ-ერთი პირველი ქართველ მეწარმედ შეგვიძლია დავასახელოთ მიტროფანე ლალიძე, თავისი ცნობილი ლალიძის წყლებით. რომელიც სწორედ მისი წყლების ტექნოლოგიურ დაყენებას, საიდუმლოდ ინახავდა მიუხედავად მრავალი შემოთავაზებისა რომ გაეყიდა იგი სხვა ქვეყნებზე (სამადაშვილი უ. 1992. 18).

თანამედროვე მიდგომებიდან გამოსაყოფია გერმანელი ეკონომისტისა და მეწარმის **გიუნტერ ფალტინის (1944)** მოსაზრებები მეწარმეობის შესახებ, რომელიც შემოგვთავაზა

მის ცნობილ ნაშრომში „გონება ამარცხებს კაპიტალს“. მისი აზრით აუცილებელია, პირს რომელსაც სურს სამეწარმეო საქმიანობის დაწყება, უკვე არსებული რესურსებისა თუ კომპონენტების ახალი კომბინაციით შექმნას რაიმე სიახლე, რომელიც იქნება შედარებით მარტივი და ეფექტიანი ვიდრე, მანამდე არსებული. აღსანიშნავია, რომ არსებული რესურსების გამოყენება (ახალი კომბინაციით) უფრო ნაკლებ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, რაც მეწარმისთვის სასურველია. თუმცა გარდა რესურსებისა აუცილებელია იდეაზე დაფუძნებული სამეწარმეო ხედვა. ასევე იგი ხაზს უსვამს, რომ ყოველივე ამის გაკეთება შეიძლება განათლებისა და გამოცდილების გარეშე. თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ როდესაც ფირმები უკვე ზრდის ეტაპზე გადადიან, აქ უკვე დგას გარკვეული კრიზისის საფრთხე, რაც დაიძლევა მხოლოდ პროფესიონალი და გამოცდილი კადრების მეშვეობით. საინტერესოა ფალტინის მიერ შემოთავაზებული სამეწარმეო პროექტის შემუშავების შვიდი მეთოდი: 1. აღმოაჩინე პოტენციური უკვე არსებულში; 2. ფუნქცია და არა ტრადიცია; 3. არსებულის ახლებურად კომბინაცია; 4. ერთზე მეტი ფუნქციის შესრულება; 5. პრობლემების, როგორც შესაძლებლობების დანახვა; 6. საქმის გასართობად გადაქცევა; 7. ბიზნეს ოცნებების რეალობად ქცევა (ფალტინი გ. 2015. 9).

აღსანიშნავია, ამერიკელი ეკონომისტის **მ. ქასონი** (1945), რომელმაც თავისი თეორიების ჩამოსაყალიბებლად, მოახდინა ისეთი მეცნიერების თეორიების კომბინაცია, როგორებიცაა კანტილიონი, შუმპეტერი, ჰაიეკი, კიზნერი და ა.შ. მისი აზრით, მეწარმე არის ადამიანი, რომელიც თავისი პიროვნული თვისებებისა და ჩვევების წყალობით ახდენს შეზღუდული რესურსების ეფექტურად გამოყენებას და მისგან ახალი პროდუქტის მიღებას. ის გამოყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესს სამეწარმეო პროცესში. ქასონის აზრით მეწარმეებს აქვთ შესაძლებლობა მოახდინონ ცვლილებები და შემდგომ უკვე ამ ცვლილებებმა მოახდინონ გავლენა სამეწარმეო შესაძლებლობებზე (ჰასიდი ჯ., კომსელისი ა. ს. და სხვები. 2009. 14). ქასონის აზრით მეწარმეობა ხელს უწყობს მაღალი რისკის მქონე ინოვაციური პროექტების პოპულარიზაციას, რომელსაც თავის მხრივ წვლილი შეაქვს ეკონომიკის ზრდაში და მის ეფექტურობაში.

ცნობილი ეკონომისტი **პ. მურდუკუტასი** (1955) ხაზს უსვამს სამეწარმეო პოლიტიკის გატარების მნიშვნელობას, რადგან მისი აზრით ეს ხელს შეუწყობს სამეწარმეო კულტურისა და აზროვნების ამაღლებას. სამეწარმეო უნარისა და პოტენციალის ასამაღლებლად იგი გვთავაზობს პოლიტიკის შემდეგ ნაბიჯებს: სამეწარმეო კულტურის შექმნა და საავტორო უფლებებისა და პატენტების დაცვა. მათში მოიაზრება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: საგანმანათლებლო მხარდაჭერა, სამეცნიერო-კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერა, მეწარმეობასთან დაკავშირებული ინსტიტუტების მხარდაჭერა, ფინანსების ხელმისაწვდომობა, მაღალი ტექნოლოგიების ცოდნის შექმნა და მისი მხარდაჭერა და ა.შ. ყოველივე ამისი შედეგი კი იქნება ისეთი პირობების მომზადება მეწარმეებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს მათი საქმიანობის წინსვლას (ჰასიდი ჯ., კომსელისი ა. ს. და სხვები. 2009. 143).

საგადასახადო პოლიტიკას არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლია მეწარმეობის განვითარებაზე. მოცემულზე დაყრდნობით სახელმწიფო შეიმუშავებს სხვადასხვა სტრატეგიას, რომელიც უზრუნველყოფს თუ რა გადასახადები უნდა მოქმედებდეს ქვეყანაში, როგორი უნდა იყოს მათი მოქმედების არეალი, დაბეგვრის პრინციპები, რომელი სფერო საჭიროებს წახალისებას გარკვეული საგადასახადო შეღავათებით და ა.შ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი დიდ გავლენას ახდენს მეწარმეობაზე და მის განვითარებაზე. ზოგადად, ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკით განხორციელებული ქმედებები, ქვეყანაში არსებული საგადასახადო სისტემა და დაბეგვრის პრინციპები უნდა იყოს ოპტიმალური და შესაფერისი არსებულ სამეწარმეო გარემოსთან მიმართებით.

სახელმწიფოს სიძლიერე პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში არსებულ ძლიერ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. იმისათვის, რომ ქვეყანა სწორად განვითარდეს და შეიქმნას სტაბილური, ეკონომიკური, სოციალური და ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული გარემო, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია რაციონალურ ეკონომიკურ პოლიტიკას. ეკონომიკური სიძლიერე პირველ რიგში გამოიხატება მეწარმეობის განვითარების მაღალი დონით, რაც გამყარებული იქნება კონკურენტუნარიანი გარემოთი და ინოვაციების დანერგვით. მეწარმეობის

განვითარებაში კი დიდი როლი აქვს საგადასახადო პოლიტიკით გატარებულ რეფორმებს, რომელსაც დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ახალი მეწარმე სუბიექტების ჩამოყალიბებასა და მის განვითარებაზე. მეწარმეობის განვითარება მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნისთვის, რადგან, სწორედ მათი ეკონომიკური აქტივობის შედეგად განხორციელებული ოპერაციები და მათ მიერ მიღებული სარგებელი იბეგრება სხვადასხვა ტიპის გადასახადებით, რაც საბოლოო ჯამში თავს იყრის ქვეყნის ბიუჯეტში. ხოლო, რაც უფრო მეტი საგადასახადო შემოსავლები იქნება ბიუჯეტში მობილიზებული, მით უფრო მეტად მოხმარდება ის ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო სხვადასხვა მიმართულებას.

იმისათვის, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ იქნეს ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკა შემუშავებული, გასათვალისწინებელია არა მარტო ქვეყნის შიდა, არამედ მაკროეკონომიკური ფაქტორებიც. მნიშვნელოვანია, რომ პირველ რიგში შემუშავდეს ისეთი საგადასახადო სისტემა, რომელიც მორგებული იქნება მეწარმეებზე და მათთვის საგადასახადო ტვირთი არ იქნება დიდი, მაგრამ ამავე დროს, მოცემული სისტემა უნდა იყოს გარანტი, რომ ქვეყნის ბიუჯეტში სტაბილურად იქნება მობილიზებული ოპტიმალური რაოდენობის საგადასახადო შემოსავლები. მნიშვნელოვანია გადასახადების განაკვეთების სიდიდე, რადგან მეწარმეების მხრიდან არ დაფიქსირდეს გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მცდელობა და მათ გააჩნდეთ გადასახადის ნებაყოფლობითი გადახდის მზაობა. საგადასახადო სისტემა ბუნებრივია პერიოდულად განიცდის ცვლილებებს (ზოგ შემთხვევაში ძირეულს) და ეს უნდა გამომდინარეობდეს ქვეყნის ეკონომიკური საჭიროებებიდან და ასევე სასურველია, რომ სხვადასხვა ცვლილების დროს გათვალისწინებული იყოს განვითარებული ქვეყნების წარმატებული რეფორმები, რომლებიც თანხვედრაში იქნებიან ქვეყნის პრიორიტეტებთან. იმისათვის, რომ საგადასახადო სისტემა იყოს მეტ-ნაკლებად ეფექტური, აუცილებელია, რომ ის იყოს სტაბილური, მოქნილი, მარტივად ადმინისტრირებადი და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკამ ნათლად წარმოაჩინა მეწარმეობის როლი ქვეყნის განვითარებაში. მეწარმეობის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისა და

ახალი სამუშაო ადგილების შექმნის გარანტია. საქართველოში ბოლო წლებში დიდი ყურადღება ექცევა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას, მიუხედავად იმისა, რომ მათი წილი მცირეა მთლიანად ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში. 2014 წლის მდგომარეობით საქართველოში მეწარმეთა საერთო რაოდენობის 85,7% სწორედ მცირე ბიზნესის წარმომადგენლები იყვნენ, 8,7% საშუალო ბიზნესის, ხოლო მხოლოდ 5,6% მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები, მაგრამ მიუხედავად ამისა, მცირე ბიზნესის წარმომადგენლების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება მხოლოდ 10,5% შეადგენდა, საშუალო ბიზნესის - 10,6%, ხოლო მსხვილი ბიზნესის მიერ შეიქმნა დამატებული ღირებულების 78,9%. რაც იმას მიანიშნებს, რომ მიუხედავად მცირე ბიზნესის წარმომადგენლების რაოდენობრივად დიდი წილისა, მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება უმნიშვნელოა. რაც შეეხება დასაქმების მაჩვენებელს, პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა: მსხვილი ბიზნესი 56,2%, საშუალო ბიზნესი - 15,4%, მცირე ბიზნესი - 28,5% (www.geostat.ge ბოლო შესვლის თარიღი 2019 წლის 5 მაისი). სწორედ ამიტომ, ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის მიზნობრიობის შედეგად შემუშავდა სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც აქტიურად ხორციელდება, რაც გამოიხატება სხვადასხვა სტრატეგიების შემუშავებით, როგორც ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის, ასევე მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, როგორცაა: „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“ და „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“. მოცემული სტრატეგიებით არის გაწერილი ის მნიშვნელოვანი მიმართულებები და მიზნები, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში მეწარმეობის განვითარებას. მოცემული სტრატეგიებით გათვალისწინებული ამოცანებისა და მიზნების განსახორციელებლად შეიქმნა ორი უწყება: მეწარმეობის განვითარების სააგენტო და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. მოცემული უწყებების მიერ ხდება მხარდაჭერა როგორც ახალი ბიზნესის წამოწყების დროს, ასევე ინოვაციების დანერგვის კუთხით (პროგრამა „აწარმოე საქართველოში“-ს ფარგლებში, 2014 წლიდან მხარდაჭერილია 489 პროექტი სხვადასხვა მიმართულებით, ჯამური ინვესტიციით დაახლოებით 1,15 მლრდ ლარი. ხოლო, უშუალოდ მიკრო და მცირე

ბიზნესის ნაწილში 2015-2018 წლებში მხარდაჭერილია 6212 პროექტი, რომელშიც იგულისხმება, როგორც ფინანსური, ასევე ტექნიკური მხარდაჭერა, ჯამური ინვესტიციით დაახლოებით 61 მლნ ლარი www.enterprisegeorgia.gov.ge ბოლო შესვლის თარიღი 2019 წლის 17 აგვისტო).

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქმედი მეწარმეებისთვის აუცილებელია, რომ იყო ჯანსაღი კონკურენტუნარიანი სამეწარმეო გარემო და მათ ჰქონდეთ ინოვაციების დანერგვის საშუალება. ზემოთ მოცემული სტარტეგები და სახელმწიფოს მიერ შექმნილი სააგენტოები სწორედ ამ მიმართულებით მუშაობენ. ასევე ხორციელდება რიგი საკანონმდებლო ცვლილებები საგადასახადო მიმართულებით (დეტალურად განხილულია მესამე თავში), რომელიც ასევე მიმართულია მეწარმეების ხელშესაწყობად. რომ გადავხედოთ 2017 წლის სტატისტიკურ მონაცემებს, მცირე და საშუალო ბიზნესის მაჩვენებლები რომ შევადაროთ მსხვილი ბიზნესის მაჩვენებლებს დასაქმებისა და დამატებული ღირებულების კრილში, ვღებულობთ შემდეგ სურათს: დასაქმების პროცენტული მაჩვენებლები - მცირე ბიზნესი - 46,5%; საშუალო ბიზნესი - 20,5%; მსხვილი ბიზნესი - 33%. ხოლო, შექმნილი დამატებული ღირებულების წილობრივი მონაწილეობა კი შემდეგია: მცირე ბიზნესი - 35,9%; საშუალო ბიზნესი - 25,6%; მსხვილი ბიზნესი - 38,4% (www.geostat.ge ბოლო შესვლის თარიღი 2019 წლის 9 ივლისი). 2014-2017 წლის მაჩვენებლები რომ შევადაროთ ერთმანეთს, ნათლად ჩანს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის მაჩვენებლები შესამჩნევად გაუმჯობესებულია და ეს გამოწვეულია მოცემულ პერიოდში გატარებული საგადასახადო პოლიტიკის შედეგად შემუშავებული სხვადასხვა ღონისძიებების გატარების გამო. აღნიშნული კი ამტკიცებს, რომ საგადასახადო პოლიტიკას არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლია მეწარმეობაზე. 2018 წლის მონაცემით კი დასაქმებულთა წილი შემდეგნაირად გადანაწილდა: მსხვილი ბიზნესი - 36,2%; საშუალო ბიზნესი - 21,6%; მცირე ბიზნესი - 42,2%.

აღსანიშნავია, რომ ასევე ასპარეზზე გამოჩნდა მეწარმეობის ისეთი მიმართულება, რომელიც ცნობილია როგორც ე.წ. სოციალური მეწარმეობა. იგი კარგად არის განვითარებული საზღვარგარეთ, თუმცა საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების საწყის სტადიაზეა და სოციალურ საწარმოთა რაოდენობა დაახლოებით 70-ია

(ერქომაიშვილი გ. 2019. 132). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში წარმატებული კომპანიები, ბოლო წლებში თავის თავზე იღებენ მის წილ სოციალურ პასუხისმგებლობას და ისინი პერიოდულად ახორციელებენ საქველმოქმედო ღონისძიებებს, რაც ბუნებრივია დადებითი მოვლენაა და აღნიშნულ ქმედებებს შეუძლია წაახალისოს ინვესტორები. ინვესტიციების მოზიდვა კი თავის მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია არა მარტო სოციალური მეწარმეობისთვის, არამედ ზოგადად მეწარმეობის განვითარებისთვის.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოში საგადასახადო პოლიტიკით შემუშავებული და განხორციელებული ქმედებები გარკვეულწილად შეზღუდულია, საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერის გამო (მუხლი 94). მოცემული ჩანაწერი გულისხმობს, ქვეყანაში ახალი გადასახადის სახის შემოღებას და უკვე არსებული გადასახადების განაკვეთების ზრდის აკრძალვას (გარდა აქციზის გადასახადისა) რეფერენდუმის გარეშე. აქედან გამომდინარე, ხშირად ვერ ხერხდება სახელმწიფოს მიერ ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკის გატარება. მაგალითად, გარკვეული შეღავათების დაწესება სხვადასხვა სახის გადასახადში, ბალანსდება სხვადასხვა კატეგორიის საქონელზე/მომსახურებაზე აქციზის გადასახადის განაკვეთის ზრდით, რადგან ახლად დაწესებულმა შეღავათებმა არ გამოიწვიოს ბიუჯეტის დეფიციტი. აღნიშნული კი მეწარმეებს არათანაბარ პირობებში აყენებს, რაც გარკვეული კატეგორიის მეწარმეებში უსამართლობის შეგრძნებას იწვევს. აქედან გამომდინარე, სასურველია მოხდეს არსებული ჩანაწერის კორექტირება იმ მიმართულებით, რომ ახალი გადასახადის შემოღება ან/და უკვე არსებული გადასახადის განაკვეთის ზრდა შესაძლებელი იყოს რეფერენდუმის გარეშე. მოცემულმა შესაძლებელია გამოიწვიოს გადასახადის გადამხდელების გარკვეული მდელვარება (ქვეყანაში არსებული სხვა გადასახადების განაკვეთების ზრდის შიშის გამო), თუმცა სახელმწიფოს ექნება მოქმედების ფართო არეალი, რათა მათ მიერ შემუშავდეს ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკა და საგადასახადო ტვირთი შეძლებისდაგვარად თანაბრად გადანაწილდეს. იმისათვის, რომ მოცემული ჩანაწერის შეცვლა სასურველია, ამის დამადასტურებელ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტი: როდესაც შემუშავდა მოგების

გადასახადის ესტონური მოდელის კანონპროექტი, სანამ მოცემული საგადასახადო ცვლილება ძალაში შევიდოდა (2017 წლიდან), აღნიშნულთან დაკავშირებით ჩატარდა RIA ანალიზი (2016 წელს) PMCG-ის კვლევითი ცენტრის მიერ. ბუნებრივია, მოცემული კვლევა ითვალისწინებდა აღნიშნული კანონპროექტის სხვადასხვა მიმართულებას, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის საგანი არის მოცემული კანონპროექტის უარყოფითი შედეგების ფისკალური ეფექტის (მოსალოდნელი ბიუჯეტის დეფიციტი) ნეიტრალიზაციის გზები. მოცემული კვლევის საფუძველზე შემოთავაზებული იყო აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის სამი გზა: ა) მოგების გადასახადის 1 პროცენტული პუნქტით გაზრდა; ბ) დამატებული ღირებულების გადასახადის 1.25 პროცენტული პუნქტით გაზრდა; გ) საბიუჯეტო ხარჯების შემცირება (PMCG. 2016. 33). პირველი ორი პუნქტი, სწორედ კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერის გამო ავტომატურად გამოირიცხა, ხოლო მესამე პუნქტი დისბალანსის (დაახლოებით 500 მლნ ლარი) აღმოსაფხვრელად საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომ უარყოფითი ეფექტის გასანეიტრალეზად, გაიზარდა რამდენიმე აქციზური საქონლის გადასახადის განაკვეთი. რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ მოცემული გადასახადის განაკვეთის გაზრდის უფლება აქვს მთავრობას რეფერენდუმის გარეშე. ყოველივე ეს მოწმობს, თუ რაოდენ შეზღუდულია სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების დროს.

საგადასახადო პოლიტიკას შეუძლია არსებითი გავლენის მოხდენა მეწარმეობის განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფოს ქონდეს მოქმედების ფართო არეალი და არ იყოს შეზღუდული გარკვეული მიმართულებებით. რადგან, გატარდეს საგადასახადო პოლიტიკის შესაფერისი ღონისძიებები და მეწარმეობის სხვადასხვა კატეგორიებს შორის, საგადასახადო ტვირთი განაწილდეს ოპტიმალურად.

**თავი II. მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობი საგადასახადო პოლიტიკის
საზღვარგარეთული გამოცდილება**

**2.1 აშშ-ს საგადასახადო პოლიტიკა და მისი გავლენა მეწარმეობის
განვითარებაზე**

ამერიკის შეერთებული შტატები ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოა მსოფლიოში სხვადასხვა ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. ხოლო მისი საგადასახადო სისტემა მკვეთრად განსხვავდება ევროპის ქვეყნების საგადასახადო სისტემისაგან. აშშ-ს გააჩნია გადასახადების სამი დონე: სახელმწიფო, ფედერალური და ადგილობრივი, შესაბამისად, მათი ადმინისტრირებაც სხვადასხვა დონეების მიხედვით ხდება. გადასახადები მკვეთრად გამიჯნულია ერთმანეთისაგან მოქმედების დონეების მიხედვით, აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი საგადასახადო სისტემა და გადასახადები კომპლექსურია. გადასახადები სხვადასხვაგვარია, თუმცა ერთი ძირითადი სხვაობა რომელიც მას აქვს ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ის არის, რომ აშშ-ში არ მოქმედებს დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), განსხვავებით საქართველოს და ევროკავშირის ქვეყნებისა, თუმცა მეტნაკლებად მისი ანალოგია გაყიდვების გადასახადი (Sales Tax). ზოგადად გადასახადის ძირითადი სახეებია: საშემოსავლო გადასახადი (ფედერალურ და სახელმწიფო დონეზე), მოგების გადასახადი, ქონების გადასახადი, წყაროსთან დასაკავებელი გადასახადი, გაყიდვების გადასახადი, ჩუქების გადასახადი, აქციზის გადასახადი, საბაჟო გადასახადი და ა.შ. მოცემული გადასახადები რეგულირდება და წესდება სხვადასხვა დონეებზე, მაგალითად: საშემოსავლო გადასახადი დაწესებულია სახელმწიფო და ფედერალურ დონეზე, გაყიდვების გადასახადი სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე, საბაჟო გადასახადი ფედერალურ დონეზე და ა.შ. გადასახადის გადამხდელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი, ორგანიზაცია, მეწარმე სუბიექტები, რომლებსაც სხვადასხვა გარიგებების შესაბამისად წარმოეშობა გადასახადის გადახდის ვალდებულება, ასეთ გარიგებებში მოიაზრება

საქონლის იმპორტი, სხვადასხვა ტიპის შემოსავალი, ტრანსფერები, ქონების ფლობა, ბიზნეს საქმიანობა, დივიდენდის მიღება, პროცენტი და ა.შ.

აშშ-ში მოქმედი ძირითადი გადასახადების მთავარი პრინციპები შემდეგია: საშემოსავლო გადასახადი, რომელიც გადაიხდება სახელმწიფო, ფედერალურ და ადგილობრივ დონეზე. სოციალური შენატანები კი მოცემულია ფედერალურ დონეზე. იქიდან გამომდინარე, რომ მოცემული გადასახადი ძალიან კომპლექსურია თავისი ხასიათით, შემოსავლის ოდენობის მიხედვით, ასევე მოქმედების არეალით, მისი განკვეთებიც მრავალფეროვანია დონეების მიხედვით, მაგ: სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე მოცემული გადასახადის განაკვეთები ვარიირებს შემოსავალზე 0%-დან 13,3%-ის ჩათვლით, ხოლო ფედერალურ დონეზე 10%-დან 37%-ის ჩათვლით (2018 წლამდე კი მაქსიმალური ზედა ზღვარი იყო 39,6% - www.usa.gov ბოლო შესვლის თარიღი 2019 წლის 2 მარტი). მნიშვნელოვანი ფაქტორია საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის განსაზღვრისთვის გადასახადის გადამხდელის სტატუსი (დაოჯახებული, ინდივიდუალური და ა.შ.). ფედერალურ დონეზე საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები შვიდ დონედ არის დაყოფილი შემოსავლის ოდენობის მიხედვით, ხოლო დონეების განაკვეთები კი იყოფა შემდეგნაირად: 10%, 12%, 22%, 24%, 32%, 35% და 37%. არარეზიდენტებისთვის კი განაკვეთი შეადგენს აშშ-ს ტერიტორიაზე მიღებული მთლიანი შემოსავლის 30%-ს. მოგების გადასახადი: მოცემული გადასახადი საშემოსავლო გადასახადის მსგავსად მოქმედებს სახელმწიფო, ფედერალურ და ადგილობრივ დონეზე. 2018 წლიდან მოგების გადასახადის განაკვეთი 21%-ია (2018 წლამდე მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენდა 35%-ს). გაყიდვების გადასახადი: მოცემული არის სახელმწიფო გადასახადი, მისი განაკვეთები განსხვავდება შტატების მიხედვით და ის მერყეობს 0%-დან 10%-ის ჩათვლით. მისი გამოთვლის დროს მხედველობაში მიიღება ადგილობრივ და სახელმწიფო დონეზე დაწესებული გადასახადის განაკვეთები. (2019 წლის 1 ივლისისთვის საშუალო კომბინირებული ხუთი ყველაზე მაღალი განაკვეთებია: ტენესი 9,47%, არკანზასი 9,47%, ლუიზიანა 9,45%, ვაშინგტონი 9,21%, ალაბამა 9,16%. ხოლო ყველაზე დაბალი განაკვეთებია შემდეგ შტატებში: ალასკა 1,76%, ჰავაი 4,41%, ვაიომინგი 5,32%, უისკონსინი 5,44% და მეინი

5,50%. Tax Foundation. 2019. 3-5). გაყიდვების გადასახადის ადმინისტრირება ხდება სახელმწიფო დონეზე. გაყიდვების გადასახადი კი გამოიანგარიშება შესყიდვის ფასის გამრავლებით შესაბამის განაკვეთებზე (მოცემული გადასახადი დღგ-საგან იმით განსხვავდება, რომ ის დაწესებულია საცალო დონეზე). ქონების გადასახადი: მოცემული გადასახადით დაბეგრის ობიექტია ნებისმიერი ქონება, მისი განაკვეთები ვარირებს 18%-დან 40%-მდე - შტატების, დასაბეგრი ქონების დანიშნულების (საცხოვრებელი, კომერციული, სამრეწველო და ა.შ.) და ღირებულების მიხედვით. მოცემული გადასახადის ჭრილში შესაძლებელია განვიხილოთ ჩუქების გადასახადი (უძრავი ქონების ჩუქებით გადაცემას), აქაც განაკვეთები იდენტურია. საბაჟო გადასახადი: მოცემული გადასახადით დაბეგრის ობიექტია საქონლის იმპორტი, ხოლო განაკვეთები მერყეობს 0%-დან 33%-მდე. აქციზის გადასახადი: აღნიშნულით იბეგრება ისეთი საქონელი როგორცაა: თამბაქო, ალკოჰოლი, ბენზინი, ქვანახშირი, დიზელის საწვავი, სატელეფონო სერვისი, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტირება, ცეცხლსასროლი იარაღები და ა.შ. აქციზის გადასახადი დაწესებულია ფედერალურ, სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე და მისი განაკვეთები განსხვავდება შტატების მიხედვით. ასევე აღსანიშნავია სოციალური დაზღვევის გადასახადი, რომელიც გადაიხდება საშემოსავლო გადასახადიდან დაკავების წესით. ფედერალური სადაზღვევო შენატანების აქტი მოცემული გადასახადის გადახდას ავალდებულებს დამსაქმებელს, იმ გაცემული საშემოსავლოდან, რომელსაც ის უხდის დასაქმებულებს კალენდარული წლის განმავლობაში. მოცემული გადასახადი შედგება ორი ნაწილისაგან: ასაკოვნების, ვეტერანების და ინვალიდობის დაზღვევის გადასახადი შეადგენს 6,2% და სამკურნალო დაზღვევის გადასახადი კი 1,45%-ს. მოცემული აქტის საფუძველზე გარდა დამსაქმებლისა, იგივე ოდენობის გადასახადს იხდის დასაქმებული მის მიერ მიღებული შემოსავლიდან. აღნიშნული მოქმედებს თვითდასაქმებულებზე, თვითდასაქმებულთა შენატანების აქტის საფუძველზე.

აშშ-ის მიერ ბოლო წლებში გატარებული ძირითადი ცვლილებები საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებით განხორციელდა 2017 წლის საგადასახადო შეღავათებისა და დასაქმების აქტის (The Tax Cuts and Jobs Act of 2017) საფუძველზე. ამ აქტით

ცვლილებები შევიდა შიდა შემოსავლების კოდექსში (Internal Revenue Code), რომელიც მოქმედებს ფედერალურ დონეზე და მოიცავს ისეთ გადასახადებს, როგორცაა საშემოსავლო გადასახადი, წყაროსთან დასაკავებელი საშემოსავლო, ქონების გადასახადი, აქციზის გადასახადი და ა.შ. მათ ადმინისტრირების პროცედურებს, რომელიც ევალუა შიდა შემოსავლების სამსახურს. ცვლილებები ძირითადად შეეხო საგადასახადო განაკვეთებს (მაგ: საშემოსავლო გადასახადის ჭრილში შემცირდა როგორც გადასახადის განაკვეთები, ასევე შეიცვალა დასაბეგრი შემოსავლის ზღვარი სხვადასხვა პროცენტული განაკვეთების შესაბამისად. მაქსიმალური საშემოსავლო გადასახადის განაკვეთმა დაიწია 39,6%-დან 37%-მდე), რომლითაც შემცირებულია განაკვეთები როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის. ცვლილებები შეეხო გამოქვითვების მიმართულებებს. მოცემული აქტით შემცირდა ასევე დამატებითი/ალტერნატიული მინიმალური გადასახადი ფიზიკური პირებისთვის, ხოლო ის საერთოდ გაუქმდა იურიდიული პირებისთვის და ა.შ. საგადასახადო შეღავათებისა და დასაქმების აქტის კანონპროექტთან დაკავშირებით შეიქმნა აზრთა სხვადასხვაობა. მოცემულმა აქტმა ეკონომისტებს შორისაც გაურკვეველობა გამოიწვია. მათ შორის მოცემული კანონპროექტის საწინააღმდეგო არგუმენტები გააჩნდათ ისეთ ცნობილ ეკონომისტებს, როგორებიც არიან: პოლ კრუგმანი, ჯოზეფ სტიგლიცი, რიჩარდ ტალერი და ენგუს დიტონი (ოთხივე მათგანი არის ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში). ისინი ფიქრობდნენ რომ აღნიშნული აქტი გამოიწვევდა ბიუჯეტის დეფიციტის და ქვეყნის ვალების გაზრდას. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მხარის არგუმენტებით, გადასახადების განაკვეთების შემცირება და საგადასახადო შეღავათების მიცემა სტიმულის მიმცემი იქნებოდა ბიზნესისთვის და ასევე ხელშემწყობი ფაქტორი ინვესტიციების მოზიდვისთვის.

საინტერესოა ასევე, რომ 2014-2016 წლებში ამერიკელი ეკონომისტების მიერ ჩატარდა კვლევები იმ შესაძლო შედეგებზე, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შემცირებას და მის გავლენას ზოგადად ეკონომიკურ ზრდაზე. იქიდან გამომდინარე, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საგადასახადო შემოსავლებიდან დიდი წილი უჭირავს სწორედ საშემოსავლო გადასახადს, ძალიან

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ მოცემული გადასახადის რეფორმას. ამიტომ 2016 წელს ჩატარდა კვლევა, სადაც განხილული იყო, რომ თუ გატარდებოდა საგადასახადო რეფორმა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შემცირების კუთხით, რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ საგადასახადო რეფორმას (Gale G.W., Samwick A.A. 2016. 3-29).

საგადასახადო განაკვეთების შემცირებამ შესაძლოა ხელი მართლაც შეუწყოს დასაქმებულებს გარკვეული თანხების დაზოგვაში და ასევე ის სტიმული იყოს ინვესტიციების მოზიდვისთვის, მაგრამ მეორეს მხრივ, გრძელვადიან პერიოდში გაიზრდება ფედერალურ დონეზე ბიუჯეტის დეფიციტი, ასევე გაიზრდება საპროცენტო განაკვეთების სიდიდე და გრძელვადიან პერიოდში შემცირდება ეროვნული დანაზოგი, აქვე გასათვალისწინებელია გაუთვალისწინებელი ხარჯების საკითხები. საგადასახადო განაკვეთების შემცირება პირველ ეტაპზე გაზრდის ეკონომიკურ აქტივობას, რომელიც ცნობილია როგორც ე.წ. „ჩანაცვლების ეფექტი“, ხოლო მეორე ეტაპზე კი, მოცემული ეფექტი მცირდება, ე.წ. „შემოსავლის ეფექტი“ (Gale G.W., Samwick A.A. 2016. 4).

იქიდან გამომდინარე, რომ საგადასახადო განაკვეთების შემცირება და გარკვეული შეღავათების დაწესება, გამოიწვევს ფედერალურ დონეზე სესხების გაზრდას, შესაბამისად შემცირდება გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკის ზრდა. ხოლო, სხვადასხვა მტიკიცებულებების და ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საგადასახადო შეღავათები, რომელიც ფინანსდება ვალების მეშვეობით, აქვს მხოლოდ მცირე ეფექტი და ის გრძელვადიან პერიოდში გამოიწვევს ეკონომიკური ზრდის შენელებას. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება საგადასახადო განაკვეთების შემცირება, შესაძლებელია გაიზარდოს საშემოსავლო გადასახადის ბაზა, რომელიც მეტად შეამცირებს მოცემულ ეფექტს გრძელვადიან პერიოდში, რადგან საგადასახადო ბაზის გაფართოებას (აქ მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა სექტორს) შეუძლია მოიტანოს უფრო მეტი დადებითი შედეგი ეკონომიკის გაფართოებისთვის. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია საგადასახადო რეფორმის გატარების დროს გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი დეტალი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს საგადასახადო შემოსულობებზე და არ გამოიწვიოს ბიუჯეტის დეფიციტი. აღსანიშნავია, რომ კონკრეტული გადასახადის განაკვეთების შემცირებიდან ან/და დასაბეგრი ბაზის ცვლილების შედეგად,

მოსალოდნელი შემცირებული შემოსავლები ბიუჯეტში შესაძლებელია რომ დაბალანსდეს სხვა გადასახადებით, თუმცა აქ არის ერთი საინტერესო დეტალი, რომელიც სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაში არის აღწერილი, სადაც განხილულია ურთიერთკავშირი ეკონომიკურ ზრდასა და გადასახადებს შორის, რომელიც მოქმედებს კონკრეტულად ქვეყანაში. რაში მდგომარეობს ის: მაგ: OECD ქვეყნების (21 ქვეყანა) მაგალითზე, რომელიც მოიცავდა 33 წლიან მონაკვეთს დადგინდა, რომ მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების ცვლილებას აქვთ ყველაზე ნეგატიური ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე, ვიდრე ქონების გადასახადს და ასევე იმ გადასახადებს, რომელიც მოიაზრება მოხმარების (დღგ, აქციზი და ა.შ.) გადასახადებში (Arnold J.M. et al. 2011. 59-80). დაახლოებით იგივე შედეგი იქნა მიღებული სხვა კვლევებითაც, სადაც გამოყენებული იყო 69 ქვეყნის მონაცემები 39 წლიანი მონაკვეთით (Acosta-Ormaechea S., Yoo J. 2012. 4-18). ზოგადი დასკვნა ამ კვლევების ის არის, რომ საშემოსავლო გადასახადში შეღავათები, რომელიც იწვევს საგადასახადო შემოსულობების შემცირებას მოცემული გადასახადის ჭრილში და აქედან გამომდინარე, მთავრობის მიერ ფინანსდება ბიუჯეტის ხარჯზე და იწვევს დეფიციტს, უჯობესია რომ ის დაბალანსდეს სხვა გადასახადებით (Gale G.W., Samwick A.A. 2016. 3-29). რაც შეეხება ზემოთ ჩამოთვლილი კვლევების ზოგად მიმოხილვას, საგადასახადო სისტემის ცვლილება, რომელიც გამოხატულია როგორც საგადასახადო განაკვეთების, ასევე დასაბეგრი შემოსავლების ბაზის ცვლილებით (რაც გავლენას ახდენს შემოსავლებზე), შეუძლია გავლენის მოხდენა ეკონომიკურ აქტივობაზე, თუმცა ბუნებრივია ყველა რეფორმას არა აქვს ერთი და იგივე გავლენა, განსაკუთრებით დადებითი გავლენა გრძელვადიან პერიოდში. თუ ჩვენ ავიღებთ მხოლოდ საგადასახადო განაკვეთების შემცირებას და საგადასახადო შეღავათებს, როგორც ცალკე აღებულ საგადასახადო პოლიტიკის ნაწილს, არსებითად შეუძლიათ უარყოფითი გავლენის მოხდენა, რაც გამოიხატება იმაში, რომ შესაძლებელია ადგილი ქონდეს ბიუჯეტის დეფიციტს ფედერალურ დონეზე. ხოლო ბიუჯეტის დეფიციტიდან გამომდინარე შემცირდება ქვეყნის დანაზოგები, გაიზრდება საპროცენტო განაკვეთები, რაც თავის მხრივ ხელს შეუშლის საინვესტიციო გარემოს და გაართულებს ინვესტიციების მოზიდვას, რაც შეიძლება ცალკეული კვლევების შედეგად

თეორიულად გამოვლინდეს. თუმცა უნდა ითქვას, რომ საგადასახადო რეფორმების განხორციელების დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საგადასახადო რეფორმების მიმართულებებს (გარდა საგადასახადო განაკვეთების შემცირებისა), ეს იქნება დასაბეგრი საგადასახადო ბაზის ცვლილება, დროის გარკვეული მონაკვეთი თუ როდის ხორციელდება მოცემული ცვლილება, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ ხაზსაც, საგულისხმოა, თუ რითი ხდება მოსალოდნელი შემცირებული შემოსავლების დაბალანსება, დამატებითი/ალტერნატიული არხების მოძიება და ა.შ. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ გრძელვადიან ზრდაზე და ზოგადად ეკონომიკურ აქტივობაზე დადებითად მოქმედი საგადასახადო ცვლილება გვჭირდება, აუცილებელია საგადასახადო განაკვეთების შემცირების პარალელურად გაფართოვდეს დასაბეგრი საგადასახადო ბაზა, რათა ოპტიმალურად დაბალანსდეს ცვლილებები, რომ ხელი შეეწყოს გადასახადის გადამხდელებს და ამავე დროს ადგილი არ ქონდეს ბიუჯეტის დეფიციტს.

საინტერესოა განვიხილოთ მცირე ბიზნესის მდგომარეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მიუხედავად გავრცელებული აზრისა, რომ აშშ-ს ეკონომიკაში წამყვანი წვლილი აქვს დიდ კორპორაციებს, ეს არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ, რასაც ადასტურებს 2018 წლის მდგომარეობით მცირე ბიზნესის სტატისტიკა. მეტიც, აშშ-ს მთლიანი ბიზნესის წილიდან მცირე ბიზნესი იკავებს 90%-ზე მეტს, რაც შეეხება დასაქმებულების პროცენტულ შედარებას, მცირე ბიზნესის წილი ამ შემთხვევაში შეადგენს კერძო სექტორში მთლიანად დასაქმებული მოსახლეობის 47,5%-ს, რაც შეადგენს დაახლოებით 59 მლნ ადამიანს (Small Business Administration. 2018. 1). წილობრივად რომ განვიხილოთ მცირე ბიზნესის თუ რა ზომის ფირმებს აქვს უფრო დიდი წილი, იკვეთება შემდეგი სურათი: უფრო დიდი წილი აქვს იმ ფირმებს, სადაც დასაქმებულია 100-მდე თანამშრომელი, ხოლო მცირედი წილი აქვს იმათ, ვისთანაც დასაქმებულია 100-დან 500-მდე თანამშრომელი. მცირე ბიზნესთან მიმართებაში ძალიან საინტერესოა სტარტაპები და მათი ტენდენცია, რასაც 2010 წლიდან მოყოლებული აქვს დადებითი განვითარება და მათ მიერ იქმნება დამატებით ახალი სამუშაო ადგილები, მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ 2015 წელი, როცა მცირე ბიზნესის მიერ

მხოლოდ მოცემულ წელს შეიქმნა დამატებით თითქმის ორი მილიონი სამუშაო ადგილი (Small Business Administration. 2018. 1). ასევე ძალიან საინტერესოა ის საქმიანობის სფეროები, სადაც უფრო მეტად თავმოყრილია მცირე ბიზნესი ამერიკის შერთებულ შტატებში. ბოლო წლების ტენდენცია გვიჩვენებს შემდეგს: კერძო სექტორში დასაქმებულებთან მიმართებაში მცირე ბიზნესში დასაქმებულების (რაოდენობის მიხედვით) პირველი ათეული სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: პირველ ადგილზეა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სფერო (45,2%); მას მოსდევს დაბინავებისა და კვების მომსახურების სფერო (60,6%); საცალო ვაჭრობა (35,1%); წარმოება (44,4%); პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური მომსახურება (57,7%); მშენებლობა (82,3%); სხვადასხვა სერვისები (85,7%) - გარდა საჯარო სერვისებისა, რომლის ვალეზულებაც აქვს სახელმწიფოს; ადმინისტრაციული/ნარჩენების მართვა (32,6%); საბითუმო ვაჭრობა (57,4%); ფინანსები და დაზღვევა (31,3%) (Small Business Administration. 2018. 3). რაც შეეხება, მცირე ბიზნესის ფირმების რაოდენობებს საქმიანობის მიხედვით, პირველი ათეული შემდეგნაირად გამოიყურება: სხვადასხვა სერვისები (გარდა საჯარო სერვისებისა, რომლის ვალეზულებაც აქვს სახელმწიფოს); პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური მომსახურება; მშენებლობა; უძრავი ქონების გაქირავება და ლიზინგი; საცალო ვაჭრობა; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება; ადმინისტრაციული, მხარდამჭერი ღონისძიებები და ნარჩენების მართვა; ტრანსპორტირება და სასაწყობო მომსახურება; სახელოვნებო, გასართობი და სარეკრეაციო მომსახურება; ფინანსები და დაზღვევა (Small Business Administration. 2018. 4).

2018 წელს განხორციელებული საგადასახდო რეფორმებიდან შესაძლებელია გამოიყოს გამოქვითვებისა და ჩათვლების მიმართულებები. ჩათვლების ნაწილი შეეხო საშემოსავლო გადასახადის ჭრილში როგორც ინდივიდუალური პირებს, ასევე ოჯახს, რომელთაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები. ხოლო გამოქვითვების ნაწილი შეეხო საშემოსავლო გადასახადს როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივ დონეზე. მოცემული რეფორმა შეეხო ასევე გაყიდვების გადასახადს, ქონების გადასახადს, პროცენტიდან მიღებულ შემოსავალს და ა.შ (www.usa.gov ბოლო შესვლის თარიღი 2019

წლის 5 აპრილი). ასევე შემცირდა საგადასახადო განკვეთები, გაიზარდა სტანდარტული გამოქვითვები, გაორმაგდა ჩათვლები ბავშვებზე (საოჯახო საშემოსავლო გადასახადის სტატუსი შემთხვევაში), ასევე დაემატა ახალი სახეები ჩათვლების მიმართულებით. იქიდან გამომდინარე, რომ თუ გადავხედავთ 2018 წლის საგადასახადო ცვლილებების პაკეტს თუ რას ითვალისწინებს ის, ნათელია რომ ჩათვლების/გამოქვითვების ნაწილი და მას დამატებული საგადასახადო განაკვეთების შემცირება პირდაპირ აისახება ბიუჯეტის შემოსულობებზე, ანუ ბიუჯეტში მობილიზებული იქნება უფრო ნაკლები საგადასახადო შემოსავლები, ვიდრე წინა წელს. 2018 წლის საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებები ძირითადად შეეხო გადასახადებს ფედერალურ დონეზე.


ფედერალურ დონეზე რომ განვიხილოთ გადასახადების წილობრივი მონაწილეობა სახეების მიხედვით და მათი პროცენტული შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, იკვეთება შემდეგი სურათი (იხ. დანართი N1), რომ უმეტესი წილი გადასახადებიდან უკავია საშემოსავლო გადასახადს, შემდეგ მოდის სოციალური სადაზღვევო შენატანები, მოგების გადასახადი და სხვა გადასახადები. წლების ჭრილში თუ გადავხედავთ ზემოთ ჩამოთვლილ გადასახადებს, ბოლო რვა წლის განმავლობაში ისინი ზრდის ტენდენციით ხასიათდებიან, გარდა აქციზის გადასახადისა, რომელიც წლების მანძილზე იყო ერთი და იგივე დონეზე, ხოლო 2017 წლის მდგომარეობით ოდნავ შემცირდა. რაც შეეხება ქონებისა და ჩუქების გადასახადს, მას ცვლილება არ განუცდია ბოლო წლებში და დარჩა იგივე პროცენტულ მაჩვენებელზე. რაც შეეხება ფედერალური წყაროებიდან მიღებული გადასახადების პროცენტულ შეფარდებას მთლიან შემოსავლებთან, ამ შემთხვევაშიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოთ მოცემული სურათი თითქმის მეორდება და პროცენტული მაჩვენებლების საფუძველზე კვლავ პირველ ადგილზეა საშემოსავლო გადასახადი, მას მოსდევს სოციალური დაზღვევის გადასახადი, შემდგომ მოგების გადასახადი, მას მოყვება უკვე სხვა გადასახადები, შემდგომ აქციზის გადასახადი და ბოლოს ქონებისა და ჩუქების გადასახადი (იხ. დანართი N2). აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველაზე დიდი წილი სწორედ რომ საშემოსავლო გადასახადს და აქედან წყაროსთან დაკავებულ სოციალური

დაზღვევის გადასახადს გააჩნიათ. ბოლო მონაცემებზე დაყრდნობით კი, საშემოსავლო გადასახადის 67,9% (Joint Committee on Taxation. 2018. 31) სწორედ სახელფასო ანაზღაურების საფუძველზე გაცემული თანხებია, დანარჩენი კი გადანაწილებულია ისეთ აქტივებზე, როგორცაა: კაპიტალის მოგება, დივიდენდიდან მიღებული შემოსავალი, ასევე პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი და ა.შ.

აშშ-ს საგადასახადო სისტემა და გადასახადები მეტად კომპლექსურია როგორც დონეების (სახელმწიფო, ფედერალური და ადგილობრივი), ასევე სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით. საინტერესოა გადავხედოთ 2010 წლიდან მოყოლებული აშშ-ს მთლიან საგადასახადო შემოსავლებს და მის შეფარდებას პროცენტულ ჭრილში მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში (იხ. დიაგრამა N1), სადაც 2010 წლიდან მოყოლებული პროცენტული მაჩვენებელი დაახლოებით 4%-ით გაიზარდა და 2017 წლის მდგომარეობით, საგადასახადო შემოსავლები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 27,14 %-ს შეადგენს.

დიაგრამა N1

აშშ-ს საგადასახადო შემოსავლები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში %
(2010-2017)



წყარო: <https://data.oecd.org>

აშშ-ს საგადასახადო სისტემა კომპლექსურია და ის მკვეთრად განსხვავდება ევროპის ქვეყნების საგადასახადო სისტემისაგან, მას გააჩნია გადასახადების სამი დონე: სახელმწიფო, ფედერალური და ადგილობრივი დონე. გადასახადები ერთმანეთისაგან

განსხვავდება მოქმედების დონეების მიხედვით და მათი ადმინისტრირებაც ხდება მათ შესაბამისად. აშშ-ში არ მოქმედებს დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), განსხვავებით ევროკავშირში შემავალი ქვეყნებისა. აშშ-ში საგადასახადო შემოსულობებიდან უმეტესი წილი უჭირავს საშემოსავლო გადასახადს, რომელიც დაყოფილია დაბეგვრის შვიდ დონედ, სადაც გაითვალისწინება როგორც დასაბეგრი შემოსავალი, ასევე გადასახადის გადამხდელის სტატუსი (დაოჯახებული, ინდივიდუალური და ა.შ.) და მაქსიმალური დასაბეგრი ზღვარის განაკვეთი შეადგენს 37%-ს, რაც საკმაოდ მაღალია. ბოლო მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო სწორედ საშემოსავლო გადასახადს და რეფორმა განხორციელდა 2017 წლის საგადასახადო შეღავათებისა და დასაქმების აქტის (The Tax Cuts and Jobs Act of 2017) საფუძველზე. ამ აქტით ცვლილებები შევიდა შიდა შემოსავლების კოდექსში (Internal Revenue Code), რომელიც მოქმედებს ფედერალურ დონეზე. მოცემულმა რეფორმამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, რადგან ეკონომისტები და ასევე დარგის სხვადასხვა ექსპერტები თვლიდნენ რომ მოცემული გამოიწვევდა ქვეყნის ვალეების გაზრდას და ბიუჯეტის დეფიციტს, რადგან საგადასახადო შემოსულობების დიდი ნაწილი შედიოდა ბიუჯეტში სწორედ მოცემული გადასახადიდან. ამ აქტით შემცირდა გადასახადის განაკვეთები, შეიცვალა დაბეგვრის ობიექტები და ასევე ჩათვლის საფუძვლები. ჩატარებულმა სხვადასხვა კვლევებმა აჩვენა, რომ თუ გრძელვადიან ზრდაზე და ზოგადად ეკონომიკურ აქტივობაზე დადებითად მოქმედი საგადასახადო ცვლილება გვჭირდება, აუცილებელია საგადასახადო განაკვეთების შემცირების პარალელურად გაფართოვდეს დასაბეგრი საგადასახადო ბაზა, რათა ოპტიმალურად დაბალანსდეს ცვლილებები, რომ ხელი შეეწყოს გადასახადის გადამხდელებს და ამავე დროს ადგილი არ ქონდეს ბიუჯეტის დეფიციტს. რაც შეეხება მცირე ბიზნესის მდგომარეობას აშშ-ში, აღსანიშნავია, რომ მას წამყვანი ადგილი აქვს და 2018 წლის მდგომარეობით ის 90%-ზე მეტს შეადგენს (Small Business Administration. 2018. 1), რაც ბუნებრივია არის ძალიან მნიშვნელოვანი. ზოგადად კი აშშ-ის საგადასახადო შემოსულობების უმეტესი ნაწილი შედგება პირდაპირი გადასახადებისგან და მათ მიერ განხორციელებული რეფორმების ძირითადი ნაწილი სწორედ პირდაპირ გადასახადებს ეხება.

2.2 ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკის თავისებურებები

ევროკავშირის ჩამოყალიბება მოიცავს რამდენიმე ეტაპს, რომელთაგანაც შესაძლებელია თანმიმდევრულად გამოვყოთ შემდეგი: პირველი განცხადება გაკეთდა 1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რობერტ შუმანის მიერ, რომელმაც გააჟღერა ჟან მონეს (ფრანგი პოლიტიკოსი) ინიციატივა, რომლის თანახმად მოწოდებული იყო, რომ გაერთიანებულიყო დასავლეთ ევროპის ნახშირის და ფოლადის საბადოები. აღნიშნული იდეა სისრულეში მოვიდა 1951 წელს, სადაც გაერთიანებული იყო ექვსი ქვეყანა (ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, იტალია, ნიდერლანდები), რომელთა მიერ ჩამოყალიბდა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება. ინტეგრაციის პროცესის შემდეგი ნაბიჯი იყო იტალიაში, რომელიც ცნობილია როგორც ე.წ. „მესინის ინიციატივა“, სადაც ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ საფუძველი ჩაეყარა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას, რაც იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ის ითვალისწინებდა საერთო ბაზრის შექმნას, რაც თავის თავში გულისხმობდა, მონაწილე ქვეყნებს შორის ბარიერების მოხსნას, როგორც საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების მიმოქცევის დროს, ასევე ადამიანური რესურსების თვალსაზრისითაც. რასაც საბოლოო ჯამში უნდა მოჰყოლოდა საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება, რომელიც ჩამოყალიბდა 1968 წელს. შემდგომი ეტაპი ინტეგრაციის თვალსაზრისით იყო ასევე იტალიაში, სადაც ჩამოყალიბდა „ევრატომი“, რომელიც ითვალისწინებდა მონაწილე ქვეყნების ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათი საერთო ბაზრის შექმნას. 1967 წელს კი ზემოთ მოცემული სამი გაერთიანება, შეერწყა ერთმანეთს ბრიუსელის ხელშეკრულების საფუძველზე და მათ ეწოდა „ევროპული გაერთიანებები“, თუმცა მოგვიანებით 1992 წელს აღნიშნული გაერთიანების სახელი შეიცვალა და ეწოდა „ევროკავშირი“ მასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე. ევროკავშირის ჩამოყალიბების შემდგომ, მოხდა მისი გაფართოება რამდენიმეჯერ და ახალი წევრი ქვეყნების დამატება შემდეგ წლებში: 1973, 1981, 1986, 1995, 2004, 2009 და 2013. დღევანდელი მდგომარეობით ევროკავშირში გაწევრიანებულია 28 სახელმწიფო (იხ. დანართი N3). მასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე

გაერთიანდა მანამდე არსებული ხელშეკრულებები/აქტები და მიიღო ერთიანი დოკუმენტის სახე. აქედან გამომდინარე, გაერთიანების გარდა ეკონომიკური ხასიათისა, ევროკავშირმა მიიღო ასევე პოლიტიკური ასპექტიც. ევროკავშირის სტრუქტურა მოიცავს რამდენიმე ინსტიტუციას, რომლებიც კურირებენ სხვადასხვა მიმართულებებს. მასტრიხტის ხელშეკრულებით რეგულირდება ისეთი საკითხები, როგორცაა: ერთიანი ბაზრის, სავაჭრო პოლიტიკის, საბაჟო კავშირის, საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის საკითხები. ასევე საერთო საგარეო პოლიტიკის შემუშავება, არაწევრი ქვეყნებისთვის დახმარების სხვადასხვა ფორმები მშვიდობისა და უსაფრთხოების დარგში, სხვადასხვა დაფინანსებები თავდაცვის საკითხებში. ასევე ადამიანის უფლებების დაცვის, სასამართლო სისტემის თანამშრომლობის, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასა და სხვა უამრავ საკითხს. რა თქმა უნდა მოცემული საკითხები გადანაწილებულია შესაბამისი ინსტიტუტების ფუნქციებში. მასტრიხტის ხელშეკრულების შემდგომ 1997 წელს გაფორმდა ამსტერდამის ხელშეკრულება, რომელიც მოიცავდა ისეთ საკითხებს, რომლებიც არ იყო დარეგულირებული მასტრიხტის ხელშეკრულებით. ამსტერდამის ხელშეკრულების საფუძველზე დარეგულირდა ისეთი საკითხები, როგორცაა სავიზო რეჟიმები, თავშესაფრისა და იმიგრაციის პრობლემები, სასაზღვრო პოლიტიკა და სხვა. ასევე ამ ხელშეკრულების საფუძველზე შემოიღეს რამდენიმე თანამდებობა მათ ინსტიტუციებში. აღსანიშნავია ნიცის ხელშეკრულება, რომელიც შემუშავდა 2000 წელს, მაგრამ ძალაში შევიდა 2003 წელს. მოცემული ხელშეკრულების საფუძველზე ძირითადად დარეგულირებულია ინსტიტუციური საკითხები. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ლისაბონის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოეწერა 2007 წელს, თუმცა ძალაში შევიდა 2009 წელს. ამ ხელშეკრულების საფუძველზე შეიცვალა გარკვეული საკითხები, რომელიც მიღებული იქნა ნიცის ხელშეკრულების საფუძველზე. ლისაბონის ხელშეკრულება, მსგავსად ნიცის ხელშეკრულებისა მოიცავდა ინსტიტუციური საკითხების რეგულირების თემებს, ასევე მოცემული ხელშეკრულების საფუძველზე შემოიღეს რამდენიმე პოლიტიკური თანამდებობა ევროკავშირში. აღსანიშნავია, რომ ლისაბონის ხელშეკრულებით ევროკავშირს მიენიჭა სამართალსუბიექტის სტატუსი. რაც შეეხება ევროკავშირის

ძირითად ინსტიტუტებს ესენია: ევროპარლამენტი, ევროკავშირის საბჭო, ევროპული საბჭო, ევროკომისია, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო, ევროპის აუდიტორთა სასამართლო, ევროპის ცენტრალური ბანკი. მოცემული ინსტიტუტების გარდა ევროკავშირში მოქმედებს სხვა დამხმარე ორგანოები სხვადასხვა კომიტეტების სახით.

ევროკავშირის დირექტივებისა და სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, თითოეული ევროკავშირის წევრი ქვეყანა ექვემდებარება გარკვეული სტრატეგიებისა და ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებებს. ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკა ევროკომისიის მიერ განისაზღვრა 2001 წელს (გარკვეული ცვლილებები შევიდა შემდგომ წლებშიც), სადაც მნიშვნელოვანი იყო წევრი ქვეყნების საგადასახადო სისტემის ჰარმონიზება. მიუხედავად ამისა, წევრი ქვეყნის მიერ ხდება კონკრეტულად მოცემული ქვეყნისთვის შესაფერისი საგადასახადო სისტემის არჩევა მათი პრიორიტეტებიდან გამომდინარე. ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტი (ფიზიკური/იურიდიული პირებისთვის) იყო აღმოფხვრილიყო სასაზღვრო დაბრკოლებები. გადასახადებიდან, რაც ჰარმონიზებულია ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში ესენია: დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი, მოგების გადასახადი და საგზაო/სატრანსპორტო გადასახადი. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება დღგ-ზე და აქციზზე, რადგან მოცემული ორი გადასახადი ძლიერ ზეგავლენას ახდენს შიდა ბაზრებზე საქონლისა და მომსახურების გადაადგილების დროს. ამიტომ ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია და ერთ-ერთი პრიორიტეტია არაპირდაპირი გადასახადების ჰარმონიზება. ევროკავშირის მიერ ახალი საკანონმდებლო აქტების წარდგენამდე ან/და საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებამდე, მოცემულს იკვლევენ სხვადასხვა ბიზნეს სექტორში თუ ასოციაციებში, რათა დაიდენტიფიცირდეს მათი პრობლემები, შეხედულებები და ამის შემდეგ ევროკავშირი წარადგენს ახალ კანონპროექტს ან/და საგადასახადო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და მიზნებს. საგადასახადო კანონმდებლობის ძალაში შესვლამდე სავალდებულოა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის თანხმობა. ევროკომისია გასცემს ასევე რეკომენდაციებს ქვეყნებთან მიმართებაში, რომელსაც არა აქვს სავალდებულოდ შესასრულებელი ხასიათი. ევროკომისიის მიერ შემუშავდა ფისკალური პროგრამა 2020,

სადაც ევროკომისია უზრუნველყოფს მხარდაჭერას ევროკავშირში შემავალი ქვეყნების საგადასახადო სისტემების ადმინისტრირებაში. მასში იგულისხმება დადებითი პრაქტიკის გაცვლა და თანამშრომლობა ისეთ საკითხებზე როგორცაა: ფინანსური შემოსავალი, დასაქმებიდან მიღებული შემოსავალი, კაპიტალიდან მიღებული შემოსავალი, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) და აქციზი (www.ec.europa.eu ბოლო შესვლის თარიღი 2019 წლის 5 მაისი). ბოლო წლების რეფორმებიდან, რომელიც დაკავშირებული იყო ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკასთან და ზოგადად საგადასახადო სისტემასთან, შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე მათგანი: ევროკავშირის უმეტეს წევრ ქვეყნებში პერიოდულად მცირდებოდა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები; ასევე შემცირდა მოგების გადასახადის განაკვეთი ბელგიაში, ესტონეთში და ლუქსემბურგში, დაგეგმილია მოცემული გადასახადის განაკვეთის შემცირება კიდევ რამდენიმე ქვეყანაში. მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირების გარდა ბელგიამ გაზარდა დივიდენდების დაბეგვრისაგან გათავისუფლება და 2018 წლიდან გაუქმდა მინიმალური კაპიტალის მოგების მაჩვენებელი მსხვილი კომპანიებისთვის; ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობაში შევიდა ასევე ცვლილებები კაპიტალდაბანდებებთან დაკავშირებით; საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო ისეთ საკითხებს როგორცაა, მაგ: დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) დაბრუნებას, რომელიც მოთხოვნილი იქნებოდა ელექტრონულად (კვიპროსი. 2017); წამყვანი ადგილი უჭირავთ ბიზნესთან კოლაბორაციაში და ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღებაში ისეთ ქვეყნებს, როგორცაა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესტონეთი (ამ უკანასკნელის შემთხვევაში ნათელი მაგალითია მოგების გადასახადის ესტონური მოდელი, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ბიზნესის წარმატებაზე და განვითარებაზე მათ ქვეყანაში, რამაც წახალისა საქართველო, რომ დაენერგათ მოგების გადასახადის ესტონური მოდელი, რომელიც არის გათვლილი გრძელვადიან პერსპექტივაზე და აღნიშნულის შესახებ კვლევა მოცემულია ქვევით როგორც საქართველოსა და ესტონეთის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ასევე საქართველოს მაგალითზე, სადაც ნაჩვენებია მოცემული რეფორმის შედეგები, როგორც შემოსავლების კუთხით, ასევე გადასახადის

გადამხდელების გამოკითხვის საფუძველზე); ასევე ნიდერლანდების მიერ არის დაგეგმილი რეფორმები 2019-2020 წლებში მოგების გადასახადის ჭრილში, რომლის ფარგლებშიც მოსალოდნელი შედეგია, რომ შემცირდეს საგადასახადო ტვირთი შრომაზე; რუმინეთის და ლატვიის შემთხვევაში შემცირდა მოგების გადასახადის განაკვეთები; პორტუგალიის მიერ წარდგენილი იქნა მოგების გადასახადის კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საშუალო/დაბალი შემოსავლების მქონეთათვის საგადასახადო ტვირთის შემცირებას; ევროკავშირის უმეტესი წევრი ქვეყნის მიერ განხორციელდა ცვლილებები სოციალური შენატანების შესახებ; რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობაში შევიდა რიგი გადასახადისაგან გათავისუფლებების ჩამონათვალი, რომელიც ეხებოდა როგორც დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ), ასევე მემკვიდრეობით მიღებული ქონების გადასახადს; ცვლილებები განხორციელდა გადასახადების ადმინისტრირების კუთხით, რომელიც გამოიხატებოდა მეტწილად მომსახურების ელექტრონულად მიღებაში. შემუშავდა გადასახადებისგან თავის არიდების სტრატეგიები და მიდგომები (ბელგია, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი); შემუშავებული იქნა დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებდა საგადასახადო დავების გადაწყვეტის მექანიზმებს.

ეფექტური და სამართლიანი საგადასახადო სისტემის შემუშავების მიზნით, ევროკომისიის მიერ 2015-2016 წლებში შეთავაზებული იქნა ინიციატივა, რომელიც ეხებოდა ყველა გადასახადს. მოგების გადასახადის ჭრილში ის მოიცავდა ისეთ რეფორმებს, რომელითაც უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო მდგრადი შემოსავლების მიღება და ასევე ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება.

ევროკომისიისა და საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა სპეციალური დირექტივები, რომელიც ეხება გადასახადების გადახდისაგან თავის აცილებას (მიღებული იქნა 2016 წელს, ძალაშია 2019 წლიდან) და საგადასახადო გამჭირვალობის გაზრდას (მიღებული იქნა 2014 წელს, ძალაშია 2015 წლიდან), აღსანიშნავია, რომ მოცემულ საკითხზე მანამდეც არსებობდა დირექტივა; მოცემული დირექტივები ითვალისწინებდა შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას (European Commission. 2018. 88): უცხოური კომპანიების კონტროლის წესი, რათა მათ მიერ არ ყოფილიყო გადანაწილებული მოგება ისეთ

ქვეყნებში, რომლებსაც აქვთ დაბალი საგადასახადო განაკვეთები ან/და საერთოდ არა აქვთ; შერეული შეუსაბამობების წესი, რომელიც მიზნად ისახავდა ორმაგი დაბეგვრის პრევენციას; გადასახადისაგან გათავისუფლების წესები, რომელიც მიზნად ისახავდა გადასახადებისაგან თავის არიდების პრევენციას, აქტივების გადატანის გზით; საპროცენტო შეთანხმების წესები, რომელიც არეგულირებს შეამციროს ხელოვნურად შექმნილი ვალების ხელშეკრულებები, რათა არ მოხდეს ამ მიზეზით გადასახადების შემცირება; საგადასახადო გამჭირვალობის კუთხით ავტომატურ რეჟიმში არის ხელმისაწვდომი ინფორმაციის გაცვლა როგორც ფინანსური ანგარიშების შესახებ, ასევე საგადასახადო გადაწყვეტილებების შესახებ; ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგადასახადო ორგანოებს შორის ურთიერთგაცვლითი ანგარიშები ძირითად საგადასახადო საკითხებზე, რომელიც ეხება ევროკავშირში მოქმედ კომპანიებს; ინფორმაციის გაცვლა ხდება საგადასახადო ორგანოებს შორის ფულის გათეთრების შესახებ; 2015-2016 წლებში საერთაშორისო გამჭირვალობის კუთხით ევროკავშირმა ხელი მოაწერა საერთაშორისო ხელშეკრულებას შვეიცარიასთან, ანდორასთან, ლიხტენშტაინთან, სან-მარინოსთან და მონაკოსთან. მოცემული ხელშეკრულების საფუძველზე უფრო გაძლიერდება ბრძოლა გადასახადებისაგან თავის არიდების წინააღმდეგ. მოცემულ ხელშეკრულებაში იგულისხმება, რომ 2018 წლიდან შესაძლებელი იქნება ინფორმაციის გაცვლა ევროკავშირის რეზიდენტების ფინანსური ანგარიშების შესახებ (ეს ნიშნავს იმას, რომ მოცემული საბანკო საიდუმლოება აღარ იქნება). ეს იქნება როგორც პრევენცია, რომ ის პირები რომლებიც თავს არიდებენ გადასახადების გადახდას, ამ მიზნით არ განათავსონ შემოსავლები იმ ქვეყნის ანგარიშებზე, რომლებიც არ შედიან ევროკავშირში. ინფორმაციის ავტომატურ გაცვლას ევროკავშირი მიიჩნევს ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ინსტრუმენტად გადასახადების გადახდისგან თავის არიდების პრევენციისთვის.

2018 წელს მიიღეს და 2020 წლიდან ძალაში შევა დირექტივა გამჭირვალობის შესახებ. იგი ეხება საგადასახადო შუამავლებს, როგორებიც არიან: საგადასახადო მრჩეველები, ბუღალტრები, ადვოკატები, ბანკები. დაიდენტიფიცირდეს პოტენციურად მავნე საგადასახადო სქემები და აღმოჩენის შემთხვევაში ისინი ეცნობოს საგადასახადო

ორგანოებს სამ თვეში ერთხელ. მოცემული დირექტივა ეხება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს. თუმცა ევროკავშირი ცდილობს გლობალურ დონეზე შეამციროს გადასახადისაგან თავის არიდების მცდელობები. ევროკომისიის მიერ მიღებული იქნა ასევე საგადასახადო ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ დირექტივა მესამე ქვეყნებთან მიმართებაში, რომელიც ძალაში შევა 2020 წლიდან.

ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- საგადასახადო ტვირთის და საგადასახადო განაკვეთების შემცირება;
- საგადასახადო სერვისების გამარტივება და მეტწილად ელექტრონულად მიღება/წარმოება;
- საგადასახადო დავების გადაწყვეტის ერთიანი მექანიზმის ჩამოყალიბება;
- გადასახადების გადახდისაგან თავის აცილების პრევენცია;
- საგადასახადო გამჭირვალობის გაზრდა;
- სამართლიანი საგადასახადო სისტემის შემუშავება;
- ინფორმაციის ავტომატური გაცვლა.

ზოგადად რომ განვიხილოთ ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი გადასახადების (პირდაპირი/არაპირდაპირი) პროცენტული მაჩვენებლები როგორც თითოეული ქვეყნის ჭრილში, ასევე მთლიანად ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლები მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებაში, 2010-2017 წლებში ვღებულობთ შემდეგ შედეგს: არაპირდაპირი გადასახადების პროცენტული წილი მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებით მოცემულ მონაკვეთში მერყეობს 13,6%-დან 14,2%-მდე (იხ. დანართი N4), ხოლო პირდაპირი გადასახადების პროცენტული წილი კი 10,7%-დან 11,5%-მდე (იხ. დანართი N5). რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლების ჯამურ შეფარდებას მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებით კი ლავირებს 34,7%-დან 36,4%-მდე (იხ. დანართი N6). 2017 წლის რანჟირების მაჩვენებლების მიხედვით არაპირდაპირი გადასახადების პროცენტული მაჩვენებლების შეფარდებით მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) ქვეყნების ათეული ასე გამოიყურება: შვედეთი (22,7%), ხორვატია (19,6%), უნგრეთი (18,2%), საბერძნეთი (17,3%), საფრანგეთი (16,4%), დანია (16,1%), კვიპროსი (15,9%),

ბულგარეთი (15,1%), პორტუგალია (15,1%) და იტალია (14,6%). პირდაპირი გადასახადების შემთხვევაში კი ათეულში შედის შემდეგი ქვეყნები: დანია (29,9%), შვედეთი (18,9%), ბელგია (17,7), ფინეთი (17%), ლუქსემბურგი (15,6%), იტალია (14,6%), დიდი ბრიტანეთი (14,5%), მალტა (14,1%), საფრანგეთი (13,5%) და გერმანია (13%) (European Commission. 2019. 168-180).

ევროკავშირის წევრი ქვეყნების პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების პროცენტული მაჩვენებლები რომ გავასაშუალოთ და შევადაროთ ერთმანეთს, ჯამურ საგადასახადო შემოსავლებში მათი პროცენტული წილი ნაწილდება შემდეგნაირად: 2010-2017 წლებში არაპირდაპირი გადასახადების წილი მერყეობს 13,6%-დან 14,2%-მდე, ხოლო პირდაპირი გადასახადების წილი კი 10,7%-დან 11,5%-მდე. ამ მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ არაპირდაპირი გადასახადებიდან მეტი საგადასახადო შემოსავლები შემოდის, ვიდრე პირდაპირი გადასახადებიდან, თუმცა რიგი კონკრეტული ქვეყნის მაგალითის შემთხვევაში ეს შეფარდება იცვლება. რაც შეეხება ევროკავშირის წევრი ქვეყნების ჯამური საგადასახადო შემოსავლების პროცენტულ შეფარდებას მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებაში, ზემოთ ხსენებულ პერიოდში ისინი მერყეობს 34,7%-დან 36,4%-მდე, ხოლო 2017 წლის რანჟირების მიხედვით ქვეყნების ათეული ასე გამოიყურება: საფრანგეთი (46,5%), დანია (45,7%), ბელგია (44,9%), შვედეთი (44,4%), ფინეთი (43,3%), იტალია (42,1%), ავსტრია (41,8%), გერმანია (39,1%), საბერძნეთი (38,9%) და ლუქსემბურგი (38,9%). როგორც ვხედავთ მოცემულ ჩამონათვალში ძირითადად განვითარებული ქვეყნები არიან (European Commission. 2019. 168).

საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით ძირითადი კონსულტაციების გაცემის უფლება აქვს ევროპარლამენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განიხილება საბიუჯეტო საკითხი. ხოლო ევროკავშირის საგადასახადო დებულებების შესახებ ძირითადი აქტების მიღება ხდება საბჭოს მიერ, რომელიც მიღებულია ერთსულოვნად კომისიისა და პარლამენტის კონსულტაციების საფუძველზე. მიღებული საგადასახადო აქტების და დებულებების არსია, რომ დაახლოვდეს ეროვნული დებულებები. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება არეგულირებს საგადასახადო საკითხებს, როგორცაა: კანონმდებლობის ჰარმონიზება, არაპირდაპირი გადასახადების

ფუნქციონირების მექანიზმი, კანონმდებლობის სახეები რომლებიც განკუთვნილია შიდა სახელმწიფოებრივი ბაზრებისთვის, კაპიტალის, მომსახურების და ადამიანური რესურსის თავისუფალი გადაადგილება, გარემოს დაცვა, კონკურენცია. საგადასახადო საკითხებთან მიმართებაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას გაძლიერებული ხელშეკრულება. ევროკავშირის სტრატეგია და საგადასახადო პოლიტიკა მოცემულია ევროკომისიის დოკუმენტში - „საგადასახადო პოლიტიკა ევროკავშირში“. აღსანიშნავია, რომ კონკრეტული გადასახადების დანერგვის, შეცვლისა თუ ამოღების უფლება რჩება წევრ სახელმწიფოს, რადგან იგი იღებს იმ გადასახადებს და ქმნის თავის საგადასახადო სისტემას, რომელიც მიზანშეწონილია მოცემული ქვეყნისთვის. ევროკავშირის მიერ შემუშავებულია სტრატეგია 2020, რომელიც უზრუნველყოფს საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებით კოორდინაციის გაზრდას. საინტერესოა განვიხილოთ რამდენიმე ინიციატივა, რომელიც ბოლო წლებში იქნა მიღებული ევროკავშირის მიერ (www.ec.europa.eu ბოლო შესვლის თარიღი 2019 წლის 3 მაისი):

✓ საგადასახადო გამჭირვალობის პაკეტი (18.03.2015); მოცემული ინიციატივა მიზნად ისახავს, წევრი სახელმწიფოების მიერ გამჭირვალობისა და თანამშრომლობის გაუმჯობესებას, ინფორმაციის ავტომატურ გაცვლას;

✓ სამოქმედო გეგმა კორპორაციულ გადასახადებზე (17.06.2015); მოცემული ინიციატივის ფარგლებში არის გაერთიანებული გადასახადებისგან თავის არიდების მექანიზმები, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება. ამ ინიციატივაში გამოსაყოფია ოთხი ძირითადი საკითხი: შეიქმნას კონკურენტული და ზრდაზე ორიენტირებული საგადასახადო გარემო; უზრუნველყოს წევრი ქვეყნებისთვის კორპორატიული აქტივობის სწორად შეფასება თავის იურისდიქციაში; აღადგინოს ეკონომიკური აქტივობის კავშირი გეოგრაფიულ ადგილმდებარეობასა და დაბეგვრას შორის; დაიცვას შიდა ბაზრები;

✓ პაკეტი გადასახადის გადახდისაგან თავის აცილების წინააღმდეგ (28.01.2016); აღნიშნული მიზნის მისაღწევად მოცემული პაკეტი ეყრდნობა სამ ძირითად პრინციპს: ევროკავშირში რომ იყოს უზრუნველყოფილი ეფექტური დაბეგვრის სისტემა, რაშიც იგულისხმება სხვადასხვა დირექტივები თუ ხელშეკრულებები, რომლებიც არის

მიღებული სწორედ გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების წინააღმდეგ; საგადასახადო გამჭირვალობის გაზრდა, რაშიც მოიაზრება ინფორმაციის ავტომატური გაცვლა; მესამე პრინციპი კი არის თანაბარი პირობების შექმნა ბიზნესისთვის;

✓ დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) სამოქმედო გეგმა (07.04.2016); იგი ყველაზე მნიშვნელოვანი გადასახადია მთლიანად ევროკავშირის ტერიტორიაზე და წევრი ქვეყნები და ასევე ევროკავშირში გაწევრიანების მსურველი კანდიდატი ქვეყნების მიერ უნდა მოხდეს ჰარმონიზება ამ გადასახადის კუთხით. მოცემულ სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს: დღგ-ს ერთიანი ევროპული პრინციპების შემუშავებას; მიღებული იქნას გარკვეული ზომები რათა მოხდეს დღგ-ს თაღლითობისგან თავის დაცვა და მოცემულის დაძლევა; განახლდეს ჩარჩო-ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს დღგ-ს განაკვეთებს; გამარტივდეს მოცემული გადასახადის წესები ელექტრონულ ვაჭრობაში; დღგ-ს პრინციპების შემუშავება მცირე ბიზნესისთვის;

✓ დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ციფრული სავაჭრო პაკეტი (01.12.2016); აღნიშნული მიზნად ისახავს დღგ-ს მოდერნიზებას სასაზღვრო ელექტრონული ვაჭრობისთვის, მისი მიზანია ხელი შეუწყოს კონკურენტული გარემოს შექმნას ევროკავშირის ბიზნესისთვის და შეამციროს დღგ-ს ხარჯები იმ ბიზნესისთვის, რომელიც ეწევა ვაჭრობას საზღვრებს მიღმა. ასევე აღნიშნული პაკეტი მოიცავს დღგ-ს თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლას. დღგ-ს ახალი წესები უნდა იყოს მარტივი, თანმიმდევრული, რომელიც გათვლილია ციფრული ეკონომიკისთვის;

✓ ციფრული ეკონომიკის სამართლიანი გადასახადების ინიციატივა (21.03.2018); იგი მიზნად ისახავს ისეთი ეფექტური დაბეგვრის სისტემის შექმნას, რომელიც შესაბამისობაში იქნება ციფრული ეკონომიკასთან და მისი გარემოსთან, სადაც განსაზღვრული იქნება მუდმივი დაწესებულება და მინიმალური ეკონომიკური ქონება;

✓ „სამოთხის ქაღალდი“ (01.01.2018); მოცემული ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს კანონმდებლობის ფარგლებში, რომ მოხდეს საგადასახადო ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლა, რომელიც ეხება ფულის გათეთრებას. მისი საშუალებით საგადასახადო ორგანოებს ექნებათ წვდომა კომპანიების მფლობელებსა და მის ბენეფიციარებზე. მოცემული წესები საშუალებას აძლევს მათ მოახდინონ სწრაფი

რეაგირება გადასახადებისგან თავის არიდებაზე და მათ გადაუხდელობაზე, ასევე სხვადასხვა სტრუქტურულ ფორმებზე, რომლებიც მოცემულია ამ დოკუმენტში.

იქიდან გამომდინარე, რომ ევროკავშირის ტერიტორიაზე ადგილი აქვს გადასახადებისგან თავის არიდების მცდელობებსა თუ სხვადასხვა ფინანსურ დანაშაულებს, ევროპარლამენტის მიერ ხდება გარკვეული ზომების მიღება, როგორც სხვადასხვა რეგულაციების დაწესებით, ასევე მაკონტროლებელი ორგანოების დაფუძნებით, მაგალითად 2018 წლის 1 მარტს ევროპარლამენტის მიერ დაფუძნდა კომიტეტი, რომელიც კურირებს შემდეგ საკითხებს: გადასახადის გადახდისაგან თავის არიდება, გადასახადების გადაუხდელობა და ფინანსური დანაშაულები, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია დღგ-ს თაღლითობაზე, რადგან მოცემული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადასახადია ევროკავშირში.

საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებით ევროკავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტია საგადასახადო ტვირთის შემცირება, რაც თავის თავში გულისხმობს გადასახადის განაკვეთების შემცირებას. მაგალითისთვის ავიღოთ ევროკავშირის წევრი ქვეყნების 2003-2018 წლების მონაკვეთში დღგ, მოგების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი, თუ რა ტენდენციით ხასიათდებოდნენ ისინი: დღგ სხვა გადასახადებისაგან განსხვავებით გამოირჩევა მეტნაკლებად სტაბილურობით, სადაც თითქმის არ ფიქსირდება მოცემული გადასახადის განაკვეთის შემცირება, განაკვეთი უმეტესად სტაბილურია (ბელგია, დანია, ავსტრია, შვედეთი, ბულგარეთი), ასევე გვხვდება განაკვეთის მატებაც (გერმანია, საბერძნეთი, ხორვატია, იტალია, ლუქსემბურგი, პორტუგალია და ა.შ.), თუმცა რუმინეთში ფიქსირდება განაკვეთის მატების შემდეგ კვლავ შემცირება. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ დღგ-ს განაკვეთები ევროკავშირის ქვეყნებში გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდებიან (იხ. დანართი N7). რაც შეეხება მოგების გადასახადის განაკვეთების ცვლილებას, დღგ-საგან განსხვავებით მოგების გადასახადის განაკვეთები ხასიათდება კლების ტენდენციით ევროკავშირის წევრ თითქმის ყველა ქვეყანაში, გარდა კვიპროსისა, სადაც მოცემული გადასახადის განაკვეთი გაზრდილია, ხოლო რამდენიმე ქვეყანაში (საფრანგეთი, საბერძნეთი, ლატვია) კი მოცემული გადასახადის განაკვეთი კლების

შემდგომ ისევ გაიზარდა (იხ. დანართი N8). რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადს, აქ არ არის მკვეთრად გამოხატული მიმართულება ზრდისკენ თუ შემცირებისკენ, ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ნახევრის შემთხვევაში ადგილი აქვს საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის ზრდის ტენდენციას, ხოლო ნაწილის შემთხვევაში - შემცირების ტენდენციას (იხ. დანართი N9). რომ შევაჯამოთ, ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანაში, 2003-2018 წლების მონაკვეთში კლების ტენდენციით ხასიათდება მოგების გადასახადის განაკვეთი, ზრდის ტენდენციით - დღგ-ს განაკვეთი, ხოლო საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემთხვევაში, თანაბრად იყოფა ქვეყნები, სადაც ნაწილთან ფიქსირდება შემცირების ტენდენცია, ნაწილთან კი ზრდის ტენდენცია (European Commission. 2019. 23-41).

ევროკავშირისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია მეწარმეობის განვითარება და მათი ხელშეწყობა, რაც არის კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი. ამისათვის კი ევროკავშირმა შეიმუშავა „მეწარმეობის სამოქმედო გეგმა 2020“, სადაც გათვალისწინებული საკითხები გაერთიანებულია სამ ძირითად მიმართულებად (European Commission. 2013. 3-28):

1) სამეწარმეო განათლება: უნარ-ჩვევები, რაც გააჩნია მეწარმეს არის გარკვეულ დონეზე სწავლებადი, აქედან გამომდინარე ბიზნესის შექმნის, ზრდის და მისი გარემოს განვითარებისთვის შემუშავებულ იქნა ტრენინგები. OECD-თან ერთად ჩამოყალიბდა სახელმძღვანელო ჩარჩო-ხელშეკრულება სამეწარმეო სკოლების განვითარებისთვის;

2) ბიზნეს გარემოს შექმნა და მისი გაუმჯობესება მეწარმეებისთვის: მოცემულში იგულისხმება მათი განვითარების პერსპექტივები, სადაც განვითარებული იქნება როგორც სამართლებრივი ბაზა და გარემო მეწარმეებისთვის, ასევე ფისკალური გარემო. აქვე გამოყოფილია ბიზნეს გარემოს ახალი შესაძლებლობები ციფრულ ერაში, რომელიც დაფუძნებულია ძირითად ტენდენციებზე და ინოვაციურ ბიზნეს მოდელებზე;

3) კონკრეტული ჯგუფების როლი: კონკრეტულ ჯგუფებად შესაძლებელია დაიყოს მაგალითად ქალი მეწარმეები, ახალგაზრდები, დამწყები მეწარმეები და ა.შ. სადაც ისინი ისარგებლებენ მათზე მორგებული სხვადასხვა პროგრამებით, რომლებიც შემუშავებულია სპეციალურად სამიზნე ჯგუფებისთვის, გაცემულია რჩევები და

რეკომენდაციები, რათა ხელი შეუწყონ მათ განვითარებას. აქ ხდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სოციალური მეწარმეების დაკავშირება, ასევე ადგილობრივი ფინანსური შუამავლების ჩართვა და მხარდაჭერა.

„მეწარმეობის სამოქმედო გეგმა 2020“-ის ეტაპები იწყება 2013 წლიდან და მოიცავს სხვადასხვა პერიოდს პროგრამების მიხედვით, ზოგი ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესშია. მეწარმეობის და განსაკუთრებით მცირე ბიზნესის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ევროკავშირისთვის. მცირე ბიზნესში იგულისხმებიან ის ფირმები, რომელთა დასაქმებულები არ აღემატება 250 ადამიანს, თავის მხრივ კი ის იყოფა მიკრო ბიზნესად (დასაქმებულია 9 ადამიანამდე), მცირე ბიზნესად (10-დან 50-მდე დასაქმებული), საშუალო ბიზნესად (50-დან 250-მდე დასაქმებული). იქიდან გამომდინარე, რომ მცირე ბიზნესი იდგა მრავალი პრობლემის წინაშე, როგორცაა: კვალიფიციური კადრების სიმცირე, დაბეგვრის ტვირთი, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სირთულე, სხვადასხვა რეგულაციები, კონკურენტუნარიანობა და ა.შ. ევროკავშირის მიერ ხორციელდებოდა რიგი აქტივობები/პროგრამები, მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად, მაგალითად: გამარტივდა კანონმდებლობის გარკვეული მიმართულება მცირე ბიზნესთან მიმართებით; გამარტივდა საბანკო სესხებზე ხელმისაწვდომობა; ინოვაციური აქტივობები და კვლევები დაფინანსდა კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციების პროგრამის (CIP) მიერ 2007-2013 წლებში, რომლის თანხამ შეადგინა დაახლოებით 3,6 მილიარდი ევრო; პროგრამა INNOVA-ს საშუალებით დაფინანსდა გარკვეული ინოვაციური იდეებისა და კარგი პრაქტიკების გაცვლა კომპანიებსა და ორგანიზაციებს შორის; ასევე ფინანსური სახსრები გამოიყო კვლევებისთვის, რომელიც მიზანმიმართული იყო ახალი ბიზნეს ტექნოლოგიების შემუშავებისთვის და ა.შ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დასტურია იმისა, რომ მცირე ბიზნესის განვითარება ევროკავშირისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამის დასტურია მცირე ბიზნესის შესახებ აქტი, სადაც მოცემული გარკვეული საკანონმდებლო წინადადებები/რეკომენდაციები იმისათვის, რომ შეიქმნას მიმზიდველი გარემო მცირე ბიზნესისთვის. შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე, მაგალითად: დღგ-ს განაკვეთის შემცირება; სამეწარმეო ნიჭის ხელშეწყობა და განათლების მიცემა ახალგაზრდებში;

მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება/ხელშეწყობა პატენტისა და სავაჭრო ნიშნის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; ინოვაციების ხელშეწყობა, სრულყოფა და განვითარება; მცირე და საშუალო ბიზნესის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის განხრით სხვადასხვა ზომების მიღება და ა.შ. ევროკავშირის საწარმოების უმეტესობას (დაახ. 80-90%) წარმოადგენს სწორედ მიკრო საწარმოები და ზემოთ მოცემული რეკომენდაციები აუცილებელია, იმისათვის, რომ მოცემული სექტორი უფრო მეტად გაძლიერდეს და დიდი წვლილი შეიტანოს მის ეკონომიკაში (Kowalska M. 2012. 230-241).

საინტერესოა მცირე ბიზნესის მაჩვენებლების 2015-2016-2017 წლების დინამიკა ევროკავშირში. 2015 წლის მდგომარეობით მეწარმეების საერთო რაოდენობიდან მიკრო ბიზნესი 92,8%-იანი წილით იყო წარმოდგენილი, მცირე ბიზნესი - 6,0%, საშუალო ბიზნესი - 1,0%, ხოლო მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები იყვნენ მხოლოდ 0,2%-ით წარმოდგენილნი. მოცემული პროპორციები შენარჩუნდა 2016-2017 წლებშიც (www.ec.europa.eu; www.statista.com ბოლო შესვლის თარიღი 2019 წლის 7 მაისი). რაც ნათლად წარმოაჩენს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების განვითარების მნიშვნელობას. თუმცა, მიუხედავად რაოდენობრივად დიდი წილისა, 2015 წელს მათ მიერ დასაქმებულების რაოდენობამ შეადგინა შემდეგი: მიკრო ბიზნესი - დასაქმებულების 29,1%, მცირე ბიზნესი - დასაქმებულების 20,2%, საშუალო ბიზნესი - დასაქმებულების 17,1%, ხოლო მსხვილმა ბიზნესმა მოიცვა დასაქმებულების 33,7%. თითქმის ანალოგიური პროცენტული მაჩვენებლები შენარჩუნდა 2016-2017 წლებშიც. რაც შეეხება 2015 წელს მათ მიერ შექმნილ დამატებულ ღირებულებას, მიკრო ბიზნესის მიერ შექმნილი იქნა საერთო რაოდენობის 20,3%, მცირე ბიზნესის მიერ - 17,6%, საშუალო ბიზნესის მიერ 18,5%, ხოლო მსხვილი ბიზნესის მიერ - 43,5%. ხოლო, 2016-2017 წლების მონაცემებით მსხვილი საწარმოების წილი უმნიშვნელო წილით გაიზარდა. რომ შევაჯეროთ 2015-2016-2017 წლების მონაცემები, ვნახავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში მეწარმეების რაოდენობაში ჭარბობს (99,8%) მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, მათ მიერ დასაქმებული ადამიანების წილი შეადგენს 66,4%, ხოლო მათი შექმნილი დამატებული ღირებულება კი ნახევარზე ოდნავ მეტია. ანუ 2015-2016-2017 წლის მდგომარეობით მეწარმეების 0,2% და 99,8% ქმნის

დაახლოებით ტოლ დამატებული ღირებულებას, სადაც ნახევარზე უმნიშვნელოდ მეტია მცირე და საშუალო ბიზნესის წილი, 2017 წლის მონაცემით უფრო მეტი დამატებული ღირებულება შეიქმნა მომსახურების სფეროში, შემდგომ მოდის მრეწველობა, მშენებლობა და სოფლის მეურნეობა (www.ec.europa.eu ბოლო შესვლის თარიღი 2019 წლის 9 მაისი). ეს იმის მანიშნებელია, რომ მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. აუცილებელია დაინერგოს ტექნოლოგიური სიახლეები, რადგან ისინი გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანები და მათ მიერ შეიქმნას უფრო მეტი მოცულობის დამატებული ღირებულება.

ძალიან საინტერესო კვლევა ჩატარდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში 2018 წლის მიწურულს (სექტემბერი-ოქტომბერი), რომელიც ძირითადად ეხებოდა საწარმოების დაფინანსების ხელმისაწვდომობას და კვლევის კითხვარიც შესაბამისად იყო ფორმულირებული (European Commission. 2018. 134-136). გამოკითხული ფირმების საქმიანობის ძირითადი სფეროები კი დაყოფილი იყო შემდეგ კატეგორიებად: მშენებლობა, მრეწველობა, ვაჭრობა და მომსახურება. მოცემული კვლევიდან კი საინტერესოა ის პრობლემები, რომლებსაც ყველაზე ხშირად ხვდებიან ფირმები მათი მოქმედების არეალში, ესენია: მომხმარებლის მოძიება; კონკურენცია; ფინანსების ხელმისაწვდომობა; წარმოების და შრომის ხარჯები; კვალიფიციური კადრების ან/და გამოცდილი მენეჯერების ხელმისაწვდომობა; რეგულირება/რეგულაციები (იხ. დანართი N10). ზემოთ მოცემული ძირითადი პრობლემების პროცენტული მაჩვენებლები ბუნებრივია განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალცალკე: მომხმარებლის მოძიების პრობლემა - მოცემულ პრობლემას შეუძლია დიდი საფრთხე შეუქმნას ნებისმიერ ბიზნეს საქმიანობას. მოცემული პრობლემის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებლით ფიქსირდება დიდი ბრიტანეთის ფირმები გამოკითხვაში 31%-ით, მას მოსდევს ესპანეთი, პორტუგალია, გერმანია, შვედეთი, ბულგარეთი 28%-დან 25%-მდე მაჩვენებლებით. ხოლო მოცემული პრობლემა ნაკლებად აქვს ისეთ ფირმებს, რომლებიც ფუნქციონირებენ ფინეთში (6%), ხორვატიაში (6%), საბერძნეთში (7%), მალტაში (8%), ესტონეთში (9%), კვიპროსში (10%). რაც შეეხება ფირმებისთვის მეორე პრობლემას - კონკურენციას, აქ მაჩვენებლები

შემდეგაირად გამოიყურება: ყველაზე მეტად ეს პრობლემა დგას ლიეტუვას (22%) ტერიტორიაზე მოქმედი ფირმებისთვის, მას მოსდევს ფინეთი, ესტონეთი, კვიპროსი, ლუქსემბურგი, ესპანეთი, ლატვია 22%-დან 16%-მდე მაჩვენებლებით. ხოლო კონკურენციის პრობლემა ყველაზე ნაკლებად დგას ჩეხეთის რესპუბლიკაში, უნგრეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, ხორვატიაში და რუმინეთში, სადაც გამოკითხულთა მხოლოდ 7%-დან 9%-მდე რაოდენობით ფიქსირდება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჯანსაღი კონკურენცია წარმატების საწინდარია, რადგან ფირმებს აქვთ სტიმული მეტად გააუმჯობესონ თავიანთი საქონელი თუ მომსახურება, რათა მოიზიდონ მეტი მომხმარებელი. ჩამოთვლილი პრობლემებიდან მესამე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ნებისმიერი ფირმისათვის თუ მეწარმესთვის არის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, აქ კი ყველაზე დიდი პრობლემა აქვს საბერძნეთის ტერიტორიაზე მოქმედ ფირმებს (17%), ხოლო მას მოყვება კვიპროსი, ლიეტუვა, ხორვატია, იტალია 13%-დან 9%-მდე მაჩვენებლებით. ხოლო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მხრივ ყველაზე ნაკლებად დგანან პრობლემის წინაშე სლოვაკეთი (3%), ფინეთი (4%), ლუქსემბურგი (5%), ესტონეთი (5%), ავსტრია (5%). რაც შეეხება მეოთხე პრობლემას, ეს არის წარმოების და შრომის ხარჯები - ეს პრობლემა კი ყველაზე მეტად დგას ესტონეთში (20%), მას მოჰყვება იტალია, ლიეტუვა და რუმინეთი 18%-იანი მაჩვენებლებით, ხოლო უნგრეთი, სლოვენია და ესპანეთი 17%-დან 14%-მდე მაჩვენებლებით მისდევენ ჩამოთვლილ ქვეყნებს. მოცემული პრობლემა ნაკლებად აწუხებთ ავსტრიაში (7%), კვიპროსსა და გერმანიაში 8%-8%, ლუქსემბურგი, დიდი ბრიტანეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი, ფინეთი და ჰოლანდია მოჰყვებიან 10%-იანი მაჩვენებლებით. შემდეგი პრობლემა, რომელიც ეხება კვალიფიციური კადრების ან/და გამოცდილი მენეჯერების ხელმისაწვდომობას, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან წარმატებული ბიზნესის უკან ყოველთვის დგას მაღალკვალიფიციური კადრი. ამ პრობლემის წინაშე კი დგას ფინეთი (39%) საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებით, მას მოსდევს სლოვაკეთი, ჰოლანდია, ხორვატია, ავსტრია, გერმანია, მალტა 37%-დან 34%-მდე მაჩვენებლებით. ამ მხრივ კი ყველაზე ნაკლები დაბრკოლება აქვს საბერძნეთს (9%), ლიეტუვას (12%), იტალიას (15%), ესპანეთს (16%), პორტუგალიას (17%), დიდი

ბრიტანეთს (19%) და ლატვიას (20%). რაც შეეხება ბოლო პრობლემას, რომელიც ეხება გარკვეულ რეგულირებებსა/რეგულაციებს, ამ მხრივ ყველაზე მეტად ეს იგრძნობა ხორვატიაში (20%), მას მოჰყვება ლუქსემბურგი (18%), ჰოლანდია (16%), ფინეთი (16%), ბელგია (15%), საფრანგეთი (15%). რეგულირების პრობლემები კი ყველაზე ნაკლებად დგას ლიეტუვაში (6%), მას კი მოსდევენ უნგრეთი, საბერძნეთი, ირლანდია - 7%-8%-9% მაჩვენებლებით (იხ. დანართი N10) მოცემულ კვლევაზე დაყრდნობით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მეწარმეებისთვის და იქ არსებული ფირმებისთვის, რომლებიც საქმიანობენ მრეწველობის, მშენებლობის, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროებში, მოხდა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების იდენტიფიცირება (გამოიკითხა დაახლოებით 15 ათასი ფირმა) და მათი საშუალო პროცენტული მაჩვენებლები გადანაწილდა შემდეგნაირად: ყველაზე დიდი პრობლემა მათთვის არის კვალიფიციური კადრების ან/და გამოცდილი მენეჯერების ხელმისაწვდომობა, რაც გამოკითხულთა 25%-მა დაასახელა; მომხმარებლის მოძიება - 23%; რეგულირება/რეგულაციები - 13%; წარმოების ან შრომის ხარჯები - 12%; კონკურენცია - 11%; ფინანსების ხელმისაწვდომობა - 7%; დარჩენილი 8% მიეკუთვნა ყველა სხვა უმნიშვნელო პრობლემებს ერთად. კვლევიდან ჩანს რომ ფირმებისთვის ძირითადი პრობლემის სახით დგას მოთხოვნა ადამიანურ რესურსზე, რომელიც იქნება მეტად კვალიფიციური შესაბამის სფეროში (European Commission. 2018. 134-136).

ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკა ზოგადად მიმართულია მდგრად და ინკლუზიურ ზრდაზე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე, კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ეკონომიკურ ზრდაზე. მას აქვს სხვადასხვა გრძელვადიანი მხარდამჭერი პროგრამები მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, რომელთა მოქმედების პერიოდი ფოკუსირებულია 2014-2020 წლებზე. ამ მიზნებისათვის ის იყენებს სხვადასხვა ფონდებს. ძირითადი ძალა ევროკავშირის რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის და მისი დაფინანსებისთვის არის ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდი (ERDF), ევროპის სოციალური ფონდი (ESF), გაერთიანების ფონდი (CF). მოცემული ფონდების დაფინანსების პრინციპები განსხვავებულია და ის ასევე ითვალისწინებს თანადაფინანსებას,

დაფინანსების მოცულობა მერყეობს მთლიანი ღირებულების 50%-დან 85%-ის ჩათვლით. დაფინანსების თემები და სტრატეგიები განსხვავდება ერთმანეთისგან და ზოგადად რომ ჩამოვაცალიბოთ თუ რის შესაძლებლობას იძლევა სტრუქტურული ფონდების მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკა, მდგომარეობს შემდეგში: სამეწარმეო განათლება სკოლებში/სამეწარმეო სულისკვეთების შექმნა, სამეწარმეო ტრენინგი/როგორ დაიწყო მეწარმეობა და შექმნან საწარმო, რჩევები მეწარმეებს და ბიზნესის დამწყებებს, კომპანიების მხარდაჭერა ინოვაციებში, ინტერნაციონალიზაციაში და კონსოლიდაციაში. მხარდაჭერა შესაძლებელია იყოს როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი. პირდაპირი მხარდაჭერის შემთხვევაში გრანტები გაიცემა პირდაპირ მცირე ბიზნესზე, ხოლო არაპირდაპირი მხარდაჭერის შემთხვევაში კი გრანტები ან/და მომსახურება გაიცემა იმ პროექტის მიმართ, რომელიც ეხმარება მცირე ბიზნესს განვითარებაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაფინანსება არ გაიცემა წინასწარ. ამ ფონდებისთვის გამოიყო დაახლოებით 300 მილიარდი ევრო 2014-2020 წლებისთვის (European Commission. 2012. 46), სხვადასხვა პროგრამების განსახორციელებლად. მაგალითად, ზემოთ ჩამოთვლილი ფონდებით ფინანსდება: ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის გამოყენება მცირე და საშუალო ბიზნესში; ახალი ბიზნეს მოდელები მცირე და საშუალო მეწარმეობაში; სოციალური საწარმოების მხარდაჭერა; ბიზნეს ინკუბატორების განვითარება; ახალი ბიზნესის შექმნის, ახალი ბიზნესისთვის იდეის და თვითდასაქმებულების მხარდაჭერა; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროდუქტებისა და სერვისების განვითარება, ელექტრონულ კომერციაში, ელექტრონულ მმართველობაში, ელექტრონულ სწავლებაში და ელექტრონულ ჯანდაცვაში; ტრენინგები საზღვარგარეთ, რომელიც ეხება შრომის მობილობას, ასევე მეწარმეებისა და საწარმოების ადაპტაციას, გენდერულ თანასწორობას, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას;

ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებების და დაფინანსების სახეების საფუძველზე, 2014-2020 წლების პროგრამების ძირითადი პრიორიტეტები, რომლებიც ეხება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასა და მეწარმეობის მხარდაჭერას, შეგვიძლია შემდეგნაირად ჩამოვაცალიბოთ (European Commission. 2013. 11-18):

- ✚ ტექნოლოგიური განვითარება, ინოვაცია და კვლევების გაძლიერება;
- ✚ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემების ხარისხისა და გამოყენების ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ✚ მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- ✚ დასაქმების და შრომის მობილობის ხელშეწყობა;
- ✚ სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა და სიღარიბესთან ბრძოლა;
- ✚ პროდუქტიული ინვესტიციები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;
- ✚ ინვესტირება განათლებაში;
- ✚ ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდა და ეფექტური საჯარო ადმინისტრირება.

ევროკავშირისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და მისი ხელშეწყობა მის წევრ ქვეყნებში, რადგან სწორედ მოცემული კატეგორია იკავებს მნიშვნელოვან წილს მთლიანად ევროკავშირის ტერიტორიაზე არსებულ ბიზნესს შორის და ზოგადად მის ეკონომიკაში. ძალიან მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია, თუმცა მათთვის არსებობს რიგი პრობლემები, როგორცაა: არასაკმარისი საბრუნავი კაპიტალი ექსპორტის დასაფინანსებლად, უცხოური ბიზნესის შესაძლებლობის იდენტიფიცირების სირთულე, ბაზრების ანალიზისთვის არასაკმარისი ინფორმაცია, პოტენციურ უცხოელ მომხმარებელთან დაკავშირების ბარიერი, საიმედო უცხოური წარმომადგენლის ძიების სირთულე, მენეჯმენტის დროის ნაკლებობა, არასაკმარისი ან/და არაკვალიფიციური სამუშაო ძალა (European Commission. 2014. 9-24). ინტერნაციონალიზაცია კი არის მნიშვნელოვანი, რომ მოცემული საწარმოები უფრო კონკურენტუნარიანები არიან, ვიდრე შიდა საწარმოები. ხოლო კონკურენტუნარიანობა თავის მხრივ არის გრძელვადიან პერიოდში საწარმოს არსებობის გარანტია.

ინტერნაციონალიზაციას თუ განვიხილავთ საქმიანობის მიმართულებების განხრით, უნდა გამოიყოს რამდენიმე მიმართულება, რომელიც უფრო საერთაშორისო სექტორია, ესენია: ვაჭრობა, წარმოება, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო მიმართულებები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასევე მნიშვნელოვანია ელექტრონულ კომერციაში

ჩართულობის ფაქტორი. რადგან ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ინტერნეტის საშუალებით უფრო მარტივია არსებული ბარიერების გადალახვა. სხვადასხვა კვლევების საფუძველზე გამოვლინდა ის პრობლემები და ბარიერები, რომლებიც აქვთ მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებს როგორც შიდა, ასევე საგარეო დონეზე, ისინი ასე გამოიყურება (European Commission. 2014. 9-24): პროდუქტებისა და მომსახურების ფასი; ინტერნაციონალიზაციის მაღალი ღირებულება; პროდუქციის ხარისხი და კვალიფიციური კადრების ნაკლებობა; მოცემული ფირმის პროდუქციის სპეციფიკები; ენა; კაპიტალის ნაკლებობა/არარსებობა; შესაბამისი საზოგადოებრივი მხარდაჭერის ნაკლებობა; ადეკვატური ინფორმაციის ნაკლებობა; სატრანსპორტო დოკუმენტაციის სირთულე და მისი დანახარჯები; უცხო ქვეყნების კანონები და რეგულაციები; უცხო ბაზრებზე სავაჭრო ტარიფები და ბარიერები; კულტურული განსხვავებები, მათ შორის ბიზნეს დონეზეც. მოცემული პრობლემების აღმოფხვრას ითვალისწინებს სტრატეგია 2014-2020 და ევროკავშირის ზემოთ ხსენებული ფონდები, რომელთა მიერ ხდება სპეციალური პროგრამებისა და მისი დაფინანსების გეგმის შემუშავება. ამ სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდა: ტრენინგ პროგრამა, რომელიც ეხებოდა მზარდ ბიზნეს მიმართულებებს ცენტრალური ევროპის მასშტაბით, რათა გაძლიერებულიყო კონკურენტუნარიანობა და ინოვაცია. აღნიშნული განხორციელდა (2013წ) იტალიაში, უნგრეთში, ავსტრიაში, პოლონეთში, სლოვენიაში და სლოვაკეთში. საქმიანობების მხრივ ის მოიცავდა ალტერნატიულ ენერჯის, ტანსაცმლის, ავიაციის, დიზაინის, პლასმასის და ავტომობილების მიმართულებებს. მისი დაფინანსებისთვის ევროკავშირმა 1,715,630 ევრო გამოყო (European Commission. 2014. 36). ფინეთში განხორციელდა (2013წ) ტრენინგ პროგრამა მდგრადი ხის ენერჯის შესახებ (აღმოსავლეთ ფინეთი არის მსოფლიო ლიდერი სატყეო ტექნოლოგიებში), სადაც არის მდგრადი ენერჯის ექსპერტიზის ქსელი. მოცემული პროექტი ორიენტირებული იყო ენერგო პროდუქტებისა და სერვისების მარკეტინგის გაუმჯობესებაზე. მოცემულ პროექტზე ევროკავშირის ინვესტიციამ 162,400 ევრო შეადგინა (European Commission. 2014. 40) და ა.შ.

ევროკავშირის მიერ შემუშავებულია სტანდარტები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (European Commission. 2012. 9-32), მისი მიზანია პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; სტანდარტების მეშვეობით მათ აქვთ საშუალება მოახდინონ მომსახურების და პროდუქციის ხარისხის დემონსტრირება; იზრდება ნდობა მოცემული საწარმოების მიერ შექმნილი პროდუქციისა და მომსახურების მიმართ; შეუძლიათ გააუმჯობესონ კომპანიის იმიჯი; თანამშრომლობის შესაძლებლობა და საერთო ენის გამონახვა ვაჭრობაში; კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ დოკუმენტებთან თავსებადობის შესაძლებლობის ამაღლება; საჯარო შესყიდვებში ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების შესაძლებლობა; შიდა რისკების მენეჯმენტისა და დაგეგმვის გაუმჯობესების შესაძლებლობა; შემცირებული დანახარჯები; გაზრდილი კონკურენტუნარიანობა და ა.შ. თუმცა, მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი სარგებლისა, ასევე აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო საწარმოებს ექმნებათ გარკვეული პრობლემები მათთან მიმართებაში, რაც გამოიხატება შემდეგში: კვლევებმა აჩვენა, რომ საჭიროა ცნობიერების ამაღლება სტანდარტებთან მიმართებაში, რადგან სტანდარტების სიმრავლიდან გამომდინარე, მათ უჭირთ იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც იქნება უშუალოდ მათი საქმიანობის მქონე ფირმებისთვის მნიშვნელოვანი. აღსანიშნავია, რომ ხშირად მცირე ზომის საწარმოებს, არა აქვთ გრძელვადიანი ხედვა თავიანთ ბიზნესს საქმიანობაზე და შესაბამისად აქვთ სტრატეგიული რესურსების ნაკლებობა. შესაბამისად, ისინი არ ცდილობენ გარკვეული სტანდარტების მიღებას მომავალში, აქედან გამომდინარე ისინი სტანდარტებზე შესაბამისობას მიიჩნევენ ბიზნესის დაბრკოლებად. ამიტომ ამ მხრივ აუცილებელია ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, რადგან სტანდარტებს შეუძლია მოუტანოს ბიზნესს სარგებელი, ვიდრე დაბრკოლება. ასევე მცირე ბიზნესისთვის სირთულეს წარმოადგენს სტანდარტების კომბინაცია, რომელიც მოიცავს როგორც ადგილობრივ, ასევე ევროპულ სტანდარტებს. საგულისხმოა, რომ მცირე ბიზნესის მიერ სწორად შერჩეული სტანდარტის შემთხვევაში პრობლემად შეიძლება იქცეს გარკვეული ხარჯები, რომლებიც სტანდარტების მიღებასთან არის დაკავშირებული. თუმცა მეორე

უკიდურესობაა, როდესაც ბიზნესის მიერ შექმნილია არასწორი სტანდარტი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ცნობიერების ამაღლება სტანდარტიზაციის კუთხით და სწორი ინფორმაციის მიწოდება მეწარმეებისთვის. აქვე გამოსაყოფია ტექნიკური ბარიერები სტანდარტებთან მიმართებაში, რაც გამოიხატება მათ სწორად გაგებაში. რადგან სტანდარტები მოცემულია რთული ტექნიკური და ტერმინოლოგიური ტექსტით, ასევე სირთულეს წარმოადგენს მოცემული სტანდარტების ეროვნულ ენაზე არარსებობა. სტანდარტებში უხვად არის მითითებული დამატებით კიდევ სხვა სტანდარტები, რაც ართულებს ასევე მის გაგებას. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ მცირე ბიზნესის უმეტესობას აქვს ცოდნისა და უნარ-ჩვევების ნაკლებობა, რათა გაიგონ კონკრეტული სტანდარტი.

მოკლედ რომ შევაჯამოთ ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკის თავისებურებები და საგადასახადო სისტემის ძირითადი მახასიათებლები, იკვეთება შემდეგი სურათი: ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით ევროკავშირი ძირითად აქცენტს არაპირდაპირ გადასახადებზე აკეთებს და მათ მიერ განხორციელებული რეფორმების უმეტესი ნაწილი სწორედ არაპირდაპირ გადასახადებს, განსაკუთრებით დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ) და აქციზს ეხება. ევროკავშირის მიერ მის იურისდიქციაში შემავალი ქვეყნებისთვის სხვადასხვა მიმართულებით შემუშავებულია დირექტივები, რომელიც გულისხმობს წევრი ქვეყნების საგადასახადო სისტემის ჰარმონიზებას (განსაკუთრებით არაპირდაპირი გადასახადების მიმართულებით), თუმცა მიუხედავად ამისა, წევრი ქვეყნის მიერ ხდება კონკრეტულად მოცემული ქვეყნისთვის შესაფერისი საგადასახადო სისტემის არჩევა მათი პრიორიტეტებიდან გამომდინარე. მოკლედ რომ განვიხილოთ ის ძირითადი რეფორმები საგადასახადო მიმართულებით, რაც განხორციელდა ბოლო წლებში ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გამოიხატა შემდეგში: ევროკავშირის უმეტეს წევრ ქვეყანაში მცირდებოდა პირდაპირი გადასახადების განაკვეთები (საშემოსავლო, მოგება), ასევე ცვლილებები შეეხო კაპიტალდაბანდებებს, გადასახადების ადმინისტრირებას და ა.შ. ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, სადაც განხორციელდა რეფორმები მოიცავს შემდეგს: საგადასახადო ტვირთის და საგადასახადო განაკვეთების

შემცირებას, საგადასახადო სერვისების გამარტივებას და მეტწილად ელექტრონულად მიღება/წარმოებას, საგადასახადო დავების გადაწყვეტის ერთიანი მექანიზმების ჩამოყალიბებას, გადასახადების გადახდისაგან თავის აცილების პრევენციას (რისთვისაც შემუშავდა სპეციალური დირექტივა), საგადასახადო გამჭირვალობის გაზრდას, სამართლიანი საგადასახადო სისტემის შემუშავებას და ინფორმაციის ავტომატურ გაცვლას. ზოგადად, რომ ავიღოთ ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგადასახადო შემოსავლების საშუალო მაჩვენებელი, საშუალო პროცენტული მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ არაპირდაპირი გადასახადებიდან მეტი საგადასახადო შემოსავლები შემოდის, ვიდრე პირდაპირი გადასახადებიდან, თუმცა, რიგი კონკრეტული ქვეყნის მაგალითის შემთხვევაში ეს შეფარდება იცვლება. ევროკავშირისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია მეწარმეობის განვითარება და მათი ხელშეწყობა, რაც არის კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი. ამის დასტურია „მეწარმეობის სამოქმედო გეგმა 2020“, რომელიც არის გაწერილი სამ ძირითად მიმართულებად: სამეწარმეო განათლება; ბიზნეს გარემოს შექმნა და მისი გაუმჯობესება მეწარმეებისთვის; კონკრეტული ჯგუფების როლი. ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკა ზოგადად მიმართულია მდგრად და ინკლუზიურ ზრდაზე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე, კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ეკონომიკურ ზრდაზე. მას აქვს სხვადასხვა გრძელვადიანი მხარდამჭერი პროგრამები მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. მეწარმეობის დონის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად მთლიანად მეწარმეებში, მცირე და საშუალო ბიზნესის დიდი წილობრივი როლისა, მათი მიერ დასაქმებული ადამიანების წილობრივი რაოდენობა ნახევარზე ოდნავ მეტია, ხოლო შექმნილი დამატებული ღირებულება კი დაახლოებით მთლიანი რაოდენობის ნახევარია. აქედან გამომდინარე, შეიძლება თქვას, რომ ის სტრატეგიები და ღონისძიებები, რომლებიც ტარდება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის, მიზანმიმართულია იმ მიზნისკენ, რომ მათ ჰქონდეთ დიდი წილი არა მარტო რაოდენობაში, არამედ შექმნილ დამატებულ ღირებულებაში და დასაქმების მაჩვენებელში. ბოლო წლების ტენდენცია კი ნათლად ასახავს, მოცემული სექტორის დიდ მნიშვნელობას და გავლენას მთლიან ეკონომიკაზე.

2.3 საგადასახადო პოლიტიკისა და მეწარმეობის ურთიერთზემოქმედების შედეგები ვიშეგრადის ქვეყნებში ევროკავშირში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგ

ვიშეგრადის ჯგუფში ამჟამად იგულისხმება ცენტრალური ევროპის ოთხი პოსტსაბჭოთა ქვეყანა: ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი და სლოვაკეთი. მოცემული გაერთიანება ჩამოყალიბდა 1991 წლის 15 თებერვალს, ვიშეგრადის სამეულის სახით, ხელმოწერილი იქნა დეკლარაცია თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ევროპული ინტეგრაციისაკენ მიმავალ გზაზე მოცემული ქვეყნების ურთიერთდახმარებას გულისხმობდა, რადგან მათ გააჩნდათ ერთნაირი წარსული და მეტნაკლებად ერთნაირი სასტატო პირობები. ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნა სამი სახელმწიფოს პრეზიდენტების მიერ, 1993 წელს კი ჩეხოსლოვაკია გაიყო ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ჩეხეთად და სლოვაკეთად, აქედან გამომდინარე, გაერთიანება მოიცავს ოთხ პოსტსაბჭოთა ქვეყანას და მოიხსენიება როგორც ვიშეგრადის ოთხეული.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ქვეყნებს საერთო მიზნები და მეტნაკლებად ერთნაირი ისტორიული პოლიტიკურ-ეკონომიკური წარსული ჰქონდათ, მოცემული ქვეყნები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა მაგ: ეკონომიკის საწყისი მდგომარეობა (საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ), სახელმწიფოს ზომა, მოსახლეობის რიცხოვნობა და სხვა.

როგორც ცნობილია ევროკავშირი გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს მოცემულ გაერთიანებაში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს. დაკმაყოფილებული უნდა იქნეს კოპენჰაგენის კრიტერიუმები, ასევე ევროპის სავალუტო კავშირის მოთხოვნები, ე.წ. კონვერგენციის ანუ მასტრიხტის კრიტერიუმები. კოპენჰაგენის კრიტერიუმებით (1993წ) განისაზღვრება პირობები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ევროკავშირში გასაწევრიანებელი კანდიდატი ქვეყანა. ეს კრიტერიუმები კი შესაძლებელია დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად: 1. პოლიტიკური კრიტერიუმები. კანდიდატი ქვეყნის მიერ უნდა იქნეს მიღწეული დემოკრატიის უზრუნველყოფი ინსტიტუტების სტაბილურობა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების, ასევე ეროვნულ უმცირესობათა უფლებების პატივისცემა და დაცვა. 2. ეკონომიკური კრიტერიუმები. ფუნქციონირებადი

საბაზრო ეკონომიკის არსებობა და ევროკავშირის შიდა ბაზარზე კონკურენტუნარიანობა. 3. ევროკავშირში გასაწევრიანებელ კანდიდატ ქვეყანას უნდა ჰქონდეს წევრობის ვალდებულებათა თავის თავზე აღების შესაძლებლობა, რაშიც იგულისხმება კავშირის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სავალუტო მიზნებთან მიერთება („acquis communautaire“), რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის კანონმდებლობის ერთობლიობას. ევროკავშირის სტრატეგია შედგება ოთხი კომპონენტისაგან, ესენია: დასაქმება, მწარმოებლურობა, ადაპტირების უნარი და თანაბარი შესაძლებლობები. რაც შეეხება ევროკავშირში გაწევრიანების მსურველი კანდიდატი ქვეყნისთვის მასტრიხტის კრიტერიუმებს, შეიძლება დაჯგუფდეს ოთხ ძირითად კრიტერიუმად: 1. გაწევრიანების პროცესში მყოფ სახელმწიფოში საბიუჯეტო დეფიციტი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებაში არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს; 2. მთლიანი საბიუჯეტო დავალიანება მოცემულ სახელმწიფოებში არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს; 3. ინფლაცია გაწევრიანების პროცესში მყოფ ქვეყანაში, ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამი საუკეთესო მაჩვენებლიდან გამოყვანილ საშუალო მაჩვენებელს არ უნდა აღემატებოდეს 1.5%-ზე მეტით; 4. შენარჩუნებული უნდა იყოს გაცვლითი კურსის სტაბილურობა (ბოლო ორი წლის განმავლობაში).

მიუხედავად ევროკავშირის უამრავი მოთხოვნისა თუ კრიტერიუმისა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი ქვეყანა, საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა ვიშეგრადის ქვეყნებთან მიმართებაში. ევროკავშირში გაწევრიანებამდე (2003წ) მოცემული ქვეყნები (გარდა სლოვაკეთისა) ვერ აკმაყოფილებდნენ მასტრიხტის იმ კრიტერიუმს, რომელიც გულისხმობს საბიუჯეტო დეფიციტის ქვეყნის მშპ-სთან მიმართებას, სადაც ის არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს (იხ. დანართი N11), მიუხედავად ამისა ისინი ევროკავშირში გაწევრიანდნენ 2004 წელს. მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლისთვის, მდგომარეობა გაუმჯობესებულია მოცემული ქვეყნებისთვის, 3%-იან ზღვარს აკმაყოფილებს მხოლოდ ჩეხეთი და სლოვაკეთი. უნგრეთი და პოლონეთი ისევ ზღვარს მიღმა რჩებიან უკვე გაწევრიანების წლის მონაცემებით (იხ. დანართი N12). რაც შეეხება ამ ქვეყნების შემდგომი პერიოდის მონაცემებს, ამ კრიტერიუმის მიხედვით შემდეგია (იხ. ცხრილი N1): ცხრილიდან ჩანს, რომ აღნიშნული კრიტერიუმის

დაკმაყოფილება საკმაოდ რთული საკითხია ვიშეგრადის ქვეყნებისთვის. 2007 წლისთვის უნგრეთის გარდა ყველა ქვეყანა აკმაყოფილებდა ამ ზღვარს, 2010 წლისთვის კი 3%-იან ზღვარს გადასცდა ოთხივე ქვეყანა, მოცემული მაჩვენებელი გაორმაგებულზე მეტი იყო პოლონეთისა და სლოვაკეთის შემთხვევაში. 2014 წლისთვის კი პოლონეთის გარდა სხვა ქვეყნებმა დაარეგულირეს აღნიშნული კრიტერიუმის ზღვარი. ხოლო 2016 წლისთვის, ვიშეგრადის ქვეყნები აკმაყოფილებენ მასტრიხტის ხელშეკრულებით დადგენილს 3%-იან ზღვარს. 2017 წლის დასაწყისისთვის კი მოცემული ქვეყნებიდან საუკეთესო მაჩვენებელი აჩვენა ჩეხეთმა, შემდეგ სლოვაკეთმა, უნგრეთმა და ბოლო ადგილი კი ერგო პოლონეთს (Gorniewicz G. 2018. 191-200).

ცხრილი N1

ვიშეგრადის ქვეყნების ბიუჯეტის დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში (%)

| ქვეყანა | 2007 | 2010 | 2014 | 2016 |
|--------------------|------|------|------|------|
| ჩეხეთის რესპუბლიკა | -0,7 | -4,4 | -1,9 | 0,7 |
| უნგრეთი | -5,1 | -4,5 | -2,1 | -1,9 |
| პოლონეთი | -1,9 | -7,3 | -3,4 | -2,5 |
| სლოვაკეთი | -1,9 | -7,5 | -2,7 | -2,2 |

წყარო: Gorniewicz G. 2018

ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნები ევროკავშირში 2004 წლის 1 მაისს გაწევრიანდნენ. მიუხედავად მათი მსგავსებებისა, თითოეული ქვეყანა ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც საგადასახადო პოლიტიკით, ასევე საგადასახადო სისტემით. განვიხილოთ რა თავისებურებებით გამოირჩევა თითოეული მათგანის ამჟამინდელი საგადასახადო სისტემა და რა სახის გადასახადები მოქმედებს, როგორია მათი განაკვეთების ცვლილების დინამიკა; გაანალიზდეს მეწარმეობის განვითარების დონე; რა წილი აქვს მცირე და საშუალო ბიზნესს, როგორია მათ მიერ დასაქმებულთა და შექმნილი დამატებული ღირებულების პროცენტული მაჩვენებლები მთლიან რაოდენობასთან მიმართებაში; საინტერესოა ასევე მხარდამჭერი პროექტები, რომლებიც ხორციელდება მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობის კუთხით მოცემულ ქვეყნებში;

შევაჯეროთ საგადასახადო პოლიტიკის პრიორიტეტები ევროკავშირში გაწევრიანებამდე და მას შემდეგ, თუ ოთხეულის რომელ ქვეყანას გააჩნდა უფრო მეტი ბერკეტი ქვეყანაში მეწარმეობის წარმატებით განვითარებისთვის.

ჩეხეთის რესპუბლიკა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩეხეთში 1991-1992 წლებში ცვლილებები განხორციელდა გადასახადების მიმართულებით მათი გამარტივების მიზნით. ჩეხეთის ამჟამინდელი საგადასახადო სისტემა ძალაშია 1993 წლიდან. მანამდე არსებული 17 გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 8. მისი ძირითადი მახასიათებლები გადმოღებული იყო OECD ქვეყნების საგადასახადო სისტემებიდან. საგადასახადო სისტემაში განხორციელებული ცვლილებები ძირითადად ნაკარნახევი იყო ევროკავშირში ჰარმონიზაციის კუთხით მათ საკანონმდებლო სისტემის დაახლოებასთან და მათი დეტალური ეკონომიკური ანალიზი, თუ როგორ გავლენას მოახდენდა ქვეყნის ეკონომიკაზე, არ ჩატარებულა. მათი ეკონომიკური რეფორმა დაფუძნებული იყო ოთხ ძირითად მიმართულებაზე (ფასების ლიბერალიზაცია, პრივატიზაცია, შიდა ვალუტის კონვერტაცია, საგადასახადო რეფორმა). აღსანიშნავია, რომ ეს იყო ძირეული რეფორმები და ცვლილებები საგადასახადო სისტემაში და ის არ მოიცავდა მხოლოდ გადასახადების რაოდენობის შემცირებას, შეიქმნა სრულიად ახალი საგადასახადო სისტემა, რომელიც მორგებული იყო საბაზრო ეკონომიკაზე და შრომისა და კაპიტალის ბაზრებზე. გადასახადების რაოდენობასთან ერთად გრძელვადიან პერიოდში მცირდებოდა გადასახადის განაკვეთებიც (1993-2001წწ). თუმცა, რიგი გადასახადის განაკვეთები მაღალი იყო (იხ. დანართი N13), რაც უბიძგებდა გადამხდელებს რომ თავი აერიდებინათ გადასახადის გადახდისთვის. ჩეხეთსა და სლოვაკეთში ჩატარდა კვლევები, რომ დაედგინათ რამდენი ადამიანი არიდებდა თავს გადასახადის გადახდას. გამოიკვეთა, რომ მიუხედავად იმისა, რომ თავს არიდებდნენ გადასახადების გადახდას, ისინი არ აღიარებდნენ, რომ ამქმედებით ისინი მონაწილეობდნენ „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის მასშტაბების ზრდაში. კვლევამ გამოავლინა, რომ ადამიანებს რომელთაც ქონდათ აღურიცხავი შემოსავალი შეადგენდა დაახლოებით 38,3%-ს, ხოლო თუ ოდესმე შეუძენია დაურეგისტრირებელი საქონელი/მომსახურება შეადგინა 49,4% (Hanousek J., Palda F. 2002. 1-35), ეს მაჩვენებელი იყო მაღალი. ასევე კითხვაზე თუ როგორი ინტენსივობით იყვნენ

ისინი დასაქმებულები „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის სექტორში და თუ იღებდნენ ისინი დაურეგისტრირებელ შემოსავლებს, პერიოდულობისა და სიხშირის მიხედვით გამოვლინდა შემდეგი პროცენტული მაჩვენებლები (იხ. ცხრილი N2).

ცხრილი N2

ჩრდილოვან ეკონომიკაში ჩართულობა ჩეხეთში (%)

| ინტენსივობა | 1995 | 1999 | 2000 |
|-------------|------|------|------|
| ხშირად | 3,9 | 3,7 | 3,9 |
| ზოგჯერ | 21,3 | 16,7 | 21,3 |
| არასდროს | 74,8 | 79,6 | 74,8 |

წყარო: Hanousek J. Palda F. 2002

1990-1993 წლებში ჩეხეთის ეკონომიკა გარდამავალ პერიოდს გადიოდა და მიმდინარეობდა პრივატიზაციის პროცესი. მცირე და საშუალო ბიზნესი სწრაფად განვითარდა, რასაც ვერ ვიტყვით მსხვილ ფირმებზე. რომ გადავხედოთ 1990-1994 წლების მონაცემებს მეწარმეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში მკვეთრად გაიზარდა (12,3%-დან 56,3%-მდე). რაც მიუთითებს მცირე და საშუალო ბიზნესის არსებით როლზე ეკონომიკის განვითარებაში. მოცემულ პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა მეწარმეებისთვის იყო ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, მიუხედავად ამისა, რეგისტრირებული მეწარმეების რაოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, მაგ: 1990-1994 წლების მონაკვეთში დაახ. 98%-ით გაიზარდა (18,837-დან 1,085,446-მდე). აღნიშნული მიაწინებს ჩეხეთში მეწარმეების აქტიურობაზე და უზარმაზარ წინსვლაზე დროის მოკლე მონაკვეთში. 1994 წლისთვის ისინი ფუნქციონირებდნენ შემდეგ ძირითად სფეროებში: ვაჭრობა, ფასიანი მომსახურება, წარმოება, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი/კომუნიკაცია და ა.შ. მთლიანი მეწარმეების რაოდენობიდან კი წამყვანი წილი (68%) ეკავათ მიკრო საწარმოებს, სადაც დასაქმებულების რაოდენობა არ აღემატებოდა 5-ს, ხოლო ის საწარმოები სადაც დასაქმებულები იყვნენ 6-დან 24-მდე, მათი წილი შეადგენდა დაახ. 20%-ს. 1993 წლისთვის საბანკო სექტორი ოდნავ გაუმჯობესდა (თუმცა ეფექტურად ვერ ფუნქციონირებდნენ) და მათი რაოდენობა 1990-1994 წლებში გაიზარდა 9-დან 59-მდე. არ იყო სათანადოდ განვითარებული სახელმწიფო

ინსტიტუციები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას. პრობლემას წარმოადგენდა კვალიფიციური მუშა ხელის სიმცირე. 1993 წელს შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი, ასევე ჩეხეთი გადიოდა ჰარმონიზაციის პროცესს დღეში, რის გამოც საკვებ პროდუქტებზე 5%-იანი განაკვეთი გაიზარდა 22-23%-მდე, რაც დამატებითი ტვირთი იყო მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (1993 წლის შემდგომ ფიქსირდება მეწარმეების მცირედით კლება და შემდგომ ისევ ზრდა, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს ამ ფაქტითაც). მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას გააზრებული ჰქონდა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მნიშვნელობა, რაიმე კონკრეტული გეგმა არ იყო შემუშავებული. ამ პერიოდში შესაძლებელია გამოიყოს PHARE პროგრამა (პროგრამა, რომელიც დაფინანსებული იყო ევროკავშირის მიერ და შემუშავებული იყო ევროკავშირში გასაწევრიანებელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის), რომელიც ძირითადად გასცემდა მცირე ოდენობის სესხებს და საკრედიტო გარანტიებს. ასევე მოქმედებდა გარკვეული პროგრამები, რომელიც ფინანსდებოდა ეკონომიკის სამინისტროს მიერ, რომელის თანხებიც გამოყოფილი იყო როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე ეროვნული ქონების ფონდიდან. (Benacek V., Zemplerova A. 1995. 437-450). მეწარმეთა რაოდენობა 1995 წლისთვის მკვეთრად შემცირდა, მოცემულის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სირთულე და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების სიმცირე 1998 წლამდე. მოცემული კი ხელისშემშლელი ფაქტორია მეწარმეობის განვითარებისთვის. 1995-1999 წლებში რეგისტრირებული მეწარმეების რაოდენობამ ოდნავ მოიმატა და ზრდის მაჩვენებელმა დაახ. 23% შეადგინა. 1999 წლისთვის მცირე და საშუალო მეწარმეების რაოდენობა დაახ. 850 ათას შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ საწარმოებმა მოცემულ პერიოდში დაიწყეს კონკურენტუნარიანობაზე ზრუნვა, მათ გაზარდეს პროდუქციის ხარისხი, წარმოებული პროდუქცია უფრო მრავალფეროვანი გახადეს და ა.შ. 1995-1999 წლებში მკვეთრად გაიზარდა მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება და დასაქმებულთა რაოდენობა. შექმნილი დამატებული ღირებულებიდან, უმეტესი წილი მოდიოდა ვაჭრობაზე, მრეწველობაზე, მომსახურებაზე, მშენებლობაზე და სატრანსპორტო სექტორზე. ჩეხეთი იდგა არჩევანის წინაშე, ინვესტორების წახალისების მიზნით დაეშვა

თუ არა უთანასწორო მდგომარეობა კონკურენციის მხრივ ადგილობრივ ფირმებთან მიმართებით. აქ გასათვალისწინებელი იყო, რომ უცხოელი ინვესტორები შეღავათების გაუქმების შემდეგ გააგრძელებდნენ საქმიანობას სხვა ქვეყნებში.

ჩეხეთისა და სლოვაკეთის გამოყოფის შემდეგ ჩეხეთმა სლოვაკეთისაგან განსხვავებით დაბალი საგადასახადო განაკვეთები აირჩია. მაგალითად, ევროკავშირში გაწევრიანებამდე მოგების გადასახადი შემცირდა 45%-დან 31%-მდე, ასევე დღგ შემცირდა 23%-დან 19%-მდე (თუმცა მოცემული განაკვეთი შენარჩუნდა რამდენიმე წელი, ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ განაკვეთი გაიზარდა 21%-მდე). საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შემცირდა 47%-დან 32%-მდე. შემოღებული იქნა შეღავათები საშემოსავლო გადასახადის ჭრილში. მიუხედავად იმისა, რომ ჩეხეთს უფრო დაბალი საგადასახადო განაკვეთები ჰქონდა სლოვაკეთთან შედარებით, კვლევამ აჩვენა, რომ ჩეხეთს ჰქონდა უფრო მაღალი მაჩვენებელი გადასახადისაგან თავის არიდებაში, ვიდრე სლოვაკეთს. სწორედ ამ ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგის მიზეზი იყო, რომ ჩეხეთს ჰყავდა შედარებით უფრო მეტი მაღალშემოსავლიანი დასაქმებულები, ვიდრე სლოვაკეთს. სწორედ ეს ხდებოდა გადასახადებისგან თავის არიდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი. გადასახადებისაგან თავის არიდების დროს, მთავარი მიზეზი იყო არა საგადასახადო განაკვეთების სიდიდე, არამედ მოსახლეობის შემოსავლების სიდიდე. 2001 წლისთვის ჩეხეთში საგადასახადო შემოსავლების უმეტესობა შემოდიოდა სწორედ არაპირდაპირი გადასახადებიდან (51%). თუმცა, თუ ავიღებთ გადასახადების ცალკეული სახეების მიხედვით საგადასახადო შემოსავლებს, მოცემულ პერიოდში პირველ ადგილზე იყო საშემოსავლო გადასახადი (43%), შემდეგ დღგ 34%-ით, ხოლო მესამეზე იყო აქციზი 17%-ით. გადასახადის დანარჩენი სახეები უმნიშვნელო წილით იყვნენ წარმოდგენილნი (Matalik I., Slavik M. 2003. 449-565).

2002 წლისთვის ჩეხეთში საგადასახადო კუთხით აქტუალური იყო შემდეგი საკითხები: საგადასახადო ორგანოსა და გადასახადის გადამხდელს შორის ურთერთუნდობლობა, საგადასახადო კანონმდებლობის ნებაყოფლობით შესრულება, არ არსებობდა საგადასახადო ორგანოს წინააღმდეგ გადასახადის გადამხდელის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ტრადიცია და ა.შ. გამარტივების მიზნით

ხშირი იყო ცვლილებები საგადასახადო სისტემაში. სანამ ჩეხეთი გახდებოდა ევროკავშირის წევრი, მისი ვალდებულება იყო საგადასახადო სისტემა და კანონმდებლობა ყოფილიყო ჰარმონიზებული ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ დროისთვის ეს საკითხი იყო დიდი გამოწვევა ქვეყნისთვის. მას ჰქონდა რიგი სირთულეები საგადასახადო სისტემის კუთხით და ბიუჯეტის დეფიციტის განხრით. ისინი ცდილობდნენ შეემცირებინათ საგადასახადო ტვირთი, აღმოფხვრილიყო „ჩრდილოვანი“ ეკონომიკა, გაემარტივებინათ გადასახადების წესები და მათი ადმინისტრირება. მიუხედავად გარკვეული ხარვეზების აღმოფხვრისა, წესები გამარტივების ნაცვლად ისე გართულდა, რომ მოცემული კანონმდებლობის გაგება შესაძლებელი გახდა მხოლოდ დარგის პროფესიონალებისთვის. ჩეხეთის მიზანი იყო მის ტერიტორიაზე მოქმედი ფირმებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რადგან არ მომხდარიყო კაპიტალის გადინება სხვა ქვეყანაში, უფრო ეფექტური საგადასახადო სისტემის გამო. თუ შევადარებთ საგადასახადო ტვირთის სიმძიმეს 1993-2000 წლებში ჩეხეთში, უნგრეთსა და პოლონეთში, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გააჩნდა უნგრეთს, პოლონეთი და ჩეხეთი კი გამოირჩეოდა დაღმავალი დინამიკით (Matalik I., Slavik M. 2003. 449-565). საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, მოცემული ქვეყნების ეკონომიკა ერთნაირი იყო. საბოლოოდ, ევროკავშირში გაწევრიანებამდე ჩეხეთში საჯარო ფინანსები ჯერ კიდევ არ იყო დაბალანსებული, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მთლიანი შიდა პროდუქტი. ევროპული მიდგომით საჭირო იყო ფისკალური პოლიტიკის სტაბილიზება და ავტომატიზება, მოცემული კი ჩეხეთისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო. აღნიშნული კი გახდა საგადასახადო რეფორმების განხორციელების მიზეზი. ჩეხეთში თუ გადავხედავთ საგადასახადო შემოსავლების დინამიკას, ნათლად ჩანს მისი ზრდადობა 1993 წლიდან მოყოლებული ევროკავშირში გაწევრიანებამდე (იხ. დანართი N14).

2000-2004 წლებში გაგრძელდა მცირე და საშუალო ბიზნესის რაოდენობის ზრდის ტენდენცია და მან 2004 წლისთვის თითქმის მილიონს მიაღწია. სფეროების მიხედვით მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულებით: პირველ პოზიციაზეა მრეწველობა და მეორეზე გადავიდა ვაჭრობის სფერო, ხოლო დანარჩენი სფეროები კვალავ იგივე

პროპორციით გადანაწილდნენ. აქედან გამომდინარე, მცირე და საშუალო ბიზნესმა შეიტანა დიდი წვლილი ეკონომიკის განვითარებაში (Eurofound. 2013. 3-29).

ჩეხეთში ამჟამად მოქმედი გადასახადები და მათი განაკვეთები შემდეგია: მოგების გადასახადი (19%). გამონაკლისია მხოლოდ საინვესტიციო ფონდები (5%) და საპენსიო ფონდები (0%). საშემოსავლო გადასახადი (15%), თუმცა პირები რომელთა შემოსავლები დამოუკიდებელი საქმიანობიდან აქვთ, ისინი დამატებით 7%-ს იხდიან. საშემოსავლო გადასახადის ჭრილში გამოსაყოფია სოციალური უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაზღვევის შენატანები, მათი სახეობები და პროცენტული წილი შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. დანართი N15). დღგ (21%), მას ააქვს ორი შემცირებული განაკვეთი (15%; 10%). დღგ-ს გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება აქვს პირს, რომლის ბრუნვა ბოლო 12 თვის მანძილზე აღემატება 1,000,000 კრონს. საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე. აქციზის გადასახადის განაკვეთები დიფერენცირებული პროდუქციის სახეობისა და მისი საზომი ერთეული მიხედვით. თუმცა თამბაქოს შემთხვევაში, მასზე აქციზის გადასახადი კომბინირებულად გამოითვლება. უძრავი ქონების გადასახადის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია ქონების ადგილმდებარეობა (კოეფიციენტის გამო). უძრავი ქონების შეძენის გადასახადი (4%). ქონების ღირებულება კი გაიანგარიშება ექსპერტის მიერ შეფასებული საბაზრო ღირებულებიდან ან/და ხელშეკრულებაში მითითებული ფასიდან. ენერგო გადასახადი შემოღებულია ბუნებრივ აირზე, ელექტროენერგიაზე და მყარ საწვავზე. იგი მოქმედებს 2008 წლიდან. მან გაიარა რამდენიმე ეტაპი ევროკავშირის დირექტივასთან ჰარმონიზების კუთხით. საგზაო გადასახადი. ევროკავშირის დირექტივასთან დაახლოების მიზნით ჩეხეთში პერიოდულად მცირდებოდა გადასახადის განაკვეთები (იხ. დანართი N13). რაც შეეხება, ჩეხეთში საგადასახადო შემოსავლების დინამიკას, მისი ზრდის ტემპი ნათელია, თუმცა გამონაკლისია მხოლოდ 2009-2010 წლები, როდესაც ოდნავი შემცირებით ხასიათდება შემოსავლების მოცულობა, რაც შესაძლებელია იყოს მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენა. თუმცა, შემდგომ წლებში შეინიშნება ზრდის ტენდენცია (იხ. დანართი N14). 1993 წლიდან მოყოლებული ჩეხეთის საგადასახადო შემოსავლები თითქმის გასამმაგდა უკვე ევროკავშირში გაწევრიანების წლისთვის (2004). მიუხედავად იმისა, რომ 2009-2010

წლებში დაფიქსირდა საგადასახადო შემოსავლების ოდნავი შემცირების ტენდენცია, ის კვლავ დაუბრუნდა წინა წლის ნიშნულს და ხასიათდება ზრდის ტენდენციით. ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ, 2004 წლიდან (იხ. დანართი N16) ზრდადობის ტენდენციით გამოირჩევა არაპირდაპირი გადასახადებიდან შემოსული შემოსავლები, ხოლო პირიქით, კლების ტენდენციით ხასიათდება პირდაპირი გადასახადებიდან შემოსული გადასახადები, თუმცა ჯამური საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებლები დიდად არ შეცვლილა (გადანაწილდა პირდაპირიდან არაპირდაპირ გადასახადში).

ჩეხეთში 2017-2018 წლებში განხორციელებული ძირითადი საგადასახადო რეფორმები შეეხო: საშემოსავლო გადასახადს (შელავათები დაწესდა და განაკვეთები შემცირდა შეიარაღებულ ძალებში დასაქმებულებისთვის), დღგ-ს (შემცირდა განაკვეთი კონკრეტული დასახელების საქონელზე, მაგ: ჟურნალებსა და გაზეთებზე 15%-დან 10%-მდე), აქციზს (თამბაქოსა და ალკოჰოლურ სასამელებზე შევიდა აკრძალვის რეგულაციები გარკვეულ ზონებში) და სათამაშო ბიზნესის გადასახადს (2017 წელს ძალაში შევიდა ახალი აქტი სათამაშო ბიზნესის შესახებ, სადაც გარკვეული განაკვეთები გაზრდილია). ჩეხეთის მთლიანი საგადასახადო შემოსავლების პროცენტული მაჩვენებლის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, ევროკავშირში შემავალი ქვეყნების რაჟინირებაში 2016-2017 წლებში იკავებდა 15-ე ადგილს.

მეწარმეობის მდგომარეობის განხილვისას ჩეხეთში აღსანიშნავია, რომ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს დიდი წილი აქვს. მაგალითად, 2012 წლისთვის, მათი წილი დაახლოებით მთლიანი მეწარმეების 99%-ს შეადგენდა. აქედან, მათი 95% კი სწორედ მიკრო ბიზნესის წილი იყო. ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ჩეხეთში დომინირებს მიკრო ბიზნესი, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 10-ს. ხოლო ყოველი მესამე შექმნილი სამუშაო ადგილიდან/დასაქმებულისაგან ერთი ეკუთვნის სწორედ ამ ფორმებს. მიუხედავად მათი რაოდენობრივი დომინირებებისა, მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. მცირე ფირმების ბაზრიდან გასვლის გამო (2012 წელს დახურული ფირმების უმეტესობა ფუნქციონირებდა დაახ. 15 წელი) 2013 წლისთვის კონკურენტუნარიანობის მხრივ ჩეხეთმა დაბალი მაჩვენებელი აჩვენა. ინოვაციების მხრივ კი ჩეხეთს კარგი

მაჩვენებელი აქვს და ის წინ მიიწევს ამ სფეროში. მცირე და საშუალო ფირმებს დიდი როლი აქვს როგორც ქვეყნის შიდა ბაზარზე, ასევე საერთაშორისო ვაჭრობაში, რაც ასევე ინვესტიციების მოზიდვას უწყობს ხელს (Daszkiewicz N. 2014. 179-189).

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ფინანსური პროგრამა - საწარმო და ინოვაციები, რომელიც ჩეხეთში 2007-2013 წლებში მიმდინარეობდა, წარმოადგენდა მნიშვნელოვან პროექტს. აღნიშნულის დასრულებისას, მონაწილეთა გამოკითხვით დადასტურდა მისი დადებითი გავლენა ფირმების საქმიანობაზე, რაც გამოიხატა შემდეგში: გაიზარდა კონკურენტუნარიანობა (მეწარმეთა 67%), დაინერგა ახალი ტექნოლოგიები (მეწარმეთა 61%), გაიზარდა ბრუნვა (მეწარმეთა 49%), გაიზარდა საბაზრო წილი (მეწარმეთა 35%). შედეგები ნათლად ასახავს, აღნიშნული მხარდამჭერი ფინანსური პროგრამის დადებით გავლენას ჩეხეთში (Eurofound. 2013. 3-29).

2015 წლისთვის მეწარმეთა რაოდენობა 2012 წელთან შედარებით დაახ. 5%-ით გაიზარდა. მცირე ბიზნესის წილი კი კვლავ წამყვანია მთლიან მეწარმეობაში, ის 2015 წლისთვის მთლიანი მეწარმეობის 99%-ს შეადგენს. მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის წილზე მოდის, შექმნილი დამატებული ღირებულების ნახევარი და დასაქმებულებიდან ყოველი მესამე. დასაქმებულების რაოდენობიდან, მცირე და საშუალო ბიზნესის წილზეა მათი 68%. მცირე მეწარმეებიდან ყველაზე დიდი წილი კი მიკრო მეწარმეებს აქვს (OECD. 2018. 21-227).

2018 წლის ევროკომისიის ანგარიშის საფუძველზე, ჩეხეთში მეწარმეების რაოდენობის კუთხით წინა წლების მონაცემები უმჯობესდება, ის 2015 წელთან შედარებით 3,5%-ით გაზრდილია. ხოლო, მცირე და საშუალო ბიზნესის წილს მთლიანი მეწარმეების რაოდენობასთან მიმართებით, აქ პროპორცია მომატებულია წინა წლებთან შედარებით და ის 99,8%-ს შეადგენს. მიუხედავად რაოდენობრივად დიდი წილისა ზოგად მაჩვენებელში, დასაქმებულების კუთხით მისი წილი მთლიან რაოდენობაში 67%-ია. ხოლო, მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება კი მთლიანი ღირებულების ნახევარზე ოდნავ მეტია. აღსანიშნავია, მცირე ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები, მაგ: მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა „გარანტია 2015-2023“, რაც ეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესს ფინანსებზე წვდომაში და უწყვეტ

სხვადასხვა სახის დახმარებას მათ საქმიანობაში; მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერი პროგრამა „ენერჯია“ (ENERG), რომელიც ეხმარება ენერჯო ეფექტურობის განხრით მომუშავე მცირე და საშუალო ბიზნესს, რომ გაუადვილდეთ ფინანსებზე წვდომა; მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერი პროგრამა „ცოდნის გადაცემა პარტნიორისთვის“ (Knowledge transfer Partnerships), რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობის გაძლიერებას ბიზნესსა და კვლევით ცენტრებს შორის; „ინოვაცია - ინოვაციური პროექტი“ მიზნად ისახავს ინოვაციების მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას, ჩეხეთის მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. პროექტი „კონცეფციის მტკიცებულება“ (Proof of concept) მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს სტარტაპებს (Start-Ups) და მცირე და საშუალო ბიზნესს, რათა ახალი პროდუქტების შექმნისა და მომსახურებისთვის ჰქონდეთ კომერციული ანალიზის შესაძლებლობა; პროექტი „ინოვაცია“ კი საშუალებას აძლევს მცირე და საშუალო ბიზნესს დაეხმაროს კვლევაში, განვითარებაში და ინოვაციების მიმართულების აქტივობებში და ა.შ (European Commission. 2018. 1-17).

რომ შევაჯამოთ, ჩეხეთში მეწარმეობის მდგომარეობა და მათი განვითარების დონე, ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ რაოდენობის მხრივ გამოირჩევა ზრდის ტენდენციით. მეწარმეობაში წამყვანი წილი აქვს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს. მიუხედავად რაოდენობრივი დიდი წილისა მათ მიერ იქმნება მხოლოდ დამატებული ღირებულების ნახევარი. რაც შეეხება დასაქმების მაჩვენებელს, ბოლო წლების ტენდენცია აჩვენებს, რომ კერძო სექტორში დასაქმებულების მთლიანი რაოდენობიდან, მცირე და საშუალო მეწარმეებზე დაახლოებით დასაქმებულების 60-70% მოდის. რაც შეეხება მეწარმეობის განვითარებისთვის ხელშემწყობ პროგრამებს, ის აქტიურად ხორციელდება ჩეხეთში და მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას.

უნგრეთი. უნგრეთის საგადასახადო სისტემა ვითარდებოდა თანდათან. იცვლებოდა გადასახადების განაკვეთები (იხ. დანართი N17) ევროკავშირში გაწევრიანებამდე, მაგ: საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 44%-დან შემცირდა 38%-მდე, დღგ-ს განაკვეთი 25%-დან 20%-მდე (www.ec.europa.eu; www.oecd.org ბოლო შესვლის თარიღი 2019 წლის 6 მაისი). 1993 წლიდან მოქმედებდა შემდეგი გადასახადები მაგ: მოგების გადასახადი

(36%) რომლის განაკვეთი 1995 წლიდან 18%-ია, თუმცა განაწილებულ მოგებაზე დაწესდა 23%-იანი განაკვეთი. ქვეყნის საგადასახადო სისტემაში ძირეული ცვლილება მოხდა 1997 წელს, მაგ: თუ დამატებითი გადასახადი წესდებოდა განაწილებულ მოგებაზე, ცვლილების შემდეგ შეიცვალა წყაროზე დასაკავებელი გადასახადით (20%). რომელიც ძირითადად ეხებოდა დივიდენდებს, რომელიც შესაძლებელი იყო შემცირებულიყო უნგრეთში მოქმედი კანონმდებლობით 10-5%-მდე. მიწის გადასახადის განაკვეთები დიფერენცირებული იყო მუნიციპალიტეტების მიხედვით და ის რეგულირდებოდა ადგილობრივი გადასახადების შესახებ 1990 წლის აქტით.

აღსანიშნავია, რომ უნგრეთს გააჩნდა ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგადასახადო სისტემა ვიშეგრადის ოთხეულიდან, რამაც განაპირობდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინება ქვეყანაში უფრო მეტად, ვიდრე ვიშეგრადის ჯგუფის დანარჩენ ქვეყნებში. მათ დააარსეს ე.წ. Duty-Free ზონები, შემოიღეს სპეციალური რეჟიმი ოფშორული კომპანიებისთვის. უნგრეთისთვის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების კუთხით შეთავაზებული იქნა დღგ-ს განაკვეთის (25%) შემცირება და ამის ხარჯზე ქონების გადასახადის გაზრდა. ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ მართლაც შემცირდა დღგ-ს განაკვეთი 20%-მდე, თუმცა 2010 წლიდან ისევ დაუბრუნდა საწყის ნიშნულს (25%), ხოლო 2012 წლიდან უკვე 27%-ია. ჩეხეთის მსგავსად უნგრეთშიც იდგა გადასახადებისგან თავის არიდების პრობლემა, რომელიც ზრდიდა ე.წ. „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ წილს, რაც ართულებდა ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზებას გადასახადების გადახდის დაბალი მზაობის გამო.

მეწარმეობის განვითარების მიმართულებით 1990-იან წლებში უნგრეთში ძირითადად მოქმედებდა სახელმწიფო საწარმოები და კოოპერატივები, კერძო მეწარმეობა კი შემოიფარგლებოდა მხოლოდ სხვადასხვა ხელობის/პროფესიების სახით. უნგრეთში (1991-1996წწ) ტრანსფორმაციის პერიოდში არსებული საწარმოების რაოდენობა გაორმაგდა. 1998 წლისთვის უკვე ფუნქციონირებდა მცირე ბიზნესის დაახლოებით 650 ათასი წარმომადგენელი, რომელიც გაორმაგებული მაჩვენებელი იყო 1990 წელთან შედარებით. 1990-1998 წლების მონაცემებით, მთლიანი მეწარმეების რაოდენობაში 1990 წელს მცირე ბიზნესის წილი შეადგენდა 96,8%-ს (მცირე მეწარმეების

ჯამური რაოდენობა - 387,340). თუმცა მოცემული პროპორციის შემდგომი წლების დინამიკა (მიუხედავად რაოდენობრივი ზრდისა), წავიდა შემცირების ტენდენციით და 1998 წლისთვის, მცირე ბიზნესს ეკავა 63,2% (მცირე მეწარმეების ჯამური რაოდენობა - 648,701) მეწარმეების რაოდენობაში. 1990-1998 წლების მონაკვეთში მეწარმეების ჯამური რაოდენობა თითქმის გასამმაგდა მან 400,018-დან მიაღწია 1,026,642-ს. 1998 წელს, უნგრეთში არსებული მეწარმეების სამართლებრივი ფორმებიდან ჭარბობდა დამოუკიდებელი მეწარმეები (ამჟამინდელი ი/მ) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, ისინი მთლიანი მეწარმეების დაახლოებით 78,5%-ს შეადგენდნენ. 1998 წლისთვის, უშუალოდ მცირე ბიზნესის წილში, უმეტესად (97%) წარმოდგენილნი იყვნენ მიკრო საწარმოები (დასაქმებულები არ აღემატება 10-ს), ხოლო დარჩენილი 2% ეკავათ იმ საწარმოებს, სადაც დასაქმებულები არ აღემატებოდა 50-ს, ხოლო, მხოლოდ 1% შეადგენდა იმ საწარმოებს, სადაც დასაქმებულების რაოდენობა აღემატებოდა 50-ს. მოცემული ფორმები კი უმეტესი წილით წარმოდგენილნი იყვნენ წარმოებაში, ვაჭრობაში და სხვადასხვა სახის მომსახურებაში. მცირე ბიზნესის წილი (მთლიან წილში) რომ ავიღოთ მთლიან შიდა პროდუქტში, ის 1992-1998 წლების მონაკვეთში მერყეობდა მიკრო საწარმოების შემთხვევაში 9%-10%-ით, მცირე საწარმოების შემთხვევაში - 10%-14%-ით, ხოლო საშუალო საწარმოების შემთხვევაში კი - 16%-21%-ით. იგივე მონაკვეთში კი დასაქმებულების კუთხით, მიკრო საწარმოებს ჰქონდათ 21%-36%, მცირე საწარმოებს - 9%-14%, ხოლო საშუალო საწარმოებს - 18%-20%. ამ მონაცემებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მოცემულ მონაკვეთში, მცირე ბიზნესის წილიდან მშპ-ში მონაწილობის პროცენტული მაჩვენებლით წამყვანია საშუალო ზომის საწარმოები და დასაქმებულების კუთხით მიკრო საწარმოები. მიუხედავად რაოდენობრივად დიდი წილისა, მათი მონაწილეობა მშპ-ში და დასაქმების კუთხით, შეადგენს მთლიანი რაოდენობის დაახ. ნახევარს, ხოლო მსხვილი ფირმების მიერ იქმნება ზემოთ მოცემული მაჩვენებლების ნახევარი (Welter F. 2002. 1-12).

აღსანიშნავია, რომ უნგრეთი იყოს ერთ-ერთი პირველი ქვეყანა ცენტრალური ევროპის ქვეყნებს შორის, რომელმაც შეიმუშავა იურიდიული ჩარჩო კერძო მეწარმეებისა და მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. უნგრეთში ხელშეწყობა ჰქონდათ

ისეთ სექტორებს, როგორცაა წარმოება, ვაჭრობა და სოფლის მეურნეობა. მცირე და საშუალო საწარმოების რეგიონალური განვითარების წახალისების მიზნით, PHARE (პროგრამა, რომელიც დაფინანსებული იყო ევროკავშირის მიერ და შემუშავებული იყო ევროკავშირში გასაწევრიანებელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის) ჩართული იყო ადგილობრივი საწარმოთა ქსელის შექმნით, რათა მიეღოთ მათ ტექნიკური დახმარება და კონსულტაცია. უნგრეთის მთავრობამ (1998წ) მიიღო რეზოლუცია, მცირე და საშუალო ბიზნესის საშუალოვადიანი განვითარების სტრატეგიის შესახებ, შეადგინა შესაბამისი პროგრამები მათ მხარდასაჭერად. რაც ითვალისწინებდა ტექნიკურ დახმარებებს და ინოვაციების დანერგვას. მოცემულ წლებში კი მცირე და საშუალო ბიზნესი სწრაფად განვითარდა (Welter F. 2002. 1-12).

უნგრეთის საგადასახადო სისტემა და გადასახადები დაყოფილია ორ დონედ, ცენტრალურ და ადგილობრივ დონედ. მისი საგადასახადო კანონმდებლობა ჰარმონიზებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, განსაკუთრებით დღგ, აქციზი და საბაჟო. იქ მოქმედი გადასახადები დაყოფილია მსხვილ ჯგუფებად, რომელიც თავის თავში მოიცავს რამდენიმე გადასახადს, თუმცა ჩვენ განვიხილოთ თითოეული მათგანი დამოუკიდებლად. მოგების გადასახადის (2017 წლიდან 9%) განაკვეთი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია ევროპის მასშტაბით. საშემოსავლო გადასახადი (2016 წლიდან 15%), რომლის ჭრილში უნდა განვიხილოთ ის შენატანები რომლებიც განკუთვნილია როგორც საპენსიო სადაზღვევოსთვის (10%), ასევე ჯანმრთელობის დაზღვევისა (7%) და შრომის ბაზრის წვლილისთვის (www.doingbusinessinhungary.com ბოლო შესვლის თარიღი 2019 წლის 9 მაისი). დღგ (27%), რომელზეც ქვეყანაში მოქმედებს ორი შემცირებული განაკვეთი (5%; 18%). აქციზის გადასახადი, რომლის განაკვეთები განსხვავდება საქონლის ტიპისა და ერთეულის მიხედვით. საბაჟო გადასახადი რომელიც დაწესებულია იმ საქონელზე, რომელიც მოექცევა იმპორტის, ექსპორტის ან ტრანზიტის რეჟიმში, განაკვეთები კი დიფერენცირებულია. მუნიციპალური გადასახადები მოიცავს რამდენიმე გადასახადს ადგილობრივ დონეზე. ესენია: ადგილობრივი ბიზნესის გადასახადი, შენობის/ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი, ტურისტული გადასახადი და ა.შ. მუნიციპალიტეტები თვითონ აწესებენ

განაკვეთებს, მაგრამ მაქსიმალური განაკვეთი შეადგენს 2%-ს. უნგრეთში საგადასახადო განაკვეთები განიცდიდა ცვლილებებს (იხ. დანართი N17). 2012 წლიდან მოქმედებს სოციალური შენატანების სისტემა, სადაც დამსაქმებლები იხდიან 28,5%-ს.

ზოგადად უნგრეთის საგადასახადო შემოსავლები ხასიათდება ზრდის ტენდენციით (იხ. დანართი N14), 1993-2017 წლებში, თუ არ ჩავთვლით ოდნავი შემცირების ფაზას 2009-2010 წლებში, რაც შესაძლებელია მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენით იყოს გამოწვეული (ამ მონაკვეთში იგივე ტენდენციაა ჩეხეთშიც). საგადასახადო შემოსავლებში პირდაპირი და არაპირდაპირი (ირიბი) გადასახადების წილი შემდეგია (იხ. დანართი N18). ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ, არაპირდაპირი გადასახადების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში იზრდება, ხოლო პირდაპირი გადასახადების წილი კი მცირდება, როგორც ეს დაფიქსირდა ჩეხეთის შემთხვევაში. ხოლო ჯამურ მაჩვენებლებთან მიმართებაში კი მხოლოდ პროცენტულად გადანაწილდა პირდაპირიდან არაპირდაპირ გადასახადში.

2017-2018 წლებში გატარებული რეფორმებიდან (საგადასახადო მიმართულებით) კი გამოსაყოფია: სოციალური შენატანების განაკვეთების შემცირება დამსაქმებლისთვის, ასევე თვითდასაქმებულებისთვის, შემცირდა მოგების გადასახადის განაკვეთი, მცირე ბიზნესთან მიმართებაში გამარტივდა რეგულაციები, შემცირდა დღგ-ს განაკვეთები მრავალი საქონლისთვის. თუმცა, მიუხედავად რამდენიმე გადასახადის განაკვეთების შემცირებისა და შეღავათებისა, გაიზარდა აქციზის განაკვეთი თამბაქოს პროდუქციაზე.

აღსანიშნავია, რომ უნგრეთს აქვს ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი ვიშეგრადის ქვეყნებში მთლიანი საგადასახადო შემოსავლების კუთხით და ასევე მისი პროცენტული შეფარდებით მთლიან შიდა პროდუქტთან. უნგრეთი ევროკავშირის ქვეყნებში, საგადასახადო შემოსავლების პროცენტული შეფარდებით მშპ-თან მიმართებით, 2016 წელს 8-ე ადგილზე იყო (არის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი), ხოლო, 2017 წელს კი უნგრეთმა 12-ე ადგილას გადაინაცვლა (European Commission. 2019. 168).

მეწარმეობის მდგომარეობა უნგრეთში მსგავსად ჩეხეთისა 2012 წლისთვის, მთლიანი ფირმების დაახ. 99% ეკავა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს. ამ კატეგორიის 94% კი მიკრო ბიზნესს ეკუთვნოდა. წარმატებული სექტორებია: საბითუმო და საცალო

ვაჭრობა, წარმოება, პროფესიული საქმიანობა და მშენებლობა. 2013 წლისთვის დომინირებდა ის ფორმები სადაც დასაქმებულები აღემატებოდა 10-ს და ამ მიმართულებით ის აღემატებოდა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს. მაგ: საწარმოების კუთხით მონაცემები დარდება შემდეგი პროპორციით - 94,6% - 92,2%, ხოლო დასაქმებულების კუთხით კი 35,5% - 29,7%. მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობისა და დასაქმებულების კუთხით მოცემული მაჩვენებელი აჭარბებდა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს, დამატებული ღირებულების შექმნით კი მას დიდი წილი არა ქონდა და ის ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე დაბალი იყო. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში მცირე ბიზნესს დიდი წილი აქვს და ის დამატებული ღირებულების დაახლოებით 45% ქმნის, ამ კუთხით კი უნგრეთი მოცემული პროცენტის მხოლოდ მესამედის შექმნას ახერხებს (Daszkiewicz N. 2014. 179-189).

2015 წლისთვის უნგრეთში, 2012 წელთან შედარებით მეწარმეების რაოდენობის უმნიშვნელო შემცირების ტენდენცია შეინიშნება. მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის წილი მთლიანი მეწარმეების რაოდენობაში კი თითქმის იგივეა. მას წამყვანი წილი აქვს და 2015 წლის ფაქტით ის დაახ. მთლიანი მეწარმეობის 93%-ს შეადგენს. ხოლო, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესიდან კი უმეტესი წილი ეკუთვნის მიკრო ბიზნესს. ხოლო, დასაქმებულების მთლიან მაჩვენებელში მცირე და საშუალო ბიზნესის წილზე დასაქმებულთა დაახლოებით 70%-ს შეადგენს (OECD.2018. 21-227).

ევროკომისიის 2018 წლის ანგარიშზე დაყრდნობით, მეწარმეების რაოდენობა 2015 წელთან შედარებით 9%-ით გაზრდილია. მცირე და საშუალო ბიზნესის წილი თითქმის იგივე პროპორციებით ნარჩუნდება და 99,8%-ს შეადგენს. მიუხედავად მცირე ბიზნესის რაოდენობრივად დიდი წილისა, მათ მიერ დასაქმებულების პროცენტული მაჩვენებელი შედარებით დაბალია და ის 68,8%-ს შეადგენს. მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება კი საერთო რაოდენობის ნახევარზე ოდნავ მეტია. უნდა ითქვას, რომ უნგრეთს აქვს ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელი ინოვაციებისა და სამეწარმეო უნარჩვევების მხრივ ევროკავშირის ქვეყნებში. ამიტომ, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად, სხვადასხვა ინოვაციური პროექტები ფინანსდება ევროპის, სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდის (ESIF) მიერ. რომელიც ეხმარება

განავითარონ ინოვაციები, შექმნან ახალი პროდუქტები და ტექნოლოგიები, ასევე ხელი შეუწყონ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას. ასევე ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად, როგორცაა მაგ: „ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერა მცირე და საშუალო ბიზნესში“, რომელიც ითვალისწინებს, რომ გაზარდოს მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობების მხარდაჭერა ინოვაციური პროდუქტების და სერვისების განვითარებაში; ასევე უნგრეთი ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესს მონაწილეობა მიიღონ „ჰორიზონტი 2020“-ში, რომელიც ეხმარება მეწარმეებს სხვადასხვა მიმართულებით სწავლისა და ცოდნის გაზიარებაში; „მიმწოდებლის განვითარების პროგრამა“, რომელის მიზანია მსხვილი ფირმები დაეხმარნონ მცირე და საშუალო ზომის მიმწოდებლებს, რომ შექმნან და განავითარონ მაღალი დამატებული ღირებულების პროდუქცია; „კონკურენტუნარიანი კომპანიების პროგრამა“ ითვალისწინებს, რომ მცირე და საშუალო ზომის ბიზნესმა შეძლოს ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება და ამის მეშვეობით შექმნას მაღალი ხარისხის პროდუქცია; ასევე მოქმედებს ორი სხვადასხვა საკრედიტო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ხელი შეუწყოს კვლევას, ინოვაციების დანერგვას და ინვესტიციების მოზიდვას და ა.შ (European Commission. 2018. 2-24).

მეწარმეობის განვითარებით ბოლო წლების ტენდენციით, მისი მაჩვენებლები ჩამორჩება ევროკავშირის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს. მეწარმეების რაოდენობის კუთხით კი დინამიკაში ჩავარდნებია, თუმცა, გრძელვადიან პერიოდში მეწარმეების რაოდენობის ზრდა შეინიშნება. რაც შეეხება მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს, ის უნგრეთში მთლიანი მეწარმეობის უმეტეს ნაწილს შეადგენს. თუმცა, რაოდენობრივად დიდი წილისა, მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება, მხოლოდ ნახევრის ტოლია. ხოლო კერძო სექტორში დასაქმებულების რაოდენობიდან, მცირე და საშუალო ბიზნესზე დაახლოებით 69-70% მოდის. აღსანიშნავია, ასევე მეწარმეების დასახმარებლად შემუშავებული სხვადასხვა ხელშემწყობი პროგრამები, რომ მოხდეს მათი განვითარება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

პოლონეთი. ვიშეგრადის სხვა ქვეყნების მსგავსად, საგადასახადო პოლიტიკის და საგადასახადო სისტემის ფორმირების კუთხით პოლონეთშიც გატარდა რეფორმები.

მოცემულმა რეფორმებმა მთლიანად შეცვალა მანამდე მოქმედი საგადასახადო სისტემა და მისი ადმინისტრირება. თუმცა, გადასახადების ადმინისტრირების რეფორმა უფრო ძნელად წარიმართა. საგადასახადო სისტემა ძირეულად შეიცვალა 1990-იან წლებში, შემოვიდა ახალი გადასახადის სახეები, რომლებიც უფრო მეტად იყო ბაზარზე ორიენტირებული, მაგალითად ძალაში შევიდა შემდეგი გადასახადები: მოგების გადასახადი 1989წ. საშემოსავლო გადასახადი 1992წ. დღგ 1993წ. აქციზი (ალკოჰოლზე, თამბაქოზე და საავტომობილო საწვავზე) 1993წ. და იმპორტის გადასახადები (Bird M.R. 2004. 42-55). ასევე პოლონეთში მოქმედებდა სოფლის მეურნეობაზე ქონების გადასახადი (1989 წლიდან), ხოლო მას 1991 წელს დაემატა ტყის ქონების გადასახადი, რომელიც თავისი მახასიათებლებით მსგავსი იყო მოცემულთან. რაც შეეხება უძრავი ქონების გადასახადს, ის ძალაში შევიდა 1999 წლიდან. მას შემდეგ რაც პოლონეთში შემოიღეს დღგ და აქციზი, მოცემული გადასახადებისაგან შემოსულმა შემოსავალმა ბიუჯეტში გადააჭარბა როგორც მოგების, ასევე საშემოსავლო გადასახადისაგან შემოსულ შემოსავლებს (იხ. დანართი N19), აქვე გასათვალისწინებელია განაკვეთების ცვლილება წლების მიხედვით (იხ. დანართი N20). ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ პოლონეთის ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში არ განიცდიდა რაიმე ფინანსურ თუ ეკონომიკურ კრიზისს, განსხვავებით სხვა ქვეყნებისა. ასევე გადასახადები და დაბეგვრის სისტემა უფრო სტაბილური იყო სხვა ქვეყნებთან შედარებით. მოცემული რეფორმების შემდგომ მოქმედი გადასახადები პოლონეთში და მისი სისტემა თავისი მახასიათებლებით ახლოს იყოს უკვე ევროკავშირში მოქმედ სისტემასთან. 1993-1997 წლების მონაცემებზე დაყრდნობით, მეწარმეობის სექტორებიდან ლიდერობდნენ სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა და მომსახურება. მოცემული ოთხი ძირითადი სფეროს მიერ იქმნებოდა დამატებული ღირებულება (European Commission. 1998. 3-56). 1998 წლისთვის პოლონეთის ფისკალური შემოსავლები იყო მთლიანი შიდა პროდუქტის 38%, ის ამ მაჩვენებლით მაღალი იყო OECD ქვეყნებთან მიმართებაში, მაგრამ მოცემული მაჩვენებლი იყო საშუალო ევროკავშირის ქვეყნებისთვის (Vergano L., Zantino F. 2004. 2-33). აღსანიშნავია, რომ საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი საკმაოდ მაღალი იყო 1999 წლისთვის, რასაც ემატებოდა ასევე სოციალური უსაფრთხოების

შენატანების ოდენობა საპენსიო ფონდებში, რაც მეწარმეებისთვის იყო საკმაოდ მძიმე საგადასახადო ტვირთი. აქედან გამომდინარე, 1999 წელს ჩამოყალიბდა განსხვავებული მიდგომის ახალი საპენსიო ფონდი. პოლონეთისთვის ევროკავშირში გაწევრიანებამდე გამოწვევად რჩებოდა უმუშევრობა და ბიუჯეტის დეფიციტი (Vergano L., Zantino F. 2004. 2-33), მიუხედავად ამისა, ევროკავშირში გაწევრიანებამდე ის განიხილებოდა როგორც გარდამავალ ეკონომიკაზე მყოფი ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა. პოლონეთს შესთავაზეს საგადასახადო განაკვეთების შემცირების წინადადებები, ევროკავშირის დირექტივებთან დაახლოების მიზნით. კერძოდ: მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირება, რადგან მაღალი განაკვეთებიდან გამომდინარე არ გაზრდილიყო „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ წილი და წახალისებინათ სამუშაო ადგილების შექმნა. გაზრდილიყო უცხოური ინვესტიციების წილი და კომპანიები გამხდარიყვნენ უფრო კონკურენტუნარიანები. ასევე რეკომენდაცია ეხებოდა გარემოზე მავნე ზემოქმედების პროდუქტებზე გადასახადების დაწესებას (როგორც ეს იყო ვიშეგრადის სხვა ქვეყნებშიც). რეკომენდაციის სახე ქონდა ბიუჯეტის დეცენტრალიზებას, რადგან ადილობრივ მუნიციპალიტეტებს ქონდათ საშუალება ემართათ ადილობრივი საგადასახადო ბაზა. პოლონეთის საგადასახადო შემოსავლები (იხ. დანართი N14) ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, როგორც ევროკავშირში გაწევრიანებამდე, ასევე მას შემდეგ. თუმცა სხვებისგან განსხვავებით, არ მოქმედებდა გადასახადების ფართო სახესხვაობები (Vergano L., Zantino F. 2004. 2-33). მიუხედავად გადასახადების მაღალი განაკვეთებისა ვიშეგრადის სხვა ქვეყნებთან შედარებით. ის მისდევდა ევროკავშირის დირექტივებს, რაც ითვალისწინებდა გადასახადის განაკვეთების შემცირებას (იხ. დანართი N20), რათა გაზრდილიყო პოლონეთის საწარმოების კონკურენტუნარიანობა, რაც ხელს შეუწყობდა ინვესტიციების მოზიდვასაც. განხორციელებულმა საგადასახადო რეფორმებმა საგადასახადო სისტემა გახადეს უფრო მოქნილი და სამართლიანი.

1997-1998 წლებში პოლონეთს ევროკავშირის დახმარებით წინსვლა ჰქონდა ინოვაციების დანერგვისა და ტექნოლოგიების განვითარების კუთხით. 1998 წელს განათლების სისტემაში რეფორმები განხორციელდა, რომელიც ითვალისწინებდა საგანმანათლებლო ტრენინგებს, ინოვაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების

განხით. 1998 წლისთვის პოლონეთში მიმდინარეობდა აქციზისა და დღგ-ს ჰარმონიზაციის პროცესი, ასევე განხორციელდა იმპორტის გადასახადში ცვლილებები. ევროკავშირის რეკომენდაციების საფუძველზე სოფლის მეურნეობაში, ენერგო სექტორში, მრეწველობაში და სატრანსპორტო სექტორში შემუშავდა რეგულაციები, რამაც ხელი შეუწყო მათ განვითარებას. 1998 წელს ძალაში შევიდა ახალი საბაჟო კოდექსი, თუმცა ის სრულად არ ითვალისწინებდა ევროკავშირის სტანდარტებს (საბაჟო პროცედურები და ტარიფები), რაც გარკვეულ სირთულეებს უქმნიდა ევროკავშირის ბიზნეს ოპერატორებს (European Commission. 1998. 3-56).

მეწარმეობის მდგომარეობა პოლონეთში 1997-1998 წლებში, მცირედით გაუმჯობესდა, ჩამოყალიბდა ეროვნული საკრედიტო გარანტიის ფონდი, რომლის მეშვეობითაც შეიქმნა გარკვეული საკრედიტო ბაზა, როგორც გარანტია მეწარმეებისთვის. აქტიურად მიმდინარეობდა სახელმწიფო საწარმოების (ფოლადის და ქვანახშირის სექტორის) პრივატიზაციის და რესტრუქტურირაციის პროცესი. პრივატიზაცია შეეხო საფინანსო სექტორსაც, რომლისთვისაც შეიქმნა სამართლებრივი ბაზა, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა საფინანსო სექტორი პოლონეთში (European Commission. 1998. 3-56).

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის გამო, მოგვიანებით დაეთმო ყურადღება მცირე და საშუალო ბიზნესს. იყო გარკვეული აქტივობები მათი ფუნქციონირების ხელშესაწყობად, თუმცა პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 1999 წელს, შემუშავდა სტრატეგია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის - „მთავრობის პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებისთვის 2002 წლამდე“. 1999 წლისთვის მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებული იყო დაახ. 61%. იმ პერიოდისთვის არსებული, მცირე და საშუალო ზომის ფირმების უმეტესობის საქმიანობის სფერო იყო სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და თევზაობა. რაც შეეხება მეწარმეების რაოდენობას მოცემული წლისთვის, ის შეადგენდა შემდეგს: მცირე ბიზნესი - 1,567,413; საშუალო ბიზნესი - 12,774 და მსხვილი ფირმები - 3,419. როგორც ვხედავთ, 1999 წლისთვის მთლიანი მეწარმეების 98% შეადგენდა მცირე ბიზნესი. მცირე ბიზნესი აღმოჩნდა ახალ გარემოსთან ადაპტაციის უფრო მაღალი უნარის მქონე და ისინი ხელს უწყობდნენ კონკურენტული გარემოს განვითარებას. მეწარმეობის

განვითარებისთვის კი შეიქმნა სხვადასხვა უწყება, როგორც საკონსულტაციო, ასევე ბიზნეს განვითარების ცენტრების განხრით (Hyz A. 2006. 1-15).

2001-2003 წლებისთვის მეწარმეების თითქმის უმეტესობას (99%) შეადგენდა მცირე და საშუალო ბიზნესი, მათგან კი წამყვანი წილი (95%) ჰქონდა მიკრო ბიზნესს. 2001 წლისთვის იყო 3,374,956 მეწარმე, მათგან მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები 3,368,366. 2003 წლისთვის კი 3,581,593-დან 3,576,536 იყო მცირე ბიზნესის წილი. რაც შეეხება დამატებულ ღირებულებას, მცირე ბიზნესის წილი მერყეობდა 69%-დან 71%-მდე. რაც ვიშეგრადის სხვა ქვეყნების შედარებით უფრო მაღალი პროცენტული მაჩვენებელია (Ubreziiova I., Wach K., Horvathova J. 2008. 358-366).

პოლონეთში ამჟამად მოქმედებს გადასახადის 12 სახე, მათგან 9 პირდაპირი გადასახადი (მოგების, საშემოსავლოს, სამოქალაქო კანონის გარიგებების, ქონების, საავტომობილოს, მემკვიდრეობისა და შემოწირულობების, სოფლის მეურნეობის, სატყეოს, გემების) და 3 არაპირდაპირი გადასახადი (დღგ, აქციზი, სათამაშო ბიზნესი). განვიხილოთ თითოეული მოკლედ: დღგ (23%), მას გააჩნია შემცირებული (8%; 5%; 0%) განაკვეთები, დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება აქვს პირს, რომლის ბრუნვა ბოლო 12 თვის მანძილზე გადააჭარბებს 200,000 პოლონურ ზლოტს. დღგ-ს საგადასახადო პერიოდია კალენდარული თვე, ხოლო კვარტალი მხოლოდ მცირე მეწარმეებისთვის. აქციზის გადასახადი დაწესებულია რამდენიმე საქონელზე (ენერგო პროდუქტები, ელექტროენერგია, ალკოჰოლი და ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს პროდუქტები, მანქანები). სათამაშო ბიზნესის გადასახადი, განაკვეთები მერყეობს სახეობის მიხედვით, საანაგარიშო პერიოდია კალენდარული თვე. მათ მიერ გაცემული მოგება ფიზიკურ პირზე ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას. საშემოსავლო გადასახადი რომლის განაკვეთები განსხვავებულია შემოსავლის ოდენობიდან გამომდინარე (85,528-მდე - 18%, მოცემულზე ზევით - 32%). დივიდენდი და საპროცენტო სარგებელი იბეგრება 19%-ით. ჯილდოები შეჯიბრებებში, აზარტულ თამაშებში 10%-ით და ა.შ. პოლონეთის რეზიდენტის მიერ შემოსავლის წყაროსთან დაკავებისას განაკვეთი 20%-ია. აღსანიშნავია სოციალური უსაფრთხოების სისტემის შენატანების წვლილი, რომელიც მოიცავს საპენსიო და ინვალიდობის დაზღვევას,

ავტოსაგზაო შემთხვევების და ავადმყოფის დაზღვევას. მოცემული გადახდება ყოველი თვის 15 რიცხვისთვის. შენატანების ოდენობა კი განსხვავებულია დასაქმებულისა და დამსაქმებლის ჭრილში (იხ. დანართი N21). მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 19%-ს, დივიდენდი - 19%-ს, პროცენტი - 20%-ს, სალიცენზიო მოსაკრებელი 20%-ს, არამატერიალური მომსახურება 20%-ს. პოლონეთი ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით 15%-იანი განაკვეთით ბეგრავს მათ, ვისაც აქვს დაწყებული ახალი ბიზნესი მიმდინარე წელს ან არის მცირე გადასახადის გადამხდელი. ქონების გადასახადი იყოფა სიმდიდრის მიხედვით და განაკვეთების დაწესება ეხება მუნიციპალიტეტს (არაუმეტეს სახელმწიფოს დაწესებული მაქსიმალური ზღვრისა). განაკვეთები დიფერენცირებულია ქონების ტიპის და ადგილმდებარეობის მიხედვით. მემკვიდრეობისა და შემოწირულობების გადასახადი დაყოფილია სამ კატეგორიად ნათესაური კავშირის მიხედვით. საავტომობილო გადასახადის გადამხდელები არიან მფლობელები და ისინი დაყოფილი არიან ოთხ კატეგორიად. სოფლის მეურნეობის გადასახადი, სადაც დაბეგვრის ობიექტის განსაზღვრის დროს მიწები დაყოფილია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და სატყეო მიწებად, განაკვეთები დამოკიდებულია მიწის ხარისხსა და ადგილმდებარეობაზე. სატყეო გადასახადი, რომლის განაკვეთები დიფერენცირებულია და გადახდის ვადები განსხვავებულია ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის. გემების გადასახადი, რომლის დაბეგვრის ვალდებულება გააჩნია მათ, ვინც ახორციელებს გადაზიდვის ოპერაციებს ზღვაში. კომერციული გემების მეშვეობით საერთაშორისო გადაზიდვებს, მგზავრთა გადაყვანას და სამაშველო ოპერაციებს. საგადასახადო პოლიტიკის განხრით განხორციელებული რეფორმები პოლონეთში ნაკარნახევი იყო ევროკავშირის დირექტივასთან ჰარმონიზების კუთხით.

პოლონეთის საგადასახადო შემოსავლებში რომ შევადაროთ, თუ რა წილი აქვს და რა ტენდენციით გამოირჩევა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები ვიშეგრადის სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, შეინიშნება საინტერესო ტენდენცია. ჩეხეთისა და უნგრეთისაგან განსხვავებით, 2004 წლიდან არაპირდაპირი გადასახადების წილი ზრდადობის ნაცვლად, მოკლევადიანი ზრდის შემდეგ ისევ უბრუნდება საწყის ნიშნულს, ხოლო პირდაპირი გადასახადების წილი მერყეობს, თუმცა საბოლოოდ

იზრდება. მაგრამ პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების შედარებისას, არაპირდაპირი გადასახადის წილი მეტია. ხოლო ჯამური მაჩვენებლის პროცენტული შედარებით ის ლავირებს, თუმცა არსებითი სხვაობა არ არის (იხ. დანართი N22).

ბოლო წლებში გატარებული ძირითადი რეფორმებიდან გამოსაყოფია შემდეგი: მოგების გადასახადის განაკვეთი შემცირდა; დაწესდა ახალი გადასახადი იმ ქონების შესახებ, რომელიც გამოიყენება კომერციული საქმიანობისთვის (2018წ); დადგინდა დღგ-ს 0%-იანი განაკვეთი იმპორტზე ისეთი საზღვაო ტრანსპორტისთვის, რომელიც გამოიყენება როგორც კომერციული საქმიანობისთვის, ასევე მგზავრთა გადაყვანისთვის. თუმცა დღგ-ს განაკვეთი გაიზარდა რამდენიმე ფარმაცევტულ საქონელზე; 2018 წელს აქციზის გადასახადი დაწესდა ელექტრონულ სიგარეტებში გამოყენებულ სითხეზე და თამბაქოს მარცვლებზე. რეფორმები გადასახადის განაკვეთების გარდა შეეხო გადასახადის დასაბეგრ ბაზებს. რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლების პროცენტულ შეფარდებას მშპ-თან მიმართებაში, ევროკავშირის ქვეყნებში 2016 წლისთვის პოლონეთი რანჟირებაში 20-ე ადგილზე იყო, ხოლო 2017 წლისთვის კი გადაინაცვლა 17-ე ადგილზე. პოლონეთში თუ გავაკეთებთ მეწარმეების შედარებას მათი სიდიდის მიხედვით, 2012 წლისთვის მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი მთლიანი რაოდენობის დაახ. 99%-ს იკავებს. 2013 წელს პოლონეთმა მეწარმეობის წახალისებისა და მათი განვითარების მიზნით შეამცირა ფირმის რეგისტრაციის ადმინისტრაციული და სარეგისტრაციო ხარჯები, ასევე შეამცირა ადმინისტრაციული ტვირთი დამწყები ბიზნესისთვის, ე.წ. სტარტაპებისთვის. თუ შევადარებთ ევროკავშირის მცირე და საშუალო ბიზნესის საშუალო მაჩვენებელს, პოლონეთის მაჩვენებელი ამ მხრივ მასთან ძალიან ახლოსაა. ხოლო, უშუალოდ მიკრო და მცირე საწარმოების შედარებისას, აქ ჭარბობს მიკრო საწარმოები. რაც შეეხება ამ სექტორში დასაქმებულ პირებს, მათი რაოდენობა ოდნავ აღემატება, ევროკავშირის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს. 2010 წლისთვის რომ შევადაროთ პოლონეთის და ევროკავშირის მაჩვენებელი მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაციის და ონოვაციების დანერგვის კუთხით შემდეგია: ინოვაციები: პოლონეთი 11% - ევროკავშირი 32%; ინტერნაციონალიზაცია: პოლონეთი 4% - ევროკავშირი 9%; სამუშაო ძალის უნარ-ჩვევების განვითარება: პოლონეთი 10% -

ევროკავშირი 19%. აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის პოლონეთის შიდა ბაზარი უფრო მისაღებია მისი ზომის გამო და ისინი ნაკლებად არიან ორიენტირებული ინტერნაციონალიზაციისაკენ (Daszkiewicz N. 2014. 179-189).

2015 წლისთვის მცირე ბიზნესის როლი დიდია პოლონეთში. ის მთლიანი მეწარმეობის 99%-ს შეადგენს (მსგავსად 2012 წლისა). მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესიდან უმეტესი წილი ეკუთვნის მიკრო ბიზნესს. შექმნილი დამატებული ღირებულებიდან, მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ იქმნება მისი ნახევარი. რაც შეეხება მეწარმეების რაოდენობას, ის 2012 წლიდან 2015 წლამდე მონაკვეთში გაზრდილია დაახლოებით 4%-ით. დასაქმებულების კუთხით კი აქაც წამყვანი პოზიცია აქვს მცირე და საშუალო ბიზნესს და მისი მაჩვენებელი მთლიანი დასაქმებულების წილში 2015 წლის მდგომარეობით დაახლოებით 70%-ია (OECD. 2018. 21-227).

ევროკომისიის 2018 წლის ანგარიშზე დაყრდნობით, 2015 წელთან შედარებით მეწარმეთა რაოდენობა დაახლოებით 9%-ით არის გაზრდილი, ხოლო 2012 წელთან შედარებით კი - 13%-ით. თუმცა აქვე გასათვალისწინებელია პოლონეთის შიდა ბაზრის სიდიდე, ვიშეგრადის სხვა ქვეყნებთან შედარებით. მეწარმეების საერთო რაოდენობაში ლიდერობს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი (როგორც წინა ქვეყნების შემთხვევაში), რომელთა მაჩვენებელი მთლიანი რაოდენობის წილში 99,8%-ია. მთლიანად კერძო სექტორში დასაქმებულებიდან, მცირე და საშუალო ბიზნესის წილზე დაახლოებით 68% მოდის. რაც შეეხება მათ მიერ შექმნილ დამატებულ ღირებულებას, როგორც წინა ქვეყნების შემთხვევაში იყო, მხოლოდ ნახევარი იქმნება მათ მიერ. გარკვეული პროგრესის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ პოლონეთს ინოვაციებისა და სამეწარმეო უნარჩვევების მხრივ ევროკავშირის ქვეყნებში ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელი აქვს, ყოველივე ეს კი აფერხებს მეწარმეობის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. საგულისხმოა, კვლევების და ინოვაციების შეზღუდული დაფინანსების საკითხი, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია მეწარმეობის განვითარებისთვის. ყოველივე ეს გამოიხატება ქვეყნის ეკონომიკურ მოდელშიც, რაც გულისხმობს დაბალ ხელფასიან და დაბალი კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალას. ზემოთ ნახსენები პრობლემები არის ძირითადი გამოწვევა პოლონეთისთვის, რომელის დასაძლევად ხორციელდება

„სტრატეგია სანდო/პასუხისმგებლიანი განვითარებისთვის 2020 წლამდე“ (Strategy for responsible development for the period up to 2020). მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ცენტრის მიერ არის გათვალისწინებული გარკვეული მხარდამჭერი ღონისძიებები, რომელიც მიმართულია ზოგადად მეწარმეობის და განსაკუთრებით, მიკრო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის და მათი საქმიანობის ნაწილში ინოვაციების დანერგვისთვის. მოცემული ცენტრის მიერ ხორციელდება „ბაზრის კვლევის“ პროგრამა, რომელიც მოიცავს ყოვლისმომცველ მხარდაჭერის პაკეტს, რათა მოხდეს საწარმოებში ინოვაციების დანერგვა და მისი მეშვეობით ახალი პროდუქციის შექმნა ან/და განვითარება. ასევე მოცემული ცენტრის მიერ, მეწარმეებისთვის და მენეჯერებისთვის ხორციელდება სხვადასხვა სახის ტრენინგები შემდეგი საკითხებით: ინოვაციების დანერგვა და საკუთრების უფლების დაცვა. პოლონეთში, მიმდინარე პროცესშია შემდეგი რეფორმები: საჯარო შესყიდვების შესახებ კანონი, საინვესტიციო მხარდაჭერის ჩარჩოს გაუმჯობესება და უმაღლესი განათლებისა და საზოგადოებრივი კვლევითი ცენტრების რეფორმები (European Commission. 2018. 3-18).

პოლონეთში არსებული მდგომარეობის შეჯერებით მეწარმეობის განხრით, პროპორციების მხრივ იგივე მდგომარეობა არის, როგორც ვიშეგრადის დანარჩენ ქვეყნებში. ბოლო წლების მონაცემებით, მეწარმეობის მთლიანი რაოდენობის ზრდის ტენდენცია ნათელია, რომელთა შორის უმეტესი წილით (99%) წარმოდგენილი არიან მიკრო, მცირე და საშუალო ზომის ფირმები. თუმცა, წილობრივად დიდი მოცულობისა, მათზე მოდის შექმნილი დამატებული ღირებულების ნახევარი და დასაქმებულების დაახ. 68-70%. ხოლო ინოვაციების და სამეწარმეო უნარჩვევების მხრივ, პოლონეთს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ევროკავშირის ქვეყნებს შორის.

სლოვაკეთი. ისევე როგორც ვიშეგრადის დანარჩენ ქვეყნებს, სლოვაკეთსაც გააჩნდა იგივე ეკონომიკური წარსული და ის გადიოდა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდს. ეს თავისთავად მოითხოვდა რეფორმებს ეკონომიკური და საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებით, რომელიც გამოიწვევდა მანამდე მოქმედი საგადასახადო სისტემის არსებით შეცვლას. აქტიურად მიმდინარეობდა პრივატიზაციის პროცესი. სლოვაკეთში მანამდე მოქმედი საგადასახადო სისტემა გამოირჩეოდა ბევრი

ინდივიდუალური მიდგომით განაკვეთების შემთხვევაში. საგადასახადო სისტემის პირველი ფუნდამენტური ცვლილება განხორციელდა 1990 წელს. განსაკუთრებით ეს შეეხო გაყიდვების გადასახადს, რომლის გაუქმებამაც გამოიწვია ინფლაცია და საქონელზე ფასების ზრდა (Miklos I., Jakoby M., Morvay K. 2005. 53-60). როდესაც ჩეხოსლოვაკია გაიყო ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და სლოვაკეთი გამოეყო მას, 1993 წელს ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ძირითადად ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების ანალოგი იყო. პირველ რიგში ეს შეეხო დღგ-ს, რომლის განაკვეთებიც მოგვიანებით რამდენიმეჯერ შეიცვალა. საშემოსავლო გადასახადი, რომლის განაკვეთები დიფერენცირებული იყო შემოსავლების სახეების მიხედვით, (თუმცა, განაკვეთი საკმაოდ მაღალი იყო). მოგების გადასახადი, რომელიც ასევე მაღალი განაკვეთით გამოირჩეოდა, იზრდებოდა აქციზის გადასახადი. ევროკავშირში გაწევრიანებამდე საშემოსავლო გადასახადის, დღგ-ს და მოგების გადასახადის განაკვეთები დინამიკაში შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა (იხ. დანართი N23), მაგ: საშემოსავლო გადასახადი 42%-დან 19%-მდე, მოგების გადასახადი 40%-დან 19%-მდე, ხოლო დღგ-ის კი 25%-დან 19%-მდე შემცირდა. ჩეხეთსა და სლოვაკეთში ჩატარდა კვლევები, არიდებდნენ თუ არა ადამიანები თავს გადასახადის გადახდას. კითხვაზე იყვნენ თუ არა დასაქმებულები „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის სექტორში და თუ იღებდნენ დაურეგისტრირებელ შემოსავლებს, პერიოდულობისა და სიხშირის მიხედვით გამოვლინდა შემდეგი მაჩვენებლები (იხ. ცხრილი N3).

ცხრილი N3

ჩრდილოვან ეკონომიკაში ჩართულობა სლოვაკეთში (%)

| ინტენსივობა | 1995 | 1999 | 2000 |
|-------------|------|------|------|
| ხშირად | 1,1 | 1,2 | 1,1 |
| ზოგჯერ | 14 | 10,8 | 14 |
| არასდროს | 84,9 | 88 | 84,9 |

წყარო: Hanousek J. Palda F. 2002

აღსანიშნავია, რომ ჩეხეთისა და სლოვაკეთის გამოყოფის შემდეგ ჩეხეთს უფრო დაბალი საგადასახადო განაკვეთები ჰქონდა სლოვაკეთთან შედარებით. მაგრამ

მიუხედავად ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ ჩეხეთს ჰქონდა უფრო მაღალი მაჩვენებელი გადასახადისაგან თავის არიდებაში, ვიდრე სლოვაკეთს. მოცემულ შედეგს განაპირობებდა ის, რომ ჩეხეთს ჰყავდა შედარებით უფრო მეტი მაღალშემოსავლიანი დასაქმებულები, ვიდრე სლოვაკეთს. გადასახადებისაგან თავის არიდების დროს, მთავარი მიზეზი იყო არა საგადასახადო განაკვეთების სიდიდე, არამედ მოსახლეობის შემოსავლების სიდიდე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავს არიდებდნენ გადასახადების გადახდას, მათი აზრით ისინი არ მონაწილეობდნენ „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის გაფართოებაში (Hanousek J., Palda F. 2002. 1-35). ევროკავშირის დირექტივასთან ჰარმონიზებისთვის მიმდინარეობდა რეფორმები საგადასახადო სისტემასა და კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. 1995 წელს გატარებული რეფორმებით შემცირდა პირდაპირი გადასახადების ტვირთი, აღნიშნული კი გადავიდა არაპირდაპირ გადასახადებზე. ხოლო, საგადასახადო შემოსავლების ჯამურ მაჩვენებლებს მას ზრდის ტენდენცია აქვს (იხ. დანართი N14).

1997-1998 წლებში დაიხვეწა კანონმდებლობები რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული იყო მეწარმეობასთან. 1998 წლის რეფორმებით გაუმჯობესდა საფინანსო სექტორის მდგომარეობა, დაიხვეწა კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების უფლების შესახებ. გაუმჯობესდა სახელმწიფო შესყიდვებისა და ფინანსური მომსახურების სფერო. რაც შეეხება იმ პერიოდის ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას ის ჯერ კიდევ დახვეწას საჭიროებდა. მეწარმეებში ინოვაციების მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესდა, როდესაც 1998 წელს შემუშავდა და დაინერგა სტრატეგია „საინფორმაციო საზოგადოების პოლიტიკა“. ხორციელდებოდა სხვადასხვა აქტივობები ინფორმაციული ტექნოლოგიების განსავითარებლად. მოცემულ პერიოდში ასევე მიმდინარეობდა დღგ-ს და აქციზის ჰარმონიზების პროცესი, თუმცა მიუხედავად ამისა, იმ პერიოდისთვის ის სრულად არ აკმაყოფილებდა ევროკავშირის მოთხოვნებს. გასაუმჯობესებელი იყო გაკოტრების შესახებ კანონმდებლობაც. ასევე ცვლილებები შეეხო სოფლის მეურნეობის სექტორსაც (European Commission. 1998. 4-52).

აღსანიშნავია, რომ 1998-2003 წლებში მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით ჩამოყალიბდა სხვადასხვა უწყება, როგორცაა: „მცირე და საშუალო ბიზნესის

განვითარების ხელშემწყობი ეროვნული სააგენტო“, „პოსტ პრივატიზაციის ფონდი“, „სლოვაკეთის ეროვნული სააგენტო უცხოური ინვესტიციებისთვის“, „ექსპორტ-იმპორტის ბანკი“ და ა.შ (European Commission. 1998. 4-52).

მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობა სლოვაკეთში მცირედით გაუმჯობესდა 1998 წელს. მოცემულ პერიოდში შემუშავდა და დამტკიცდა საშუალო ვადიანი პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. 1993-1997 წლებში ძირითადი დამატებული ღირებულება შეიქმნა მრეწველეობის და მომსახურების სფეროდან, ხოლო მცირედი წილი ეკავა ასევე სოფლის მეურნეობას (European Commission. 1998. 4-52). 1999 წლისთვის მეწარმეების მთლიანი რაოდენობიდან მცირე და საშუალო ბიზნესი 70%-ს შეადგენდა. დასაქმებულის 60% კი სწორედ მათზე მოდიოდა. გაუმჯობესდა სამართლებრივი და ადმინისტრაციული გარემო, გაადვილდა ფინანსებზე ხელმისაწვდომობა (პრივატიზების გზით) (European Commission. 1999. 21-65).

2001-2003 წლების მონაცემებით მცირე და საშუალო ბიზნესი მთლიან მეწარმეობაში დაახ. 99%-ს იკავებდა (2001 წლისთვის მეწარმეების ჯამური რაოდენობა იყო 342,462 - მათგან მცირე და საშუალო ბიზნესის - 341,874; 2003 წლისთვის კი 370,776-დან 370,193 მცირე და საშუალო ბიზნესი), ხოლო მათ შორის კი წამყვანი პოზიცია ჰქონდა მიკრო ბიზნესს (81%-82%). 1999-2003 წლების მონაცემებით, დამატებული ღირებულების ნახევარს ან/და ოდნავ მეტს სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესი ქმნის, თუმცა მსხვილი ფირმების და მცირე/საშუალო ბიზნესის მიერ იქმნება თითქმის თანაბარი დამატებული ღირებულება, როდესაც მათი რაოდენობები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან (Ubreziava I., Wach K., Horvathova J. 2008. 358-366).

ევროკავშირში გაწევრიანებისთვის სლოვაკეთის რთული და ორაზროვანი საგადასახადო კანონმდებლობა შეიცვალა, შედარებით მარტივი საგადასახადო კანონმდებლობითა და სისტემით. მოქმედი საგადასახადო სისტემა და გადასახადები სრულად ჰარმონიზებულია ევროკავშირის დირექტივებთან, რაც ხელშემწყობი ფაქტორია, ადმინისტრირების, კონტროლის და გამჭირვალობის კუთხით. მოცემული რეფორმები გათვლილი იყო ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისთვის და ეკონომიკური თვისუფლების ხარისხის გასაზრდელად. მისი საგადასახადო სისტემა დაფუძნებულია

შემდეგ პრინციპებზე: სამართლიანობა, ნეიტრალიტეტი, ეფექტურობა და სიმარტივე. გატარებული რეფორმების საფუძველზე სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-ში 1996-2006 წლებში შემცირდა 14,8%-ით - 52,1%-დან 37,3%-მდე (<https://researchleap.com/> ბოლო შესვლის თარიღი 2019 წლის 5 აპრილი). 2005 წელს კი სლოვაკეთი მსოფლიო ბანკის მიერ დასახელებული იქნა როგორც წამყვან ეკონომიკურ რეფორმატორ ქვეყანად.

სლოვაკეთში ამჟამად მოქმედებს შემდეგი გადასახადები: დღგ (20%), შემცირებული (10%; 0%) განაკვეთებით. მოგების გადასახადი (21%), რომლის საგადასახადო პერიოდია კალენდარული წელი ან/და ფინანსური წელი (დივიდენდის, პროცენტის და როიალტის განაკვეთები მერყეობს 19%-დან 35%-ის ჩათვლით). საშემოსავლო გადასახადი (35,022 ევრომდე - 19%, მოცემული თანხის ზევით - 25%). მოცემული გადასახადის ჭრილში განსახილველია შენატანების სოციალური და ჯანმრთელობის ფონდში, სადაც დამსაქმებლის მიერ შეიტანება 35,2%, ხოლო დასაქმებულის მიერ 13,4%. აღსანიშნავია, რომ სლოვაკეთმა 2019 წლიდან საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას დაუქვემდებარა ბიტკოინების, ეთერიუმების და სხვა კრიპტოვალუტების ოპერაციებით მიღებული შემოსავლები და ასევე მათი მოპოვება. აქციზის გადასახადი, მისი განაკვეთები განსხვავდება დასაბეგრი საქონლის სახეობისა და საზომი ერთეულის მიხედვით. საბაჟო გადასახადი, რომლის განაკვეთები დაყოფილია პროცედურის (დროებითი შემოტანა, საბაჟო საწყობი, შიდა გადამუშავება და ა.შ.) და საქონლის სახეობის მიხედვით. ქონების გადასახადი, რომლის განაკვეთები დაყოფილია ტიპების მიხედვით (მიწა, შენობა, ბინა). საავტომობილო გადასახადი, რომლის განაკვეთები მერყეობს ავტომანქანის სახისა და ძრავის მოცულობის მიხედვით. გრძელვადიან პერიოდში მოგება, საშემოსავლო და დღგ-ს განაკვეთები გამოირჩევა ძირითადად კლების ტენდენციით, თუმცა ასევე ფიქსირდება განაკვეთების ზრდა 2013 წლიდან (იხ. დანართი N23).

საინტერესოა სლოვაკეთის მთლიან საგადასახადო შემოსავლებში თუ რა წილი უკავია პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს და რა ტენდენციით ხასიათდებიან ისინი (იხ. დანართი N24). სლოვაკეთში მსგავსად პოლონეთის ტენდენცისა, ფიქსირდება არაპირდაპირი გადასახადების წილის შემცირება 2004 წლიდან მოყოლებული, ხოლო იზრდება პირდაპირი გადასახადების წილი. მაგრამ ჯამურად პირდაპირი და

არაპირდაპირი გადასახადების შედარებისას, არაპირდაპირი გადასახადის წილი მეტია. რაც შეეხება ჯამურ საგადასახადო შემოსავლების პროცენტულ მაჩვენებელს, აქ ფიქსირდება გარკვეული კლება, თუმცა ბოლო წლების მოცემული მაჩვენებელი უტოლდება კვლავ ევროკავშირში გაწევრიანების პერიოდის მაჩვენებელს.

სლოვაკეთის ბოლო წლების რეფორმებიდან გამოსაყოფია: ახალი გადასახადის სახით დაბეგვრა/შემოღება დივიდენდზე, როგორც განაღდების გადასახადი (2017წ.); მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირება; თუმცა აქციზის გადასახადის ჭრილში გაიზარდა გადასახადის განაკვეთი თამბაქოზე და ა.შ. რაც შეეხება სლოვაკეთის საგადასახადო შემოსავლების პროცენტულ მაჩვენებელს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, ევროკავშირის ქვეყნებში სლოვაკეთი 2016 წლისთვის იკავებს 23-ე ადგილს. რაც არც თუ ისე კარგი მაჩვენებელია. ხოლო 2017 წელს მან გააუმჯობესა შედეგი და გადავიდა 21-ე ადგილზე, თუმცა ამ მაჩვენებლით ისევ ჩამორჩება ვიშეგრადის დანარჩენ წევრ ქვეყნებს.

მეწარმეობაში, სლოვაკეთში ვიშეგრადის სხვა ქვეყნების მსგავსად, 2012 წლისთვის დომინირებდა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი, ისინი მეწარმეების დაახ. 99%-ს შეადგენდნენ. ხოლო მათი წილიდან კი მიკრო ბიზნესზე დაახ. 95% მოდიოდა. ეს მაჩვენებელი თითქმის იდენტურია ვიშეგრადის სხვა ქვეყნებისა. ანუ დიდი წილი ეკუთვნის მიკრო ბიზნესს. სლოვაკეთის მცირე და საშუალო ბიზნესი შედარებით მაღალი ინტერნაციონალიზაციის დონით ხასიათდებიან, ვიდრე ვიშეგრადის სხვა ქვეყნების საწარმოები. თუმცა, მაინც მისი მაჩვენებელი ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. მათი კონკურენტუნარიანობა არ არის სათანადო დონეზე. 2013 წლისთვის, მოცემული კატეგორიის საწარმოების უმეტესობა არის წარმოების სექტორში. ასევე მნიშვნელოვანია საბითუმო და საცალო ვაჭრობა (Daszkiewicz N. 2014. 179-189).

2017 წლის მდგომარეობით მცირე ბიზნესის როლი დიდია სლოვაკეთში. ის მთლიანი მეწარმეობის 99%-ს შეადგენს. მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესიდან უმეტესი წილი ეკუთვნის მიკრო ბიზნესს (97%), სადაც დასაქმებულები 10-ს არ აღემატება. თუმცა, მცირე ბიზნესის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულებიდან მათზე ნახევარი მოდის. რაც შეეხება სექტორებს, ისინი მოღვაწეობენ ძირითადად ვაჭრობაში, მშენებლობაში, ინდუსტრიაში და ბიზნესს სერვისებში (OECD. 2018. 21-227).

ევროკომისიის 2018 წლის ანგარიშის საფუძველზე, მეწარმეების რაოდენობა 2012 წელთან შედარებით დაახ. 12%-ით გაზრდილია. მთლიან მეწარმეობაში დიდი წილი აქვს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს და ის 99,9%-ს შეადგენს. მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ მთლიანი დასაქმებულებიდან მათი წილი 72%-ს შეადგენს. მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება ისევ წინა წლების პროპორციებს ინარჩუნებს და ნახევარზე ოდნავ მეტია. სლოვაკეთში ბოლო წლებში განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია: „სქემა, რომელიც ხელს უწყობს შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარებას“, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მართავს სლოვაკეთის ინოვაციისა და ენერჯეტიკის სააგენტო. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა მიმართულებით დახმარებას და უფასო საკონსულტაციო მომსახურებას მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რომლებსაც აქვთ პოტენციური გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანი, ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების განვითარებით; „სქემა, რომელიც ხელს შეუწყობს ინოვაციის გაუმჯობესებას ბიზნეს სუბიექტებისთვის“, აღნიშნული მიზანმიმართულია ინოვაციების დანერგვაზე; სლოვაკეთმა განახორციელა საგადასახადო რეფორმა, რომელიც ითვალისწინებს კვლევისა და განვითარებისთვის (R&D Expenses) გაწეული ხარჯების 100%-ით გამოქვითვას, რომ წახალისოს და ხელი შეუწყოს მეწარმეობის განვითარებას. რაც სტიმულის მიმცემი იქნება კომპანიებისთვის, რომ მეტი ინვესტიცია ჩადონ ან მიმართულებით, რაც თავის მხრივ ბიძგი იქნება ინოვაციების დანერგვისთვის (European Commission. 2018. 4-18).

ვიშეგრადის ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შეჯერებით გამოიკვეთა, რომ ევროკავშირში გაწევრიანებამდე მოცემულმა ქვეყნებმა გაიარეს საკმაოდ რთული გზა, რაც პირველ რიგში გამოიხატა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდით. განხორციელდა სახელმწიფო საწარმოების პრივატიზება, საფუძველი ჩაეყარა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებულ მეწარმეობას, განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, როგორც მეწარმეობის მხარდასაჭერად, ასევე ზოგადი საკანონმდებლო ბაზების გამართვის კუთხით. სწრაფად გაიზარდა მცირე და საშუალო ბიზნესი და მისი რაოდენობრივი წილი მეწარმეობაში, თუმცა მიუხედავად ამისა, მათ მიერ საკმარისად ვერ ხერხდებოდა დასაქმების და დამატებული ღირებულების შექმნის

კუთხით მაჩვენებლების გაზრდა მსხვილ ბიზნესთან მიმართებით. ასევე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში გაწევრიანებამდე (2003წ) ვიშეგრადის ქვეყნები, გარდა სლოვაკეთისა ვერ აკმაყოფილებდნენ მასტრიხტის იმ კრიტერიუმს, რომელიც გულისხმობს საბიუჯეტო დეფიციტის ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს (თუმცა მიუხედავად ამისა, ისინი ევროკავშირში გაწევრიანდნენ 2004 წელს). აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში გაწევრიანებამდე პერიოდში, კლების ტენდენციით გამოირჩეოდა ძირითადი გადასახადების (მოგება, საშემოსავლო) განაკვეთები, თუმცა ამავე დროს ევროკავშირის ღირებულებებთან ჰარმონიზების კუთხით დამკვიდრდა დღე, რაც თავის მხრივ დამატებით საგადასახადო ტვირთს წამოადგენდა, ისედაც ახლად დამკვიდრებული მეწარმეებისთვის. ევროკავშირში გაწევრიანებამდე ვიშეგრადის ქვეყნები პერიოდულად ახორციელებდნენ სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელიც ითვალისწინებდა მეწარმეებისთვის ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას. თუმცა, ადგილობრივი პროგრამების გარდა, ასევე მხარდამჭერი პროგრამები ხორციელდებოდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. მაგალითად, PHARE - პროგრამა, რომელიც დაფინანსებული იყო ევროკავშირის მიერ და შემუშავებული იყო ევროკავშირში გასაწევრიანებელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის.

აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს არსებითი წვლილი აქვს გლობალიზაციის პირობებში ვიშეგრადის ქვეყნებში და მათ ინტერნაციონალიზებას აქვს დიდი მნიშვნელობა. 2012 წლისთვის მიკრო და მცირე საწარმოების დაახ. 44% უკვე იყო საერთაშორისო დონეზე გასული. რაც მიუთითებს მათ დიდ მნიშვნელობაზე საერთაშორისო ვაჭრობაში დაინვესტიციების მხრივ (Daszkiewicz N. 2014. 179-189).

ვიშეგრადის ქვეყნების მეწარმეების მაჩვენებლების და მათი პროცენტული შედარებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზოგადად მეწარმეების რაოდენობაში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოდგენილია დაახ. 90-99%-იანი მაჩვენებლით. მიუხედავად რაოდენობრივად მათი დიდი წილისა, მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება მხოლოდ ნახევარს მოიცავს. ანუ მცირე მეწარმეების 90-99%-ის და მსხვილი მეწარმეების 10-1%-ის მიერ იქმნება იდენტური დამატებული

ღირებულება. ანუ მსხვილი კომპანიების მიერ შექმნილ დამატებულ ღირებულებას დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია მთლიან ეკონომიკაზე, მიუხედავად მათი რაოდენობრივი სიმცირისა. ვიშეგრადის ქვეყნებში მიმდინარეობს მხარდამჭერი პროგრამები ეკონომიკაში მცირე ბიზნესის როლის გაძლიერებისთვის. დასაქმებულების კუთხით კი, მცირე ბიზნესის მიერ დასაქმებულია მოსახლეობის დაახლოებით 70%, ხოლო მსხვილი საწარმოების მიერ - 30%. რაც შეეხება ინოვაციების დანერგვასა და სამეწარმეო/ტექნიკურ უნარჩვევებს, რაშიც იგულისხმება მაგალითად: მცირე ბიზნესის მიერ ინოვაციური პროდუქციისა და მომსახურების წარდგენა, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა, ონლაინ გაყიდვები, დასაქმებულების ტრენინგები სხვადასხვა უნარ-ჩვევების განსავითარებლად და ა.შ. ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ვიშეგრადის ქვეყნებიდან პირველ პოზიციაზეა ჩეხეთის რესპუბლიკა, შემდგომ მოდის სლოვაკეთი, უნგრეთი და პოლონეთი.

რაც შეეხება ვიშეგრადის ქვეყნების საგადასახადო მიმართულებას, მოცემული ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკა, მათი საგადასახადო სისტემა და გადასახადების ტიპები, ძირითადად უახლოვდება ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნების მოცემულობებს. მოცემულ ქვეყნებში ძირითადი რეფორმები შეეხო საგადასახადო განაკვეთების შემცირებას. ჩეხეთში და უნგრეთში ზრდადობის ტენდენციით გამოირჩევა არაპირდაპირი გადასახადებიდან შემოსული შემოსავლები, ხოლო, კლების ტენდენციით ხასიათდება პირდაპირი გადასახადებიდან შემოსული გადასახადები. ხოლო, პოლონეთის და სლოვაკეთის შემთხვევაში ჩეხეთისა და უნგრეთისაგან განსხვავებით, არაპირდაპირი გადასახადების წილი ზრდადობის ნაცვლად, მოკლევადიანი ზრდის შემდეგ ისევ უბრუნდება საწყის ნიშნულს, ხოლო პირდაპირი გადასახადების წილი მერყეობს, თუმცა საბოლოოდ იზრდება. მაგრამ პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების შედარებისას, არაპირდაპირი გადასახადის წილი მეტია. ვიშეგრადის ქვეყნებში საგადასახადო შემოსავლებში, უფრო დიდი წილი უჭირავს არაპირდაპირ გადასახადებს და შესაბამისად, მოცემული ტიპის გადასახადებზე არის აქცენტი განხორციელებული რეფორმების ჭრილშიც.

**თავი III. მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის
ფორმირება და განვითარება საქართველოში**

3.1 საგადასახადო პოლიტიკის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი

საქართველო გატარებული საგადასახადო პოლიტიკით მოწინავე პოზიციაზეა ევროპაში, რასაც არაერთი საერთაშორისო რეიტინგი ადასტურებს. მაგალითად, მსოფლიო ბანკის რეიტინგის თანახმად, ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით ქვეყანა მე-6 პოზიციაზეა, რაც უპირობოდ დადებითი მოვლენაა. გადასახადების გადახდის სიმარტივის მიხედვითაც საქართველო ერთი-ერთი გამორჩეულია. იგი მოხვდა იმ ქვეყნების ჩამონათვალში, რომელთა მიერაც გადასახადის გადამხდელებისთვის შეთავაზებულია განახლებული საგადასახადო კოდექსი და კანონქვემდებარე აქტები, ასევე საგადასახადო ორგანოსთან ურთიერთობის სიმარტივისთვის შეთავაზებულია უმეტესად ელექტრონული სერვისები (WBG. 2019. 6).

„საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო ძირითად მიმართულებებს და მისი განხორციელების გზებს. მისი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები მოიცავს: სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, რომელიც ხელს შეუწყობს ინკლუზიურ ზრდას და ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენებას. მოცემული დოკუმენტიდან ის მიმართულებები, რომელიც ეხება ზოგადად საგადასახადო პოლიტიკას და საგადასახადო სისტემას, შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი: საქართველოს მიზანია მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით შექმნას სტაბილური საგადასახადო სისტემა, სადაც ასევე გადასახადების ადმინისტრირების კუთხითაც გაძლიერდება სხვადასხვა ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო სისტემა, რომელიც მოქმედებს საქართველოში, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად (94-ე მუხლი) რჩება იგივე, რაც გულისხმობს იმას, რომ რეფერენდუმის (რომლის მოწვევის უფლება აქვს საქართველოს მთავრობას) გარეშე შეუძლებელია უკვე არსებული გადასახადის განაკვეთების ზედა ზღვრის ცვლილება ან/და ახალი

გადასახადის შემოღება, საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ჭრილში, თუმცა ეს არ ეხება მხოლოდ აქციზის გადასახადს. აქვე აღსანიშნავია, რომ მოცემულში არ იგულისხმება უკვე არსებული გადასახადის ჩანაცვლება ალტერნატიული გადასახადით ან/და გადასახადის განაკვეთის ცვლილება დადგენილი ზღვრის ფარგლებში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულმა ცვლილებამ არ უნდა გაზარდოს საგადასახადო ტვირთი (საქართველოს კონსტიტუცია. 1995. მუხლი 94. 40). სტრატეგია საქართველო 2020-ის თანახმად საგადასახადო მიმართულებით, ძირითადი მიზნებია საგადასახადო სისტემის გაუმჯობესება, დახვეწა და სტაბილური საგადასახადო გარემოს შექმნა, ასევე მეწარმეებისათვის ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება. მოცემული სტრატეგია ასევე ითვალისწინებს გადასახადის ადმინისტრირების გამარტივებას, ხანდაზმულობის ვადის შემცირებას, საგადასახადო სანქციების შემცირებას, ეკონომიკური დანაშაულების შემსუბუქებას (მაგ: ყალბი ანგარიშ-ფაქტურების გამოწერა) და ზოგ შემთხვევაში გაუქმებას. მოცემული სტრატეგია ითვალისწინებს ასევე მეწარმეობის განვითარებისათვის და მისი კონკურენტუნარიანობის (თუმცა ჯერჯერობით კონკურენტუნარიანობის დონე კერძო ბიზნესში არ აკმაყოფილებს სტანდარტებს) ამაღლების მიზნით, დამწყები ბიზნესის წარმომადგენლებისთვის იმ უნარ-ჩვევების სწავლასა და განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობს მათი საქმიანობის განხორციელებას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია რომ ამაღლდეს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა. ამ მიზნის მისაღწევად სტრატეგია ითვალისწინებს არსებული ბარიერების აღმოფხვრას, რათა ხელი შეეწყოს კერძო სექტორის მწარმოებლურობას და შესაბამისად მისი კონკურენტუნარიანობის ზრდას. ხოლო მწარმოებლურობის ასამაღლებლად კი აუცილებელია განვითარდეს საინვესტიციო გარემო. მნიშვნელოვანია ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რომ საქართველოში წარმოებულ პროდუქციას ქონდეს უფრო მაღალი დამატებული ღირებულება. მცირე და საშუალო ბიზნესისთვის კი სტრატეგიით გათვალისწინებულია ფინანსებზე გაადვილებული წვდომა. მოცემული სტრატეგია ითვალისწინებს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ საფუძველზე. აუცილებელია საინვესტიციო

გარემოს გაუმჯობესება, რადგან ეს დიდ გავლენას ახდენს მეწარმეობის განვითარებაზე. საქართველოს აქვს აღებული ვალდებულება, რომ მოახდინოს მეწარმეობის ინფორმირება იმ სტანდარტებთან მიმართებაში, რაც არის ევროკავშირის მოთხოვნით გათვალისწინებული. დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფოს მიერ იქნა დაარსებული რამდენიმე საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), რომელიც უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების ინფორმირებას და მხარდაჭერას სხვადასხვა მიმართულებით. იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს ბიზნეს გარემო, ასევე ამაღლდეს მეწარმეობის კონკურენტუნარიანობა, საკმარისი არ არის მხოლოდ საგადასახადო სისტემის ფორმირება/გამარტივება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება და ა.შ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო სისტემას, რათა დაცული იქნეს საკუთრების უფლება და ასევე ბიზნესში ჩარევის შესაძლო რისკები. ასევე პრობლემების მხრივ საგულისხმო გარემოებას წარმოადგენს კომერციული დავების გადაწყვეტა, გადახდისუნარობის პროდეცურები და ბიზნესთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები (სტრატეგია 2020. 19-24). მოცემულის გათვალისწინებით აუცილებელია რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პრობლემების მოგვარებას. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველო სხვადასხვა საერთაშორისო სარეიტინგო კვლევებში იკავებს წამყვან პოზიციებს გატარებული რეფორმების მიხედვით. მოცემული სტრატეგიით არის გათვალისწინებული ბიზნესის დახურვის გამარტივება (როგორც აღვნიშნეთ ბიზნესის დაწყების სიმარტივით საქართველო წამყვან პოზიციებზეა) და გადახდისუნარობის პროცედურის სრულყოფა. მოცემული სტრატეგიის ფარგლებში შემუშავებულია პოლიტიკის მიმართულებები და განსახორციელებელი ღონისძიებები, რომელიც თავის მხრივ, დაყოფილია სამოქმედო და საშუალოვადიან გეგმებად. რომლის მიხედვითაც შემუშავებულია ბიუჯეტის პროგრამები თავისი შეფასების ინდიკატორებით, სადაც საბოლოოდ ხდება მონიტორინგი და შეფასება (რომელიც ხორციელდება სხვადასხვა დონეზე: მთავრობის ადმინისტრაციის, საქართველოს პარლამენტის და განვითარების პარტნიორების მიერ) სხვადასხვა ინდიკატორების მიხედვით. აღნიშნულის საფუძველზე ქვეყნდება დასკვნა შუალედურ და საბოლოო დონეზე.

საქართველოში არსებული საგადასახადო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებად შეიძლება გამოიყოს შემდეგი: გადასახადის გადამხდელისთვის გარკვეული შეღავათების მიცემა სხვადასხვა სტატუსების მინიჭების მეშვეობით, ასევე მოგების გადასახადის საშელავათო მოდელის შემოღება გარკვეული კატეგორიის გადამხდელისთვის (რათა ხელი შეეწყოს მათი ბიზნესის გაფართოებას), საგადასახადო განაკვეთების შემცირება, საგადასახადო სამართალდარღვევებზე არსებული სანქციების შემცირება, ელექტრონული სერვისებით სარგებლობა საგადასახადო ორგანოებთან სხვადასხვა მიმართულებით და ა.შ. მოცემული ხორციელდება სწორედ იმისთვის რომ ხელი შეეწყოს გადასახადის გადამხდელს, დაიწყონ ახალი ბიზნესი ან გააფართოვონ უკვე არსებული, გაიმარტივონ ურთიერთობა საგადასახადო ორგანოსთან და ა.შ.

რაც შეეხება საქართველოში არსებული საგადასახადო კოდექსის სტრუქტურას. გადასახადები იყოფა საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივი გადასახადებად. საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადში შედის: ა) საშემოსავლო გადასახადი; ბ) მოგების გადასახადი; გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ); დ) აქციზი; ე) იმპორტის გადასახადი. ხოლო ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

საშემოსავლო გადასახადი: მოცემული გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი და არარეზიდენტი პირი. რომლისთვისაც დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის სსკ-ით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. განაკვეთი კი შეადგენს 20%-ს. მოცემულ გადასახადს გააჩნია რიგი გათავისუფლებები (სსკ. 2010. 2019 წლის 10 მაისის მდგ. მუხლი 79-82. 74-82). აქვე განსახილველია სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები, რომელშიც შედის: ფიზიკური პირები, რომლებსაც აქვთ მიკრო, მცირე და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი. მოცემული სტატუსები ერთმანეთისგან განსხვავდება კალენდარული წლის მანძილზე მისაღები ერთობლივი შემოსავლის ოდენობით. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე გადამხდელისთვის ზედა ზღვარი შეადგენს 30,000 ლარს, მცირე ბიზნესის

სტატუსის მქონე გადამხდელისთვის 500,000 ლარს, ორივე სტატუსს აქვს საქმიანობების ჩამონათვალი, რომლიდანაც მიღებული შემოსავალი არ მონაწილეობს დასაბეგრი ერთობლივი შემოსავლის განსაზღვრის დროს და რომლის განხორციელება ეკრძალება ამ სტატუსის მქონე გადამხდელს. თუ გადასახადის გადამხდელს აქვთ მიკრო ბიზნესის სტატუსი, ისინი არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს, ხოლო მცირე ბიზნესის სტატუსის შემთხვევაში გვაქვს 1%-იანი და 3%-იანი (ერთობლივი შემოსავლის დადგენილ ზღვარის გადაჭარბების დროს) განაკვეთი, ხოლო დეკლარაციის წარდგენისა და გადასახადის გადახდის პერიოდია კალენდარული თვე. ასევე სსკ-ით გაწერილია ის მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მოცემული სტატუსის მქონე გადამხდელები, როგორც სტატუსის მინიჭების დროს, ასევე ის პირობები, რომლის არ გათვალისწინება გამოიწვევს სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან გამოსვლას. სტატუსის გაუქმებასთან დაკავშირებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი არის ის, რომ თუ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე გადამხდელი დადგა დღგ-ს გადამხდელად, ის ავტომატურად გამოდის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან, ხოლო მოცემული არ ეხება მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე გადასახადის გადამხდელს. რაც შეეხება ფიქსირებული სტატუსის მქონე გადასახადის გადამხდელს, ის არ უნდა იყოს დღგ-ს გადამხდელი და უნდა ახორციელებდეს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ ერთ ან მეტ საქმიანობას, ხოლო მათთვის გადასახადის განაკვეთი მერყეობს 1-2000 ლარის ფარგლებში თითო დასაბეგრ ობიექტზე ან 3%-ს მიღებული შემოსავლიდან. წინა სტატუსების მსგავსად, მოცემულსაც აქვს რიგი შეზღუდვები როგორც სტატუსის მინიჭების დროს, ასევე პირობები/მოთხოვნები, რომლის გაუთვალისწინებლობა იწვევს სტატუსის გაუქმებას (სსკ. 2010. 2019 წლის 10 მაისის მდგ. მუხლი 83-95⁶. 82-90).

მოგების გადასახადი: მოცემული გადასახადის შემთხვევაში კი საქართველოში მოქმედებს ორი განსხვავებული მოდელი, რომლის გამოყენების შესაძლებლობა დამოკიდებულია კონკრეტული ფირმის საქმიანობის სახეზე. ორივე შემთხვევაში გადასახადის განაკვეთი 15%-ია, თუმცა სხვაობა არის დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრაში. გადასახადის გადამხდელია როგორც რეზიდენტი, ასევე არარეზიდენტი საწარმო. რაც შეეხება დაბეგვრის ობიექტებს, რაც რეალურად იძლევა სხვაობას

მოცემულ მოდელებს შორის ეს არის, განაწილებული მოგების გადასახადის ანუ ე.წ. მოგების გადასახადის ესტონური მოდელისთვის: „ა) განაწილებული მოგება; ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; დ) ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი”, ხოლო მეორე შემთხვევაში კი კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის სხვაობა (სსკ. 2010. 2019 წლის 10 მაისის მდგ. მუხლი 96-99. 90-101). მოგების გადასახადს ასევე გააჩნია გარკვეული გათავისუფლებები. რაც შეეხება საქმიანობის იმ სახეებს, როგორცაა: კომერციული ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო ორგანიზაციები, მიკრო საფინანსო ორგანიზაციები და სესხის გამცემი სუბიექტები იბეგრებიან მოგების გადასახადის იმ მოდელით, რომლის დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის (2023 წლის 1 იანვრამდე), ხოლო დანარჩენი საქმიანობები იბეგრება ე.წ. მოგების გადასახადის ესტონური მოდელით. „ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში პირისთვის საშემოსავლო/მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი აღნიშნული საქმიანობის ნაწილში არის ამ საქმიანობის მიხედვით ყოველი საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფსონების ჯამი, რომელიც იბეგრება 7%-იანი განაკვეთი“ (სსკ. 2010. 2019 წლის 10 მაისის მდგ. მუხლი 309. 306). გადახდის წყაროსთან არარეზიდენტებზე გაცემული დივიდენდი და პროცენტი იბეგრება 5%-ით, ხოლო გადახდის წყაროსთან არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ან რეზიდენტის მიერ ან მათი სახელით რეზიდენტი ფიზიკური პირისათვის გადახდილი როიალტი 20%-ით.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ): მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულება ეკისრება პირს, რომელიც არის რეგისტრირებული ან/და ვალდებულია დარეგისტრირდეს დღგ-ს გადამხდელად, ან ახორციელებს საქონლის იმპორტს ან დროებით შემოტანას (მხოლოდ ამ ოპერაციაზე) მოცემული გადასახადის რეგისტრაციის

ვალდებულების გარეშე, ასევე არის რიგი ოპერაციები, რომლებიც იბეგრება დღგ-ით და არ მოითხოვს გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციას. სავალდებულო რეგისტრაცია კი ეხება პირს, რომლის ბოლო 12 უწყვეტი კალენდარული თვის მანძილზე, მისი ეკონომიკური საქმიანობიდან დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების თანხამ გადააჭარბა 100 ათას ლარს; აწარმოებს აქციზურ საქონელს ან/და ახორციელებს მის იმპორტს; რაც შეეხება მოცემული გადასახადით დაბეგვრის ობიექტებს, ესენია: დასაბეგრი ოპერაცია, იმპორტი, ექსპორტი, რექსპორტი და დროებითი შემოტანა. გადასახადის განაკვეთი შეადგენს 18%-ს, ხოლო გადასახადი გამოიანგარიშება, როგორც სხვაობა დასაბეგრ ბრუნვაზე დარიცხულ და ჩასათვლელ დღგ-ს თანხებს შორის. საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე. წინა გადასახადების მსგავსად დღგ-საც გააჩნია რიგი გათავისუფლებები, რომელიც იყოფა ორ კატეგორიად: ჩათვლის უფლებით და ჩათვლის უფლების გარეშე. არცერთ გათავისუფლებას დღგ არ დაერიცხება, თუმცა, მოცემულიდან პირველ შემთხვევაში შესაძლებელია გამოიყენოს ჩათვლის უფლება და მეორე შემთხვევაში არა (სსკ. 2010. 2019 წლის 10 მაისის მდგ. მუხლი 156-181¹. 144-179).

აქციზის გადასახადი: მოცემული გადასახადის გადამხდელად ითვლება პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს (მაგ: თამბაქო, ალკოჰოლური სასმელი, ლუდი, ნავთობ პროდუქტები და ა.შ.) ან ახდენს აქციზური საქონლის იმპორტსა და ექსპორტს, ასევე პირი, რომელიც ახორციელებს მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში მიღებული საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურებას, ასევე ის პირები, რომლებიც ახდენენ ბუნებრივი აირის ან მისი კონდენსატის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას. აქციზით დაბეგვრის ობიექტებია: დასაბეგრი ოპერაცია, აქციზური საქონლის იმპორტი და ექსპორტი. რაც შეეხება განაკვეთებს, ის მრავალფეროვანია და დამოკიდებულია საქონლის ტიპზე და მის საზომ ერთეულზე. აქციზის გადასახადის საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე. რაც შეეხება აქციზის გადასახადის გათავისუფლებებს, ის დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) მსგავსად იყოფა ორ კატეგორიად: ჩათვლის უფლებით და ჩათვლის უფლების გარეშე (სსკ. 2010. 2019 წლის 10 მაისის მდგ. მუხლი 182-194. 179-199).

იმპორტის გადასახადი: იმპორტის გადასახადის გადახდის ვალდებულება ეკისრება პირს, რომელიც ახორციელებს საქონლის გადაადგილებას საქართველოს საბაჟო საზღვარზე (ეს არ ეხება ექსპორტს). დაბეგვრის ობიექტი კი განისაზღვრება საზღვრის კვეთისას საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით. იმპორტის გადასახადის განაკვეთები დაყოფილია 12%-იან და 5%-იან განაკვეთებად, სადაც კოდების მიხედვით განსაზღვრულია დასაბეგრი საქონლის კატეგორია განაკვეთების მიხედვით. ხოლო, ცალკე კატეგორიად არის გამოყოფილი ალკოჰოლური საქონელი, რომლის იმპორტის გადასახადის გამოანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება ალკოჰოლოს პროცენტული შემცველობა. საგადასახადო კოდექსში დეტალურად არის გაწერილი თითოეული სახეობის ალკოჰოლური საქონლისთვის იმპორტის გადასახადის გაანგარიშების წესი. აღნიშნულ გადასახადსაც ასევე გააჩნია რიგი გათავისუფლებები (სსკ. 2010. 2019 წლის 10 მაისის მდგ. მუხლი 195-199. 200-215).


ქონების გადასახადი: იგი ადგილობრივი გადასახადია და მისი გადამხდელი არის ფიზიკური პირი, რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაცია ან არარეზიდენტი საწარმო, თუმცა მოცემულთათვის დაბეგვრის ობიექტები განსხვავებულია. რეზიდენტი საწარმოსთვის დასაბეგრი ობიექტია მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობა და მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონება. არარეზიდენტი საწარმოსთვის კი დასაბეგრი ობიექტია იგივე, რეზიდენტი საწარმოსთვის განკუთვნილი ქონება, იმ განსხვავებით, რომ ის უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიაზე. რაც შეეხება ფიზიკურ პირს, მისთვის დაბეგვრის ობიექტია მის საკუთრებაში არსებული ქონება და ლიზინგის წესით მიღებული ქონება არარეზიდენტისაგან. ზოგადად რომ ჩამოვაცალიბოთ, დასაბეგრი ობიექტია ნებისმიერი უძრავი თუ მოძრავი ქონება და მიწა (როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და ტყის მიწები). რამდენადაც ქონების გადასახადი არის ადგილობრივი გადასახადი, განაკვეთები განსხვავებულია ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, თუმცა გადასახადის წლიური განაკვეთის მაქსიმალური ზღვარი შეადგენს დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1%-ს (საწარმოებისთვის კი დასაბეგრი

ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება). ფიზიკური პირის შემთხვევაში ქონების გადასახადი დაკავშირებულია ოჯახის შემოსავალთან და ის დიფერენცირებულია სამ კატეგორიად: ოჯახი, რომელთა შემოსავლები არის 100 ათას ლარამდე (0.05%-დან არაუმეტეს 0.2%), ოჯახი, რომელთა შემოსავლები არის 100 ათასი ლარი ან მეტი (0.8%-დან არაუმეტეს 1%) და ოჯახი, რომელთა შემოსავლები არ აღემატება 40,000 ლარს გათავისუფლებული არიან ქონების გადასახადისაგან (მასში არ შედის მიწა). ქონების გადასახადსაც აქვს რიგი გათავისუფლებები (სსკ. 2010. 2019 წლის 10 მაისის მდგ. მუხლი 200-206. 215-229).

საქართველოს ბიუჯეტის შემოსულობების უმეტესი წილი შედგება სწორედ გადასახადებისგან და იქიდან გამომდინარე, რომ განვსაზღვროთ თუ რა წილი აქვს საგადასახადო შემოსულობებს საქართველოს ბიუჯეტში და ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გადასახადებიდან რომელია წამყვანი თავისი მასშტაბებით, მაგალითისთვის ავიღოთ 2018 წელი (იხ. დიაგრამა N2).

დიაგრამა N2

2018 წლის საქართველოს ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადები სახეების მიხედვით



წყარო: საქართველოს სახელმწიფო ხაზინა <http://treasury.ge/5629>


როგორც დიაგრამაზე ჩანს, ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადების პირველი სამეულიდან გადასახადებიდან უმეტესი წილი (43%) უჭირავს დღგ-ს, ასევე მნიშვნელოვანი წილი აქვს საშემოსავლო გადასახადს (31%) და მესამე პოზიციაზე არის აქციზის გადასახადი (14%). მოცემული დიაგრამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2018 წელს საგადასახადო შემოსულობების თითქმის 90% ბიუჯეტში შემოსულია სამი გადასახადიდან, ხოლო მათგან თითქმის ნახევარს იკავებს დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც იქნება დაკავშირებული მოცემულ გადასახადთან, განსაკუთრებული სიფრთხილით არის მისაღები, რადგან მას ძალიან დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ბიუჯეტის შემოსულობებზე (აღსანიშნავია, რომ საქართველო გადის ევროკავშირის დირექტივასთან ჰარმონიზებას დამატებული ღირებულების გადასახადის ჭრილში და უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია მოცემული გადასახადის ძირეული ცვლილება. მოცემული კი უნდა გახდეს ცალკე კვლევის საგანი, რადგან დღგ არის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებლით წარმოდგენილი საქართველოს ბიუჯეტის შემოსულობებში და აუცილებელია მოსალოდნელი ცვლილების გავლენის შესწავლა, რადგან აღნიშნულმა რეფორმამ არ გამოიწვიოს ბიუჯეტის დეფიციტი).

გადასახადების ჭრილში რომ შევადაროთ 2017-2018 წლები, თუ როგორი ტენდენცია აქვთ ამ გადასახადების პროცენტულ გადანაწილებას ბიუჯეტში შემოსულობების კუთხით, ვღებულობთ შემდეგ სურათს (იხ. დიაგრამა N3): სურათი იდენტურია, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსულობაში გადასახადების სახეების მიხედვით ნაწილდება თითქმის იდენტური პროპორციებით, სადაც უმეტესი პროცენტული მოცულობით წარმოდგენილია დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), შემდეგ მოდის საშემოსავლო გადასახადი და მესამე პოზიციაზეა აქციზის გადასახადი. ხოლო უმნიშვნელო წილით შემოიფარგლება იმპორტის და ქონების გადასახადები. დიაგრამა N3-დან ჩანს, რაოდენ მნიშვნელოვანია დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ), საშემოსავლო გადასახადის და აქციზის გადასახადის მნიშვნელობა ბიუჯეტში

შემოსავლების მობილიზების კუთხით, ხოლო ყველაზე ნაკლები დატვირთვა საგადასახადო შემოსულობებში აქვს იმპორტის გადასახადს და ქონების გადასახადს.

დიაგრამა N3

საქართველოს ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადები სახეების მიხედვით
2017-2018 წლებში



წყარო: საქართველოს სახელმწიფო ხაზინა <http://treasury.ge/5629>

საქართველოში ბოლო წლებში გატარებული საგადასახადო რეფორმებიდან, ცვლილებები შეეხო სწორედ იმ სამ ძირითად გადასახადს, რომელსაც აქვს დიდი წილი მთლიან საგადასახადო შემოსულობებში (მოცემული ცვლილებები დეტალურად განხილულია მომდევნო პარაგრაფში). ხოლო, რაც შეეხება მოგების გადასახადს, მისი წილი უმნიშვნელოა (7%) მთლიანი გადასახადებიდან, თუმცა გატარებული რეფორმის შედეგად (რომელიც ეხება განაწილებული მოგების გადასახადის მოდელს ანუ ე.წ. მოგების გადასახადის ესტონურ მოდელს), გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელია, რომ მოცემული პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდოს, რადგან აღნიშნული მოდელი ითვალისწინებს რეინვესტირებას, რაც თავის მხრივ ბიზნესის გაფართოებისა და წარმატების შემთხვევაში, პერსპექტივაში გაზრდის ბიუჯეტში შემოსულობებს მოგების გადასახადის ჭრილში.

3.2 მეწარმეობის განვითარების მიღწეული შედეგები და წინააღმდეგობები

საქართველოში მეწარმეობის განვითარებისთვის და ხელშეწყობისთვის რიგი ქმედებები ხორციელდება. იგი გამოიხატება როგორც სხვადასხვა სტრატეგიების შემუშავებაში და მის შესრულებაში, ასევე საგადასახადო რეფორმებში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წელს, არის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო ზომის საწარმოები დიდი რაოდენობრივი წილით გვხვდება ბაზარზე, მათი ბრუნვა და წილი მთლიან შიდა პროდუქტში ძალიან მცირეა. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება უზრუნველყოფს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ექსპორტის გაზრდას, ინოვაციური მიდგომების დანერგვას, კონკურენტუნარიანობის ზრდას კერძო სექტორში და ა.შ. სწორედ ამიტომ, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის და მოცემული დოკუმენტით გაწერილი მიმართულებების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. სტრატეგიაში მოცემული მიმართულებები და მიზნები გაწერილია ეტაპობრივად, ხოლო მისი მიზნები/ამოცანები შემდეგნაირად გამოიყურება:

- ✚ „ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- ✚ სამეწარმეო უნარების ამაღლება და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა;
- ✚ მცირე და საშუალო საწარმოების მოდერნიზაციის და ტექნოლოგიური გაუმჯობესების ხელშეწყობა“ (მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. 2016. 22).

2020 წლისთვის მიღწეულ უნდა იქნეს მცირე და საშუალო საწარმოებში წარმოებული პროდუქციის 10%-იანი ზრდა, დასაქმებულების 15%-იანი და მწარმოებლურობის 7%-იანი ზრდა. ზემოთ მოცემული ამოცანებისა და მაჩვენებლების მისაღწევად შემუშავებული არის სამოქმედო გეგმები, სადაც კონკრეტულად გაწერილია

განსახორციელებელი ოპერაციები, დაფინანსების საკითხები, ვადები და პასუხისმგებელი უწყებები. მოცემული სტრატეგია ეფუძნება ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას და აქ გათვალისწინებულია ევროპული მცირე ბიზნესის აქტის ძირითადი პრინციპები.

მოცემული სტრატეგიის თანახმად, შემუშავებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ხუთი სტრატეგიული მიმართულება:

1. საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება;
2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
3. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;
4. ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია;
5. ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა (მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. 2016. 23).

სწორედ ამ სტრატეგიული მიმართულებების დახვეწის და შესრულების შედეგად მიიღწევა ის მიზნები, რაც დასახული აქვს საქართველოს მთავრობას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების კუთხით.

საქართველოში შეიქმნა რამდენიმე უწყება, რომელიც ვალდებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისთვის და მხარდაჭერისთვის, როგორც ფინანსური, ასევე სამართლებრივი და ბიზნესის დაგეგმვის კუთხით.

მეწარმეობის განვითარების სააგენტო (სსიპ „აწარმოე საქართველოში“). აღნიშნულ სააგენტოს აკისრია მეტად მნიშვნელოვანი მიზნები და ფუნქციები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის. მიზნებიდან აღსანიშნავია კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, დამწყები მეწარმეების ხელშეწყობა და ა.შ. სააგენტოს ფუნქციებიდან კი შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: გაუადვილდეთ მეწარმეებს ფინანსებზე წვდომა, დაეხმარონ ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობაში, გაუწიონ მარკეტინგული დახმარება, გაუწიონ კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებზე, როგორცაა: ექსპორტი, სხვადასხვა ბაზრის მოთხოვნები და ვალდებულებები და ა.შ.

ასევე მათ მიერ ხდება კონსულტაციები ბიზნესის დაგეგმვის მიმართულებით, მათი სწორად განვითარების მიზნით. მოცემული სააგენტოს მნიშვნელოვანი ფუნქციაა, ხელი შეუწყოს მეწარმეებს, რომ მოახერხონ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მოთხოვნებთან ადაპტაცია. აღნიშნული სააგენტოს მიერ ხდება ასევე ტრენინგების ჩატარება მეწარმეობის უნარ-ჩვევების გაღრმავების კუთხით.


საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. მოცემული სააგენტოს ძირითადი მიზნებიდან გამოიყოფა: ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, თანამედროვე ტექნოლოგიების შექმნა და დანერგვა, ინოვაციებზე დაფუძნებული დამწყები მეწარმეების/კომპანიების ე.წ. Start-Up-ის განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა, კოლაბორაციის ხელშეწყობა სამეცნიერო მიმართულების წარმომადგენლებისა და ბიზნესის წარმომადგენლებს შორის. სააგენტოს ფუნქციებიდან კი მნიშვნელოვანია: ზემოთ ხსენებული სააგენტოს მსგავსად ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მოთხოვნებთან ადაპტაცია, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა, ინოვაციებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით ქვეყნის ტერიტორიის მოცვა, ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა და ა.შ. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა ხორციელდება ასევე ევროკავშირის და სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ (EBRD და ა.შ.) მიზნობრივი პროგრამების სახით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის მონაცემებით ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში უმეტესი წილი უჭირავს მრეწველობას, შემდეგ მოდის მშენებლობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, სოფლის მეურნეობა, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევა, სახელმწიფო მმართველობა, ჯანდაცვა და სოციალური დახმარება, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი უმნიშვნელო პროცენტული წილით გაერთიანებულია ერთ ჯგუფად (იხ. დიაგრამა N4). ხოლო რაც შეეხება პროდუქციის გამოშვებას საწარმოთა ზომის

მიხედვით 2012-2018 წლების მონაკვეთში მცირე საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქცია გაიზარდა 27%-დან 34%-მდე. საშუალო ზომის საწარმოების ანალოგიური მაჩვენებელი მოცემულ პერიოდში მერყეობს 25%-26%-ის ფარგლებში, ხოლო მსხვილი საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია შემცირდა 45%-დან 40%-მდე. აღნიშნული მიუთითებს მცირე საწარმოების აქტიურობის გაზრდას და მათი წილობრივი მონაწილეობის გაფართოებას პროდუქციის მთლიან გამოშვებაში. 2012-2018 წლების მონაკვეთში, უკვე რეგიონების ჭრილში პროდუქციის მთლიან გამოშვების მაჩვენებელში, ყველა რეგიონში შეიმჩნევა ზრდის ტენდენცია, თუმცა მათ შორის წილობრივი მონაწილეობით ლიდერობს რა თქმა უნდა თბილისი, ხოლო მას მოყვება აჭარა, ქვემო ქართლი, იმერეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი. დანარჩენი რეგიონები კი უმნიშვნელო წილით არიან წარმოდგენილნი. სამართლებრივი ფორმების მიხედვით კი (მოცემულ პერიოდში) მთლიანი გამოშვების 78%-80% იქმნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ, 10%-11% სააქციო საზოგადოების მიერ, ხოლო დანარჩენი ფორმების წილი უმნიშვნელოა (www.geostat.ge ბოლო შესვლის თარიღი 2019 წლის 5 ივლისი).

დიაგრამა N4

საქართველოში ეკონომიკის მთლიანი გამოშვების სტრუქტურა 2018 წელს (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge

საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტთა განაწილება რეგიონების მიხედვით შემდეგია: 2017 წლის მდგომარეობით ფუნქციონირებდა 639,427 საწარმო, მათ

შორის 276,124 (43%) ფუნქციონირებდა თბილისში, 89,587(14%) იმერეთში, 55,878 (8,7%) აჭარაში, 50,492 (7,8%) სამეგრელო-ზემო სვანეთში, 47,478 (7,4%) ქვემო ქართლში, ხოლო დარჩენილი გადანაწილებული იყო დანარჩენ რეგიონებზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გადასახადის გადამხდელების მხრივ დედაქალაქის გარდა აქტიური იყო ოთხი რეგიონი, რომელიც მოიცავდა გადამხდელების შედარებით დიდ რაოდენობას. რაც შეეხება სამართლებრივ ფორმებს, როგორც მოსალონდელი იყო (როგორც რეგისტრაციის სიმარტივის მხრივ, ასევე მათი ვალდებულებების კუთხით), უმეტესობა იყო ინდივიდუალური მეწარმე (ი/მ) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), ხოლო ყველაზე ნაკლები კომანდიტური საზოგადოება. 2019 წლის მდგომარეობით, მეწარმეთა რაოდენობა 2017 წელთან შედარებით გაზრდილია დაახლოებით 14%-ით, თუმცა განაწილების რიგითობა უმნიშვნელო პროცენტული ცვლილებით, იგივე თანმიმდევრობით არის შენარჩუნებული. 2019 ივნისის მდგომარეობით რეგისტრირებულია 741,811 საწარმო, მათ შორის თბილისში - 325,717 (44%), იმერეთში - 100,517 (13,5%), აჭარაში - 65,459 (8,8%), სამეგრელო-ზემო სვანეთში - 57,102 (7,7%) და ქვემო ქართლში - 54,937 (7,4%). დანარჩენი რეგიონების წილი უმნიშვნელოა მეწარმე სუბიექტების რაოდენობის მხრივ. 2017-2019 წლების შედარების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტების აქტიურობის მხრივ საქართველოში ლიდერია თბილისი (აქ საგულისხმოა მოსახლეობის რიცხოვნობა), ხოლო რეგიონებიდან ყველაზე აქტიურია იმერეთი, აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი და ქვემო ქართლი.

2018 წლის მონაცემებით, საგადასახადო შემოსავლების და მთლიანი შიდა პროდუქტის ერთმანეთთან მიმართება 23,4%-იანი მაჩვენებლით დაფიქსირდა. ბოლო წლების ტენდენცია აჩვენებს, რომ აღნიშნული თანაფარდობა მერყეობს დაახლოებით 23%-25% შორის. საინტერესოა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დინამიკა საქართველოში. 2010-2018 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებლები ნათლად ჩანს N5 დიაგრამაზე. მონაცემებიდან ჩანს, რომ 2008 წლის კრიზისის შემდგომ პერიოდში იყო ზრდის ტენდენცია, 2015-2016 წლებში არის გარკვეული ჩავარდნა

(დაახლ. 4,3% კლება), ხოლო შემდგომ ისევ ზრდის ტენდენციაა, თუმცა ჯერ კიდევ ვერ დაუბრუნდა 2011 წლის მაჩვენებელს (7,2%).

დიაგრამა N5

საქართველოში მშპ-ის ზრდა 2010-2018 წწ (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge

მეწარმეობის განვითარება მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და მათი ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია სწორი საგადასახადო პოლიტიკის გატარება. მოცემულში მოიაზრება, როგორც ოპტიმალური ოდენობის გადასახადის განაკვეთის დაწესება, ასევე რიგ შემთხვევაში გარკვეული შეღავათების მიცემა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების უმეტესობა მეწარმეებზე მორგებული იყო, გარკვეული რეფორმები უარყოფითად აისახა გადასახადის გადამხდელებზე.

განხვიხილეთ აქციზის გადასახადის ცვლილებები 2015 წლიდან მოყოლებული დღემდე, რადგან როგორც ცნობილია აქციზის გადასახადი არის ერთადერთი გადასახადი, რომლის ცვლილება და გადასახადის განაკვეთების ზრდა შესაძლებელია მთავრობის გადაწყვეტილებით რეფერენდუმის გარეშე, რასაც ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონი. 2015 წლიდან მოყოლებული, საქართველოს საგადასახადო კოდექსში თამბაქოზე აქციზის განაკვეთი რამდენჯერმე შეიცვალა. ცვლილებები შეეხო არა მარტო აქციზის ფიქსირებულ განაკვეთს, სასაქონლო კოდით განისაზღვრა თამბაქოს პროდუქციის ორი სხვა სახეობა და ამოქმედდა ე.წ. ადვალური გადასახადი, რომელიც დგინდება პროცენტულად, საქონლის სარეალიზაციო ფასთან მიმართებაში (აქციზის

ფიქსირებული განაკვეთისა და დღგ-ის ჩათვლით). ცვლილებების პირველი ნაწილი, რომელიც ამოქმედდა 01.01.2015 წლიდან, შეეხო მხოლოდ თამბაქოს ორ კატეგორიას (ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტები თამბაქოს შემცველობით). უფრო კონკრეტულად, ფილტრიან სიგარეტზე აქციზის განაკვეთი გაიზარდა 15 თეთრით, ხოლო უფილტრო სიგარეტზე 5 თეთრით. 2015 წლის პირველი ივლისიდან ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებთან მიმართებაში, დამატებით ამოქმედდა ადვალური გადასახადი, თამბაქოს სარეალიზაციო ფასის 5 პროცენტის ოდენობით. 2016 წლის პირველი იანვრიდან კი, ცვლილება შეეხო თამბაქოს პროდუქციის ყველა სახეობისათვის დადგენილ განაკვეთს. კერძოდ, განაკვეთები გაიზარდა: სიგარაზე 40 თეთრით, სიგარილაზე 50 თეთრით, ფილტრიან სიგარეტზე 20 თეთრით, უფილტრო სიგარეტზე 5 თეთრით, თამბაქოს შემცველ სხვა დანარჩენ ნაწარმზე 5 თეთრით, ხოლო ადვალურმა გადასახადმა 5%-ის ნაცვლად 10% შეადგინა. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე საგრძნობი ცვლილებები ამოქმედდა 2017 წლიდან, აქციზის განაკვეთი გაიზარდა: სიგარაზე 60 თეთრით, სიგარილაზე 70 თეთრით, ფილტრიან სიგარეტზე 60 თეთრით, უფილტრო სიგარეტზე 30 თეთრით, თამბაქოს შემცველ სხვა დანარჩენ ნაწარმზე 10 თეთრით, ხოლო ადვალური გადასახადი შენარჩუნდა 10%-ის დონეზე. 2017 წლის ივლისიდან კი ორი ახალი სასაქონლო კოდით დაემატა თამბაქოს პროდუქცია „კაფსულები და მსგავსი სახის პროდუქტები, თამბაქოს შემცველობით“ 20 ცალზე აქციზი განისაზღვრა 1.7 ლარით და „თამბაქოს ნაწარმი, წვის პროცესის გარეშე, ორთქლის მისაღებად გამოსაყენებელი“ 20 ღერზე კი აქციზი შეადგენს 1.7 ლარს. რაც შეეხება ადვალურ გადასახადს 2019 წლის იანვრიდან მისი განაკვეთი გაიზარდა და ამ შემთხვევაში დაიყო ორ კატეგორიად: ფილტრიანი სიგარეტებისთვის გახდა 30% და უფილტრო სიგარეტებისთვის კი 10% (იხ. ცხრილი N4). თუ შევადარებთ 2015 წლამდე არსებულ და დღეისათვის მოქმედ აქციზის განაკვეთებს, მივიღებთ, რომ თამბაქოს სახეობების მიხედვით განაკვეთის ზრდა მერყეობს 75-დან 200 პროცენტამდე დიაპაზონში. აქედან ყველაზე მაღალი, 200%-ნი ზრდა დაფიქსირდა უფილტრო, ხოლო 127%-ნი ზრდა ფილტრიან სიგარეტთან მიმართებაში. ცალკე აღსანიშნავია 10%-30%-იანი ადვალური გადასახადი, რომელიც მანამდე არ არსებობდა. როგორც ვხედავთ,

ყველაზე დიდი წნეხი განხორციელდა თამბაქოს პროდუქციის იმ სახეობებზე, რომელთა მოხმარებაც ყველაზე გავრცელებულია, ესენია: ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტები.

ცხრილი N4

თამბაქოზე აქციზის განაკვეთების ცვლილება და აქციზურ საქონელზე დამატებული ახალი ტიპისა და განაკვეთების შემოღება ამოქმედების თარიღის მიხედვით


| სასაქონლო კოდი | დასახელება | რაოდენობა | განაკვეთი და მისი ამოქმედების თარიღი | | | | | | | შენიშვნა |
|-----------------|---|-----------|--------------------------------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|----------|
| | | | 01/01/2013 | 01/01/2015 | 01/07/2015 | 01/01/2016 | 01/01/2017 | 01/08/2017 | 01/01/2019 | |
| 2402 10 000 01 | სიგარეტი, სიგარეტი წაჭრილი ბოლოებით, თამბაქოს შემცველობით | 1 ლერი | 0.9 | 0.9 | 0.9 | 1.3 | 1.9 | 1.9 | 1.9 | |
| 2402 10 000 02 | სიგარილები (წვრილი სიგარეტი), თამბაქოს შემცველობით | 20 ლერი | 1 | 1 | 1 | 1.5 | 2.2 | 2.2 | 2.2 | |
| 2402 20 | ფილტრიანი სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით | 20 ლერი | 0.75 | 0.9 | 0.9 | 1.1 | 1.7 | 1.7 | 1.7 | |
| | უფილტრო სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით | 20 ლერი | 0.2 | 0.25 | 0.25 | 0.3 | 0.6 | 0.6 | | |
| | | | | | 5% | 10% | 10% | | | ადვალა |
| | ფილტრიანი სიგარეტებისთვის | | | | | | | | 30% | ადვალა |
| | უფილტრო სიგარეტებისთვის | | | | | | | | 10% | ადვალა |
| 2403 11 000 00* | ყალიბით მოსაწევი თამბაქო, ამ ჯგუფის სუბპოზიციისათვის 1-ლი შენიშვნის შესაბამისად | 1 კგ | 20 | 20 | 20 | 25 | 35 | 35 | 35 | |
| 2403 19 000 00* | დანარჩენი | 1 კგ | 20 | 20 | 20 | 25 | 35 | 35 | 35 | |
| 2403 99 100 00 | საღეჭი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქო | 1 კგ | 20 | 20 | 20 | 25 | 35 | 35 | 35 | |
| 2403 99 900 01 | კაფსულები და მსგავსი სახის პროდუქტები, თამბაქოს შემცველობით | 20 ცალი | | | | | | 1.7 | 1.7 | |
| 2403 99 900 02 | თამბაქოს ნაწარმი, წვის პროცესის გარეშე, ორთქლის მისაღებად გამოსაყენებელი | 20 ლერი | | | | | | 1.7 | | |

წყარო: საქართველოს საგადასახადო კოდექსი

მოცემულ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს საგადასახადო ზემოქმედების შეფასება. განვიხილოთ, თუ როგორი იყო გადასახადების დინამიკა, აქციზის განაკვეთების ცვლილებების პერიოდების მიხედვით (იხ. დიაგრამა N6).

დიაგრამა N6

საქართველოში თამბაქოზე გადახდილი აქციზის გადასახადი 2013-2018 წწ (ლარი)




წყარო: სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდი: <http://treasury.ge/5585>

როგორც ვხედავთ, აქციზის გადასახადის მობილიზების ტენდენცია წლების მიხედვით დადებითია. ასევე არ იქნება გასათვალისწინებელი ფასების დონის ზრდა 2015 წლის ივლისამდე პერიოდში, რადგანაც მხოლოდ ამ პერიოდის შემდეგ იქნა ამოქმედებული ადვალური დაბეგვრის რეჟიმი, ხოლო აქციზის ფიქსირებული განაკვეთი, პროდუქციის ფასზე დამოკიდებული არ არის. შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ 2014 წელს არსებული 15%-ნი ზრდა წინა წელთან შედარებით, სიგარეტის მოხმარების ზრდის შედეგია (არსებულ ან/და ახლად დამატებულ მწვეველთა მოხმარების კუთხით). რაც შეეხება 2015 წელს, აქ უკვე შეინიშნება 8%-ნი ზრდა იმ პირობებში, რომ შუა წლიდან, გამვირებულ ფიქსირებულ აქციზის განაკვეთებთან ერთად, ამოქმედდა ადვალური დაბეგვრის რეჟიმიც. 2016 წლიდან კვლავ მნიშვნელოვნად მოიმატა შემოსულობებმა თამბაქოზე აქციზის გადასახადის სახით, კერძოდ, 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით შემოსულობები

დაახლოებით 47%-ით გაიზარდა, რაზეც რა თქმა უნდა გავლენა მოახდინა სიგარეტზე ფასების საერთო დონის ზრდამაც. საინტერესო იქნება ადვალური გადასახადის მკვეთრი ზრდის (2019 წლიდან) გავლენა, რომლის შედეგები უკვე 2020 წლიდან იქნება ნათელი.

დიაგრამა N7

საქართველოში თამბაქოს იმპორტი 2013-2018 წწ (დოლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - www.mof.ge

N9 დიაგრამიდან ჩანს, რომ შემცირების ტენდენციის ნაცვლად, თამბაქოზე გადახდილი აქციზის გადასახადი მატულობს. რაც შეეხება თამბაქოს იმპორტის მონაცემებს (იხ. დიაგრამა N7), აქ შეინიშნება კლების ტენდენცია, რაც მოსალონდელი იყო აქციზის გადასახადის მატებიდან გამომდინარე. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ გაზრდილი აქციზის გადასახადის განაკვეთებიდან გამომდინარე, შემცირდა თამბაქოს იმპორტი, თუმცა ბიუჯეტში მობილიზებული თამბაქოზე გადახდილი აქციზის გადასახადი გაიზარდა, მაგრამ აღნიშნული წნეხად აწვება გადასახადის გადამხდელებს და ბუნებრივია მათ საქმიანობაზე უარყოფითად აისახება. აქვე აღსანიშნავია რამდენიმე რისკ-ფაქტორი, რომელმაც შესაძლოა ადგილი იქონიოს გაზრდილი აქციზის გადასახადის გამო. მოცემული საქმიანობის უმეტესი ნაწილი (თამბაქოს წარმოება/რეალიზაცია) შეიძლება ჩრდილოვან ეკონომიკაში გადავიდეს და დაიკარგოს შემოსავლები ბიუჯეტში, ასევე შესაძლოა ადგილი ქონდეს მცდელობებს, რომ

საზღვრისპირა რეგიონებიდან შემოვიდეს უაქციზო საქონელი საბაჟოს გვერდის ავლით, რაც გააუარესებს არსებულ სიტუაციას მოცემულ სფეროში და მეწარმეებს უბიძგებს, რომ დამალონ შემოსავლები.

რაც შეეხება ავანსების დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ) დაბეგვრას, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. განვიხილოთ რა განსხვავებაა 2017 წლამდე მოქმედ კანონმდებლობასა და ამჟამად მოქმედ კანონმდებლობას შორის ამ კუთხით, რას ითვალისწინებს მოცემული ცვლილება და როგორი გავლენა იქონია ამან მეწარმეებზე: 2017 წლამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსით დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს განეკუთვნებოდა ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა (საქართველოს ტერიტორიაზე), სადაც დასაბეგრი ოპერაციის თანხად განისაზღვრებოდა დღგ-ის გადამხდელის მიერ მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხა, ხოლო მისი განხორციელების დროდ კი ითვლებოდა საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის მომენტი. ხოლო საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენების დროს კი დასაბეგრი ოპერაციის თანხად განისაზღვრებოდა სსკ-ით განსაზღვრული აქტივების ღირებულება, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ კი ითვლებოდა ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში მიღების მომენტი (სსკ. 2010. 2016 წლის 16 ივლისის მდგ. მუხლი 161. 149-153). რაც შეეხება ამჟამინდელ მდგომარეობას, დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს განეკუთვნება ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა (საქართველოს ტერიტორიაზე), რომლის დროსაც დასაბეგრი ოპერაციების თანხად განისაზღვრება დღგ-ის გადამხდელის მიერ მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხა, ხოლო მისი განხორციელების დროდ კი ითვლებოდა საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის მომენტი, საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენების დროს კი დასაბეგრი ოპერაციის თანხად განისაზღვრება აქტივების ღირებულებით, რომელშიც შეიტანება მათი შესყიდვის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟისა და დადგმის ხარჯები, აგრეთვე სხვა ხარჯები, რომლებიც ზრდის აქტივების ღირებულებას. მაგრამ ამ შემთხვევაში

დამატებულია ცვლილება იმ კუთხით, რომ დასაბეგრი ოპერაციის თანხის განსაზღვრის დროს, იბეგრება მიღებული კომპენსაციის თანხა, ხოლო დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ განისაზღვრება არაუგვიანეს მისაწოდებელი საქონლის ან/და გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის ან მისი თანხის ნაწილის გადახდის მომენტისა, თუ თანხის გადახდა ხორციელდება საქონლის მიწოდებამდე ან/და მომსახურების გაწევამდე (სსკ. 2010. 2019 წლის 24 მაისის მდგ. მუხლი 161. 148-151). მაგალითად: თუ მეწარმე საქმიანობს მშენებლობის სფეროში, მის მიერ ბინების გაყიდვიდან მიღებული თანხები იბეგრებოდა მხოლოდ ბინის ექსპლუატაციაში გადაცემის დროს (რაც ხშირ შემთხვევაში იყო დროში გაწელილი, რადგან ბინების ექსპლუატაციაში მიღება ითვალისწინებდა მრავალ სხვადასხვა პროცედურას), მაგრამ ამ საკანონმდებლო ცვლილებით, ის თანხები რომელიც აღებულია მშენებლობის მფლობელის მიერ განიხილება ავანსად და იბეგრება თანხის მიღების დროს, (მიუხედავად იმისა, ბინა ჩაბარებული არის თუ არა ექსპლუატაციაში). აქვე აღსანიშნავია, რომ ავანსის შემთხვევაში აუცილებელია აღნიშნული თანხის გადახდის დანიშნულების იდენტიფიცირება (ხელშეკრულებით ან საგადასახადო დოკუმენტით), კერძოდ: „პირის მიერ გადახდილი თანხა ჩაითვლება საკომპენსაციო თანხად და ოპერაცია დაექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას, თუ თანხის მიღების მომენტში სახეზეა ყველა შემდეგი პირობა:

- განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი/გასაწევი მომსახურება;
- განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონლის ან გასაწევი მომსახურების რაოდენობა ან მოცულობა;
- განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების ღირებულება;
- განსაზღვრული მისაწოდებელი საქონელი/გასაწევი მომსახურება წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ თუ გათავისუფლებულ ოპერაციას” (ბრძანება N996. 2010. მუხლი 48¹. 107-108).

იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ჩამოთვლილი პირობები არ არის სრულად სახეზე, მაგრამ მიუხედავად ამისა თანხა არის წინასწარ გადახდილი მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რაზეც ასევე გამოწერილია დღგ-ის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ამ

შემთხვევაშიც დღ-ით დაბეგვრის დრო არის საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტი (მიუხედავად იმისა, რომ საქონლის/მომსახურების მიწოდება ჯერ არ განხორციელებულა). თუ გადავხედავთ ამ საკანონმდებლო ცვლილების შინაარსს, ჩანს რომ მოცემული რეფორმა მეწარმეების უმეტესობითვის არის უარყოფითი. თუმცა, თუ ჩვენ შევხედავთ სამშენებლო სექტორის კრილში, ამ შემთხვევაში ვფიქრობ რომ სწორი მიდგომაა. მიუხედავად ამისა, მოცემული რეფორმა ეხება საქმიანობის ყველა სფეროს და აქედან გამომდინარე, მოცემული რეფორმა უარყოფითად აისახება მეწარმეების საქმიანობაზე (მიუხედავად სამშენებლო სექტორის საქმიანობის კრილში სწორი მიდგომისა). აქვე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკანონმდებლო რეფორმა არ ეხება ისეთი საქონლის ან/და მომსახურების გაწევას, რომელიც ხორციელდება პერიოდულად და მოცემული პერიოდების მიხედვით გადახდილი თანხები არ ითვლება ავანსებად.

თუ რა გავლენას ახდენს არსებული საგადასახადო სისტემა და განხორციელებული რეფორმები მეწარმეობის განვითარებაზე, ჩვენს მიერ გამოკითხულ იქნა 120 გადასახადის გადამხდელი (კითხვარი იხ. დანართ N25-ში). კითხვები ეხებოდა როგორც განხორციელებულ რეფორმებს, ასევე სასურველ საკანონმდებლო ინიციატივებს, მათი საქმიანობის შემაფერხებელ გარემოებებს და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მეწარმეებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ ისეთი პასუხი, რომელიც არ იყო მოცემული კითხვარში, გამოეთქვათ აზრი დამატებით სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებით და გამოეხატათ თავისი მოსაზრება ამა თუ იმ სფეროში დამატებით განსახორციელებელი ქმედებების შესახებ.


კვლევის საფუძველზე მიღებულ იქნა ძალიან საინტერესო შედეგები, რამაც ნათელი გახადა მეწარმეების პრობლემები, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა მათ საქმიანობაზე, გამოითქვა სხვადასხვა ინიციატივა, რომელიც მათი აზრით, დაეხმარება მეწარმეებს განვითარებაში. განვიხილოთ თითოეული შეკითხვის შედეგი და გავაანალიზოთ:

როგორც აღნიშნეთ, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 120-მა გადასახადის გადამხდელმა მეწარმემ, რომელთაგანაც სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოდგენილნი იყვნენ: შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება (შპს),

ინდივიდუალური მეწარმე (ი/მ), მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), სააქციო საზოგადოება (სს) და კოოპერატივი, რომელთა წილი პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. დიაგრამა N8). აღნიშნული სამართლებრივი ფორმების მრავალფეროვნება საჭირო იყო, განხორციელებული რეფორმებიდან გამომდინარე, რადგან საკანონმდებლო ცვლილებები არ იყო გათვლილი მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ ჯგუფზე და შესაბამისად, მათი პოზიციები იქნებოდა განსხვავებული. როგორც დიაგრამიდან ჩანს, გამოკითხულ მეწარმეთა 60% არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), 15% - მცირე ბიზნესის სტატუსის მეწარმეები, 8% - მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე გადამხდელები, 7%-7% - ინდივიდუალური მეწარმე (ი/მ) და სააქციო საზოგადოება (ს/ს), 2% - კოოპერატივი, 1% - სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს).

დიაგრამა N8

სამართლებრივი ფორმების მიხედვით გამოკითხულ მეწარმეთა რაოდენობა (%)



წყარო: ავტორის კვლევა, 2019


როგორც ვხედავთ, პროცენტულად უმეტესი წილით წარმოდგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), ხოლო შემდეგ მოდის მცირე და მიკრო

ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეები, ეს მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მათი პოზიცია არსებითად საგულისხმოა განხორციელებულ რეფორმებთან (მოგების გადასახადის ესტონური მოდელი, მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის შემოღება, მცირე ბიზნესის ერთობლივი შემოსავლის გაზრდა და დასაბეგრი განაკვეთის შემცირება) დაკავშირებით, რადგან მათ უშუალოდ შეეხოთ მოცემული საკანონმდებლო ცვლილებები.

საქმიანობის სახეების მიხედვით გამოკითხულ მეწარმეთა რაოდენობა წარმოდგენილია დიაგრამა N9-ში. პირველ ადგილზეა მომსახურება (31%), მეორეზე - ვაჭრობა (29%), მესამეზე - წარმოება (14%), მეოთხეზე - მშენებლობა (11%), მეხუთეზე - ტურიზმი (7%), მეექვსეზე - სოფლის მეურნეობა (6%), მეშვიდე და მერვე პოზიციებს იყოფენ 1%-1%-ით ენერგეტიკა და საფინანსო სექტორი. საინტერესოა სხვადასხვა სფეროში მოქმედი მეწარმეების შეხედულებები, იმის გასარკვევად, თუ რომელ სფეროს სჭირდება მეტად ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც გამოხატული იქნება კონკრეტულ საგადასახადო რეფორმებში, სხვადასხვა შეღავათების სახით.

დიაგრამა N9

საქმიანობის სახეების მიხედვით გამოკითხულ მეწარმეთა რაოდენობა (%)




წყარო: ავტორის კვლევა, 2019

აღსანიშნავია, რომ გამოკითხული მეწარმეების უმეტესობა (45%) თავმოყრილია თბილისში (იხ. დიაგრამა N10), შემდეგ მოდის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონი

(13%), მესამეზე - შიდა ქართლი (11%), მეოთხე პოზიციაზე წარმოდგენილი არიან ისეთი მეწარმეები, რომლებიც ფუნქციონირებენ მთელი საქართველოს მასშტაბით (9%), მეხუთეზე - აჭარა (7%), მეექვსე პოზიციას იყოფს სამი რეგიონი - კახეთი (4%), ქვემო ქართლი (4%) და სამეგრელო, გურია და ზემო-სვანეთი (4%), მეშვიდეზეა სამცხე-ჯავახეთი (3%). მნიშვნელოვანია გადასახადის გადამხდელების შეფასებები და საჭიროებები რეგიონების მიხედვით, რაც ბუნებრივია სხვადასხვაა და მათი საჭიროებებიც შესაბამისად დაკავშირებულია რეგიონში მოქმედ გარემოზე.

დიაგრამა N10

ფაქტობრივი საქმიანობის ადგილის მიხედვით გამოკითხულ მეწარმეთა რაოდენობა (%)




წყარო: ავტორის კვლევა, 2019

მეწარმეებისთვის დასმული იყო ძალიან მნიშვნელოვანი კითხვა, თუ რეალურად რომელმა საკანონმდებლო ცვლილებამ იქონია დადებითი გავლენა მათ საქმიანობაზე. დასმულ შეკითხვასთან ერთად გადასახადის გადამხდელებისთვის იყო შეთავაზებული სავარაუდო პასუხებად როგორც განხორციელებული რეფორმები საგადასახადო კუთხით, ასევე მათ შესაძლებლობა ქონდათ დაეფიქსირებინათ თავისი პოზიცია დადებითი გავლენის მქონე საგადასახადო რეფორმებზე (იხ. დიაგრამა N11), როგორც მოსალოდნელი იყო ყველაზე დიდი დადებითი გავლენის მქონე საგადასახადო

რეფორმად შეფასდა მოგების გადასახადის ესტონური მოდელი (45%), ასევე დიდი წილი ხვდა საგადასახადო სანქციების შემცირებას (15%), რაც თავის მხრივ არის მეწარმეებისთვის მეტად ლოიალური დამოკიდებულების გამოხატულება. ხოლო შემდგომი პოზიციებით დადებით რეფორმებად წარმოდგენილნი არიან როგორც მიკრო, მცირე და ფიქსირებული სტატუსების შემოღება, ასევე მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეების ერთობლივი შემოსავლის მაქსიმალური ზღვრის გაზრდა და დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთის შემცირება, რომლებიც იყოფენ თანაბარ პოზიციებს 13%-იანი წილობრივი მონაწილეობით. დადებითი გავლენის მქონე რეფორმებში 12%-იანი წილით კი წარმოდგენილია ერთიანი სახაზინო კოდის შემოღება.

დიაგრამა N11

დადებითი გავლენის მქონე საგადასახადო რეფორმები მეწარმეების თვალსაზრისით




წყარო: ავტორის კვლევა, 2019

დადებითი რეფორმების გარდა აუცილებელი იყო უარყოფითი გავლენის მქონე რეფორმების დაიდენტიფიცირება, რადგან აღნიშნული შესაძლებლობას მოგვცემდა შეგვემუშავებინა შესაბამისი რეკომენდაციები. მეწარმეების მიერ ყველაზე უარყოფითი გავლენის მქონე საგადასახადო რეფორმად შეფასდა ავანსად მიღებული თანხების დღ-

ით დაბეგვრა (61%) (იხ. დიაგრამა N12), შემდეგ მოდის აქციზის გადასახადის განაკვეთების ზრდა (22%), მესამეა - მოგების გადასახადის ესტონური მოდელი (8%), ეს ერთადერთი საგადასახადო რეფორმაა, რომელიც მოხვდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენის მქონე რეფორმებში, მეოთხე პოზიციით - მეწარმეების 7% თვლის რომ არცერთ რეფორმას უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია, ხოლო ბოლო პოზიცია ერგო საპენსიო რეფორმას (2%), რომელიც მეწარმეების დამატებით პასუხად იქნა წარმოდენილი.

დიაგრამა N12

უარყოფითი გავლენის მქონე საგადასახადო რეფორმები მეწარმეების თვალსაზრისით




წყარო: ავტორის კვლევა, 2019

რაც შეეხება გადასახადის განაკვეთებს საქართველოში, ქვეყანაში მოქმედებს ექვსი სახის გადასახადი. ქვეყანაში მოქმედი გადასახადის განაკვეთების სიდიდითა და დაბეგვრის ობიექტების მიხედვით, საქართველო ერთ-ერთი ლიბერალური ქვეყანაა მსოფლიოში. თუმცა მიუხედავად ამისა, მეწარმეების მხრიდან ყოველთვის არის სურვილი, რაც შეიძლება დაბალი საგადასახადო განაკვეთები მოქმედებდეს და შესაბამისად, მათ მიერ რაც შეიძლება ნაკლები გადასახადი მიემართოს ბიუჯეტში. რამდენადაც საქართველოს ბიუჯეტის უმეტესი ნაწილი შედგება სწორედ საგადასახადო

შემოსულობებისგან, აუცილებელია ისეთი შუალედის დაცვა, რაც ერთის მხრივ, ნაკლებად დააწვება მეწარმეს საგადასახადო ტვირთად და მეორეს მხრივ, ბიუჯეტში არ შეიქმნება დეფიციტი გარკვეული შეღავათების დაწესების ან/და გადასახადის განაკვეთების შემცირების ხარჯზე. გამოკითხული მეწარმეების აზრით, მათთვის საგადასახადო განაკვეთების შემცირება სასურველია თითქმის ყველა გადასახადზე (იხ. დიაგრამა N13), თუმცა მეწარმეების უმრავლესობას (58%) სურვილი აქვს შემცირდეს საშემოსავლო გადასახადი, რაც შეიძლება გამოწვეული იყო იმ საკანონმდებლო ცვლილებით, რომლითაც განისაზღვრა შენატანები საპენსიო ფონდში.

დიაგრამა N13

მეწარმეების აზრით, რომელი გადასახადის განაკვეთი უნდა შემცირდეს საქართველოში, რომელსაც დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია მათ საქმიანობაზე



წყარო: ავტორის კვლევა, 2019

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) შემცირების სურვილი გამოთქვა 25%-მა, მიუხედავად იმ საკანონმდებლო ცვლილებისა, რომელიც ეხება მოცემული გადასახადით ავანსის დაბეგვრას, (რომელიც დაფიქსირდა ყველაზე უარყოფითი გავლენის მქონე რეფორმად). მიუხედავად ამისა, მოცემული გადასახადის შემცირების მსურველი მეწარმეები არ არიან დიდი პროცენტული მაჩვენებლით წარმოდგენილნი, რადგან ამ შემთხვევაში, უარყოფითი გავლენა გამომდინარეობდა არა დამატებული


ღირებულების გადასახადის (დღგ) საპროცენტო განაკვეთიდან გამომდინარე, არამედ, დაბეგრვის ობიექტისა და დროის განსაზღვრიდან გამომდინარე. ასევე საინტერესოა შემდგომი პოზიცია, რომელიც ეხება აქციზის გადასახადის განაკვეთის შემცირებას (7%). აქაც ფიქსირდება ანალოგიური სიტუაცია, როგორც დღგ-ს შემთხვევაში. რადგან, ზემოთ განხილული საკანონმდებლო ცვლილებით, სადაც გაიზარდა აქციზის განაკვეთები თამბაქოს პროდუქციაზე და მოცემული ერთ-ერთი უარყოფითი გავლენის მქონე რეფორმად შეფასდა, მიუხედავად ამისა, მოცემული გადასახადის განაკვეთების შემცირების მსურველი მეწარმეები დიდი პროცენტული წილით არ არიან წარმოდგენილნი. მეოთხე პოზიციაზეა მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირების მსურველი მეწარმეები (5%). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მოგების გადასახადის განაკვეთი (15%) აქვს ევროპაში. მეხუთე პოზიციაზეა იმპორტის გადასახადი, რომლის განაკვეთის შემცირების სურვილი აქვთ მეწარმეების მხოლოდ 3%-ს. ხოლო, რაც შეეხება ბოლო პოზიციას, როგორც მოსალოდნელი იყო ამ შემთხვევაში წარმოდგენილია ქონების გადასახადი (2%), რადგან მისი საგადასახადო განაკვეთების მაქსიმალური ზღვარი არ აღემატება ქონების ღირებულების 1%-ს.

საქართველოში მეტნაკლებად მეწარმეობის თითქმის ყველა სფერო საჭიროებს ხელშეწყობას, თუმცა ამ შემთხვევაში საინტერესოა მეწარმეთა პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. საქართველოში განვითარებას და ხელშეწყობას, გამოკითხულ მეწარმეთა უმეტესობის (36%) აზრით საჭიროებს წარმოების სფერო, რამდენადაც, წარმოების მაღალ დონეზე განვითარება ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის გარანტიაა. მეწარმეთა 24%-ის აზრით აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარება, რომ ქვეყანა სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტზე არ იყოს დამოკიდებული (რადგან ქვეყანას აქვს რესურსი, რომ სოფლის მეურნეობის გარკვეული პროდუქცია, რომლის იმპორტიც ხდება, ხელშეწყობის შემთხვევაში ადგილზე იქნეს მოყვანილი და იმპორტი ჩანაცვლდეს ადგილობრივი პროდუქციით). მეწარმეთა 19%-ის აზრით, ასევე ხელშეწყობა სჭირდება ტურიზმის სფეროს. მეწარმეთა თანაბარი შეფასება შეხვდა მშენებლობას (6%), საფინანსო სექტორს (6%) და მომსახურებას (6%). ყველაზე ნაკლები პროცენტული მაჩვენებლით წარმოდგენილია

ვაჭრობა (3%), რაც ვფიქრობ ლოგიკურია, რადგან ეს ერთ-ერთი განვითარებული სფეროა საქართველოში (იხ. დიაგრამა N14).

დიაგრამა N14

ეკონომიკის სექტორები, რომელთაც მეწარმეთა აზრით განვითარება/წახალისება ესაჭიროებათ




წყარო: ავტორის კვლევა, 2019

მნიშვნელოვანია იმ პრობლემების და ბარიერების იდენტიფიცირება, რაც დგას მეწარმეების წინაშე. აღნიშნულის გამოვლენა კი საფუძველია სწორი რეკომენდაციების შესამუშავებლად. ამ შემთხვევაში ასევე საინტერესოა დინამიკაში მათი შედარება, თუ რა პრობლემების წინაშე იდგნენ მეწარმეები 2016 წელს და რა მდგომარეობა არის 2019 წელს (კვლევაზე დაყრდნობით). აღნიშნული კი საშუალებას მოგვცემს შევადაროთ ერთმანეთს მოცემული პერიოდის პრობლემები, შეიცვალა თუ არა მდგომარეობა ამ მხრივ, აღმოიფხვრა თუ არა რომელიმე პრობლემა მეწარმეებისთვის ან ხომ არ დაემატა ახალი ბარიერი მათ საქმიანობის განხორციელებაში. საქართველოში 2016 წლის მდგომარეობით მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელ ძირითად ფაქტორებად მიიჩნეოდა: უხარისხო პროდუქციისგან ბაზრის დაუცველობა; წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის არ არსებობა ადგილობრივ ბაზარზე; საკრედიტო რესურსების მოპოვების სირთულე; მაღალი საგადასახადო განაკვეთები; მაკონტროლებელი ორგანოების

ზედმეტად ჩარევა ფირმის საქმიანობაში; ბიზნეს ინტერესების დაუცველობა; მაღალი საპროცენტო განაკვეთები და ა.შ (ერქომაიშვილი გ. 2016. 67). რაც შეეხება ამჟამინდელ მდგომარეობას, მეწარმეთა გამოკითხვის შედეგად, მეწარმეობის განვითარების ძირითად შემაფერხებელ ფაქტორებად და პრობლემებად მათ წინაშე დგას რამდენიმე ძირეული პრობლემა, რომლებიც ხელს უშლით რომ მათი საქმიანობა განვითარდეს. მოცემული შედეგებით თუ ვიმსჯელებთ (იხ. დიაგრამა N15) გამოიკვეთა თითქმის თანაბრად მნიშვნელოვანი და პრობლემური ოთხი ძირითადი საკითხი მცირე მეწარმეებისთვის, რომელთა გადაჭრა ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის და ისინი ამ ეტაპზე ხელისშემშლელ ფაქტორებად გვევლინება, ესენია:

დიაგრამა N15

მცირე მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები



წყარო: ავტორის კვლევა, 2019

ა) საკრედიტო რესურსების რთულად მისაწვდომობა (35%); ეს საკითხი მეტად მწვავედ დგას მცირე მეწარმეების წინაშე, რადგან ფინანსების ნაკლებობა აფერხებს მათი საქმიანობის წარმატებით ფუნქციონირებას და გაფართოებას; ბ) ფალსიფიცირებული ან/და უხარისხო პროდუქციისაგან ბაზრის დაუცველობა (25%); ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რომ მეწარმეს ქონდეს საშუალება, რომ მის მიერ წარმოებული პროდუქცია დაცული იყოს ფალსიფიცირებისგან და ხდებოდეს აღნიშნული საკითხის

კონტროლი, რაც მეწარმეს ჩააყენებს სამართლიან და კონკურენტულ გარემოში. გ) ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის ინტერესების დაუცველობა (20%); დ) მაღალი საგადასახადო განაკვეთები (20%);

2016 და 2019 წლების შედარების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ უხარისხო პროდუქციისგან ბაზრის დაუცველობა, საკრედიტო რესურსების მოპოვების სირთულე, მაღალი საგადასახადო განაკვეთები და ბიზნეს ინტერესების დაუცველობა, ყოველივე აღნიშნული პრობლემის სახით მეწარმეების წინაშე იდგა 2016 წელს და მოცემული რჩება ისევ შემაფერხებელ ფაქტორებად 2019 წელსაც. რაც შეეხება 2016 წლისთვის არსებულ ბარიერებს, როგორცაა: წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის არ არსებობა ადგილობრივ ბაზარზე, მაკონტროლებელი ორგანოების ზედმეტად ჩარევა ფირმის საქმიანობაში და მაღალი საპროცენტო განაკვეთები, 2019 წლის კვლევის საფუძველზე, არსებული პრობლემები მეწარმეების მიერ არ დაფიქსირებულა.

კვლევის საფუძველზე შეჯერდა მეწარმეთა მიერ შემოთავაზებული მათთვის სასურველი საკანონმდებლო ინიციატივები, რომელთა განხორციელება მათი საქმიანობისთვის იქნება ხელისშემწყობი ფაქტორი. აღნიშნული ინიციატივები მდგომარეობს შემდეგში:

- კონკურენციის შესახებ კანონის გამკაცრება და მისი რეალურად ამოქმედება;
- სტარტაპების გადასახადებიდან გათავისუფლება მინიმუმ 2-3 წლით;
- გამარტივებული საბაჟო პროცედურები;
- დამატებული ღირებულების გადასახადისაგან (დღგ) მეტი პროდუქციის გათავისუფლება;
- ბაზარზე უხარისხო პროდუქციის კონტროლი;
- გადასახადის განაკვეთების შემცირება;
- ბიზნესის დაკრედიტების/იპოთეკური/დეველოპერული სესხების სრული რეფორმირება;
- შრომის კოდექსის გაუმჯობესება და რეალურად მისი დაცვა;
- იმპორტულ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე რეგულაციების დაწესება; რადგან მათი ფასები გაცილებით დაბალია, ვიდრე საქართველოში წარმოებული

სოფლის მეურნეობის პროდუქციის (რადგან მოცემულის მოყვანა/წარმოება გაცილებით ძვირი ჯდება) და შესაბამისად, ისინი კონკურენციას ვერ უწევენ იმპორტულ სოფლის მეურნეობის პროდუქციას, რაც თავის მხრივ მოტივაციას უკარგავს ქართველ სოფლის მეურნეებს ადგილობრივად მოიყვანონ სოფლის მეურნეობის პროდუქცია.


ჩამონათვალი მეტად მნიშვნელოვან საკითხებს ეხება, რომელიც რეალურად საჭიროებს გათვალისწინებას, როგორცაა: კონკურენციის შესახებ კანონის გამკაცრება, უხარისხო პროდუქციის შემოწმება, ბიზნესის დაკრედიტების რეფორმირება და ა.შ. თუმცა ამ ჩამონათვალში ისეთი საკითხებიც მოხვდა, რომელიც უშუალოდ საგადასახადო სფეროს და გადასახადებს ეხება, კერძოდ: დამატებული ღირებულების გადასახადისაგან (დღგ) მეტი პროდუქციის გათავისუფლება. ეს მეტად მნიშვნელოვანი გადასახადია საქართველოში, რომელიც პირველ ადგილზე დგას საგადასახადო შემოსულობების განხრით და მოცემულ გადასახადში გარკვეული შეღავათების დაწესებას დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ბიუჯეტის შემოსულობებზე, აქედან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს კონკრეტულად ამა თუ იმ პროდუქციის გათავისუფლებას, რა გავლენის მოხდენა შეუძლია შემოსულობების კუთხით. რაც შეეხება საბაჟო პროდუქტებს, ამ შემთხვევაში რიგი პროცედურები მეტად გამარტივებულია მეწარმეებისთვის, თუმცა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეული კატეგორიის საქონელი ამ ეტაპზე განბაჟებას ექვემდებარება. რაც შეეხება გადასახადის განაკვეთების შემცირებას ეს საგადასახადო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და მისი შემცირება დაკავშირებულია კომპლექსურ საკითხებთან.

რაც შეეხება საქართველოში მოქმედ საგადასახადო სისტემას და მის შეფასებას მეწარმეების მიერ, თუ რა სახის სირთულები აქვთ მათ ამ მხრივ, მისაღებია თუ არა დაბეგვრის მოცემული სისტემა, რამდენად გასაგებია ის გადასახადის გადამხდელებისთვის და რამდენად ითვალისწინებს ის მეწარმეების ინტერესებს, მოცემულმა კვლევამ დაადგინა შემდეგი გარემოებები, რომელიც ყველაზე მეტ სირთულეს უქმნის მეწარმეებს (იხ. დიაგრამა N16). გამოიკვეთა საგადასახადო სისტემის ოთხი ძირითადი ნაკლოვანება, რომელიც პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა:

მეწარმეების 58% თვლის რომ ზოგიერთი საკანონმდებლო ჩანაწერი ბუნდოვანია და არ იძლევა ზუსტ განმარტებას; მეწარმეების 27%-ის აზრით კი საგადასახადო სისტემის ნაკლოვანებას არასტაბილურობა წარმოადგენს, რადგან ხშირია ცვლილებები; 10%-ის აზრით კი ცვლილებები გათვლილია მხოლოდ მსხვილ ფირმებზე; დარჩენილი მეწარმეების 5% თვლის, რომ საგადასახადო სისტემის ნაკლოვანებას წარმოადგენს ზემოთ მოყვანილი მიზეზებიდან რამდენიმე ერთად ან/და სრულიად მთელი სისტემა. აქვე გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად საქართველოს საგადასახადო კოდექსში არსებული ხარვეზებისა, მასში შედის ცვლილებები მეწარმეების საჭიროებებიდან გამომდინარე, რომლის დროსაც ასევე გათვალისწინებულია ბიუჯეტის მოცემულობა. აქვე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი გარკვეულ რეკომენდაციებს გასცემს საგადასახადო კოდექსში შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც იქნება მეწარმეებზე მორგებული (მაგ: ბოლო წლებში საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებიდან შეგვიძლია გამოვყოთ დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ზედმეტობის ავტომატურად დაბრუნების სისტემა, რომელიც იყო სავალუტო ფონდის რეკომენდაცია).

დიაგრამა N16

საგადასახადო სისტემის/კანონმდებლობის ნაკლოვანებები მეწარმეების შეფასებით




წყარო: ავტორის კვლევა, 2019

საინტერესო იყო კვლევის დროს გამოგვევლინა სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შემოღების გავლენა მეწარმეებზე. შეკითხვა შემდეგნაირად იქნა ფორმულირებული: ქონდა თუ არა დადებითი გავლენა მიკრო/მცირე და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსების შემოღებას დადებითი გავლენა მათ საქმიანობაზე. სადაც მიუხედავად სამართლებრივი ფორმისა (ამ შემთხვევაში სხვა სამართლებრივი ფორმებისთვის მოცემული სტატუსების შემოღებას გავლენის მოხდენა მცირედ ან არ შეუძლია) გამოიკითხა ყველა მოცემულ კითხვაზე, გამოკითხვის შედეგად კი პროცენტულად პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 38,9%-ისთვის დადებითი გავლენა ქონდა, 42,6%-ისთვის გავლენა არ მოუხდენია, ხოლო 18,5%-ისთვის არ ქონდა დადებითი გავლენა. რაც შეეხება უშუალოდ მიკრო/მცირე და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე მეწარმეებისთვის მოცემული შეკითხვის შედეგებს, როგორც მოსალოდნელი იყო უმეტესობისთვის (93%) აქვს დადებითი გავლენა (იხ. დიაგრამა N17).

დიაგრამა N17

აქვს თუ არა დადებითი გავლენა მიკრო/მცირე და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელების სტატუსის შემოღებას



წყარო: ავტორის კვლევა, 2019


ამ შემთხვევაში, სწორედ მოცემული სტატუსის მქონე მეწარმეების აზრი არის მნიშვნელოვანი, რადგან სწორედ მათთვის იქნა ეს საკანონმდებლო ცვლილება

გატარებული, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული შეღვათების მიცემას, მოცემული სტატუსის მქონე მეწარმეებისთვის.

კვლევისას შემდეგ სამიზნე ჯგუფად შერჩეული იყო მოგების გადასახადის გადამხდელები, რადგან ფორმულირებული კითხვა უშუალოდ ეხებოდა მოგების გადასახადის ესტონურ მოდელს და მის გავლენას მათ საქმიანობაზე. მოცემულ შემთხვევაში სპეციალური დაბეგვრის რეჟიმის მოსარგებლეთათვის უმეტესად ნეიტრალური გავლენა იქონია ამ რეფორმამ, რადგან ბუნებრივია ისინი არ არიან მოგების გადასახადის გადამხდელები, ხოლო უშუალოდ მოგების გადასახადის გადამხდელებისთვის (64%) აღნიშნული რეფორმის გავლენა არის დადებითი (იხ. დიაგრამა N18).

დიაგრამა N18

როგორი გავლენა აქვს მოგების გადასახადის ესტონური მოდელის დანერგვას მეწარმეებისთვის




წყარო: ავტორის კვლევა, 2019

რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ) დასაბეგრი ობიექტის დამატებას და მისი დაბეგვრის დროის განსაზღვრას, სადაც მოცემული გადასახადით დაბეგვრას დაექვემდებარა ავანსები, როგორც მოსალოდნელი იყო მოცემულმა საკანონმდებლო რეფორმამ, მეწარმეების მხრიდან (63%) გამოიწვია მკვეთრად გამოხატული უკმაყოფილება (იხ. დიაგრამა N19). აღნიშნული მოსალოდნელი შედეგი

ასევე აჩვენა მოცემული საკანონმდებლო ცვლილების ზემოთ მოცემულმა ანალიზმა. ამ შემთხვევაში მოცემული ცვლილება სწორი მიდგომით გამოირჩევა კონკრეტულად რამდენიმე საქმიანობის ჭრილში, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ არსებული რეფორმა გავრცელდა სრულად ყველა დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადამხდელზე, ბუნებრივია მეწარმეების მხრიდან უარყოფითად შეფასდა. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოცემული კვლევის ერთ-ერთი შეკითხვიდან გამომდინარე, რომელიც ეხებოდა მეწარმეების შეხედულებებს სხვადასხვა გადასახადის განაკვეთების შემცირების საკითხს, დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) განაკვეთის შემცირების პროცენტული წილი დიდი არ არის. ანუ ამ შემთხვევაში კვლევით დადგინდა, რომ საკითხი დგას არა მოცემული გადასახადის განაკვეთის შემცირებაზე, არამედ დასაბეგრი ობიექტისა და დროის ოპტიმალურ განსაზღვრაზე (რადგან მოცემული არ იყოს ხელისშემშლელი ფაქტორი და ზედმეტი ბარიერი დასაბეგრი ობიექტების განსაზღვრის დროს).

დიაგრამა N19

როგორი გავლენა აქვს ავანსად მიღებული თანხების დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ) დაბეგვრას მეწარმეებისთვის




წყარო: ავტორის კვლევა, 2019

ფინანსთა სამინისტროს მიერ იქნა შემუშავებული დამატებული ღირებულების გადასახადში (დღგ) არსებული ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების სისტემა, რომელიც მეწარმეებისთვის 2019 წლის 15 თებერვლიდან ამოქმედდა. მოცემული რეფორმა მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ გადასახადის გადამხდელები, რომლებსაც მოცემულ გადასახადში ზედმეტობით აქვთ გარკვეული თანხები, შეუძლიათ ისინი დაიბრუნონ ყველანაირი ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე 24 საათის განმავლობაში, რაც ამარტივებს მეწარმეებისთვის ურთიერთობას შემოსავლების სამსახურთან, როგორც დროის თვალსაზრისით, ასევე პროცედურების სიმარტივით და ბუნებრივია, ეს მათი საქმიანობისთვის არის დადებითი გავლენის მქონე, რაც ასევე დასტურდება კვლევაში მონაწილე მეწარმეების შეფასებითაც (იხ. დიაგრამა N20). თუმცა უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ იქიდან გამომდინარე რომ მოცემული რეფორმა არის ახალი შესული ძალაში, ამ სერვისით ჯერ არ უსარგებლია გამოკითხულთა უმეტესობას (აღნიშნული რეფორმა წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციას).

დიაგრამა N20

ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების სერვისის გავლენა მეწარმეების საქმიანობაზე




წყარო: ავტორის კვლევა, 2019

რაც შეეხება აქციზის გადასახადს და მასთან მიმართებაში განხორციელებულ რეფორმას, მეწარმეებისთვის დაისვა კითხვა, რომელიც ეხებოდა აქციზის გადასახადის განაკვეთების ზრდას რამდენიმე პროდუქციაზე. საგულისხმოა, რომ გამოკითხულთა რაოდენობა თითქმის ორად გაიყო, სადაც შედეგებად ფიქსირდებოდა უარყოფითი და ნეიტრალური გავლენა, რადგან ბუნებრივია მოცემულ საკანონმდებლო ცვლილებას დადებითი გავლენა არცერთ მეწარმეზე არ მოუხდენია (იხ. დიაგრამა N21). თუმცა აქ გამოსაყოფია ნეიტრალური პოზიციის დიდი წილი, რადგან როგორც ცნობილია აქციზის განაკვეთები გაიზარდა თამბაქოს პროდუქციაზე და შესაბამისად ეს სფერო არის ნაკლები გავლენის მქონე აქციზის გადამხდელი სხვა მეწარმეებისთვის. აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოცემულ კვლევაში სადაც გამოვლინდა მეწარმეებისთვის სასურველი გადასახადი, რომლის განაკვეთის შემცირებას ისურვებდნენ (რომელსაც დადებითი გავლენა ექნებოდა მათ საქმიანობაში), მოცემულში აქციზის გადასახადის განაკვეთების შემცირების სურვილი დაფიქსირდა მეწარმეების მხოლოდ 7%-ის მიერ.

დიაგრამა N21

აქციზის განაკვეთების ზრდის გავლენა სამეწარმეო საქმიანობაზე



წყარო: ავტორის კვლევა, 2019

ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოვლინდა მნიშვნელოვანი სიახლეები და დადგინდა ისეთი გარემოებები, როგორიცაა: მეწარმეების საქმიანობის შემაფერხებელი მიზეზები; საქმიანობის სფეროები, რომლებიც მეტ მხარდაჭერს საჭიროებენ

სახელმწიფოს მხრიდან; გამოვლინდა ყველაზე დიდი საგადასახადო ტვირთის მქონე გადასახადის სახე; დაიდენტიფიცირდა მეწარმეებისთვის დადებითი და უარყოფითი გავლენის მქონე რეფორმები; გაანალიზდა და დაჯგუფდა მეწარმეების მხრიდან გამოთქმული სასურველი საკანონმდებლო ინიციატივები. ზემოთ მოცემული კვლევის შედეგები კი გვადლევს საშუალებას, რომ გაიცეს ოპტიმალური რეკომენდაციები. კერძოდ:

✚ ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკის განსახორციელებლად, სასურველია კონსტიტუციის 94-მე მუხლის დაკორექტირება იმ მხრივ, რომ გადასახადების შემოღება ან/და უკვე არსებული განაკვეთების გაზრდა არ მოითხოვდეს რეფერენდუმს;

✚ იმ შემთხვევაში, თუ მცირდება გარკვეული გადასახადის განაკვეთის ზღვრული ოდენობა ან/და შემოდის არსებული გადასახადის გარკვეული საშეღავათო მოდელი (მაგალითად, მოგების გადასახადის ესტონური მოდელი), სასურველია მოსალოდნელი ბიუჯეტის დეფიციტი დაბალანსდეს, არსებული გადასახადის დასაბეგრი ბაზის გაფართოებით და არა აქციზის გადასახადის განაკვეთის ზრდით გარკვეულ პროდუქციაზე. დასაბეგრი ბაზის გაფართოება შეიძლება განიხილოს ოპტიმალური გადაწყვეტილებად, რადგან არსებული საკონსტიტუციო ჩანაწერის საფუძველზე, შეუძლებელია დაბალანსება სხვა გადასახადის განაკვეთის უმნიშვნელო ზრდით (რაც ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო ოპტიმალურ გადაწყვეტილებას წარმოადგენს, ვიდრე დასაბეგრი ბაზის გაფართოება);

✚ თუ იცვლება დასაბეგრი ოპერაციის დრო, სასურველია ეს გაანალიზებული იყოს საქმიანობის ჭრილში. რადგან ხშირ შემთხვევაში, მიღებული რეფორმა სწორია რამდენიმე საქმიანობის ჭრილში, მაგრამ მისი გავრცელება ყველა მეწარმეზე (ავანსების დღგ-ით დაბეგრა) თანაბრად, წარმოადგენს დაბრკოლებას მეწარმეებისთვის;

✚ სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე, მეწარმეების უმეტესობას (58%) წნებად აწვება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი, რაც შეიძლება ასევე გამოწვეული იყოს საპენსიო ფონდის დაარსების გამო. იმ შემთხვევაში, თუ მოცემული გადასახადის განაკვეთი შემცირდება, აუცილებელია, რომ ის დაბალანსდეს იგივე გადასახადში დასაბეგრი ბაზის გაზრდით;

✚ სასურველია საგადასახადო კოდექსში დაზუსტდეს ორაზროვანი ჩანაწერები, რომელიც არ იძლევა ზუსტ განმარტებას. მოცემული მეწარმეებს საშუალებას მისცემს, რომ იმოქმედონ კანონმდებლობის შესაბამისად და არ მოხდეს მათ მიერ მისი უნებური დარღვევა;

✚ მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ღონისძიებები ხორციელდება მეწარმეთა ხელშესაწყობად, სასურველია მეტი ყურადღება გამახვილდეს წარმოების და სოფლის მეურნეობის სფეროზე.

✚ საკრედიტო რესურსების მოპოვების სირთულე მეწარმეებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს მათ საქმიანობაში, ამისათვის სასურველია ბიზნესის დაკრედიტების სერვისის გარკვეული რეფორმირება, რათა უფრო მეტად გამარტივდეს მათთვის დაფინანსების მოპოვების საკითხები;

✚ ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან ბაზრის დაუცველობა, ასევე მნიშვნელოვანი ბარიერია მეწარმეთათვის, ამისათვის კი მიზანშეწონილია გამკაცრდეს ბაზარზე უხარისხო პროდუქციის კონტროლი; ასევე მეტი ყურადღება დაეთმოს კონკურენციის შესახებ კანონს, რადგან მეწარმეები იყვნენ თანაბარ პირობებში;

✚ სტარტაპებისთვის მეტად რთულია ბაზარზე დამკვიდრება, შესაბამისად სასურველია მათი გადასახადებისაგან გათავისუფლება მინიმუმ 2-3 წლით ან/და საწყის ეტაპზე მათი საქმიანობის შესაძლოდ დაბალი საგადასახადო განაკვეთებით დაბეგვრა;

✚ იქიდან გამომდინარე, რომ სოფლის მეურნეობის სექტორი საქართველოში არ არის საკმარისად განვითარებული და მეტწილად ხორციელდება მისი იმპორტი, სასურველია დაწესდეს გარკვეული რეგულაციები იმპორტულ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, რათა საქართველოში მოყვანილმა პროდუქციამ შეძლოს კონკურენციის გაწევა (რადგან მოცემულის მოყვანა/წარმოება გაცილებით ძვირი ჯდება საქართველოში), რაც თავის მხრივ წაახალისებს საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას.

3.3 მეწარმეობის განვითარების მასტიმულირებელი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება საქართველოში

საქართველოში მეწარმეობის განვითარებისთვის და განსაკუთრებით, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეებისთვის რიგი მასტიმულირებელი ქმედებები ხორციელდება საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებით. განვიხილოთ ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებმაც დადებითი გავლენა მოახდინეს მეწარმეებზე, მათი საქმიანობის გაფართოებაზე და ასევე ხელი შეუწევს ახალი მეწარმე სუბიექტების გამოჩენას ბაზარზე.

2011 წელს ძალაში შევიდა სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ითვალისწინებდა დაბალი ერთობლივი შემოსავლის მქონე მეწარმეების მხარდაჭერას, რაც იმაში გამოიხატა, რომ მათ მიენიჭათ მიკრო, მცირე და ფიქსირებული ბიზნესის სტატუსი, რაც თავის მხრივ სხვადასხვა შეღავათებს ითვალისწინებდა.

მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მინიჭებოდა ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებდა დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწეოდა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატებოდა 30 000 ლარს. ხოლო მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდიდა საშემოსავლო გადასახადს. თუ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი, რომელსაც დაუდგებოდა დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადამხდელის სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება, იგი გამოდიოდა სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან (სსკ. 2010. 2011 წლის 12 მარტის მდგ. მუხლი 84-87. 67-69).

რაც შეეხება ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსს, იგი შეიძლება მინიჭებოდა პირს, რომელიც არ იყო დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი და ახორციელებდა ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას. ხოლო მათი დაბეგვრის ობიექტის საქმიანობის სახეებს განსაზღვრავდა საქართველოს მთავრობა. ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი საქართველოს

მთავრობის მიერ განსაზღვრული იყო საქმიანობის სახეების მიხედვით - დაბეგვრის ობიექტზე - 1-2000 ლარის ფარგლებში ან დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3%. მოცემული სტატუსის მქონე მეწარმე ასევე უფლებამოსილი იყო გარდა ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობისა, დამატებით განხორციელებინა მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ ნებადართული საქმიანობა. ხოლო, ასეთი საქმიანობა დაიბეგრებოდა საერთო წესით. იმ შემთხვევაში, თუ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის ნებადართული დამატებითი საქმიანობის ნაწილში პირს წარმოემობოდა დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება ან ნებაყოფლობით გატარებოდა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად (დღგ) რეგისტრაციაში, მაშინ მას მოცემული სტატუსი გააუქმდებოდა (სსკ. 2010. 2012 წლის 1 იანვრის მდგ. მუხლი 95¹-95⁶. 81-84).

მცირე ბიზნესის სტატუსი საქართველოში საგადასახადო კოდექსით განისაზღვრა და 2011 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა, რათა გადასახადის გადამხდელებს, რომლებსაც შედარებით დაბალი ერთობლივი შემოსავალი ჰქონდათ, გარკვეული შეღავათებით ესარგებლათ. სტატუსის შემოღების შემდეგ, გადასახადის გადამხდელების სასარგებლოდ, 2018 წელს დამატებით ცვლილება განხორციელდა. თუმცა, აღნიშნული ცვლილებით, შეიძლება ითქვას, სახელმწიფო ბიუჯეტმა დაკარგა გარკვეული შემოსავლები, ასევე შეიქმნა გარკვეული რისკ-ფაქტორები, რამაც შესაძლოა სახელმწიფოს შემოსავლები დამატებით შეუმციროს. თავდაპირველად, როდესაც საგადასახადო კანონმდებლობაში შემოღებულ იქნა მცირე ბიზნესის სტატუსი (2011წ), ის შეიძლება მინიჭებოდა მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან (საქართველოს მთავრობას უფლება აქვს აკრძალოს ცალკეული საქმიანობის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მცირე ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს) მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში 100 ათას ლარს არ აღემატებოდა, დასაბეგრი შემოსავალი კი 5%-ით იბეგრებოდა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს ერთობლივი შემოსავლის 60% ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა)

დამადასტურებელი დოკუმენტები ჰქონდა, ის 3%-ით იბეგრებოდა. იმ შემთხვევაში, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმის დასაბეგრი შემოსავალი გადააჭარბებდა 100 ათას ლარს, მაშინ მას ჰქონდა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება, რაც თავის მხრივ, მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებას გულისხმობდა (სსკ. 2010. 2011 წლის 12 მარტის მდგ. მუხლი 88-95. 69-73).

2018 წლის 1 ივლისს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება და მცირე ბიზნესისთვის ერთობლივი შემოსავლის ზღვარი 100 ათასი ლარიდან 500 ათას ლარამდე გაიზარდა. დასაბეგრი შემოსავალი 5%-ის ნაცვლად 1%-ით იბეგრება, თუმცა, 3%-იანი განაკვეთით იბეგრება იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა მისმა ერთობლივმა შემოსავალმა 500 ათას ლარს გადააჭარბა. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი დადგენილი განაკვეთით იბეგრება შესაბამისი თვის (ერთობლივი შემოსავლის 500 ათას ლარიანი ზღვრის გადაჭარბების დაფიქსირების შემთხვევაში) დასაწყისიდან კალენდარული წლის დასრულებამდე. თუმცა, მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება, თუ პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა ორი კალენდარული წლის მიხედვით, თითოეული კალენდარული წლის განმავლობაში 500 ათას ლარს გადააჭარბა. რაც შეეხება დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციას, ის წინააღმდეგობაში არ მოდის მცირე ბიზნესის სტატუსთან, როგორც ეს პირველ შემთხვევაში იყო (სსკ. 2010. 2018 წლის 1 ივლისის მდგ. მუხლი 88-95. 85-88).

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იმ მეწარმეებმა, რომლებსაც მცირე ბიზნესის სტატუსი აქვთ მინიჭებული, საგადასახადო პოლიტიკით გატარებული ღონისძიებების შედეგად მკვეთრად გამოხატული შეღავათები მიიღეს, რაც გამოიხატა, როგორც ერთობლივი შემოსავლის ზღვრის გაზრდით, ასევე დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთის შემცირებით (იხ. ცხრილი N5). რაც შეეხება საქმიანობის იმ სახეობებს, რომლის განხორციელების შემთხვევაში მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება არის აკრძალული, ხოლო უკვე მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირს, უუქმდება აღნიშნული სტატუსი, არის შემდეგი:

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეების, დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთისა და ერთობლივი შემოსავლის მაქსიმალური ზღვრის შედარება 2011-2018 წწ.

| მცირე ბიზნესი | 01.01.2011 | 01.07.2018 |
|---|--|--|
| დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთი | 5% | 1% |
| ერთობლივი შემოსავლის მაქსიმალური ზღვარი | 100 ათასამდე | 500 ათასამდე |
| მცირე ბიზნესი | 01.01.2011 | 01.07.2018 |
| დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთი | 3% | 3% |
| შენიშვნა | იმ შემთხვევაში, თუ მეწარმეს აქვს ერთობლივი შემოსავლის 60%-ის ოდენობის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი | იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა მისმა ერთობლივმა შემოსავალმა 500 ათასლარს გადააჭარბა. |

წყარო: საქართველოს საგადასახადო კოდექსი

1. საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას, გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 26¹ პუნქტით გათვალისწინებული („საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვა“) საქმიანობისა;
2. საქმიანობები, რომელთა განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას (აქციზური საქონლის წარმოება);
3. სავალუტო ოპერაციების განხორციელება;
4. სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა;
5. სათამაშო ბიზნესი;
6. პერსონალით უზრუნველყოფა;
7. აქციზური საქონლის წარმოება (დადგენილება N415. 2010. დანართი N4. 4).

საქართველოში მცირე ბიზნესის სტატუსი დაახლოებით 120 ათასამდე მეწარმე ფიზიკურ პირს გააჩნია (www.rs.ge ბოლო შესვლის თარიღი 2019 წლის 5 ივლისი), აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ამ გადამხდელის წახალისება სხვადასხვა შეღავათით.

მიუხედავად რაოდენობისა, მოცემული კატეგორიის გადასახადის გადამხდელებისგან მიღებული საგადასახადო შემოსავლები მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს საერთო საგადასახადო შემოსულობებზე, რადგან ამ ცვლილების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს დაახლოებით 40 მლნ ლარი დააკლდება (www.eugeorgia.info ბოლო შესვლის თარიღი 2019 წლის 5 ივლისი). ზოგადად, მცირე მეწარმეობის წილი კი ეკონომიკურ ბრუნვაში დაახლოებით 6%-ს შეადგენს (www.parliament.ge ბოლო შესვლის თარიღი 2019 წლის 5 ივლისი).

რაც შეეხება რისკ-ფაქტორებს, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ამ საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ და რამაც შესაძლოა დამატებით შეამციროს საგადასახადო შემოსავლები საშემოსავლო გადასახადის ჭრილში, მდგომარეობს შემდეგში: მომსახურების სფეროში, მაგ: სამშენებლო ბიზნესში, პირებს, რომლებიც სარემონტო მომსახურებაზე არიან დასაქმებულები, შეუძლიათ მიიღონ მცირე ბიზნესის სტატუსი, რაც არ შედის აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალში, ხოლო დამქირავებელი (ამ შემთხვევაში სამშენებლო კომპანია) აღარ დაბეგრავს საშემოსავლო გადასახადით, ანუ ნაცვლად 20%-ისა (საშემოსავლო გადასახადი) დაიბეგრებიან 1%-ით (მცირე ბიზნესის სტატუსი). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს არის საკმაოდ დიდი რისკი იმისა, რომ ბიუჯეტში შემოვიდეს უფრო ნაკლები შემოსავლები საშემოსავლო გადასახადის ჭრილში, ვიდრე ეს არის დაგეგმილი. ასევე, რისკ-ფაქტორად შეგვიძლია განვიხილოთ ინფორმაციის ნაკლებობა, რაც გამოიხატება შემდეგში: მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე გადასახადის გადამხდელებს უფლება აქვთ დეკლარაციაში არ მიუთითონ ინფორმაცია სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთების შესახებ, ასევე ფასნამატის შესახებ და ა.შ. იქიდან გამომდინარე, რომ მას აქვს უკვე ინფორმაციული ხასიათი და არ არის სავალდებულოდ შესავსები ველები, რაც თავის მხრივ, გართულებს შემოსავლების სამსახურისთვის გადასახადის გადამხდელების (მცირე ბიზნესის სტატუსის საქმიანობის ფარგლებში) შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და შესაბამისად გაკონტროლებას.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესს დიდი წილი აქვს ბიზნეს სექტორში როგორც შემოსავლების, ასევე დასაქმებულების კუთხით, შესაბამისად, დიდი

ყურადღება ექცევა მის განვითარებას. თუმცა, საქართველოში ჯერჯერობით მცირე ბიზნესის წილი უმნიშვნელოა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იზრდება მხარდაჭერა მცირე ბიზნესის მიმართ საქართველოში სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებით, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის შეღავათს, როგორც იყო მაგ: მიკრო, მცირე და ფიქსირებული სტატუსების შემოღება და შესაბამისად, სხვადასხვა ტიპის შეღავათის მიცემა სტატუსების მიხედვით.

აღნიშნული საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეებისთვის, როგორც ერთობლივი შემოსავლის ზღვრის გაზრდას, ასევე დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთის შემცირებას, ბუნებრივია, დიდი სტიმულია მოცემული კატეგორიის მეწარმეებისთვის. თუმცა, ასევე საჭიროა დინამიკაში მოხდეს დაკვირვება, ამ საკანონმდებლო ცვლილების შემდგომ ხომ არ გამოვლინდება რაიმე დამატებითი რისკ-ფაქტორი, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზებას. აქედან გამომდინარე, ზემოთ ხსენებული რისკ-ფაქტორი (რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს საშემოსავლოს გადასახადზე) უნდა იყოს დაკვირვების ობიექტი დინამიკაში, რადგან უკვე მოსალოდნელი შემცირებული შემოსავალი ბიუჯეტში, კიდევ უფრო არ შემცირდეს.

საქართველოს ბიუჯეტის უმეტესი ნაწილი შედგება საგადასახადო შემოსავლებისგან, ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების გატარება, რომელიც ერთის მხრივ, ბიზნესსა და მეწარმეებზე იქნება მორგებული და მეორეს მხრივ, საბიუჯეტო სახსრების მობილიზებას შეუწყობს ხელს. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია იმ ცვლილების განხილვა, რომელიც ეხება მოგების გადასახადის არსებული მოდელის ესტონური მოდელით ჩანაცვლებას (ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან). ზემოთ ხსენებული ცვლილება ერთგვარი გამოწვევაა საქართველოს ეკონომიკისთვის, რადგან საბიუჯეტო შემოსავლები მოგების გადასახადის ჭრილში წელიწადში დაახლოებით 400 მილიონი ლარით მცირდება. თუმცა, იგი ძალიან დიდი სტიმულია მეწარმეებისთვის, რადგან მათ საშუალება ეძლევათ არ დაბეგრონ რეინვესტირებული მოგება, რაც ბიზნესის გაფართოების გარანტიაა.

განაწილებული მოგების გადასახადი ესტონეთში უკვე 19 წელია მოქმედებს და რეგულირდება საშემოსავლო გადასახადის აქტით, რომელიც ძალაში 2000 წელს შევიდა. განაწილებული მოგების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება:

1. საკუთრივ განაწილებული მოგება;
2. თანამშრომლების სახელფასო სარგებელი;
3. ჩუქება, შეწირულობა და წარმომადგენლობითი ხარჯები;
4. ზოგიერთი ხარჯი ან/და განაცემი, რომელიც არ არის დაკავშირებული კომპანიის სამეწარმეო საქმიანობასთან.

ამასთან აღსანიშნავია, რომ განაწილებული მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი ერთნაირია (20%) იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული განაწილებული მოგების ხელფასად გაფორმების, ან პირიქით ხელფასის განაწილებულ მოგებად დაკვალიფიცირების რისკი. ასევე ამ მოდელის თავისებურება მდგომარეობს შემდეგში: იბეგრება ცალკეული ტიპის ხარჯი. კერძოდ, ხარჯი, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, ან არ არის დოკუმენტურად დადასტურებული, რაც ხარჯების გავლით მოგების შეფარულად განაწილების პრევენციაა. (ეს 2017 წლამდე მოქმედი კანონმდებლობით ის ხარჯებია, რომლებიც ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება). იქიდან გამომდინარე, რომ განაწილებული მოგების გადასახადის გამოთვლა არ მოითხოვს ცალკეული შემოსავლების დეტალურ ანალიზს და აქცენტი გადატანილია მხოლოდ ფულადი განაცემების კონტროლზე, მისი ადმინისტრირებაც უფრო იოლია. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტი, რომ განაწილებული გადასახადის მოდელში, კომპანიის საგადასახადო მოგება და ფინანსური მოგება ერთმანეთის ტოლია. (რაც განსხვავებულია 2017 წლამდე მოქმედი ქართული მოდელისაგან).

რაც შეეხება საქართველოში 2017 წლის 1 იანვრამდე მოქმედ მოგების გადასახადის მოდელს, რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი იყო დასაბეგრი მოგება (15%). იგი განისაზღვრებოდა, როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2017 წლამდე მოქმედი

კანონმდებლობით, კომპანიის ფინანსური მოგება და საგადასახადო მოგება ერთმანეთის ტოლი არ იყო).

მოგების გადასახადის ის მოდელი, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლიდან, რა თქმა უნდა ესტონეთში მოქმედი მოდელის ზუსტი ანალოგი არ არის, რადგან აქ გასათვალისწინებელია რიგი ფაქტორები, რომელიც დამახასიათებელია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისთვის და ზოგადად საგადასახადო პოლიტიკისთვის. ამიტომ, მოცემული მოდელის მიხედვით (განაკვეთი დარჩა იგივე - 15%) რეზიდენტი საწარმოსთვის დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრება შემდეგნაირად:

1. განაწილებული მოგება (განაწილებული მოგება არის მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება);
2. გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული;
3. უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გაცემა;
4. ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობით ხარჯი.

რაც შეეხება, კომერციულ ბანკს, საკრედიტო კავშირს, სადაზღვევო ორგანიზაციას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას და ლომბარდს, ხოლო, ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობ პირს ამ საქმიანობის ნაწილში, მათთვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი 2023 წლის 1 იანვრამდე დარჩა იგივე, ანუ სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.


ამ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილების მიზანია, ხელი შეუწყოს მეწარმეებს, განავითარონ თავიანთი ბიზნესი და არ დაიბეგროს ის თანხები, რომლებიც რეინვესტირებას მოხმარდება. ეს თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ბიზნესის გაფართოებას, რაც ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნის გარანტია. რთულია ზუსტად იმის განსაზღვრა, თუ რა შედეგები ექნება ამ რეფორმას გრძელვადიან პერსპექტივაში

საქართველოში, თუმცა რა თქმა უნდა ზოგადი გათვლები გაკეთებულია, ასევე გვაქვს პირველადი შედეგიც, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სავარაუდო დასკვნები გავაკეთოთ.

თუ გადავხედავთ მოცემული მოდელის შედეგებს ესტონეთში, სავარაუდო წარმოდგენა შეიძლება შეგვექმნას შესაძლო შედეგზე გრძელვადიან პერსპექტივაში. ესტონეთში ამ მოდელის მიღების (2000წ.) შემდგომ (იხ. დიაგრამა N22) მოგების გადასახადიდან შემოსული შემოსავლები მკვეთრად შემცირდა, თუმცა 2003 წლიდან გადაასწრო რეფორმამდელ ნიშნულს (1999 წელი - 107 მლნ).

დიაგრამა N22

მოგების გადასახადიდან შემოსული თანხები ესტონეთში 2000-2018 წწ. (ათ. ევრო)



წყარო: Statistics Estonia – www.Stat.ee

აქვე გასათვალისწინებელია რეფორმის შემდგომ პერიოდში არსებული ეკონომიკური კრიზისი და აგრეთვე შემცირებული მოგების გადასახადის განაკვეთი 26%-დან 20%-მდე (2015 წლიდან განაკვეთი უკვე 20%-ია), რომელიც ესტონეთში მიმდინარეობდა 2000-2017 წლებში. (ხოლო საქართველოში, აღნიშნული რეფორმის შემოღებისას არ შეცვლილა მოგების გადასახადის განაკვეთი და დარჩა იგივე (15%), რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქართველოში შესაძლოა არ ჰქონდეს ისეთივე მკვეთრად გამოხატული დადებითი შედეგი, როგორც ესტონეთში).


მოცემული დიაგრამიდან ნათლად ჩანს რეფორმის დადებითი შედეგი გრძელვადიან პერსპექტივაში. განაწილებული მოგების გადასახადის მოდელი არ არის ფართოდ გავრცელებული და მოკლევადიან პერსპექტივაში მას აქვს უარყოფითი შედეგი, რადგან მცირდება საბიუჯეტო შემოსავლები მოგების გადასახადის ჭრილში. ამან შესაძლოა გამოიწვიოს ბიუჯეტის დეფიციტი, რომლის დასაძლევად საჭიროა ხარჯების შემცირება და სწორედ ეს ფაქტი უნდა იქნეს გათვალისწინებული საქართველოს შემთხვევაში, თუ რამდენად შეუძლია სახელმწიფოს ბიუჯეტის დეფიციტის დაძლევა. რამდენადაც, ესტონეთში მოგების გადასახადს მთლიანი გადასახადების ჭრილში უმნიშვნელო წილი აქვს (დაახლოებით 6-7%) და რეფორმას დიდი დეფიციტი არ გამოუწვევია ბიუჯეტში. ხოლო საქართველოს შემთხვევაში ახალი მოდელის შემოღებამდე, მოგების გადასახადის წილი საბიუჯეტო შემოსავლებში 12-13% შორის (დაახლოებით 800-900 მლნ ლარი) მერყეობდა, რაც დიდ გავლენას ახდენდა მთლიან საგადასახადო შემოსულობებზე. ესტონური მოდელის ამოქმედების შემდეგ, 2017 წლის შედეგების მიხედვით, მოგების გადასახადის წილი საგადასახადო შემოსავლებში არის 7,7% (756 მლნ. ლარი), ხოლო თანხობრივად მოგების გადასახადი დაახლოებით 300 მლნ. ლარითაა შემცირებული.

თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ როდესაც მთავრობის მიერ გაცხადებული იქნა ინიციატივა აღნიშნული მოსალოდნელი ცვლილების შესახებ 2015 წელს (რომელიც 13.05.2016 - N5092 პარლამენტის კანონით, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან), მოსალოდნელი ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად, მთავრობამ მიიღო რიგი გადაწყვეტილებები, როგორცაა მაგ: აქციზის გადასახადის გაზრდა (პერიოდულად სხვადასხვა პროდუქციაზე), სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ გასაწევი ხარჯების შემცირება. დიაგრამა N23-ზე მოცემულია მოგებისა და აქციზის გადასახადები 2011-2018 წწ. საქართველოში. როგორც მონაცემებიდან ჩანს, 2011 წელს მოგების გადასახადის წილი შედარებით მაღალია, ვიდრე აქციზის, მაგრამ მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის გაცხადებისთანავე (2015წ), ვინაიდან მოსალოდნელი იყო ბიუჯეტის დეფიციტი, მის

დასაბალანსებლად პერიოდულად გაიზარდა აქციზის განაკვეთი სხვადასხვა პროდუქციაზე (მაგ: თამბაქოზე 2015 წელს 2-ჯერ, 2016 წელს და 2017 წელს).

დიაგრამა N23

საქართველოში მოგებისა და აქციზის გადასახადები 2011-2018 წწ.



წყარო: საქართველოს სახელმწიფო ხაზინა <http://treasury.ge/5629>

აღნიშნულმა ცვლილებებმა 2016 წელს მოგებისა და აქციზის გადასახადებიდან შემოსული შემოსავლების გათანაბრება გამოიწვია, ხოლო 2017 წელს, როდესაც უკვე ძალაში შევიდა აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელის შესახებ, როგორც მოსალოდნელი იყო, შემცირდა მოგების გადასახადიდან შემოსული შემოსავლები, ხოლო, აქციზიდან შემოსულმა გადასახადმა მკვეთრად გადააჭარბა მოგების გადასახადის წილს. სწორედ მოსალოდნელი დეფიციტი (დაახლოებით 400 მლნ.), გადაიფარა აქციზის გადასახადით 2017 წელს, რამაც შესაძლებელი გახადა შედარებით დაბალანსებულიყო მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის შემოღებით გამოწვეული ბიუჯეტის დეფიციტი. რაც შეეხება 2018 წლის მონაცემებს, აქაც ნარჩუნდება ის პროპორციები, რაც მოცემული იყო 2017 წელს და მოგების გადასახადის ახალი მოდელის შედეგად, ბიუჯეტში მობილიზებული თანხების შემცირებას ავსებს, აქციზის გადასახადიდან შემოსული თანხები.

როგორც აღვნიშნეთ, აღნიშნული ცვლილება არის გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი საგადასახადო პოლიტიკის ნაწილი, მისი მიზანია შექმნას სამეწარმეო აქტივობის მასტიმულირებელი საგადასახადო სისტემა, გაიზარდოს კაპიტალის მოცულობა, გაუმჯობესდეს საინვესტიციო გარემო, რადგან თავის მხრივ, განვითარებული ბიზნესი და საგადასახადო სისტემა ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობ მექანიზმს წარმოადგენს, რაც გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანი ბიძგი იქნება. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ეკონომიკისთვის მეტად მნიშვნელოვანია ისეთი საგადასახადო პოლიტიკის გატარება, რომელიც საშუალებას მისცემს მეწარმეებს დაიწყონ და განავითარონ ბიზნესი, სწორედ მოცემული საგადასახადო რეფორმა ერთ-ერთი წინადადებული ნაბიჯია, რომლის უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ მეწარმეებს საშუალება ეძლევათ, არ დაბეგრონ რეინვესტირებული მოგება, რაც თავის მხრივ, ბიზნესის გაფართოების საწინდარია. ხოლო ნაკლოვანებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება მოგების გადასახადის ჭრილში (მოკლევადიან პერიოდში), რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ბიუჯეტის დეფიციტი. ამ დისბალანსის აღმოსაფხვრელად შემცირებულია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ გასაწევი ხარჯები და გაზრდილია აქციზის გადასახადი სხვადასხვა პროდუქციაზე. სწორი და მიზანმიმართული საგადასახადო პოლიტიკის გატარება მეწარმეობის განვითარების საფუძველია, რაც ხელს შეუწყობს კაპიტალის მოცულობის გაზრდას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, აღნიშნული კი იქნება სტიმულის მიმცემი მეწარმეებისთვის შექმნან ან გააფართოონ ბიზნესი, რაც თავის მხრივ ეკონომიკური ზრდის გარანტია.

საგადასახადო პოლიტიკის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საგადასახადო სანქციების ლიბერალიზაცია და სამართლიანი ადმინისტრირება. ამ მიმართულებით კოდექსში არაერთგზის შევიდა ცვლილებები. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ ისეთი სამართალდარღვევების სანქციების შემცირება, როგორცაა:

ა) საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის დარღვევა - სადაც 2011 წლის მდგომარეობით სანქციის სახით განისაზღვრებოდა დასარიცხი თანხის 5% ყოველ

დაგვიანებულ სრულ და არასრულ თვეზე, მაქსიმუმ დასარიცხი თანხის 30%, თუმცა მინიმუმ 200 ლარის ოდენობით. რაც მოგვიანებით 2016 წელს შემცირდა მინიმუმი თანხის ზღვარი 50 ლარამდე, ხოლო მოცემული მდგომარეობით (2019 წელი), თუ ვადაგადაცილება ორ თვეს არ აღემატება მაშინ 5%, ხოლო თუ ორ თვეს აღემატება მაშინ 10%, ხოლო მინიმალური თანხის ზღვარი გაუქმდა (სსკ. 2010. 2011-2016-2019 წლების მდგ. მუხლი 274. 280-281).

ბ) საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის შემცირება - ამ შემთხვევაში სანქციად 2011 წლის მდგომარეობით განისაზღვრებოდა 50%-მდე შემცირებული თანხისთვის 50%, 50% და მეტი შემცირებისთვის სანქცია იყო დასარიცხი თანხის 75%, ხოლო 25000 ლარზე მეტით გადასახადის შემცირება უკვე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ექვემდებარებოდა. რაც შეეხება 2016 წლის მდგომარეობას, აქ უკვე გადასახადის შემცირება, რომელიც გამოწვეული იყო ვალდებულების წარმოშობის მომენტის შეცვლით, სანქციად განისაზღვრებოდა თანხის 10%, ხოლო სხვა შემთხვევებში 50%-ით, ხოლო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემისთვის გადასახადის თანხის ზღვარმა აიწია და გახდა 50000 ლარი. რაც შეეხება 2019 წლის მდგომარეობას, ამ შემთხვევაში მოხდა დიფერენცირება შემცირებული გადასახადის თანხის და თუ გადასახდელი თანხის შემცირება არ აღემატება გადასახდელი თანხის 5%, მაშინ სანქციის სახით განისაზღვრება 10%, ხოლო თუ შემცირებული გადასახადის თანხა აჭარბებს 5%, მაგრამ არაუმეტეს 20%-ია, მაშინ სანქციად განისაზღვრება გადასახადი თანხის 25%. ხოლო იმისათვის, რომ გადასახადის გადამხდელი მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში გადასახადების შემცირების გამო, მინიმალურმა ზღვარმა აიწია და გახდა 100000 ლარი, ანუ მაქსიმალურად დაიწია რისკმა იმისა, რომ მეწარმე მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში გადასახადების შემცირების გამო, რადგან მინიმალური ზღვარი საკმაოდ გაიზარდა. აქვე აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 1 იანვრიდან შევიდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს, რომ „საგადასახადო შემოწმების შედეგად ამ მუხლის (საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება) შესაბამისად შეფარდებული ჯარიმების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ საგადასახადო შემოწმების შედეგად გადასახდელად

დარიცხული გადასახადების თანხების ოდენობას“ (სსკ. 2010. 2011-2016-2019 წლების მდგ. მუხლი 275. 281-282).

გ) საგადასახადო შემოწმებების კუთხით შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: „საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული ჯარიმების თანხების 50 პროცენტი უქმდება, თუ ამ საგადასახადო შემოწმების შედეგად წარმოშობილი საგადასახადო დავალიანება აღიარებულია და გადასახადის გადამხდელს საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში სრულად აქვს გადახდილი საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული გადასახადები და ჯარიმების 50 პროცენტი“ (სსკ. 2010. 2019 წლის 1 იანვრის მდგ. მუხლი 269. 276).

დ) საკონტროლო-სალარო აპარატის (სსა) გამოყენების წესების დარღვევა - მოცემული სამართალდარღვევის მუხლი სანქციის ბევრ სახეობას მოიცავს სხვადასხვა ნაწილების მიხედვით, თუმცა განვიხილოთ ძირითადი ნაწილი, რომელიც ეხება საკონტროლო-სალარო აპარატის არქონას ან/და მის გამოუყენებლობას. 2011 წლის მდგომარეობით სსა-ს არ ქონა იწვევდა დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ყოველ შემდგომ განმეორებაზე კი 5000 და 10000 ლარით სანქციას. სსა-ს არ გამოყენება კი პირველ შემთხვევაში 500 ლარით დაჯარიმებას, ხოლო ყოველ შემდგომზე კი 1500 და 2500 ლარით სანქციას. 2016 წლის მდგომარეობით კი სსა-ს არ ქონაც და მისი გამოუყენებლობაც ჯარიმდებოდა 200 ლარით, მიუხედავად მისი განმეორებითი შემთხვევებისა, რომელიც შენარჩუნებულია 2019 წლის მდგომარეობითაც. აქვე აღსანიშნავია, რომ მოცემული სამართალდარღვევის განსაზღვრის დროს საგადასახადო ოფიცერს აქვს უფლება სანქციის სახით განუსაზღვროს გაფრთხილება, გარდა განმეორებითი შემთხვევისა (სსკ. 2010. 2011-2016-2019 წლების მდგ. მუხლი 281. 283-284).

ე) საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქციები - მოცემული სამართალდარღვევის მუხლი ითვალისწინებს ასევე სხვადასხვა სანქციებს შესაბამისი ნაწილების მიხედვით, თუმცა ამ მუხლიდან შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი. თუ პირის მიერ დაირღვა სატრანსპორტო საშუალების ან/და საქონლის გამოცხადების ვადები, ამ შემთხვევაში სანქცია 2011 წლის

მდგომარეობით იყო ყოველ დაგვიანებულ სრულ და არასრულ დღეზე 100 ლარი, მაგრამ არაუმეტეს 1500 ლარისა. 2016 წლის მდგომარეობით კი მოცემულ სამართალდარღვევაზე აღნიშნული სანქციები შეიცვალა - მინიმუმ 50 ლარის ოდენობით და არაუმეტეს 1000 ლარისა. რაც 2019 წლის მდგომარეობითაც იგივე რჩება. რაც შეეხება მაგ: იმ შემთხვევაში თუ საგადასახადო ორგანოს თანხმობის გარეშე მოხდებოდა ზედამხედველობის ქვეშ არსებულ სატრანსპორტო საშუალებაზე ან/და კონტროლის ზონაში არსებულ შენობა-ნაგებობაში შეღწევა და იდენტიფიკაციის საშუალებების მოხსნა, ამ შემთხვევაში 2011 წლის მდგომარეობით სანქციად განისაზღვრებოდა 5000 ლარი, ხოლო ყოველ შემდგომ განმეორებაზე 10000 ლარი. 2016 წლის მდგომარეობით კი აღნიშნულზე სანქცია შემცირდა და განისაზღვრა პირველ შემთხვევაში 500 ლარად, ხოლო განმეორებით შემთხვევაში 1000 ლარად. რაც ასევე მოქმედებს 2019 წლის მდგომარეობითაც (სსკ. 2010. 2011-2016-2019 წლების მდგ. მუხლი 289. 291-296).

გადასახადის გადამხდელებისთვის, საქმიანობის გამარტივების მიზნით, გაერთიანდა გადასახადების სახეების მიხედვით დაყოფილი სახაზინო კოდები და 2016 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ერთიანი სახაზინო კოდი, სადაც ხდება აბსოლუტურად ყველა ტიპის გადასახადის გადახდა და გადასახადის გადამხდელებისთვის არ არის დაყოფილი გადასახადის სახეების მიხედვით.

2016 წლის 15 ივლისიდან, მეწარმეებს, რომლებსაც გააჩნდათ ზედმეტად გადახდილი თანხები, მათთვის აღნიშნული თანხების დაბრუნების სიმარტივის მიზნით, შემოღებულ იქნა ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების სერვისი. 2019 წლის 15 თებერვლიდან ძალაში შევიდა ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადში (დღგ) არსებული ზედმეტად არსებული თანხის (მეწარმეებისთვის) ავტომატური დაბრუნების სერვისის (აღნიშნული იყო სავალუტო ფონდის რეკომენდაცია). ეს თავის მხრივ ამარტივებს მეწარმეებისთვის საგადასახადო ორგანოსთან ურთიერთობას და დროის მოკლე მონაკვეთში ხორციელდება ზედმეტობის დაბრუნება. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე გადასახადის გადამხდელებს საშუალება ეძლევათ დაიბრუნონ მოცემულ გადასახადში არსებული ზედმეტობა ავტომატურად, რომელიც წარმოიშვა 2019 წლის

იანვრიდან და რომელიც ფიქსირდება წარმოდგენილი დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) დეკლარაციების საფუძველზე. აქვე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დეკლარაციების შესწავლის დროს განიხილება გარკვეული რისკ-ფაქტორები ავტომატურ რეჟიმში, ხოლო მოცემული ეტაპის გავლის შემდგომ დაახლოებით 90% ბრუნდება ავტომატურ რეჟიმში, ხოლო 10% ექვემდებარება დამატებით შესწავლას, აღმოჩენილი რისკების საფუძველზე. განხორციელებული ანალიზის შემდგომ შესაძლებელია არსებული მოთხოვნა გადავიდეს დამატებული ღირებულების გადასახადის დაბრუნების ბარათზე ან/და დაექვემდებაროს კორექტირებას. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული რეფორმა არის ძალიან მასშტაბური და ასევე მნიშვნელოვანი მეწარმეებისთვის.

ზემოთ მოცემული რეფორმები, რომელიც საქართველოში ბოლო წლებში განხორციელდა, არის სწორედ მეწარმეების ხელშესაწყობად წინგადადგმული ნაბიჯი. რადგან რიგი რეფორმა შეეხო მცირე ბიზნესს და მათ წახალისებას სხვადასხვა შეღავათებით, რათა მათ მნიშვნელოვანი წილი დაიკავონ ბაზარზე მსხვილ ბიზნესთან ერთად. ასევე ნაწილი რეფორმისა გათვლილი იყო იმ მეწარმეებზე, რომლებსაც სურთ გააფართოვონ თავიანთი ბიზნესი და შესაბამისად, ის თანხები, რომლებიც რეინვესტირებას მოხმარდება არ დაიბეგრება. ასევე გაერთიანებული სახაზინო კოდები, სადაც მარტივად არის შესაძლებელი გადასახადის გადახდა. ზედმეტად გადახდილი თანხების უკან დაბრუნების ავტომატური სერვისი, რაც ერთერთი მნიშვნელოვანი და გამარტივებული პროცედურაა მეწარმეებისთვის. საგადასახადო სანქციების ლიბერალიზაცია. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებებია და შესაბამისად, აღნიშნული რეფორმები დიდი ხელშეწყობაა მეწარმეებისთვის.

დასკვნა

სამეწარმეო გარემოს განვითარება და მეწარმეების ხელშეწყობა მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის, რადგან სწორედ საგადასახადო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მართებულ მიდგომებზე არის დამოკიდებული ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, ხოლო მეწარმეების მხრიდან კი მათი საქმიანობის გაფართოება. ყოველივე ეს იწვევს ახალი დამატებული ღირებულების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ბუნებრივია მოცემული გარემოს განვითარება და მისი ხელშეწყობა სახელმწიფოს ინტერესებში შედის და მისი დამოკიდებულება გამოხატულია იმ საგადასახადო პოლიტიკით, რომელსაც ის ატარებს. აქედან გამომდინარე, საგადასახადო სისტემა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკის განვითარებისთვის, რაც თავის მხრივ საფუძველია როგორც სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისთვის, ასევე მეწარმეობის განვითარებისთვის. სწორი საგადასახადო პოლიტიკის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც საბოლოოდ საკანონმდებლო სახეს იძენენ და განიხილებიან სხვადასხვა რეფორმებად, აუცილებელია საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების კუთხით იყოს ეფექტური და ის გადასახადების ადმინისტრირების სისტემის მოქნილობას უზრუნველყოფდეს. მოცემული კი იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი, რომ ნაკლები დანახარჯებით მობილიზდეს გადასახადები ბიუჯეტში და გადასახადის გადამხდელების/მეწარმეების მხრიდან წახალისდეს კანონმორჩილება და მისი ნებაყოფლობითი შესრულება.

რამდენადაც ქვეყნები გამოირჩევიან სხვადასხვა საგადასახადო პოლიტიკური მიდგომებით, ბუნებრივია მათი საგადასახადო სისტემებიც მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან როგორც ადმინისტრირების კუთხით, ასევე გადასახადის სახეების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნები რიგ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებენ არაპირდაპირ გადასახადებს, რიგ შემთხვევაში კი პირდაპირ გადასახადებს. შესაბამისად, განსხვავებულია რეფორმებიც. რეფორმების დროს გათვალისწინებულია ასევე ქვეყნის პრიორიტეტები, თუ რა სფეროს წახალისება (საქმიანობების მიხედვით)

სჭირდება ამა თუ იმ ქვეყანას, მეწარმეების რომელი კატეგორიის (მცირე/საშუალო ბიზნესი) განვითარება შედის მის ინტერესებში და ა.შ. აუცილებელია განისაზღვროს თუ რომელი კატეგორიის მეწარმეები არიან მნიშვნელოვანი ბიუჯეტში საგადასახადო შემოსულობების კუთხით, რომ მათ არ შეექმნათ გარკვეული შეფერხება საკანონმდებლო ცვლილებების გამო, ასევე საჭიროა განისაზღვროს ის კატეგორია, რომელსაც სჭირდება გარკვეული შეღავათები, რათა მათ მოახერხონ საქმიანობის გაფართოება და შესაბამისად, მობილიზებული იქნეს უფრო მეტი გადასახადი, ვიდრე მანამდე. აქედან გამომდინარე, საგადასახადო პოლიტიკის შედეგად მიღებული ცვლილებები მეტად კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს და აუცილებელია გარკვეული საკანონმდებლო ცვლილების ძალაში შესვლამდე გათვალისწინებული იქნეს მეწარმეების მოსაზრებები და მათი პრობლემები, რათა საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული რეფორმა იყო ეფექტური და სამართლიანი. სასურველია ქვეყანაში დამკვიდრდეს ე.წ. RIA ანალიზის მიდგომა, რომელიც გარკვეულ დონეზე მოგვცემს შესაძლო მოსალოდნელი ეფექტის შესახებ ანალიზს, რაც ასევე ბუნებრივია დაეხმარება საკანონმდებლო ორგანოს შეექმნას გარკვეული შეხედულება ნებისმიერ მისაღებ კანონპროექტზე და შესაბამისად, იმის საშუალება, რომ დახვეწოს იგი. RIA ანალიზი დამკვიდრებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, თუმცა საქართველოში ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა და ის არ ტარდება ყველა მისაღებ კანონპროექტზე, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შერჩევით არის ჩატარებული სხვადასხვა საგადასახადო ცვლილებებზე საქართველოში. ყველაზე მნიშვნელოვანი საგადასახადო რეფორმის დროს განხორციელდა RIA ანალიზი (მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე), თუმცა ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მოცემული რეკომენდაციები, რომელიც ეხებოდა არსებული კანონპროექტის უარყოფითი შედეგების ფისკალური ეფექტის ნეიტალიზაციის გზებს (მოსალოდნელი ბიუჯეტის დეფიციტი) ვერ იქნა გათვალისწინებული, რადგან ამას ხელი შეუშალა საკონსტიტუციო ჩანაწერმა (მუხლი N94). აღნიშნული საკონსტიტუციო ჩანაწერი კი დიდ ბარიერს წარმოადგენს შესამუშავებელი და გასატარებელი რეფორმების კუთხით, რადგან ის მეტად ზღუდავს მოქმედების არეალს. საინტერესოა, ცალკეული რეგიონების საგადასახადო სისტემების და გადასახადის ტიპების ზოგადი

განსაზღვრა და იმ საგადასახადო რეფორმების მოკლე მიმოხილვა რომელიც გატარდა, თუ რა შედეგი ქონდა ან რა შედეგი შესაძლოა მოჰყვეს თითოეულ მათგანს.

ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახადო სისტემა მკვეთრად განსხვავდება ევროპის ქვეყნების საგადასახადო სისტემისაგან. ამერიკის შეერთებულ შტატებს გააჩნია გადასახადების სამი დონე: სახელმწიფო, ფედერალური და ადგილობრივი დონე, შესაბამისად მათი ადმინისტრირებაც ხდება სხვადასხვა დონეების მიხედვით. გადასახადები მკვეთრად გამიჯნულია ერთმანეთისაგან მოქმედების დონეების მიხედვით, აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი საგადასახადო სისტემა და გადასახადები კომპლექსურია. გადასახადები სხვადასხვაგვარია, თუმცა ერთი ძირითადი სხვაობა, რომელიც მას აქვს ევროპის ქვეყნებთან შედარებით, არის ის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არ მოქმედებს დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), განსხვავებით ევროკავშირში შემავალი ქვეყნებისა და ასევე საქართველოსი. ამერიკის შეერთებულ შტატებში საგადასახადო შემოსულობებიდან უმეტესი წილი უჭირავს საშემოსავლო გადასახადს და უნდა აღინიშნოს, რომ ის დაყოფილია დაბეგვრის შვიდ დონედ, სადაც გაითვალისწინება როგორც დასაბეგრი შემოსავალი, ასევე გადასახადის გადამხდელის სტატუსი (დაოჯახებული, ინდივიდუალური და ა.შ.) და მისი მაქსიმალური დასაბეგრი ზღვრის განაკვეთი შეადგენს 37%-ს, რაც საკმაოდ მაღალია. ბოლო მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო სწორედ საშემოსავლო გადასახადს და რეფორმა განხორციელდა 2017 წლის საგადასახადო შეღავათებისა და დასაქმების აქტის (The Tax Cuts and Jobs Act of 2017) საფუძველზე. ამ აქტით ცვლილებები შევიდა შიდა შემოსავლების კოდექსში (Internal Revenue Code), რომელიც მოქმედებს ფედერალურ დონეზე. მოცემულმა რეფორმამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, რადგან ეკონომისტები და ასევე დარგის სხვადასხვა ექსპერტები თვლიდნენ რომ მოცემული გამოიწვევდა ქვეყნის ვალების გაზრდას და ბიუჯეტის დეფიციტს, რადგან საგადასახადო შემოსულობების დიდი ნაწილი შედიოდა ბიუჯეტში სწორედ მოცემული გადასახადიდან. ამ აქტით შემცირდა გადასახადის განაკვეთები, შეიცვალა დაბეგვრის ობიექტები და ასევე ჩათვლის საფუძვლები. ჩატარებულმა სხვადასხვა კვლევებმა აჩვენა, რომ თუ

გრძელვადიან ზრდაზე და ზოგადად ეკონომიკურ აქტივობაზე დადებითად მოქმედი საგადასახადო ცვლილება გვჭირდება, აუცილებელია საგადასახადო განაკვეთების შემცირების პარალელურად გაფართოვდეს დასაბეგრი საგადასახადო ბაზა, რათა ოპტიმალურად დაბალანსდეს ცვლილებები, რომ ხელი შეეწყოს გადასახადის გადამხდელებს და ამავე დროს ადგილი არ ქონდეს ბიუჯეტის დეფიციტს. რაც შეეხება მცირე ბიზნესის მდგომარეობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, აღსანიშნავია, რომ მას წამყვანი ადგილი უკავია და 2018 წლის მონაცემებით 90%-ზე მეტს შეადგენს, რაც ბუნებრივია არის ძალიან მნიშვნელოვანი. ზოგადად კი ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახადო შემოსულობების უმეტესი ნაწილი შედგება პირდაპირი გადასახადებისგან და მათ მიერ განხორციელებული რეფორმების ძირითადი ნაწილი სწორედ პირდაპირ გადასახადებს ეხება. ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებული, ბოლო წლების საგადასახადო პოლიტიკის ღონისძიებების შედეგად განხორციელებული რეფორმები, რომელიც ეხებოდა უშუალოდ პირდაპირ გადასახადებს (განსაკუთრებით საშემოსავლო გადასახადი), მოსალოდნელი გათვლებით ხასიათდებოდა რიგი როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ეფექტით. თუმცა საბოლოო ჯამში, მოცემულმა რეფორმამ დაადასტურა მისი დადებითი გავლენა, რაც დასტურდება ბოლო წლებში წილობრივი პროცენტული ზრდით როგორც ბიუჯეტის შემოსულობებში, ასევე მთლიან შიდა პროდუქტში;

ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით ევროკავშირი ძირითად აქცენტს არაპირდაპირ გადასახადებზე აკეთებს და მათ მიერ განხორციელებული რეფორმების უმეტესი ნაწილი სწორედ არაპირდაპირ გადასახადებს, განსაკუთრებით დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ) და აქციზს ეხება. ევროკავშირის მიერ მის იურისდიქციაში შემავალი ქვეყნებისთვის შემუშავებულია სხვადასხვა მიმართულებით დირექტივები, რომელიც გულისხმობს ასევე წევრი ქვეყნების საგადასახადო სისტემის ჰარმონიზებას (განსაკუთრებით არაპირდაპირი გადასახადების მიმართულებით), თუმცა მიუხედავად ამისა, წევრი ქვეყნის მიერ ხდება კონკრეტულად მოცემული ქვეყნისთვის შესაფერისი საგადასახადო სისტემის არჩევა მათი პრიორიტეტებიდან გამომდინარე. მოკლედ რომ განვიხილოთ ის ძირითადი რეფორმები საგადასახადო

მიმართულებით, რაც განხორციელდა ბოლო წლებში ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გამოიხატა შემდეგში: ევროკავშირის უმეტეს წევრ ქვეყანაში მცირდებოდა პირდაპირი გადასახადების განაკვეთები (საშემოსავლო, მოგება), ასევე ცვლილებები შეეხო კაპიტალდაბანდებებს, გადასახადების ადმინისტრირებას და ა.შ. ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, სადაც განხორციელდა რეფორმები მოიცავს შემდეგს: საგადასახადო ტვირთის და საგადასახადო განაკვეთების შემცირებას, საგადასახადო სერვისების გამარტივებას და მეტწილად ელექტრონულად მიღება/წარმოებას, საგადასახადო დავების გადაწყვეტის ერთიანი მექანიზმების ჩამოყალიბებას, გადასახადების გადახდისაგან თავის აცილების პრევენციას (რისთვისაც შემუშავდა სპეციალური დირექტივა), საგადასახადო გამჭირვალობის გაზრდას, სამართლიანი საგადასახადო სისტემის შემუშავებას და ინფორმაციის ავტომატურ გაცვლას. ზოგადად, რომ ავიღოთ ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგადასახადო შემოსავლების საშუალო მაჩვენებელი, საშუალო პროცენტული მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ არაპირდაპირი გადასახადებიდან მეტი საგადასახადო შემოსავლები შემოდის, ვიდრე პირდაპირი გადასახადებიდან, თუმცა, რიგი კონკრეტული ქვეყნის მაგალითის შემთხვევაში ეს შეფარდება იცვლება. ევროკავშირისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია მეწარმეობის განვითარება და მათი ხელშეწყობა, რაც არის კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი. ამის დასტურია „მეწარმეობის სამოქმედო გეგმა 2020“, რომელიც არის გაწერილი სამ ძირითად მიმართულებად: სამეწარმეო განათლება; ბიზნეს გარემოს შექმნა და მისი გაუმჯობესება მეწარმეებისთვის; კონკრეტული ჯგუფების როლი. ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკა ზოგადად მიმართულია მდგრად და ინკლუზიურ ზრდაზე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე, კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ეკონომიკურ ზრდაზე. მას აქვს სხვადასხვა გრძელვადიანი მხარდამჭერი პროგრამები მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. მეწარმეობის დონის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად მთლიანად მეწარმეებში, მცირე და საშუალო ბიზნესის დიდი წილობრივი როლისა, მათი მიერ დასაქმებული ადამიანების წილობრივი რაოდენობა ნახევარზე ოდნავ მეტია, ხოლო შექმნილი დამატებული ღირებულება კი

დაახლოებით მთლიანი რაოდენობის ნახევარია. აქედან გამომდინარე, შეიძლება თქვას, რომ ის სტრატეგიები და ღონისძიებები, რომლებიც ტარდება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის მიზანმიმართულია იმისკენ, რომ მათ ჰქონდეთ დიდი წილი არა მარტო რაოდენობაში, არამედ შექმნილ დამატებულ ღირებულებაში და დასაქმების მაჩვენებელში. ბოლო წლების ტენდენცია კი ნათლად ასახავს, მოცემული სექტორის დიდ მნიშვნელობას და გავლენას მთლიან ეკონომიკაზე. ევროკავშირის ქვეყნების (მათ შორის ვიშეგრადის ქვეყნების) მაგალითზე განხორციელებლი რეფორმები/სტრატეგიები ძირითადად ეხება არაპირდაპირ გადასახადებს და მათ მოდიფიკაციებს. ასევე აქცენტი კეთდება მცირე და საშუალო ბიზნესზე. ევროკავშირის ქვეყნების გადასახადების სახეების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, განხორციელებულმა რეფორმებმა გაზარდეს არაპირდაპირი გადასახადების წილი პირდაპირ გადასახადებთან მიმართებით, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესის წილი იზრდება და ის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ბაზარზე;

ვიშეგრადის ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შეჯერებით გამოიკვეთა, რომ ევროკავშირში გაწევრიანებამდე მოცემულმა ქვეყნებმა საკმაოდ რთული გზა განვლეს, რაც პირველ რიგში გამოიხატა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდით. განხორციელდა სახელმწიფო საწარმოების პრივატიზება, საფუძველი ჩაეყარა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებულ მეწარმეობას, განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, როგორც მეწარმეობის მხარდასაჭერად, ასევე ზოგადი საკანონმდებლო ბაზების გამართვის კუთხით. სწრაფად გაიზარდა მცირე და საშუალო ბიზნესი და მისი პროცენტული წილი მეწარმეობაში, თუმცა მიუხედავად ამისა, მათ მიერ საკმარისად ვერ ხერხდებოდა დასაქმების და დამატებული ღირებულების შექმნის კუთხით მაჩვენებლების გაზრდა მსხვილ ბიზნესთან მიმართებით. ასევე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში გაწევრიანებამდე (2003წ) ვიშეგრადის ქვეყნები, გარდა სლოვაკეთისა ვერ აკმაყოფილებდნენ მასტრიხტის იმ კრიტერიუმს, რომელიც გულისხმობს საბიუჯეტო დეფიციტის ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს (თუმცა მიუხედავად ამისა, ისინი ევროკავშირში გაწევრიანდნენ 2004 წელს). აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში

გაწევრიანებამდე პერიოდში, კლების ტენდენციით გამოირჩეოდა ძირითადი გადასახადების (მოგება, საშემოსავლო) განაკვეთები, თუმცა ამავე დროს ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზების კუთხით დამკვიდრდა დამატებული ღირებულების გადასახადი, რაც თავის მხრივ დამატებით საგადასახადო ტვირთს წამოადგენდა, ისედაც ახლად დამკვიდრებული მეწარმეებისთვის. ევროკავშირში გაწევრიანებამდე ვიშეგრადის ქვეყნები პერიოდულად ახორციელებდნენ სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელიც ითვალისწინებდა მეწარმეებისთვის როგორც ფინანსურ, ასევე ტექნიკურ მხარდაჭერას. თუმცა ადგილობრივი პროგრამების გარდა, ასევე სხვადასხვა სახის მხარდამჭერი პროგრამები ხორციელდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. მაგალითად, PHARE - პროგრამა, რომელიც დაფინანსებული იყო ევროკავშირის მიერ და შემუშავებული იყო ევროკავშირში გასაწევრიანებელი ცენტრალური და ადმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის. ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ, მცირე და საშუალო ბიზნესს დიდი წვლილი აქვს გლობალიზაციის პირობებში ვიშეგრადის ქვეყნებში და შესაბამისად, მათ ინტერნაციონალიზებას აქვს დიდი მნიშვნელობა. 2012 წლის მდგომარეობით მიკრო და მცირე საწარმოების დაახლოებით 44% უკვე იყო საერთაშორისო დონეზე გასული. ეს კი მიუთითებს, რომ მათ დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საერთაშორისო ვაჭრობაში, ასევე ინვენსტიციების მხრივ (Daszkiewicz N. 2014. 179-189). ვიშეგრადის ქვეყნების მეწარმეების მაჩვენებლების და მათი პროცენტული შედარებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზოგადად მთლიანი მეწარმეების რაოდენობაში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოდგენილია დაახლოებით 90-99%-იანი მაჩვენებლით. თუმცა მიუხედავად რაოდენობრივად მათი დიდი წილისა, მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება მხოლოდ ნახევარს მოიცავს. ეს იმას ნიშნავს, რომ მცირე მეწარმეების 90-99%-ის და მსხვილი მეწარმეების 10-1%-ის მიერ იქმნება იდენტური დამატებული ღირებულება. ანუ მსხვილი კომპანიების მიერ შექმნილ დამატებულ ღირებულებას დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია მთლიან ეკონომიკაზე, მიუხედავად მათი რაოდენობრივი სიმცირისა. ამიტომ მოცემულ ქვეყნებში მიმდინარეობს მხარდამჭერი პროგრამები სხვადასხვა მიმართულებით, რომ გაძლიერდეს მცირე ბიზნესის როლი ეკონომიკაში.

დასაქმებულების კუთხით კი, მცირე ბიზნესის მიერ დასაქმებულია მოსახლეობის დაახლოებით 70%, ხოლო მსხვილი საწარმოების მიერ - 30%. რაც შეეხება ინოვაციების დანერგვასა და სამეწარმეო/ტექნიკურ უნარჩვევებს, რაშიც იგულისხმება მაგალითად: მცირე ბიზნესის მიერ ინოვაციური პროდუქციისა და მომსახურების წარდგენა, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა, ონლაინ გაყიდვები, დასაქმებულების ტრენინგები სხვადასხვა უნარჩვევების განსავითარებლად და ა.შ. ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ვიშეგრადის ქვეყნებიდან პირველ პოზიციაზეა ჩეხეთის რესპუბლიკა, შემდგომ მოდის სლოვაკეთი, უნგრეთი და პოლონეთი. ვიშეგრადის ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით, მოცემული ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკა, მათი საგადასახადო სისტემა და გადასახადების ტიპები, ძირითადად უახლოვდება ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნების მოცემულობებს. მოცემულ ქვეყნებში ძირითადი რეფორმები შეეხო საგადასახადო განაკვეთების შემცირებას. ვიშეგრადის ქვეყნებში საგადასახადო შემოსავლებში, უფრო დიდი წილი უჭირავს არაპირდაპირ გადასახადებს და შესაბამისად, განხორციელებული რეფორმებიც მოცემული ტიპის გადასახადებს ეხება.

საქართველო გატარებული საგადასახადო პოლიტიკით არის მოწინავე პოზიციებზე ევროპაში, რასაც არაერთი საერთაშორისო რეიტინგები მოწმობს. საქართველოს მიზანია მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით შექმნას სტაბილური საგადასახადო სისტემა, სადაც ასევე ეფექტურად განხორციელდება გადასახადების ადმინისტრირება, რაც გაწერილია „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020-ში“. მისი ძირითადი მიზნებია საგადასახადო სისტემის გაუმჯობესება, დახვეწა და სტაბილური საგადასახადო გარემოს შექმნა, ასევე მეწარმეებისათვის ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება. მოცემული სტრატეგია ასევე ითვალისწინებს გადასახადის ადმინისტრირების გამარტივებას; ხანდაზმულობის ვადის შემცირებას; საგადასახადო სანქციების შემცირებას; ეკონომიკური დანაშაულების შემსუბუქებას და ზოგ შემთხვევაში გაუქმებას (მოცემული ამოცანები უკვე შესრულებულია); მეწარმეობის განვითარებისათვის და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, დამწყების ბიზნესის წარმომადგენლებისთვის იმ უნარ-ჩვევების

სწავლასა და განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობს მათი საქმიანობის განხორციელებას; არსებული ბარიერების აღმოფხვრას, რათა ხელი შეეწყოს კერძო სექტორის მწარმოებლურობას და შესაბამისად, მისი კონკურენტუნარიანობის ზრდას; ხოლო მწარმოებლურობის ასამაღლებლად კი აუცილებელია განვითარდეს საინვესტიციო გარემო; ასევე, მნიშვნელოვანია რომ ხელი შეეწყოს ინოვაციებს და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას; მცირე და საშუალო ბიზნესისთვის გაადვილდეს ფინანსებზე წვდომა; საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ საფუძველზე და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, რომელიც მოიცავს შემდეგ სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებს: „ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება; სამეწარმეო უნარების ამაღლება და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა; მცირე და საშუალო საწარმოების მოდერნიზაციის და ტექნოლოგიური გაუმჯობესების ხელშეწყობა“ (მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. 2016. 22).

საქართველოში არსებული საგადასახადო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებად შეიძლება გამოიყოს შემდეგი: გადასახადის გადამხდელებისთვის გარკვეული შეღავათების მიცემა სხვადასხვა სტატუსის მინიჭების მეშვეობით, ასევე მოგების გადასახადის საშეღავათო მოდელის შემოღება გარკვეული კატეგორიის გადამხდელებისთვის (რათა ხელი შეეწყოს მათი ბიზნესის გაფართოებას), საგადასახადო განაკვეთების შემცირება, საგადასახადო სამართალდარღვევებზე არსებული სანქციების შემცირება, ელექტრონული სერვისებით სარგებლობა საგადასახადო ორგანოებთან სხვადასხვა მიმართულებით და ა.შ. მოცემული ხორციელდება სწორედ იმისთვის, რომ ხელი შეეწყოს გადასახადის გადამხდელებს, დაიწყონ ახალი ბიზნესი ან გააფართოონ უკვე არსებული, გაიმარტივონ ურთიერთობა საგადასახადო ორგანოსთან და ა.შ.

საქართველოში მოქმედი გადასახადებიდან ბიუჯეტის შემოსულობებში თავისი წილობრივი მონაწილეობით წამყვანია სამი გადასახადი: დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), საშემოსავლო გადასახადი და აქციზის გადასახადი. განხორციელებული რეფორმები აღნიშნულ გადასახადებსაც შეეხო. საგადასახადო კუთხით საქართველოში გატარებული ძირითადი რეფორმების ანალიზისა და ჩვენს მიერ მეწარმეთა გამოკითხვის კვლევის შედეგების საფუძველზე მეტად საინტერესო შედეგებს ვღებულობთ. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

აქციზის გადასახადის ჭრილში ცვლილება შეეხო თამბაქოს პროდუქციას, სადაც 2015 წლიდან მოყოლებული აქციზის გადასახადის განაკვეთი რამდენჯერმე შეიცვალა. საბოლოო ჯამში თამბაქოს სახეობების მიხედვით განაკვეთის ზრდა 75-დან 200 პროცენტამდე დიაპაზონში მერყეობს. აქედან გამომდინარე, შემცირდა თამბაქოს პროდუქციის იმპორტი, თუმცა მიუხედავად ამისა, ბიუჯეტში მობილიზებული თამბაქოზე გადახდილი აქციზის გადასახადი გაიზარდა. აღნიშნული წნეხად აწვება გადასახადის გადამხდელებს და ბუნებრივია მათ საქმიანობაზე უარყოფითად აისახება, რაც ასევე ჩანს ჩატარებულ კვლევაში, სადაც უარყოფითი გავლენის მქონე რეფორმებიდან მეწარმეების 22% აქციზის გადასახადის რეფორმას უარყოფითად აფასებს. ხოლო, აქციზის განაკვეთების ზრდის გავლენას უშუალოდ მოცემული გადასახადის გადამხდელების საქმიანობაზე, მეწარმეების 45%-ისთვის მოცემული რეფორმა უარყოფითად აისახება მათ საქმიანობაზე. აღსანიშნავია რამდენიმე რისკ-ფაქტორიც, რომელმაც შესაძლოა ადგილი იქონიოს გაზრდილი აქციზი გადასახადის გამო: მოცემული საქმიანობის უმეტესი ნაწილი (თამბაქოს წარმოება/რეალიზაცია) გადავიდეს ჩრდილოვან ეკონომიკაში და აქედან გამომდინარე, დაიკარგოს შემოსავლები ბიუჯეტში; შესაძლოა ასევე ადგილი ქონდეს მცდელობებს, რომ საზღვრისპირა რეგიონებიდან შემოვიდეს უაქციზო საქონელი საბაჟოს გვერდის ავლით. მოცემული ცვლილების შემთხვევაში მეწარმეების მიერ უარყოფითად შეფასდა რეფორმა, კონკრეტულ პროდუქციაზე აქციზის გადასახადის განაკვეთის გაზრდის გამო. თუმცა, მოცემულმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ აქციზის გადასახადის განაკვეთის შემცირების სურვილს მხოლოდ მეწარმეების 7% გამოთქვამს (პროცენტული

მაჩვენებლის სიმცირე მიანიშნებს იმაზე, რომ მოცემული რეფორმის სამიზნე ჯგუფი ქვეყანაში დიდი რაოდენობით არ არის წარმოდგენილი).

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ჭრილში, რეფორმა ავანსების კუთხით 2017 წელს განხორციელდა, რაც გამოიხატა იმაში, რომ დასაბეგრი ოპერაციის თანხის განსაზღვრის დროს, იბეგრება მიღებული კომპენსაციის თანხა, ხოლო დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ განისაზღვრება არაუგვიანეს მისაწოდებელი საქონლის ან/და გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის ან მისი თანხის ნაწილის გადახდის მომენტი (სსკ. 2010. 2019 წლის 24 მაისის მდგ. მუხლი 161. 148-151). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემული ცვლილება შესაძლებელია გამართლებული იყო მშენებლობის სექტორისთვის (თუ მეწარმე საქმიანობს მშენებლობის სფეროში, მის მიერ ბინების გაყიდვიდან მიღებული თანხები იბეგრებოდა მხოლოდ ბინის ექსპლუატაციაში გადაცემის დროს, მაგრამ ამ საკანონმდებლო ცვლილებით, ის თანხები რომელიც აღებულია მშენებლობის მფლობელის მიერ განიხილება ავანსად და იბეგრება თანხის მიღების დროს, მიუხედავად იმისა, ბინა ჩაბარებული არის თუ არა ექსპლუატაციაში), თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული შეეხო ყველას განურჩევლად საქმიანობის სახისა, ამიტომ მოცემული საკანონმდებლო ცვლილება უარყოფითი გავლენის მქონე საგადასახადო რეფორმებიდან მეწარმეების 61%-ის მიერ უარყოფითად შეფასდა. ხოლო იმ მეწარმეებისთვის, რომლებიც არიან დღგ-ს გადამხდელები, მეწარმეების 63% თვლის, რომ მოცემული საკანონმდებლო ცვლილება მათ საქმიანობაზე უარყოფითად აისახა. აქვე აღსანიშნავია, რომ მოცემული გადასახადის განაკვეთის შემცირების სურვილი მეწარმეების 25%-მა გამოთქვა. მოცემული რეფორმის შემთხვევაში კი მეწარმეების უარყოფითი შეფასება გამოიწვია არა გადასახადის განაკვეთმა, არამედ მოცემული განაკვეთით დასაბეგრი ოპერაციის და მისი დროის განსაზღვრამ.

სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების (მიკრო, მცირე და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი) შემოღებას 2011 წელს საქართველოს საგადასახადო კოდექსში და მინიჭებული სტატუსების მიხედვით გარკვეული შეღავათების მიცემას მეწარმეებისთვის მკვეთრად გამოხატული დადებითი გავლენა აქვს (2018 წლიდან კი

შეიცვალა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმესთვის, როგორც ერთობლივი შემოსავლის ზედა ზღვარი, ასევე შემცირდა გადასახადის განაკვეთი). მოცემული სტატუსების მინიჭებით მეწარმეებს საშუალება აქვთ წელიწადში მიღებული ერთობლივი შემოსავლის მიხედვით მიიღონ შესაბამისი სტატუსი. აღსანიშნავია, რომ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე არ იხდის საშემოსავლო გადასახადს (ერთობლივი შემოსავლის ზედა ზღვარი 30,000 ლარი), მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე იხდის 1%-ს ან 3%-ს 2018 წლიდან, რომელიც დამოკიდებულია დასაბეგრი ერთობლივი შემოსავლის ოდენობაზე (ერთობლივი შემოსავლის ზედა ზღვარი 500,000 ლარი). ხოლო, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისთვის კი, განაკვეთი არის ფიქსირებული, რომელიც დამოკიდებულია საქმიანობის სახეზე და ის მერყეობს 1-2000 ლარის ფარგლებში ან დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3%-ის ოდენობით. კვლევაზე დაყრდნობით მოცემული საკანონმდებლო ცვლილება ამ სტატუსების მქონე მეწარმეების 93%-ისთვის არის დადებითი გავლენის მქონე თავიანთ საქმიანობაში, რაც ერთმნიშვნელოვნად ამართლებს მიღებულ რეფორმას და მეწარმეებს დიდ სტიმულს აძლევს. ხოლო, დადებითი გავლენის მქონე რეფორმებიდან მეწარმეების 13%-ის აზრით არის, ზოგადად სპეციალური დაბეგრის რეჟიმების შემოღება, ხოლო, ასევე დამატებით 13%-ის მოსაზრებით კი მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეებისთვის ერთობლივი შემოსავლის ზედა ზღვრის გაზრდა და გადასახადის განაკვეთის შემცირება. საერთო ჯამში კი მეწარმეების 26%-ის აზრით, დადებითი გავლენის მქონე რეფორმებიდან, სპეციალური დაბეგრის რეჟიმები არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა. აქვე აღსანიშნავია, რომ ასევე მოცემულ კვლევაზე დაყრდნობით საშემოსავლო გადასახადის შემცირების ინიციატივას გამოხატავს მეწარმეების (58%) უმეტესობა (რაც ასევე შესაძლებელია გამოწვეული იყოს საპენსიო ფონდის დაარსების გამო).

მოგების გადასახადის რეფორმა ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმებიდან ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანია. მოცემული რეფორმა შეეხო საქმიანობის უმეტეს ნაწილს, ხოლო გარკვეული კატეგორიისთვის დარჩა 2017 წლამდე მოქმედი მოგების გადასახადის მოდელი. ბუნებრივია მოცემულ რეფორმას გააჩნია უამრავი

ნიუანსი, თუმცა ძირითადი სხვაობა ამ ორ მოდელს შორის მდგომარეობს შემდეგში: მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელის მოსარგებლებს საშუალება ეძლევათ არ დაბეგრონ რეინვესტირებული მოგება. ამ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილების მიზანია, ხელი შეუწყოს მეწარმეებს, განავითარონ თავიანთი ბიზნესი და არ დაიბეგროს ის თანხები, რომლებიც რეინვესტირებას მოხმარდება. ეს თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ბიზნესის გაფართოებას, რაც ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნის გარანტია. მოცემული რეფორმა არის გათვლილი გრძელვადიან პერსპექტივაზე. რაც შეეხება კვლევის შედეგებს მოცემულ რეფორმასთან დაკავშირებით, აქ ფიქსირდება საინტერესო ფაქტი, რომ აღნიშნული რეფორმა ხვდება როგორც დადებითი გავლენის მქონე რეფორმებში, ასევე უარყოფითი გავლენის მქონე რეფორმებში, თუმცა, ბუნებრივია პროცენტულად დიდი განსხვავებით. აღსანიშნავია, რომ დადებითი გავლენის მქონე რეფორმებიდან ყველაზე დიდი პროცენტული წილით (45%) მეწარმეების მიერ სწორედ მოცემული რეფორმა სახელდება, ხოლო უარყოფითი გავლენის მქონე რეფორმებიდან კი მეწარმეების 8% მოცემულ რეფორმას უარყოფითად აფასებს. ხოლო, უშუალოდ მოცემული მოდელის გადამხდელების 64% კი აღნიშნავს, რომ რეფორმას აქვს მკვეთრად გამოხატული დადებითი გავლენა მათ საქმიანობაში. ამავე კვლევაზე დაყრდნობით კი მეწარმეების მხოლოდ 5% გამოთქვამს სურვილს, შემცირდეს მოგების გადასახადის განაკვეთი. აღსანიშნავია, რომ მოგების გადასახადის განაკვეთი ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია ევროპის მასშტაბით.

ასევე აღსანიშნავია, რომ საგადასახადო პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს საგადასახადო სანქციების ლიბერალიზაცია და ამ მიმართულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსში არაერთგზის შევიდა ცვლილებები და მოცემული შეეხო სხვადასხვა ტიპის საგადასახადო სამართალდარღვევებს. კვლევაზე დაყრდნობით კი დადებითი გავლენის რეფორმებიდან მეწარმეების 15%-ის აზრით არის სწორედ საგადასახადო სანქციების შემცირება.

ასევე მეწარმეებისთვის საგადასახადო ორგანოსთან ურთიერთობის და საქმიანობის გამარტივების მიზნით და განხორციელდა რეფორმა, სადაც გადასახადების მიხედვით დაყოფილი სხვადასხვა სახაზინო კოდეზი გაერთიანდა და 2016 წლიდან გახდა ერთიანი

სახაზინო კოდი. მოცემული რეფორმა კი დადებითი გავლენის მქონე რეფორმებიდან, მეწარმეების 12%-ის მიერ დადებითად შეფასდა.

მეწარმეებისთვის საქმიანობის გამარტივების მიზნით, გატარდა რეფორმა, რომელიც მოიცავს ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების სერვისს და ის ძალაში 2016 წელს შევიდა, ხოლო რაც შეეხება უშუალოდ დამატებული ღირებულების გადასახადში (დღგ) არსებული ზედმეტად არსებული თანხის (მეწარმეებისთვის) ავტომატური დაბრუნების სერვისს (სავალუტო ფონდის რეკომენდაცია) ის ძალაში შევიდა 2019 წელს. მოცემული რეფორმა არის ძალიან მასშტაბური და ასევე მნიშვნელოვანი მეწარმეებისთვის. აღნიშნული ემსახურება, რომ გადასახადის გადამხდელებს ჰქონდეთ საშუალება დროის მოკლე მონაკვეთში დაიბრუნონ ზედმეტად არსებული თანხები. იქიდან გამომდინარე, რომ ჯერ მოცემული რეფორმა არის ახალი მიღებული და ის ძალაში მიმდინარე წლის 15 თებერვლიდან შევიდა, კვლევაზე დაყრდნობით აღნიშნული სერვისით არ უსარგებლიათ მეწარმეების 53%, ხოლო მოცემულ რეფორმას დადებითად აფასებს 25%.

ზემოთ მოცემული საგადასახადო რეფორმების ანალიზმა და ასევე მოცემულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით მეწარმეებში ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ განხორციელებული რეფორმებიდან უმეტესი არის დადებითი გავლენის მქონე, თუმცა ასევე ფიქსირდება უარყოფითი გავლენის მქონე რეფორმებიც. სახელმწიფოს მიერ კი სასურველია იქნეს დაცული ის ოქროს შუალედი, რომ განხორციელებული რეფორმა არ იყოს ბიუჯეტის დეფიციტის მიზეზი, მაგრამ ამავდროულად ის დიდ საგადასახადო ტვირთად არ უნდა დააწვეს მეწარმეებს, რაც მოხდა მოგების გადასახადისა და აქციზის გადასახადის შემთხვევაში (მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიღების დროს მოსალოდნელი იყო ბიუჯეტის შემოსულობების შემცირება და აქედან გამომდინარე, მოცემულის დასაბალანსებლად გაიზარდა აქციზის გადასახადის განაკვეთი თამბაქოს პროდუქციაზე). საქართველოს კონსტიტუციის ჩანაწერიდან (მუხლი 94) გამომდინარე, აქციზის გადასახადის გარდა სხვა გადასახადის განაკვეთის ზრდა არ არის შესაძლებელი რეფერენდუმის გარეშე, აქედან გამომდინარე ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც იწვევს ან

შესაძლებელია გამოიწვიოს ბიუჯეტის დეფიციტი, არ შეიძლება ბალანსდებოდეს, მხოლოდ აქციზის გადასახადის ცვლილებით.

საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლში არსებული ჩანაწერი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ საკანონმდებლო ორგანოს მიერ გატარდეს რეკომენდირებული რეფორმები საგადასახადო პოლიტიკის განხრით. რადგან არსებული ჩანაწერი ზღუდავს მოქმედების არეალს. არსებული საკონსტიტუციო ჩანაწერის პირობებში კი, რეკომენდაციის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ იმ შემთხვევაში თუ მცირდება ან/და შესაძლებელია შემცირდეს კონკრეტული გადასახადის განაკვეთი, შესაძლებელია ის დაბალანსდეს იმავე გადასახადის ჭრილში დასაბეგრი ბაზის გაზრდით. ასევე ბუნებრივია მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საგადასახადო შემოსულობების ნაწილში კონკრეტულად მოცემული გადასახადის წილობრივი მონაწილეობა და მისი გავლენა ბიუჯეტზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ საგადასახადო განაკვეთები არ არის მიზეზი მეწარმეებისთვის მათი საქმიანობის შემაფერხებელი ფაქტორებიდან, სადაც არის ისეთი ფაქტორები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საგადასახადო პოლიტიკასთან. თუმცა, მეწარმეების პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საგადასახადო სისტემის და კანონმდებლობის ძირითად ნაკლოვანებას წარმოადგენს ბუნდოვანება და არასტაბილურობა, რადგან არსებული ზოგიერთი ჩანაწერი არ იძლევა ზუსტ განმარტებას და ასევე საგადასახადო კოდექსში ხშირია ცვლილებები ფინანსური წლის განმავლობაში, მოცემული კი პირდაპირ კავშირშია საგადასახადო პოლიტიკასთან, რომლის გამოსწორება/დარეგულირება შესაძლებელია და სასურველიც. ნაშრომში მოცემული კვლევის საფუძველზე შევიმუშავეთ შემდეგი რეკომენდაციები:

🚦 ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკის განსახორციელებლად, სასურველია კონსტიტუციის 94-მე მუხლის დაკორექტირება იმ მხრივ, რომ გადასახადების შემოღება ან/და უკვე არსებული განაკვეთების გაზრდა არ მოითხოვდეს რეფერენდუმს;

🚦 იმ შემთხვევაში, თუ მცირდება გარკვეული გადასახადის განაკვეთის ზღვრული ოდენობა ან/და შემოდის არსებული გადასახადის გარკვეული საშეღავათო მოდელი (მაგალითად, მოგების გადასახადის ესტონური მოდელი), სასურველია მოსალოდნელი ბიუჯეტის დეფიციტი დაბალანსდეს, არსებული გადასახადის დასაბეგრი ბაზის

გაფართოებით და არა აქციზის გადასახადის განაკვეთის ზრდით გარკვეულ პროდუქციაზე. დასაბეგრი ბაზის გაფართოება შეიძლება განიხილოს ოპტიმალური გადაწყვეტილებად, რადგან არსებული საკონსტიტუციო ჩანაწერის საფუძველზე, შეუძლებელია დაბალანსება სხვა გადასახადის განაკვეთის უმნიშვნელო ზრდით (რაც ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო ოპტიმალურ გადაწყვეტილებას წარმოადგენს, ვიდრე დასაბეგრი ბაზის გაფართოება);

✚ თუ იცვლება დასაბეგრი ოპერაციის დრო, სასურველია ეს გაანალიზებული იყოს საქმიანობის ჭრილში. რადგან ხშირ შემთხვევაში, მიღებული რეფორმა სწორია რამდენიმე საქმიანობის ჭრილში, მაგრამ მისი გავრცელება ყველა მეწარმეზე (ავანსების დღგ-ით დაბეგვრა) თანაბრად, წარმოადგენს დაბრკოლებას მეწარმეებისთვის;

✚ სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე, მეწარმეების უმეტესობას (58%) წნეხად აწვება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი, რაც შეიძლება ასევე გამოწვეული იყოს საპენსიო ფონდის დაარსების გამო. იმ შემთხვევაში, თუ მოცემული გადასახადის განაკვეთი შემცირდება, აუცილებელია, რომ ის დაბალანსდეს იგივე გადასახადში დასაბეგრი ბაზის გაზრდით;

✚ სასურველია საგადასახადო კოდექსში დაზუსტდეს ორაზროვანი ჩანაწერები, რომელიც არ იძლევა ზუსტ განმარტებას. მოცემული მეწარმეებს საშუალებას მისცემს, რომ იმოქმედონ კანონმდებლობის შესაბამისად და არ მოხდეს მათ მიერ მისი უნებური დარღვევა;

✚ მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ღონისძიებები ხორციელდება მეწარმეთა ხელშესაწყობად, სასურველია მეტი ყურადღება გამახვილდეს წარმოების და სოფლის მეურნეობის სფეროზე.

✚ საკრედიტო რესურსების მოპოვების სირთულე მეწარმეებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს მათ საქმიანობაში, ამისათვის სასურველია ბიზნესის დაკრედიტების სერვისის გარკვეული რეფორმირება, რათა უფრო მეტად გამარტივდეს მათთვის დაფინანსების მოპოვების საკითხები;

✚ ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან ბაზრის დაუცველობა, ასევე მნიშვნელოვანი ბარიერია მეწარმეთათვის, ამისათვის კი მიზანშეწონილია გამკაცრდეს

ბაზარზე უხარისხო პროდუქციის კონტროლი; ასევე მეტი ყურადღება დაეთმოს კონკურენციის შესახებ კანონს, რადგან მეწარმეები იყვნენ თანაბარ პირობებში;

✚ სტარტაპებისთვის მეტად რთულია ბაზარზე დამკვიდრება, შესაბამისად სასურველია მათი გადასახადებისაგან გათავისუფლება მინიმუმ 2-3 წლით ან/და საწყის ეტაპზე მათი საქმიანობის შესაძლოდ დაბალი საგადასახადო განაკვეთებით დაბეგვრა;

✚ იქიდან გამომდინარე, რომ სოფლის მეურნეობის სექტორი საქართველოში არ არის საკმარისად განვითარებული და მეტწილად ხორციელდება მისი იმპორტი, სასურველია დაწესდეს გარკვეული რეგულაციები იმპორტულ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, რათა საქართველოში მოყვანილმა პროდუქციამ შეძლოს კონკურენციის გაწევა (რადგან მოცემულის მოყვანა/წარმოება გაცილებით ძვირი ჯდება საქართველოში), რაც თავის მხრივ წახალისებს საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას.

საქართველოში ბოლო წლებში გატარებული რეფორმების ანალიზი, უმეტეს შემთხვევაში არის მეწარმეების ხელშესაწყობად წინგადადგმული ნაბიჯი. საიდანაც, მოცემული რეფორმიდან ერთ-ერთის მიზანი მცირე ბიზნესის განვითარება და მათი წახალისებაა სხვადასხვა შედეგებით, ასევე ნაწილი რეფორმისა გათვლილია იმ მეწარმეებზე, რომელთა ინტერესში შედის საქმიანობის გაფართოება და შესაბამისად, მათთვის, განხორციელდა მოგების გადასახადის რეფორმა, რომლის თანახმად, ის თანხები, რომლებიც რეინვესტირებას მოხმარდება არ დაიბეგრება. ასევე, გაერთიანებული სახაზინო კოდეზი, სადაც მეწარმეებისთვის მარტივად არის შესაძლებელი გადასახადის გადახდა. ზედმეტად გადახდილი თანხების უკან დაბრუნების ავტომატური სერვისი, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გამარტივებული პროცედურაა მეწარმეებისთვის, საგადასახადო სანქციების ლიბერალიზაცია. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო ცვლილება, საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებებია, რომლის განვითარება და ხელშეწყობა შედის ქვეყნის ინტერესებში და შესაბამისად, აღნიშნული რეფორმები არის დიდი გამოწვევა და ამავდროულად წახალისება მეწარმეებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანანიაშვილი ი., 2011. *იდეალური საგადასახადო ტვირთი ეკონომიკის განვითარებისთვის*. ჟურნალი თსუ მეცნიერება, N1.
2. ანანიაშვილი ი., პაპავა ვ., 2009. *გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ-კეინზიანური სინთეზი*. თბილისი
3. ანანიაშვილი ი., პაპავა ვ., 2010. *მაკროეკონომიკური წონასწორობა ლაფერ-კეინზიანური სინთეზის პირობებში*. ჟურნალი ეკონომისტი, N5.
4. ასათიანი რ., 2004. *ეკონომიკა სახელმძღვანელო*. თბილისი
5. ბასარია ვ., ბასარია რ., 2003. *გადასახადები: სიკეთე თუ უკეთურება?*
6. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., 2007. *საგადასახადო საქმე*. თბილისი.
7. გეგეშიძე ე., 2010. *მთლიანი შიდა პროდუქტი და ეკონომიკური ზრდა*. სადოქტორო დისერტაცია
8. გველესიანი რ., 1999. *მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა*. თბილისი.
9. გველესიანი რ., 2008. *სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკისა და საწარმოთა სამეწარმეო პოლიტიკის შესაბამისობის პრობლემა*. თბილისი.
10. გობეჯიშვილი ს., 2013. *საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის მიმართულებები*. თბილისი
11. ერქომაიშვილი გ., 2016. *საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები*. თბილისი.
12. ერქომაიშვილი გ., 2019. *რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა*. თბილისი.
13. ერქომაიშვილი გ., 2004. *მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში*. თბილისი.
14. ერქომაიშვილი გ., 2013. *საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები*. თბილისი.
15. ერქომაიშვილი გ., ხარაიშვილი ე., 2011. *ფირმის ეკონომიკა - თეორია და პრაქტიკა*. თბილისი.

16. კაპანაძე ს., 2006. *ევროკავშირის პოლიტიკა (სალექციო კურსი)*. თბილისი.
17. კილაძე ა., 2017. *გადასახადები, მათი წარმოქმნის ისტორია და თეორიები*. თბილისი. ანალიტიკური ჟურნალი „PRIME“.
18. კობერიძე ლ., 2015. *მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ინსტიტუციური მიმართულებები საქართველოში და ევროკავშირთან ინტერნაციონალიზაციის წინააღმდეგობები*. თბილისი
19. კონჯარია ე., 2016. *მცირე და საშუალო ბიზნესის (მეწარმეობის) განვითარება საქართველოში*. თბილისი. თსუ
20. კოპალეიშვილი თ., 2011. *გადასახადები და დაბეგვრა*. თბილისი. თსუ.
21. კუერი ა.ბ., კიური ბ. ჟაკი პ., ფერი ჟ.პ., 2016. *ეკონომიკური პოლიტიკა - თეორია და პრაქტიკა*. თსუ.
22. ლეკაშვილი ე., 2014. *სამეწარმეო აზროვნება და მისი განვითარების პრობლემები საქართველოში*. თბილისი. ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი”, N6.
23. მესხია ი., ბასარია რ., 2001. *საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები*. თბილისი.
24. მექვაბიშვილი ე., 2016. *თანამედროვე ეკონომიკური თეორიები - ლექციების კურსი*. თბილისი
25. პაპავა ვ., 2001. *რას მოგვცემს გადასახადების შემცირება? ლაფერის მრუდი: მითი და რეალობა*. მაკრომიკროეკონომიკა N12.
26. პაპავა ვ., ანანიაშვილი ი., 2009. *გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ-კეინზიანური სინთეზი*. თბილისი.
27. პაპავა ვ., ანანიაშვილი ი., სილაგაძე ა., მესხია ი., აჩელაშვილი კ., წერეთელი გ., 2003. *მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები*. თბილისი.
28. პაპავა ვ., თაფლაძე თ., გეგეშიძე ა., 2015. *საქართველოს ეკონომიკა, რეფორმები და ფსევდორეფორმები*. თბილისი.
29. როგავა ზ., 2002. *გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი*. თბილისი.

30. სამადაშვილი უ., 1992. *მეწარმეობისა და მენეჯმენტის სწორად გაგებისათვის*. მაცნე N5. თბილისი.
31. სანიკიძე მ., 2018. *მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობის მიმართულებები და შედეგები*. თბილისი. ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, N2.
32. საქართველოს მთავრობა. 2014. *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020*
33. საქართველოს მთავრობა. 2016. *საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის*
34. საქართველოს მთავრობა. 2010. *საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის N415 დადგენილება „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“*
35. საქართველოს პარლამენტი. 1995. *საქართველოს კონსტიტუცია*. თბილისი. მუხლი N94.
36. საქართველოს პარლამენტი. 2010. *საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2011 წლის 12 მარტის მდგომარეობით*.
37. საქართველოს პარლამენტი. 2010. *საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით*.
38. საქართველოს პარლამენტი. 2010. *საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით*.
39. საქართველოს პარლამენტი. 2010. *საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით*.
40. საქართველოს პარლამენტი. 2010. *საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2017 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით*.
41. საქართველოს პარლამენტი. 2010. *საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით*.
42. საქართველოს პარლამენტი. 2010. *საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2018 წლის 7 დეკემბრის მდგომარეობით*.

43. საქართველოს პარლამენტი. 2010. *საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.*
44. საქართველოს პარლამენტი. 2010. *საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2019 წლის 25 მაისის მდგომარეობით.*
45. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2018. *მეწარმეობა საქართველოში - სტატისტიკური პუბლიკაცია.*
46. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. 2010. *საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“.*
47. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. 2015. *საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 27 ივლისის N232 ბრძანება.*
48. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. 2015. *საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის N407 ბრძანება.*
49. სილაგაძე ა., 2001. *ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები.* თსუ. თბილისი.
50. ფალტინი გ., 2015. *გონება ამარცხებს კაპიტალს.* თბილისი. თსუ გამომცემლობა.
51. ფუტყარაძე ს., 2012. *საქართველოს საგადასახადო სისტემა და მისი სრულყოფის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე.* სადოქტორო დისერტაცია.
52. ქადაგიშვილი ლ., 2016. *მეწარმეობის განვითარება საქართველოში: ანალიზი, შეფასება, პერსპექტივები.* თბილისი. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N2.
53. ღანიაშვილი მ., 2010. *მეწარმეობის ტვირთი.* ჟურნალი საქართველოს ეკონომიკა.
54. შურღიაა ო., 2010. *მცირე ბიზნესის საფუძვლები.* თბილისი.
55. ჩიხლაძე ნ., 2009. *მცირე ბიზნესის მხარდაჭერის რეგიონული თავისებურებები საქართველოში.* ჟურნალი ბიზნესი და კანონმდებლობა, N3.
56. ხიზრიძი რ., პიტერსი მ., 1994. *მეწარმეობა ანუ როგორ დავიწყოთ საკუთარი საქმე და მივაღწიოთ წარმატებებს.* ქუთაისი.
57. ჯაფარიძე დ., 2012. *საქართველოში მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკის*

ანალიზი. თბილისი.

58. ჰასიდი ჯ., კომსელისი ა.ს., გველესიანი რ., მექვაბიშვილი ე., გაგნიძე ი., ლეკაშვილი ე., ნაცვალაძე მ., 2009. *მეწარმეობის თეორიული საფუძვლები*.
59. PMCG-ის კვლევითი ცენტრი (მაია გრიგოლია). 2016. *RIA საქართველოში: გაუნაწილებელი მოგების გადასახადის რეფორმა*. თბილისი.
60. Accace. 2018. *2018 Tax Guideline Slovakia*
61. Accace. 2018. *2018 Tax Guideline Czech Republic*
62. Accace. 2018. *2018 Tax Guideline Hungary*
63. Accace. 2018. *2018 Tax Guideline Poland*
64. Accace. 2019. *2019 Tax Guideline Hungary*
65. Accace. 2019. *10 facts about taxation in Slovakia / Infographic*
66. Accace. 2019. *2019 Tax Guideline Czech Republic*
67. Accace. 2019. *2019 Tax Guideline for Slovakia*
68. Acosta-Ormaechea S., Yoo J., 2012. *Tax Composition and Growth: A Broad Cross-Country Perspective*. IMF
69. Arnold J.M., Brys B., Heady G., Johansson A., Schweltnus C., Vartua L., 2011. *Tax Policy for Economic Recovery and Growth*.
70. Asb group. 2019. *Changes in Slovak Tax Legislation*
71. Benacek V., Zemplerova A., 1995. *Problems and Environment of Small Businesses in the Czech Republic*. Netherlands.
72. Bird M. R., 2004. *Managing Tax Reform*. WBG
73. Congress. 1986. *Internal Revenue Code*. USA.
74. Congress. 2017. *Internal Revenue Code - The Tax cuts and jobs act of 2017*. USA
75. Csizmadia L., 2008. *The Transition Economy of Hungary Between 1990 and 2004*. Aarhus School of Business University.
76. Czechinvest. 2019. *Taxation*
77. Czechinvest. 2019. *Taxation System*
78. Daszkiewicz N., 2014. *Patterns of Business Internationalisation in Visegrad*

